საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№34 (77)
22 - 28 სექტემბერი, 2010

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

## DO YOU SPEAK ENGLISH?!

2

## შენ



ასეთი პრივილეგიები საბჭოთა პერიოდშიც კი არ მიუნიჭებიათ რუსულისთვის. იმ პერიოდს გმობენ, სამარცხვინოს უწოდებენ და ეს არაა სამარცხვინო? ბარემ „ლინეიკა" დააბრუნონ და ყოველი ქართულად წარმოთქმული სიტყვისთვის ბავშვები დასაჯონ.

## უკვე ისწავლე ინგლისური?

3 ლარს «კუპონიზაციის» საფრთხე ემუქრება

Independent-მა სვანეთს „ველური რეგიონი" უწოდა 4

მერაბიშვილის ცოლის ბიძამ საქუაშვილებს მთელი ქონება წაართვა 5

თურქიზაციის საფრთხე და გრანდიოზული ქართული მითი 8

ქეთი ბექაური: ოქტომბრიდან დამოუკიდებელი ადვოკატის ინსტიტუტი აღარ იარსებებს 12

რობინზონ მარგველანი: ძარცვა-გლეჯა აფხაზეთში «მხედრიონმა» დაიწყო... 13

21 ქართული ანბანის საიდუმლოზე დოკუმენტურ ფილმს იღებენ

## მინდაპურიდან სინგაპურამდე

19

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# Do you speak English?

**დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ჩვენმა პრეზიდენტმა უცხოეთიდან ინგლისური ენის მასწავლებლების ჩამოყვანა მოისურვა და ეს წადილი აისრულა კიდეც. თანაც მათი ჩამოსვლა დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაღთა ჩამოსახლებასაც შეადარა. ახლახან ჩვენი მოსახლეობა კიდევ რამდენიმე სიურპრიზს შეესწრო. თურმე იმ პედაგოგსა და პოლიციელს, რომლებმაც ინგლისური ენა კარგად იციან, 200 ლარით მეტს გადაუხდიან. აღმოჩნდა, რომ 2011 წლიდან ამ ენის ცოდნის გარეშე ქართველი სტუდენტი დიპლომსაც კი ვერ მიიღებს. მიზანი „ნათელი და დიადია“. დაახლოებით ორ წელიწადში მთელი საქართველო ინგლისურად უნდა ალაპარაკდეს!**

გასულ კვირას ბათუმში გამართულ მთავრობის სხდომაზე განათლების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა საზოგადოებას აცნობა, რომ საქართველოში ინგლისური ენის შესწავლა ყველა სტუდენტისთვის სავალდებულო გახდება.. **„2011 წელს დიპლომს ვერ მიიღებს სტუდენტი, თუ არ ჩააბარებს ინგლისურ ენას,“ —** განაცხადა მინისტრმა. თუმცა არ დაუკონკრეტებია, რა პროგრამის ფარგლებში მოხდება ენის შესწავლა. რაც მთავარია, მინისტრს არ უსაუბრია იმაზე, რა ბედი ელით იმ სტუდენტებს, რომლებიც 2011 წელს ამთავრებენ უმაღლესებს და აქამდე სხვა ენას სწავლობდნენ. პასუხგაუცემელი დარჩა კითხვა, იქნება თუ არა ინგლისური ენის სავალდებულო სწავლება იმ სტუდენტის არჩევანის შეზღუდვა, რომელსაც იაპონურის, იტალიურის ან რომელიმე სხვა ენის შესწავლა სურს.

მიდგომა, რომ აბიტურიენტმა მაინცდამაინც ინგლისური უნდა ისწავლოს და არა, დავუშვათ, გერმანული ან სხვა, გაუგებარია.

**განათლების ექსპერტის — ზურაბ ვახანიას თქმით, იქმნება ვითარება, როდესაც სკოლაში ერთი ენა სავალდებულო ხდება, როგორც საბჭოთა პერიოდში რუსული იყო და პარალელურად მოსწავლეს მისთვის სასურველი სხვა ენის შესწავლის საშუალება აქვს. ამავე დროს, ვახანიას თქმით, ამ ცვლილებაში უნდა ჩაიდოს გარდამავალი დებულებები, რათა ის სტუდენტები, ვინც აქამდე სხვა ენას სწავლობდა, არ უნდა დაისაჯონ ამ ცვლილებების გამო.**

საქართველოს კონსტიტუციაში გარკვევით წერია, რომ ქართული სახელმწიფო ენაა. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოში სწავლებაც სახელმწიფო ენაზე მიმდინარეობს. ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, აირჩიოს პროფესია. ადამიანისათვის მარტო ინგლისური ენის სწავლის დაძალება და თუნდაც უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებლად უცხო ენის სავალდებულო ჩაბარებაც პირდაპირ ხელყოფს მის უფლებებს!

თუ მართლაც სავალდებულო გახდა ინგლისური ენის ცოდნა, საკონსტიტუციო ცვლილებები გახდება საჭირო, რადგან საქართველოს კონსტიტუციით ქვეყანაში სახელმწიფო და, შესაბამისად, სავალდებულო ენა არის ქართული. დავიჯეროთ, რომ დიმიტრი შაშკინი კონსტიტუციას არ იცნობს? თუ ინგლისურის სახელმწიფო ენასთან გათანაბრება სურთ ქვეყნის მესაჭეებს?!




**ასეთი პრივილეგიები საბჭოთა პერიოდშიც კი არ მიუნიჭებიათ რუსულისთვის. იმ პერიოდს გმობენ, სამარცხვინოს უწოდებენ და ეს არაა სამარცხვინო? ბარემ „ლინეიკა“ დააბრუნონ და ყოველი ქართულად წარმოთქმული სიტყვისთვის ბავშვები დასაჯონ.**

და თუკი ეს ასეა, იქნებ, სჯობდა, ჯერ ქართული ენის ცოდნა და ამ ენაში გამოცდის ჩაბარება იმ რეგიონებში გაგვეხადა აუცილებელი, სადაც კომპაქტურად ჩასახლებულ საქართველოს სომეხ და აზერბაიჯანელ მოქალაქეთა დიდმა ნაწილმა სახელმწიფო ენა არ იცის?!

**ინგლისური ენის სავალდებულო სწავლებას უკვე გამოუჩნდენ მოწინააღმდეგეები, განსაკუთრებით ის სტუდენტები, რომლებიც ოთხი წელი სხვა ენას სწავლობდნენ და ახლა გაიგეს, რომ თურმე დიპლომს ვერ მიიღებენ, თუ ინგლისურს არ ჩააბარებენ. არც პედაგოგებს მოსწონთ ახალი წამოწყება. მათი აზრით, ეს ქართული ენის პირდაპირი შეურაცხყოფაა. რატომ უნდა ჰქონდეს ინგლსიური ენის მცოდნე პედაგოგს ქართულის მასწავლებელზე 200 ლარით მეტი ხელფასი, მათთვის გაუგებარია და შეურაცხმყოფელი.**

**ხათუნა წერეთელი, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი:**

— არ ვიცი, რა ვუწოდო მინისტრისა და პრეზიდენტის ამ ახალ ინიცატივას. ესაა ბარბაროსობა და ქართული ენის აშკარა შეურაცხყოფა. როგორ შეიძლება, სახელმწიფო ენაზე მეტი პრივილეგიები, თუნდაც საერთაშორისო ენას, ინგლისურს ჰქონდეს?! რა უფლებით უნდა მოსთხოვო სტუდენტს, გინდა თუ არა ინგლისური ისწავლეო? რა დააშავა ფრანგულმა, გერმანულმა, იტალიურმა თუ სხვა ენებმა? **ასეთი პრივილეგიები საბჭოთა პერიოდშიც კი არ მიუნიჭებიათ რუსულისთვის. იმ პერიოდს გმობენ, სამარცხვინოს უწოდებენ და ეს არაა სამარცხვინო? ბარემ „ლინეიკა“ დააბრუნონ და ყოველი ქართულად წარმოთქმული სიტყვისთვის ბავშვები დასაჯონ.** პედაგოგებს, რომლებმაც ინგლისური იციან, 200-ლარიანი დანამატი ექნებათ ხელფასზეო. ვინმემ ამიხსნას, რა ლოგიკაა ამაში. რა კრიტერიუმებით ხდება ამ გადაწყვეტილებების მიღება და რას ემსახურება საერთოდ ეს ყველაფერი. **ალბათ, ერთს — საერთოდ უნდათ განდევნონ, აღმოფხვრან ქართული ენა და მერე სახელმწიფო ენად ინგლისურსაც გამოაცხადებენ. მაინც არ ენაღვლება ხელისუფლებას ეს ქვეყანა და, რასაც უნდა, იმას იზამს.**

**ზურაბ ვახანია, განათლების ექსპერტი:**

— გვინდა თუ არა, ინგლისური ენა არის საერთაშორისო ენა და მისი სწავლა კარგია, მაგრამ დავალდებულება უკვე სხვა რამეა. არ შეიძლება, ადამიანს არჩევანის უფლება წაართვა. რაც შეეხება სტუდენტების თემას, ასეთ გადაწყვეტილებებს, წესით, გარდამავალი დებულებები ახლავს ხოლმე. ეს გადაწყვეტილება არ უნდა შეეხოს იმ სტუდენტებს, ვინც აქამდე სხვა უცხო ენას სწავლობდა. თუ ყველას ეხება, მაშინ ეს არის სტუდენტების უფლებების აშკარა დარღვევა. მაშინ, როცა ისინი უცხო ენას ირჩევდნენ, ინგლისურის სწავლა სავალდებულო არ იყო. იმის გამო, რომ სხვა ენა იციან, დამნაშავეები არ არიან. კიდევ ერთი საკითხი, ხელფასზე 200-ლარიანი დანამატის დაწესება იმ მასწავლებლებისთვის, რომლებმაც ინგლისური იციან, უსამართლობაა. დანამატი ცუდი არაა, პირიქით, ღმერთმა ყველას მისცეს, მაგრამ უსამართლობაა, როდესაც ჩვენთან უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელზე 4-ჯერ მეტს აძლევენ რომელიღაც ინგლისურენოვანი სახელმწიფოდან ჩამოსულ ტაქსის მძღოლს.

**კანონში არაა გათვალისწინებული რომელიმე უცხო ენისთვის ისეთი პრივილეგიების მინიჭება, როგორსაც დღეს საქართველოს ხელისუფლება ინგლისურს ანიჭებს. ესაა დისკრიმინაცია და ადამიანის უფლებათა დარღვევა.**

**თამუნა ხერხეულიძე, თსუ-ს სტუდენტი:**

— მთელი ცხოვრება გერმანულ ენას ვსწავლობ. უნივერსიტეტშიც გერმანული ენის განხრით ჩავაბარე. ინგლისური საერთოდ არ ვიცი. უკვე მეოთხე კურსზე ვარ და, მინისტრი შაშკინის განცხადებით, თურმე დიპლომს ვერ ავიღებ, თუ ინგლისურს არ ჩავაბარებ. როგორ უნდა ვისწავლო ინგლისური 7-8 თვეში?

გასაგებია, რომ ინგლისური საერთაშორისო ენაა, მაგრამ მე, რომელ ენასაც მინდა, იმას ვისწავლი. ეს სტუდენტისთვის არჩევანის უფლების წართმევაა, სტუდენტების უფლებების შელახვა. რა მიდგომაა და რა ლოგიკა, ვერ ვხვდები. წარჩინებული სტუდენტი ვარ, რატომ ვერ უნდა ავიღო დიპლომი? თუ ეს გადაწყვეტილება არ შეიცვალა, ან რაიმე შესწორება არ შეიტანეს მასში, სტუდენტთა დიდ მღელვარებას გამოიწვევს.

**თეო ტაბატაძე**

# ONE, TWO, THREE

— უკვე ისწავლეთო ინგლისური? — გეკითხებათ „ცნობადი სახე“.

სეროჟასაც ჰკითხეს, ჰე, როდის:

— დუ იუ სფიქ ინ ინგლიშ?

— იეს, აი დუ, — უპასუხა პოლიგლოტმა ამან.

ააი, ამან, ამაან!

— უკვე ვისწავლე, მაშ რა, — ხალისიანად ვუპატაკებ „ბუდიონოვკიან“ მიხაილ ნიკოლაევიჩს, — მოხალისედ ჩავეწერე სლოგანების გუნდურ შემსრულებელთა ავანგარდის პირად შემადგენლობაში:

— უან, თუ, თრი! — ავუწყვე ფეხი და მტკიცედ მივაბიჯებ საერთოეროვნული მარშის რიტმში — „მიშა მაგარია“. სისხლში მაქვს გამჯდარი და ჯილაგით მომდევს რევოლუციური გზნება, გრიგალივით რომ გადახვეტს თვითმყოფადობისა და ტრადიციების ფერხთა მტვერს.

ერთი მედროვე „რაპპელი“ (რევოლუციური პოეტების გაერთიანება) პოეტი აწყობილი რითმებით იფიცებოდა, რომ დახოცავდა დედას და მამას, თუ პარტია უბრძანებდა ამას. დახოცავდა კიდეც:

— უან, თუ, თრი!

ვისწავლე, მა რა! და კიდეც დავივიწყე!

ქართულს, დედაენას, ისედაც გვართმევენ და მოვასწარ, დავივიწყე. მამის სახელი, რა ხანია, არავის ახსოვს და მითხარით, გეთაყვა, კიდევ რისი დავიწყებაა საჭირო?

„— მინდა პირდაპირ გითხრათ, დაივიწყეთ საერთაშორისო სამართალი, იურისპუდენცია, ეკონომიკა!“ — პირის ქარი გაშალა ავლაბარში ჩასახლებულმა იმან.

რაც ნიშნავს: სტრასბურგში საჩივლელად სირბილი დაივიწყეთ! დაივიწყეთ ჩვენი სასამართლოც, რადგან თავად აქვს დავიწყებული იურისპრუდენციის უმაღლესი პრინციპები, ხოლო ეკონომიკა, რომელიც ვერონიკა ქობალიას თანამდებობაშიღა დარჩა მდგრადად დასახელებული, ვიღას ახსოვს, გვქონდა თუ არა.

დაივიწყეთ ასი დაპირებული საავადმყოფო, 100 დოლარის ეკვივალენტური პენსია, ანუ ის, რაც უჩვენოდაც დავიწყებულია, და მხნედ აძუნძულდით:

— უან, თუ, თრი!

სწრაფად, უფრო სწრაფად! რადგან მოგვდევენ ჯგუფ-ჯგუფად და ცალ-ცალკე ახალი ყივჩაღები ინგლისური ენის სასაუბროებით ხელში. ცოტა ინგლისურს გვასწავლიან, ცოტა მართლმადიდებლობას გამოაცლიან აგურებს თითო-თითოდ და, როცა სულიერების ტაძარი თავზე დაგვემხობა, მოვდუნდეთ, მოვეშვათ, რათა სრულად მივიღოთ სიამოვნება მოძალადეთა მიერ ინიცირებული.

და გადავეშვათ მოწოდებათა მორევში მოთხოვნათა ტალღებზე სანანაოდ:

„— დღევანდელი მოთხოვნები, პირველ რიგში, სკოლის დონეზე, ესაა კომპიუტერი და უცხო ენის ცოდნა. უფრო ზემოთ ეს არის რაღაც კონკრეტული პროფესიის ხელში დაჭერა“... (წყარო იხ. ზემოთ).

იმის, იმის, იმის უფრო ზემოთ რა უჭირავთ ხელში?

არ უნდა იკითხოს მოხალისემ ეს, რადგან მოხალისეობა ეპოქალური მოვლენაა, ღვარცოფია, წინ წყალია და უკან მეწყერი და არა ცნობისწადილის დაკმაყოფილება.

მოხალისეობა მოწოდებაზე მასობრივი პასუხია, თოვლის გუნდის მიერ მოწყვეტილ ზვავსა ჰგავს, რომელიც მეოცე საუკუნის შფოთიან ოციან წლებში წითელი არმიის შექმნას დაედო საფუძვლად და დენიკინის, ვრანგელისა და კორნილოვის „მოხალისეთა არმიის“ ნარჩენები შავ ზღვაში გადაყარა, შემდეგ ფაშისტურ ჰიდრას წააცალა უკანასკნელი თავი.

იყო ასეთი, რევოლუციურრომანტიკული და პატრიოტიზმით „დაღდასმული“ ეპოქები.

დღეს მოხალისეები სტადიონზე თუ მიდიან ქართული ფეხბურთის საქომაგოდ. ზოგჯერ.

მოხალისეები არც მეორე რესპუბლიკის ბუნკერში ჩაკეტილი მთავრობის დასაცავად გამოსულან ჯაყვებითა და ვარდებით შეიარაღებულები.

არც ფილთა თოფებით დამდგარან თბილისის ზღუდეებთან 2008 წლის აგვისტოში.

დღეს სხვა ქარი ქრის, სხვა დროა და, სანამ მიხეილ სააკაშვილი ნიუ იორკიდან დაბრუნებულა, ჩაეწერეთ მოხალისეებად ინგლისურად ჭრა-კერვის წრეებში, ვინძლო, არ გავუცუდოთ იმედი და სრულად ანგლიკანიზებული დავახვედროთ მშობლიური საქართველო, როგორც ლენინის ახდენილი ოცნება ქვეყნის სრული ელექტრიფიკაციის შესახებ.

ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო და — წინ, ნაბიჯით იაარ!

— უან, თუ, თრი!

* * *

მორალი:

— ასკაცარ?

— აიორ.*

**არმაზ სანებლიძე**

** სომხ. — გაიგეთ?*
*— დიახ.*

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# აგვისტოში ინფლაციამ 10 პროცენტს მიაღწია, ლარს «გოტირიკებად» მონათლული კუპონის ბედის გაზიარება ემუქრება

**ეროვნული ბანკი ინფლაციის ზრდას, მეორე თვეა, ადასტურებს. ქვეყნის მთავარი ბანკის ინფორმაციით, ივლისში არსებული 7-პროცენტიანი ზრდის შემდეგ აგვისტოში წლიური ინფლაცია უკვე 9,5%-მდე გაიზარდა. ამის ძირითადი მიზეზი კი სურსათის გაძვირებაა, რაც, თავის მხრივ, საერთაშორისო ბაზრებზე ფასების ზრდამ გამოიწვია. ბანკის ინფორმაციით, ბოლო ერთ თვეში ხორბლის საერთაშორისო ფასი 4.3%-ით, ხოლო შაქრის 13.5%-ით გაიზარდა. ეროვნული ბანკის პროგნოზითვე, არსებული ტენდენცია ინფლაციის მოსალოდნელ ზრდაზე მიუთითებს.**

## კუპონი გაკუპონებულა, საკუპონეში ჩაკუპონებულა

წლის დასაწყისიდან დღემდე ეროვნული ვალუტა პერმანენტულად უფასურდება. 2010 წლის 1 იანვრიდან 11 მაისამდე ლარი დოლარის მიმართ 1,69-დან 1,77%-მდე (4,7%-ით) გაუფასურდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქვეყნის ეროვნული ვალუტის გაუფასურება იმპორტს აძვირებს, ხოლო საქართველოს საგარეო ვაჭრობაში იმპორტირებული პროდუქციის წილი 75%-ს შეადგენს, ხოლო ექსპორტი — მხოლოდ 25%-ს, მაშინ ცხადი ხდება, რომ ლარის გაუფასურება ინფლაციის პირდაპირი მასტიმულირებელია.

**მიმდინარე წელს დაწყებული ლარის კურსის გაუფასურება იმპორტიორებმა მალევე ასახეს პროდუქციის ფასზე. იმპორტიორები ერთიმეორის მიყოლებით ზრდიან ფასებს. პროდუქციის გაძვირების პარალელურად, 2010 წლის იანვრიდან დღემდე, ინფლაციაც ზრდის ტენდენციით ხასიათდება.**

ფაქტია, რომ ლარის კურსის გაუფასურება პირდაპირ აისახება საქართველოში არსებული პროდუქციის უმეტესი ნაწილის გაძვირებაზე, რაც ინფლაციის ზრდას იწვევს, რომლის გამოც ეროვნული ვალუტის დაკარგული მსყიდველობითი უნარიანობა კიდევ უფრო აკნინებს მოსახლეობის ფინანსურ შესაძლებლობებს. მიუხედავად ამისა, ეროვნული ბანკი სავალუტო ბაზარზე მინიმალური ჩარევით ცდილობს ფონს გასვლას და ცდილობს, ლარის კურსის ფორმირება მთლიანად ბაზარს მიანდოს.

ფაქტია, რომ დოლარის მიმართ ლარის კურსის დაცემამ, ბაზარზე ფასების და, შესაბამისად, ქვეყანაში ინფლაციის დონის ზრდა გამოიწვია. საინტერესოა ამ მხრივ ეროვნული ბანკის ინერტულობა, რომელსაც ამ პროცესების შეჩერება (მისგან გამოწვეული უარყოფითი შედეგების შემსუბუქება მაინც) ორივე ეტაპზე შეუძლია. ერთი, რომ კურსი სტაბილურად შეინარჩუნოს და მისი გაუფასურება არ დაუშვას, რაც შესაბამისად, იმპორტიორებს პროდუქციას აღარ გაუძვირებს. მეორე, თუ ლარის კურსის დადგენა სებ-ს ბაზარზე მინიმალური ჩარევით უნდა, მაშინ ინფლაციის შესამცირებლად უნდა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში იმპორტის ხელშემწყობი პოლიტიკა წლების განმავლობაში მიმდინარეობდა და ამის გამოა, რომ დღეისათვის ქვეყანას უზარმაზარი უარყოფითი სავაჭრო დეფიციტი აქვს, რაც ერთ და ორ წელიწადში ვერ გამოსწორდება. ამ მდგომარეობიდან ქვეყნის ეკონომიკის გამოყვანა ეროვნულ ბანკს მარტოს გაუჭირდება, თუმცა მცირე შეღავათი რომ მისცეს ლარის კურსის არასტაბილურობისგან გაწვალებულ და ინფლაციისგან შემოსავალშემცირებულ მოსახლეობას, ეს მას უდავოდ ძალუძს.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს ეროვნულ ვალუტას უმძიმესი დრო უდგას. „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ პრეზიდენტის, მერაბ ჯანიაშვილის განაცხადებით, ბოლო პერიოდში ლარის კურსის ვარდნა და მასთან დაკავშირებით მთავრობის წარმომადგენელთა სირაქლემის პოზა, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ლარის კუპონიზაცია ხდება, რაც თავისთავად ლარის მიმოქცევიდან ამოღებას გულისხმობს. „დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი, უპირველეს ყოვლისა, გამოიწვევს უკონტროლო ინფლაციას. ლარის გაუფასურებით გამოწვეული პანიკა ადგილობრივ ბაზარზე ახშობს მოვლენების პროგნოზირების საშუალებას, შესაბამისად, ფასები მაქსიმალური რისკების გათვალისწინებით დგინდება. ნებისმიერი საქონლისა და მომსახურების ღირებულება, ეროვნული ვალუტის გაუფასურებასთან შედარებით, გაცილებით მეტი პროცენტით გაიზარდა,“ — აცხადებს **მერაბ ჯანიაშვილი.**

**— ორი თვეა, რაც საქართველოში ინფლაციის ზრდა დასტურდება. ამას მსოფლიოში ფასების მომატებას უკავშირებენ. თქვენი აზრით, რითაა ეს გამოწვეული?**

**მერაბ ჯანიაშვილი:**

— რა თქმა უნდა, საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე მოვლენები საქართველოში შექმნილ სიტუაციაზე გავლენას ახდენს, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართულ ბაზრებზე შექმნილ თითქმის ყველა სექტორში მონოპოლიების წილი უფრო მეტია. ეს ყველაფერი ფასების ზრდას განაპირობებს. საერთაშორისო ბაზარზე ეს პრობლემა ასე მწვავედ არ დგას. იგი უფრო მეორეხარისხოვანია. საერთაშორისო ბაზარზე ერთადერთი, რაც გაძვირდა, ეს იყო ხორბალი. სხვა პროდუქტებზე ფასი სტაბილურია. ჩვენთან ეროვნული ვალუტის გაუფასურებამაც დიდი როლი შეასრულა ფასების მკვეთრ ზრდაში. ეროვნული ბანკი მიმდინარე პროცესებში არ ჩარეულა და, თუ არ ვცდები, ამის მერე ზუსტად სამ დღეში გააძვირეს იმპორტიორებმა პროდუქტები. იმპორტირებული პროდუქტის გაძვირებამ კი ჯაჭვური რეაქციით ადგილობრივი წარმოების გაძვირებაც გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ახლა სიტუაცია შედარებით სტაბილურია, გაზრდილი ფასები ისევ შენარჩუნდა. ფარმაცევტებმა 7-დან 15 პროცენტამდე გააძვირეს წამლები და შემდეგ მხოლოდ 3 პროცენტით გააიაფეს.

**— ეროვნულ ბანკს თუ შეუძლია ამ მოვლენების შეჩერება და რა გზებით?**

— ეროვნულ ბანკს ყველა ბერკეტი გააჩნია იმისათვის, რომ ინფლაცია შეაჩეროს: იგივე მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებით და ა.შ. როდესაც ინფლაცია ისპობა და მომენტალურად მკაცრდება პოლიტიკა, ეს იწვევს მიმოქცევაში არსებული ფულის ამოღებას და, შესაბამისად, საბანკო კრედიტების გაძვირებას. ეროვნულ ბანკს შეუძლია იმდენი ფული ამოიღოს მიმოქცევიდან, რომ ფული მხოლოდ მუზეუმებში დარჩეს საჩვენებლად, მაგრამ საკითხავია, რამდენად მისაღები იქნება ეს ეკონომიკისთვის. ეროვნული ბანკის დანაშაული უფრო ის იყო, რაც ივნისში მოხდა, რის გამოც ისე წარიმართა მოვლენები, რომ ინფლაციას სერიოზული ბიძგი მიეცა; და მეორე დანაშაულია მონოპოლიზაციის პროცესი, რომელიც ახლა მიმდინარეობს.

**— არსებობს მოსაზრება, რომ ფასები ხელოვნურადაა გაზრდილი. თქვენი აზრით, რამდენად შესაძლებელია ეს?**

— შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ჩვენ, სამწუხაროდ, ერთადერთი წყარო გვაქვს, რომლითაც შეიძლება ვიმსჯელოთ. ესაა სტატისტიკის დეპარტამენტი, რომლის ობიექტურობასა და კომპეტენტურობაზე ბევრი აქამდეც თქმულა და ალტერნატიული ვარიანტი არ გაგვაჩნია, მაგრამ, როდესაც ქვეყანაში 9,5% ინფლაცია ფიქსირდება, ეს ისედაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია და უნდა ვივარაუდოთ, რომ ქვეყანაში მდგომარეობა ამ მხრივ საკმაოდ სერიოზულადაა.

**— თუ ინფლაციის დონე გაიზარდა, ლარის კუპონიზაცია რამდენად შეიძლება მოხდეს?**

— დღევანდელ მდგომარეობაში ინფლაცია შეიძლება კიდევ გაიზარდოს, მაგრამ, როდესაც მოსავლის აღების დრო დგება საქართველოში, პროდუქტზე ფასები რეგულირდება ხოლმე. პროგნოზს ვერ გავაკეთებ, თუ რამდენად შეიძლება კიდევ გაიზარდოს, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ ივნისში ის საუბარი, რომელიც ლარის კუპონიზაციას შეეხებოდა, დღეს გამართლდეს. არა მგონია, სერიოზული საფრთხე შეექმნას ინფლაციის კუთხით საქართველოს იმაზე მეტი, რაც დღეს არსებობს. ის გეგმა, რაც ეროვნულ ბანკს ჰქონდა, რომ ინფლაციის დონე 6%-იან ზღვარს არ გადასცდენოდა, დღეს უკვე აქტუალური აღარაა.

**მთავრობის წარმომადგენელთა სირაქლემის პოზა, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ლარის კუპონიზაცია ხდება, რაც თავისთავად ლარის მიმოქცევიდან ამოღებას გულისხმობს.**



**თეო ტაბატაძე**

## მოკლედ



### ამერიკული სასაკლაო ავღანეთში

**ავღანეთში მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვისათვის ამერიკელი სამხედროების ჯგუფს ბრალდება წაუყენეს.** სამხედრო დოკუმენტებისა და დაკითხვათა ოქმების მიხედვით, აშშ-ის ხუთმა ჯარისკაცმა 2010 წლის იანვრიდან მაისამდე კანდაგარში სამი ავღანელი მოკლა. ჯარისკაცები გვამებს ანაწევრებდნენ და სურათებს უღებდნენ, მათ ძვლებს კი სუვენირების სახით ინახავდნენ. სამხედრო სასამართლოს ანგარიშის მიხედვით, მკვლელობების ერთადერთი მოტივი სამხედრო ინტერესი იყო — ჯარისკაცები მშვიდობიანი ავღანელების მხრიდან თავდახმის ინსცენირებას ახდენდნენ და „მტერს“ ცეცხლს უხსნიდნენ. თავად ბრალდებულები დანაშაულს ამ დრომდეც უარყოფენ.



### პაპი ისევ ბოდიშს იხდის

**რომის პაპი ბენედიქტ XVI ბრიტანეთში ვიზიტისას პედოფილი-მღვდლების ხუთ მსხვერპლს შეხვდა.** მართალია, თავად ვატიკანის ოფიციალური პრესსამსახური შეხვედრის დეტალებს არ ახმაურებს, მაგრამ დაზარალებულთა ერთ-ერთი გაერთიანების წარმომადგენელთა თქმით, ეს შეხვედრა სხვა მსგავსი შეხვედრებისგან არაფრით განსხვავდებოდა — „ბევრი სიტყვები და არანაირი საქმე“. არადა, პაპმა პედოფილთა გამო ბოდიში უკვე არაერთხელ მოიხადა, ახლა მისგან კონკრეტულ ქმედებებს ელიან. პედოფილებთან დაკავშირებული სკანდალის გამო ბრიტანეთში რომის პაპის ვიზიტის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება იყო, თავად პაპი კი ამ თემას მხოლოდ ვიზიტის მესამე დღეს შეეხო.



### ამერიკელები ბირთვულ საიდუმლოს ყიდდნენ

**ნიუ-მექსიკის შტატში მცხოვრები ცოლ-ქმარი ბირთვული საიდუმლოების გაყიდვას ცდილობდა.** მათ ვენესუელის სპეცსამსახურების წარმომადგენლის როლში შენიღბული დაზვერვის ფედერალური სამმართველოს აგენტი ეკონტაქტებოდა. წარმოშობით არგენტინელი 75 წლის პედრო მასკერონი 1979-1988 წლებში ლოს-ალამოსის ბირთვულ სასწავლო ცენტრში მუშაობდა და სამსახურიდან აშშ-ის ბირთვული პროგრამის საფინანსო პრინციპების კრიტიკისთვის გაათავისუფლეს. მისი მეუღლე მარჯორი მასკერონი კი 1981-2010 წლებში იმავე ცენტრში ტექნიკური რედაქტორი იყო. მათ ხელი მიუწვდებოდათ ბირთვულ საიდუმლოებებზე, მათ შორის ბირთვული იარაღის კონსტრუქციასა და წარმოებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებზე.



### ირანი აშშ-ს ჰუმანურობისკენ მოუწოდებს

**სახელმწიფო ტელევიზიით გამოსვლისას ირანის პრეზიდენტი მახმუდ ახმადინეჯადი აშშ-ს ჰუმანური ნაბიჯის გადადგმისა და ამერიკელი ტურისტის სარა შურდის გათავისუფლების სანაცვლოდ, საქართველოში დაკავებული ირანელების გათავისუფლებისკენ მოუწოდებს.** „ბუნებრივი და ეთიკური იქნებოდა, თუ აშშ-ის მთავრობა გარკვეული სახის საქონლის ექსპორტის მიზნით, ტაილანდში, საქართველოსა და სხვა ქვეყნებში დაკავებული ირანის რამდენიმე მოქალაქის გათავისუფლებისთვის ნაბიჯს გადადგამდა,“ — განაცხადა მან და დასძინა, რომ იმედი აქვს, აშშ ირანის ქმედებებს დააფასებს და „რაიმე ჰუმანურს გააკეთებს“. შეგახსენებთ, 14 სექტემბერს გათავისუფლებული სარა შურდი ირან-ერაყის საზღვარზე შარშან დააკავეს და მას ჯაშუშობა დასდეს ბრალად.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# The Independent-მა სვანეთს «ველური რეგიონი» უწოდა

**დიახ, ველური რეგიონი, ველური მხარე სვანეთი, კავკასიონის ორწოხებში ჩაკეტილი კუთხე საქართველოსი, მთლიანად მოწყვეტილი ცივილიზაციის განვითარების გზას, ბნელი და მიუვალი, სადაც შუა საუკუნეებში აგებულ ქვის კოშკებში ცხოვრობდნენ იმ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები, რომელიც „ქართულს სამი ათასი წლის წინათ გამოეყო". „საუკუნეების განმავლობაში ჩაკეტილი", იგი იმისთვისღა თუ გამოდგებოდა, რომ „მრავალრიცხოვანი შემოსევების დროს... ქვეყნის კულტურული და რელიგიური საგანძური შესანახად აქ ამოჰქონდათ", ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ „კრიმინალების თავშესაფრად იქცა. აქ ადამიანის გატაცება და ბანდიტიზმი იყო გამეფებული".**


INDEPENDENT BLOGS
THE INDEPENDENT | NEWS & ADVICE
News | Opinion | Environment | Sport | Life & Style | Arts & Ents | Travel
News | 48 Hours In | Africa | Americas | Asia | Australasia & Pacific | Europe | Middle East | UK
Home > Travel > News & Advice

## Georgia's mountain wilderness opens up to the world

AFP
Sunday, 12 September 2010
SHARE | PRINT | EMAIL

High in the Caucasus Mountains, a wild landscape of glacier-capped peaks, forested valleys and villages huddled around medieval stone towers has been locked away for centuries.

But Georgia's Upper Svaneti region – one of the highest and most remote settlements in Europe – is finally opening up to the outside world.

Home to only 14,000 people, Upper Svaneti is a relic of Georgia's ancient culture, a living museum where the locals speak a language that broke off from Georgian 3,000 years ago.

Getting to the regional capital Mestia, a village of 2,500 located 1,500 metres (5,000 feet) above sea level, currently involves a harrowing half-day drive along a rough road that winds around steep cliffs.

Now, in a bid to attract tourists and develop the region's economy, Georgia's government has launched a major programme to improve transport links to Svaneti, spending millions of dollars (euros) to refurbish roads and this summer announcing plans for a new airport in Mestia.

By the end of the year, Mestia governor Gocha Chelidze said, getting to Svaneti will involve nothing more than a short flight or smooth drive up the mountain.

"I've been around the world and I have never seen a place like Svaneti," Chelidze said. "It is a unique place, with beautiful nature and a rich heritage. We want the rest of the world to be able to see this."

Less than 40 years ago, there was not even the bumpy road leading to Upper Svaneti – only mountain trails that were often closed in the winter.

The region was so isolated that cultural and religious treasures were brought here for safekeeping during the many invasions Georgia has suffered over the centuries.

Some of those treasures, including a thick leather-bound Bible dating from 897, remain in the





მაგრამ დადგა დრო და სვებედნიერმა მეფე მიხეილმა, რომელიც „ვარდების რევოლუციის" შედეგად მოევლინა საქართველოს, განუხვნა დარაზული კარი და აჰხადა რკინის ფარდა რეგიონს კაცობრიობასთან დასაკავშირებლად.

ქებათა-ქება მიხეილს! ხოლო ის კონტრასტები, შავისა და თეთრის ის დაპირისპირება, რომლებზეც ააგო ბრიტანულმა გაზეთმა The Independent-მა თავისი უგვანო პუბლიკაცია, სხვა არაფერია, თუ არა მარტივი ჯამბაზური ტრიუკი, თაღლითური ოინი, ფანდი, ხრიკი დოლარების მოყვარული გამპიარებლების, რომელთა სახელი ლეგიონია.

**პატივცემულო ლეგიონერებო, საქართველოს შემოსეულო ყივჩაღებო, მოდით და იქით გაიხედეთ, ოკეანის გადაღმელების „ველური დასავლეთისკენ", იმას მიხედეთ და ვიღაც სულელის მიერ თქვენთვის ჩაწვეთებულ ჩვენს „ველურობას" ჩვენვე მოვუვლით. რამენაირად.**

თუმცა თქვენ რას გერჩით, როცა The Independent-ში გამოქვეყნებული უავტორო სტატია ძალიან ჰგავს საქართველოში ხელისუფლების „აგიტპროპის" აქტივისტების მიერ დაწერილ მასალას, რომლის გამოქვეყნებაში ჩვენმა ბედოვლათებმა დიდი ფული გადაიხადეს.

**საქართველოში ახალი ინფექციური დაავადება გავრცელდა — ლაპარაკი „ფანერაზე", ანუ წინასწარ ჩაწერილი ტექსტისთვის პირთა ფჩენისა და ტუჩთა ცმაცუნის სინქრონული აყოლება. ტექსტი, რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილის ნათქვამის ზუსტი ასლია, რომელსაც სხვადასხვა ტექნიკური ხერხით ჩაუშვებენ საწარმოო პროცესში. ზოგი გადაიწერს, როგორც უნიჭო მოწაფე სხვის ნაცოდვილარს, ზოგი ტელესუფლიორზე გადატანილის ემოციურად წაკითხვას აძლევს უპირატესობას.**

ზოგჯერ „ხალხურ მთქმელებსაც" აალაპარაკებენ, როგორც, მაგალითად, ყაზბეგში ასულ პრეზიდენტთან „დიალოგში შესულ" ქალბატონს, რომელიც სააკაშვილს მისსავე სიტყვებს უბრუნებდა, თანაც მადლობით.

შინაარსი არ იცვლება.

არც მიზანი — სიცრუის პროპაგანდისტულ ანკესზე მსმენელთა, მაყურებელთა, მკითხველთა წამოგება.

ვინც გადაყლაპავს ამ სატყუარას, შეერგოს! ინგლისურენოვან მკითხველებს ვგულისხმობ, რადგან ინგლისური საქართველოში სახელმწიფო ენად ჯერჯერობით არ გამოუცხადებიათ.

The Independent-ის შემთხვევაში მოლაპარაკე ავტომატად, როგორც ჩანს, მესტიის გამგებელი **გოჩა ჭელიძეა** გამოყენებული.

„ზოგი ისე უბერავს", ხოლო გამგებელ ჭელიძეს კარგად გამოსდის უცხოური პრესის ინკოგნიტო ავტორებთან „ფანერაზე" ჩაწერილი სახელმძღვანელო დირექტივის ტექსტით ლაპარაკი: **„ჭელიძის თქმით, მთავრობის ძალისხმევა საქართველოს ამ ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ რაიონში პირობების გაუმჯობესებისკენაა მიმართული".**

იყო ბნელი და უკუნი, მაგრამ ამოანათა „უძინართა მზემ" და გაიხსნა ცისკიდური: „მესტიის მიდამოებში (!) მუშები ახალ ასაფრენ ბილიკსა და აეროპორტს აშენებენ, რომლებიც მზად, სავარაუდოდ, 1 დეკემბრისთვის იქნება". საოცარია, იმ თოვლსა და ყინვაში, როცა „ჯიხვის ქარაფზე ხტომაც" კი სათუოა, მშენებლობის რომელ მაღალ ხარისხზე შეიძლება ლაპარაკი?! მაგრამ ეს უმნიშვნელო, პროზაული დეტალებია, რადგან მთავარია ის, რაც დაგეგმილია: **„დაგეგმილია რეგულარული რეისების დანიშვნა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან, მათ შორის, დედაქალაქ თბილისიდან".**

ხედავთ, რა სიმაღლეზე ავფრინდებით! „წარსულისაკენ" კი, აუჰ, „რა შორი გზაა, რა დაღმართია".

ჩავუყვეთ ამ დაღმართს და **ვკითხოთ ბორის სარალიძეს, 1973-1979 წლებში მესტიის რაიონის თავკაცს, რა და როგორ იყო იმ შავბნელ დროში.**

ჩავუყვებით და თავს წავადგებით მუშებს, რომლებსაც გზა გაჰყავთ: „გზის ნაწილი უკვე დაფარულია ბეტონის ფილებით და მუშები მარშრუტების გაყვანაზე (!) აქტიურად მუშაობენ" (The Independent).

ეს ის გზაა, რომელიც ანგლოსაქსურ კულტურას დანატრებულ სვანებს, ვინაც ხევ-ხუვებში ჩაკეტილები, „დაუმორჩილებელ (!) მთიან კულტურას" ქმნიდნენ, სააკაშვილის გაყვანილი ტრანსევროპული მაგისტრალითა და ლა-მანშის ქვეშ გათხრილი გვირაბით, ლონდონის ცენტრში, ტრაფალგარის სკვერში, ზედ ნელსონის სვეტთან ამოაყოფინებს თავს.

**რას ნიშნავს „დაუმორჩილებელი მთიანი კულტურის" აბდაუბდა, გოჩა ჭელიძეს ჰკითხეთ, არ დაიზარებს, აგიხსნით, ოღონდ ერთი პირობით, თბილისიდან გამოგზავნილ სასაუბროში თუ რამეა ამასთან დაკავშირებით ჩაწერილი.**

რას ნიშნავს „დაუმორჩილებელი მთიანი კულტურის" აბდაუბდა, გოჩა ჭელიძეს ჰკითხეთ, არ დაიზარებს, აგიხსნით, ოღონდ ერთი პირობით, თბილისიდან გამოგზავნილ სასაუბროში თუ რამეა ამასთან დაკავშირებით ჩაწერილი.

მანამდე კი დარჩით საკუთარი უვიცობის პიტალო კლდეებს შორის, მით უფრო, იქიდან გამოსასვლელი, როგორც 40 წლისწინანდელ სვანეთში, არ არსებობს, იყო „მხოლოდ მთის ბილიკები, რომლებიც ხშირად იკეტებოდა" *(იქვე)*.

აბა, სხვანაირად ვერ იქნებოდა ველურ მხარეში?!

შევეშვათ ბილიკებს, რომლებიც ზამთრობით „ხშირად (!) იკეტება და, სანამ მესტიაში უცხოელ ტურისტთა გრძელი რიგი დამდგარა, წარსულში მეგზურობა ბორის სარალიძეს ვთხოვოთ.

— მესტიის აეროდრომი, — იწყებს იგი, — თავის დროზე საკმაოდ დატვირთული იყო. **დღეს თვითმფრინავების რეისების დანიშვნაზე რომ საუბრობენ, უკეთესი იქნებოდა, აღდგენაზე ელაპარაკათ, რადგან საჰაერო ტრანსპორტი მაშინ გადაადგილების ყველაზე პოპულარული საშუალება იყო. ზუსტად გეტყვით: ყოველდღიურად ქუთაისი-მესტიის მიმართულებით АН-2-ის 10 რეისი სრულდებოდა, ზუგდიდიდან — 3-4 რეისი, 2 — სოხუმიდან, თბილისიდან — 1-2 რეისი. რეისების სიხშირე მგზავრთა რაოდენობაზე იყო დამოკიდებული.**

ერთ მშვენიერ დღეს მესტიაში თავისი ახალი 18-ადგილიანი თვითმფრინავით ჩამოფრინდა ცნობილი ავიაკონსტრუქტორი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი ოლეგ ანტონოვი, რომელსაც მოსკოვში სპეციალურად შევხვდი და ახალი АН-ების სვანეთის რეისებისთვის შესყიდვის თაობაზე ვესაუბრე. სამ დღეს დარჩა ანტონოვი მესტიაში და **შედეგად საქართველომ 8 ახალი თვითმფრინავი შეიძინა.**

ალბათ, საინტერესო იქნება თქვენი მკითხველებისთვის, თუ ვეტყვი, რომ **თვითმფრინავის ბილეთი მაშინ 2-3 მანეთი ღირდა.**

**1974 წელს დავამთავრეთ ზემო სვანეთის სრული ელექტრიფიკაცია. მანამდე მხოლოდ რამდენიმე მცირე ელსადგური მუშაობდა მთელ მხარეში.**

**1975 წელს თითქმის მთლიანად იქნა ტელეფიცირებული სვანეთი.**

**1978 წელს დასრულდა ჯვარი-მესტიის 140-კილომეტრიანი სრული პროფილის ასფალტ-ბეტონის საავტომობილო გზის მშენებლობა.**

**ყველა სოფელში აშენდა ახალი სკოლები, ამბულატორიები. მესტიაში სოციალურ-კულტურული დაწესებულებების შენობები აიგო და ამუშავდა.**

პლაგიატორობაში არ ჩამომართვათ, მაგრამ ყველაფერი, რაც ჩამოვთვალე, მაშინ მართლაც პირველად გაკეთდა საქართველოში. ამით არასოდეს მიტრაბახია. **ეს იყო ხალხის მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულება. რაიმე განსაკუთრებულს ამაში ვერაფერს ვხედავ.**

იცით, რა შედეგი მოჰყვა ჩვენს საქმიანობას? **ხალხი დაუბრუნდა სვანეთს.**

პატივცემული გამგებელი გოჩა ჭელიძე ახალგაზრდა ასაკის გამო თუ არ შესწრებია სვანეთის ამ აღორძინებას, ეკითხა მამა ჭელიძისთვის, გაანათლებდა.

ცუდი მაგალითი გადამდებია და მავნე — განსაკუთრებით, თუ საჯაროდაა ჩადენილი, როგორც, მაგალითად, მიხეილ სააკაშვილის ტელეშეთამაშება ეროვნულ საკითხთან და ენათმეცნიერებასთან, რისი მოწმეც ჩვენი საზოგადოებრიობა აგვისტო-სექტემბერში გახდა.

ამან უბიძგა, უნდა ვივარაუდოთ, გამგებელ ჭელიძეს The Independent-ის ანონიმი ავტორის ცნობისწადილი დაეკმაყოფილებინა სვანურის წარმომავლობის თაობაზე. ისიც (ანონიმი ავტორი) ადგა და დაწერა: **„ადგილობრივები იმ ენაზე ლაპარაკობენ, რომელიც ქართულს 3000 წლის წინათ გამოეყო".**

საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **ვაჟა შენგელიამ** „საქართველო და მსოფლიოსთან" საუბარში დაადასტურა, რომ ასეთი ვარაუდი მართლაც არსებობს, მაგრამ კატეგორიულად ამის მტკიცება არ შეიძლება.

**— ლინგოსტატისტიკა, —** თქვა მან, **— პირველად გამოიყენა მოსკოვში მოღვაწე ქართველოლოგმა კლიმოვმა. მოკლედ რომ აგიხსნათ, ამ მეთოდით, თუ არ ვცდები, იკვლევენ საგანგებოდ შერჩეული 300 სიტყვის ცვლილებას დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ამრავლებენ სპეციალურ კოეფიციენტზე და გამოანგარიშების შედეგად იღებენ მიახლოებით, სავარაუდო წლებს. მეცნიერთა ნაწილი იზიარებს ამ ვარაუდს, ნაწილი — ეწინააღმდეგება.**

თანაც სვანური ქართულს კი არ გამოეყო, არამედ — საერთო ქართველურს. გამოყოფა ყოველთვის პოლიტიკურ ვითარებას უკავშირდება. ლინგოსტატისტიკის მეთოდს ერთი ნაკლი ახასიათებს — ენები სხვადასხვა ტემპში იცვლება, ეს განსხვავებულობა არ აქვს გათვალისწინებული და, ამდენად, ამ მეთოდით მიღებული შედეგები ყოველთვის ვერ ჩაითვლება ჭეშმარიტებად.

საეჭვოაო.

ლიტერატორი და მეცნიერი **მანანა გიგინეიშვილი** ამ ეჭვს დიდი ქართველი ენათმეცნიერის **არნოლდ ჩიქობავას** მოსაზრებით განგვიმტკიცებს: **მეგრული და სვანური ქართველური ენებია. მეგრელისთვის და სვანისთვის მშობლიური ლიტერატურული ენა ქართულია. ამის უარყოფა ნიშნავს, რომ მეგრელებსა და სვანებს განვუუცხოვოთ ბიბლიის ქართული თარგმანი (ადიშის ოთხთავი სწორედ სვანეთში ინახება, სამხარეო მუზეუმში), „ვეფხისტყაოსანი", უმდიდრესი ქართული ლიტერატურა სრულად.**

სვანურსა და მეგრულს არნოლდ ჩიქობავამ მოუძებნა ასეთი განსაზღვრება — საოჯახო ენა.

მიხეილ სააკაშვილის ეგზერსირების შემდეგ ლინგვისტიკაში თავისუფალი ნავარდი „მოსულა"!

**The Independent-ის ამ პუბლიკაციის ერთი, განსაკუთრებით გამორჩეული, ნიშანი, ბეჭედდასმული კატეგორიულობაა, რომელიც დილეტანტიზმისთვისაა დამახასიათებელი და, როგორც წესი, დისკომფორტს უქმნის მკითხველს.**

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ „მე ვარ და ჩემი ნაბადის" ეს ტონალობა „პირველად საქართველოში" კამერტონზეა აწყობილი. მთელს ჩვენს ჩინოვნიკობას იმად აქვს გაწვრთნილი ყურთასმენა, გასულ ზაფხულს ბათუმის გაპიარებულ კონცერტებზე გამოსული ჩამქრალი ვარსკვლავების მსგავსად, მიხეილ სააკაშვილის ფონოგრამას უშეცდომოდ რომ ააყოლონ პირთა ბჩენა და ტუჩების ცმაცუნი.

სხვანაირად საქართველო ვერ აშენდება!

**არმაზ სანებლიძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მერაბიშვილის ცოლის ბიძამ საქუაშვილებს მთელი ქონება წაართვა

**საქუაშვილების სახლს ერთ დროს სიდუხჭირის გამო შეფარებული მერაბიშვილის ნათესავები დაეპატრონენ. აწ გარდაცვლილი ბიზნესმენის, ნოდარ საქუაშვილის მეუღლე, ლია ელიზბარაშვილი, ვანო მერაბიშვილის მეუღლის, თაკო სალაყაიას ბიძას ქონების წართმევაში ადანაშაულებს. ნოდარ საქუაშვილის დის, ქეთევან ჯინჭველაძის მეუღლე თაკო სალაყაიას ბიძა გახლავთ. რამდენიმე წლის წინათ, როცა მერაბიშვილის აღზევების ხანა ჯერ კიდევ შორს იყო, ჯინჭველაძეებს თურმე ძალიან უჭირდათ და სალაყაიას ბიძა ოჯახით ცოლის ძმასთან გადასულა საცხოვრებლად. ახლა კი სწორედ ამ სახლიდან მისი კანონიერი მემკვიდრეები გაყარა და ქონებას თვითონ დაეპატრონა. მეტიც, არათუ სახლი, საქუაშვილებს მან მამის მთელი ქონება წაართვა. „საქართველო და მსოფლიო" ლია ელიზბარაშვილს ესაუბრა:**




**მე არ ვამბობ, რომ მერაბიშვილმა წაიღო ჩემი შვილების ქონება, უფრო ვფიქრობ, რომ სალაყაია თავისი კავშირებით აკეთებს ყველაფერს. ამ ადამიანებმა, უბრალოდ, ფული ჩაიგდეს ხელში და ქრთამით აკეთებენ ყველაფერს.**

**— როგორ მოახერხეს თქვენი შვილებისთვის მამის ქონების წართმევა?**

— ჩემი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მათ ბავშვებზე განახორციელეს ზეწოლა. მამის გარდაცვალებით დაბნეული ბავშვები ამ იურიდიულ საქმეებში ჩახედული არც იყვნენ, რას იფიქრებდნენ, რომ მამიდა, რომელიც 15 წელი თავისი ოჯახით ჩვენთან ცხოვრობდა, ასე მოექცეოდათ. მე იმ დროს საზღვარგარეთ ვიყავი, ბავშვებს უთხრეს, ერთ მემკვიდრეზე უნდა გაფორმდეს ეს ქონებაო, რადგან არსებობდა „ქართუ ბანკის" ვალი — 2 მილიონი დოლარი. მე დავურეკე გია ჯიქურიშვილს, ვინც ამ საქმეში ჩახედული იყო და ვუთხარი, არა ვარ თანახმა ამაზე და ეს არ გააკეთოთ-მეთქი. მაინც მისულან ნოტარიუსთან, მაგრამ ნოტარიუსს უკან გამოუბრუნებია, ამხელა ქონების ერთ ადამიანზე გაფორმება არ შეიძლებაო. არც კი აცალეს ბავშვებს ქონების მიღება და გადაფორმება, ისე წაართვეს. მერე, ეტყობა, მოქრთამეს ნოტარიუსი და მაინც გააფორმებინეს ურთიერთგანაწილების ხელშეკრულება. ბავშვებს შეახვედრეს მხოლოდ მცირე წილი ავტოგაზისა და შუამთის რესტორნიდან. რესტორანში სეზონური მუშაობაა, ავტოგაზი კი გირაოში ყოფილა ჩადებული და ახლა მიაქვს „ქართუ ბანკს", იმიტომ, რომ ვალებს არ იხდიან.

**— ვისზე განაწილდა დანარჩენი ქონება?**

— ქონება გაფორმდა პარალიზებულ, ავადმყოფ 80 წლის პაპაზე (მეუღლის მამა). მე მაშინვე ვიცოდი, რომ მის ზურგს უკან მისი ქალიშვილი და ოჯახი იდგა. ერთ თვეში მართლაც მთელი ქონება მისცა ქალიშვილს, რომელმაც რამდენიმე თვეში ქონების დიდი ნაწილი გაასხვისა. მთელი ქონება გადამალული, დაკარგული და გასხვისებულია. არადა, ბავშვებს დაჰპირდნენ, ქონებას კი გავაფორმებთ ასე, რადგან საქმეს სჭირდება, მაგრამ ის თქვენი იქნებაო, თანაც ყოველთვიურად საარსებო ფული უნდა გამოეგზავნათ. მაგრამ სამი წელია, ამ ბავშვებს მამის ქონებიდან კაპიკი არ მიუღიათ.

**— თქვენ ბევრგან იჩივლეთ, მიმართეთ პრეზიდენტის ადმინისტრაციასაც, მერაბიშვილსაც, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეთ.**

— დიახ, ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ვცდილობდი შინაგან საქმეთა მინისტრთან შესვლას, ახლაც ველოდები მერაბიშვილთან შეხვედრას. ვესაუბრე სამინისტროს წარმომადგენელს. მან მითხრა, უფროსები თათბირობენ და გადაწყვეტენ თქვენს შეხვედრას მინისტრთანო. გადაწყვეტენ, ალბათ, ღირს თუ არა ჩემი შეხვედრა მერაბიშვილთან. მე მინდოდა ამ ადამიანთან საუბარი, რადგან არ მჯერა, რომ ისიც არის გარეული ამ საქმეში. თუ ის არაფერ შუაშია, ვფიქრობ, თავის გასაკეთებელს გააკეთებს.

სადაც მივდივარ, ყველგან კედელს ვაწყდები. ჩაწყობილი იყო საქმე სასამართლოშიც, პროკურატურაშიც. საქმე, სამი წელია, ძიებაშია და წინ არ მიიწევს.

**— მერაბიშვილები აღარ არიან ღარიბები, როგორც ადრე, რაში დასჭირდათ მათ თქვენი ქონების მითვისება?**

— მე არ ვამბობ, რომ მერაბიშვილმა წაიღო ჩემი შვილების ქონება, უფრო ვფიქრობ, რომ სალაყაია თავისი კავშირებით აკეთებს ყველაფერს. ამ ადამიანებმა, უბრალოდ, ფული ჩაიგდეს ხელში და ქრთამით აკეთებენ ყველაფერს.

**— რატომ გადმოვიდა თქვენი მული ოჯახით თქვენს სახლში საცხოვრებლად?**

— არანაირი შემოსავალი არ ჰქონდათ, ჩემმა მეუღლემ გამოაცხადა, ვერ ავიტან ჩემს დისშვილებს რამე უჭირდეთო და 15 წელი ჩვენს ოჯახში აცხოვრა. ბოლოს მისი სულგრძელობის გამო ჩვენ დავისაჯეთ. ჩვენ გამოგვყარეს სახლიდან და ისინი ცხოვრობენ ჩვენს სახლში.

**— სხვა სახლი მათ არ აქვთ?**

— ჩემს მეუღლეს ჰქონია შეტანილი „მაგი სტილში" ფული სამოთახიანი ბინის მშენებლობაზე თავისი დისთვის, ხუთოთახიან ბინაზე კი — თავისთვის. არ ვიცი, როგორ მოახერხეს, მაგრამ ახლა იმ ხუთოთახიან ბინაში ისინი ცხოვრობენ. იმიტომ მიითვისეს ამხელა თანხები, რომ ის ბინები გაერემონტებიათ, 200-დოლარიანი შპალერები გაეკრათ. ახლა აგვივლიან-ჩაგვივლიან მანქანებით, ჩვენ კი პურის ფული არ გვაქვს.

**— თქვენს მეუღლეს ანდერძი არ დაუწერია?**

— ვიცოდით, რომ ანდერძი არსებობდა, მეც მაქვს დამოუკიდებლად გამოძიება ჩატარებული, ნოდარის მეგობრებმა დამიდასტურეს ნოდარის ნათქვამი, რომ ყველაფერს უტოვებდა შვილებს. მე ჩემს დისშვილებს ყველაფერი გავუკეთე უკვეო, უთქვამს. ანდერძს დავწერ, აბა, ასე აბურდულ საქმეებს ხომ არ დავტოვებო, ისიც უთქვამს, რომ ბინას, რომელიც ერთად ავაშენეთ, გოგოებს უტოვებდა, პირველ კანონიერ ოჯახს, მაგრამ დღეს ბავშვები გამოყრილები არიან იმ სახლიდან. ნოტარიუსთან როცა მივიდნენ, განუცხადეს, რომ ანდერძი არ არსებობდა. მე ვფიქრობ იმიტომ, არ გამოაჩინეს ანდერძი, რომ ჩემზე ჰქონდა გართულება ნოდარის დას, მაგას არ ვაღირსებ ჩემი ძმის ქონებასო, ამბობდა.

**— გია ჯიქურიშვილს რა ესაქმებოდა თქვენი მეუღლის ქონებასთან?**

— ნოდარი თავისთან ამუშავებდა ჯიქურიშვილს, ქარხნის დირექტორად დანიშნა და მას ჰქონდა ქონების განკარგვის უფლება ნოდარის სიკვდილამდე.

**— მეორე ოჯახიც ჰყავდა, როგორც ვიცი, თქვენს მეუღლეს, მათაც ისევე მოექცნენ, როგორც თქვენს შვილებს?**

— დიახ, ისინიც ასე დაიყოლიეს. ნოდარის ქონება მთლიანად მის დას დარჩა. ჩვენს სახლში, თბილისის ხუთოთახიან ბინაში ცხოვრობს და, თუ რამე ჰქონდა ნოდარს, მთელი ქონება დარჩა მას.

**— თქვენ მიმართეთ პრეზიდენტსაც, სააკაშვილი კარგად იცნობდა თქვენს მეუღლეს და ხშირად სტუმრობდა მას, პასუხი არ მიგიღიათ?**

— კანცელარიის მისაღებში ვიკითხე, გამაგებინეთ, ეს წერილები პრეზიდენტამდე მიდის თუ არა-მეთქი, მიდისო მითხრეს. მაგრამ არა მგონია, ეს წერილები ადრესატამდე აღწევდეს. შინაგან საქმეთა სამინისტროში ქეთინო ჯინჭველაძის შვილი, გიორგი ჯინჭველაძე მუშაობს და შეიძლება ის ბლოკავს ჩემს წერილებს.

**— ბანკის ვალს რაც შეეხება, ვინ ფარავს მას?**

— 2007 წელს, როცა ეს ბავშვები დაიყოლიეს და ხელი მოაწერინეს ქონების დათმობაზე, რადგან აშინებდნენ მამაშენს საფლავიდან ამოთხრიან და ყველაფერს წაიღებენ, რაც გაგვაჩნიაო, სამი წელი კიდევ იყო ვალის დაფარვამდე, სულ არ იყო საჭირო ამათი ხელის მოწერა. გადახდისGგრაფიკი გაწერილი იყო 2011 წლამდე. ახლა უკვე სადაცაა დადგება 2011 წელი, ჯერ არაფერი არ არის გადახდილი. რომ ვერ გადაიხადეს ვალი, „ქართუ ბანკს" დამატებით დარჩენილი ქონებაც ჩაუდეს. რომ წაელო ბანკს პარკი „სანავარდო" და სხვა ქონება, რომელიც ჩადებული იყო, ჩვენ დარჩენილი ქონებითაც ვიარსებებდით, მაგრამ ამათ დამატებით ჩადეს გირაოში სხვა ქონებაც, რისი უფლება არც ბანკს ჰქონდა და არც მათ. არამარტო ეს, ჩემი განქორწინებაც კი გაყალბებულია. „ავტოგაზიდან" ნუგზარ ჯინჭველაძეს (ამ ბავშვების ნაცვლად) 419 ათასი აქვს გატანილი, დამფუძნებლის ჩადებული ფული. ეს საქმე პროკურატურაში გაყინულია. ექსპერტიზის პასუხები მოვიდა, რომ მოსარჩელის მოთხოვნაზე ნოდარის ხელმოწერა არ არის, „მმაჩის ბიუროში" განქორწინების მოწმობის აღრიცხვის ჟურნალში ჩამატებულია საქუაშვილი ნოდარი, მაგრამ არაფერს არ აკეთებენ. ჩვენი საცხოვრებელი სახლი, სოფლის გამგებლის ორი ცნობის საფუძველზეა გადაცემული სხვისთვის იმიტომ, რომ სოფლის გამგებელი გია ჯიქურიშვილის მეგობარი იყო და იმას გააკეთებინა. ერთმანეთზეა გადახლართული ყველაფერი, საჯარო რეესტრი, ნოტარიუსი და ა.შ. სახლში, რომელიც მე და ნოდარმა 10 წელი ვაშენეთ, დღეს ვიღაც ჯინჭველაძეები ცხოვრობენ და მე და ჩემი შვილები იქ ვერასოდეს ვერ უნდა შევიდეთ?

**სოფო გელაშვილი**

## მოკლედ



### ყოველი მეშვიდე ამერიკელი ღატაკია

**აშშ-ში სიღატაკის მაჩვენებელმა უკანასკნელი 15 წლის რეკორდი მოხსნა. ამჟამად ქვეყნის მოსახლეობის 14,3%, ანუ 43,6 მილიონი ამერიკელი სიღატაკის ზღვარს მიღმა ცხოვრობს.** 2008 წელს ეს მაჩვენებელი 13,2 პროცენტს შეადგენდა, მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის ანგარიშის თანახმად კი, შარშანდელი 39,8 მილიონიანი ღატაკთა არმია მნიშვნელოვნად შეივსო. ახლა ამერიკელები თავს იმით ინუგეშებენ, რომ ექსპერტების მიერ ნავარაუდევ 15%-იან სიღატაკემდე ჯერ არ მისულან. ამერიკის ოთხსულიანი ოჯახისთვის მინიმალური საარსებო შემოსავალი 2009 წლისათვის 21 954 დოლარად იყო შეფასებული, სიღატაკის კატასტროფული ზრდა ქვეყანაში მასიურმა უმუშევრობამ განაპირობა.



### არჩევნებმა 14 ადამიანი შეიწირა

**მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნებზე ხმის მიცემის პროცესის დაწყებას თალიბმა ბოევიკებმა ქაბულსა და ჯალალაბადში სარაკეტო დარტყმებით უპასუხეს, ავღანეთში არჩევნები მაინც ჩატარდა.** ტერაქტები განხორციელდა ღაზის, ბადხშანის, გერატის პროვინციებში და მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები უსაფრთხოების გამკაცრებული ზომებით იმართებოდა, ხელისუფლებამ დამატებით 100 საკონტროლო-გამშვები პუნქტი გახსნა, საარჩევნო უბნებზე წესრიგის დასაცავად ძალოვანი სტრუქტურების 280 ათასი თანამშრომელი გაამწესა და მათ დასახმარებლად ნატოს სარდლობაც მობილიზებული იყო, ამ დღემ 14 ადამიანის სიცოცხლე მაინც იმსხვერპლა. თალიბანი ზარზეიმით იუწყებოდა 150-მდე თავდახმის შესახებ.



### ნატოს ნდობის გაღრმავება სურს

**ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდრეს ფოგ რასმუსენმა ნატოსა და მოსკოვს შორის ნდობის გაღრმავების ახალ გზას მიაგნო და რუსეთს ევროპის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ერთიან სისტემაში მონაწილეობა შესთავაზა.** თანამშრომლობის შესაძლო ვარიანტების განსახილველად რუსეთი ნოემბრისთვის დაგეგმილ ლისაბონის სამიტზე მიიწვიეს. შეგახსენებთ, რომ ერთიანი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ზოგიერთი ელემენტი უკვე მოქმედია და აშშ-ის, გრენლანდიისა და დიდი ბრიტანეთის საჰაერო სივრცეს ფარავს. მისი არეალის გაფართოების ინიციატივა ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას ეკუთვნოდა და სისტემების ევროპის რამდენიმე რაიონში განთავსებას გულისხმობდა. რუსეთი ამ გეგმის კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გაფრაზებულნი



**მიხეილ სააკაშვილი,**
**საქართველოს პრეზიდენტი:**

ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ საქართველოში რევოლუცია როგორც კაცმა, ასევე ქალმა რეფორმატორებმა მოახდინეს. შედეგად ქალებს მეტი საშუალება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ გენდერულ თანასწორობას მივაღწიოთ. ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი ქალი იყოს პარლამენტში, ასევე, უფრო მეტი ქალი გვყავს მთავრობაში.

*„ინტერპრესნიუსი“*



**ედუარდ შევარდნაძე,**
**ექსპრეზიდენტი:**

თუ ინგლისური ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას შეეცდება, სააკაშვილს 26 მაისი და ასი ათასი კაცი მოენატრება!

*„ასავალ-დასავალი“*



**პაატა ჯიბლაძე,**
**ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელი მდივანი:**

სააკაშვილის მიზანია, საქართველოში დარჩეს 600-800 ათასი ადამიანი, რომლებიც მის „ნაცმო“-სა და უცხოელ ტურისტებს მოემსახურებიან — მიმტანებად, მძღოლებად და მაპატიეთ, — მეძავეებად!

*„ასავალ-დასავალი“*



**ირაკლი მელაშვილი,**
**„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

მარტივი სტატისტიკაა, რომ საქართველოში 20 წლის წინათ ცხოვრობდა 5 მილიონ 400 ათასი კაცი და იყო 3 მილიონ 400 ათასი ამომრჩეველი. დღეს ცხოვრობს ოფიციალური სტატისტიკით 4 მილიონ 400 ათასი კაცი და ამომრჩეველი არის 3 მილიონ 500 ათასი კაცი.

*„ალია“*



**დავით ზურაბიშვილი,**
**„რესპუბლიკური პარტიის“ წევრი:**

პოლიტიკოსებსაც შეუძლიათ თავისი ხედვა ჰქონდეთ, მაგრამ „ისტორიული სიმართლე“ დაადგინოს სახელმწიფომ, ეს არის სიგიჟე!“

*„ალია“*



**გენო კალანდია,**
**აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი:**

აუჰ, სასწაული რაღაცა გავიგე, კაცო, რამ გაამართვინათ რუხის ციხეში 500-კაციანი ღრეობა? სააკაშვილიც იქ ყოფილა, 100 ჯიპი იდგაო. მიდიხარ საქეიფოდ და რუხის ციხეში? თან საზღვარია, ბიჭო, ნუთუ გონიერი ადამიანი აღარ დარჩა ამ ქვეყანაში?

*„ალია“*



**შალვა ნათელაშვილი,**
**ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:**

იმისათვის, რომ სააკაშვილმა სკამი გადაირჩინოს, ამერიკელებმა მიილეს ჩვენი ჯარისკაცები ავღანეთში, იქ იხოცებიან, იჭრებიან და რაღაცებს კიდევ მალავენ. ვიღაც ჯავახიშვილია, იმან თვალი დაკარგა. პრაქტიკულად, ჩვენ ვართ ხელის ბიჭები... აღარ მინდა ვთქვა, ჩვენ ვართ ვაგზლის „შლიუხები“.

*„ქრონიკა“*



**მანანა ნიკოლაიშვილი,**
**„განათლების ლიგის“ პრეზიდენტი:**

ხალხო, თქვენი შვილები საფრთხეში არიან. „არა“ უთხარით მანდატურებს, დაიცავით თქვენი შვილების ფსიქიკა და სიცოცხლე. „არა“ უთხარით ამ მახინჯ, სატანურ რეფორმებს! ეს ბავშვები თქვენი შვილები არიან, სააკაშვილის და ნაციონალების საკუთრებად ნუ გადააქცევთ თქვენს პატარებს...

*„ასავალ-დასავალი“*

# დიდი საჭადრაკო დაფა ამოყირავდა

**გასულ კვირას ხელისუფლებაც და ოპოზიციაც უცნაური სიმშვიდით გამოირჩეოდნენ, ისე, თითქოს რესპუბლიკაში მორჩენილი ტაზეპამის მარაგი ძმურად გაიყვეს. მიხეილ სააკაშვილი, ძირითადად, საზღვარგარეთ იმყოფებოდა და იქ დიდად არ უხმაურია, „ეროვნული ფორუმი“ ხელმოწერებს ისეთივე მონდომებით აგროვებდა, როგორსაც ამას შევარდნაძის დროს მოძრაობა „მძლეველი“ აკეთებდა, მისი ლიდერები კი სამომავლო გეგმებზე დუმდნენ, როგორც გესტაპოს მიერ შეპყრობილი „ახალგაზრდა გვარდიელები“ ამავე სახელწოდების წიგნიდან და შესაბამისი ფილმიდან. ვერაფერს ვიზამთ, ტაქტიკა აქვთ ასეთი; გაისუსნენ სხვა ოპოზიციური პარტიებიც. ეს პაუზა მშვენიერი საბაბია იმისთვის, რომ მიმდინარე პროცესებს უფრო კარგად შევხედოთ, გეოპოლიტიკურ პერსპექტივაში, რომელიც ჩვენი შიდაპოლიტიკური პალატის დაბამბულ კედლებს სცდება.**



**თეორიულად აშშ-ის აქტივში შეიძლება ჩაიწეროს სააკაშვილის ხელისუფლების შენარჩუნება, თუმცა ამ უკანასკნელს განვლილ პერიოდში საგარეო ვალის გაზრდისა და ადამიანთა უფლებების დარღვევის გარდა ღირსშესანიშნავი არაფერი გაუკეთებია, ხოლო სააკაშვილის შენარჩუნება თეთრი სახლისთვის, ცნობილი გამონათქვამის არ იყოს, დაემსგავსა «ჩემოდანს სახელურის გარეშე» — სათრევადაც მძიმეა და გადასაგდებადაც ჯერჯერობით ენანებათ.**

### რაღაც აშკარად ხდება

**ბოლო დროს ბუნდოვანი გამოთქმა „რაღაც ხდება“ კერძო საუბრებში სულ უფრო ხშირად ფიგურირებს. მას იყენებენ არა მხოლოდ უბრალო ადამიანები, რომელთაც ცვალებადი გარემოს აღწერა უჭირთ, არამედ მეტად გამოცდილი პოლიტიკოსები და მეტ-ნაკლებად ჭარმაგი ექსპერტები (რა თქმა უნდა, კერძო საუბრებში, თორემ ტელეეკრანიდან ისე თავდაჯერებულად საუბრობენ, თითქოს ხუთი წლის ასაკში ფერმას თეორემა დამტკიცებული ჰქონდეთ, ხოლო პუანკარეს განტოლება — საერთოდ მიწასთან გასწორებული).**

ზოგი მათგანი მაღალფარდოვნად ამატებს კიდეც: „აშკარად ხდება რაღაც“. ეს ბუნებრივია, რადგან ახალი რეალობა ძველი სააზროვნო სქემების ჩარჩოებში ვერ ეტევა. დრო იცვლება, ძველი რომაელების თქმისა არ იყოს, ჩვენც მასთან ერთად ვიცვლებით. მართალია, მიხეილ სააკაშვილზე ეს წესი ერთი შეხედვით არ ვრცელდება, მაგრამ, ცხადია, დროის მდინარე მასაც წაიღებს, მიუხედავად იმისა, დინების წინააღმდეგ იცურებს ის, თუ ხავსს ჩაეჭიდება.

**რას მოასწავებს ახალი რეალობა, რომელშიც, როგორც ჩანს, რაღაც ნამდვილად „ხდება“ სამხრეთ კავკასიისთვის, სადაც რუსეთის გავლენა აგვისტოს ომიდან გასულ ორ წელიწადში მნიშვნელოვნად გაიზარდა? კრემლმა ოთხი ათწლეულით გაიფორმა სამხედრო ბაზები სომხეთსა და საქართველოს სეპარატისტულ რესპუბლიკებში და, ფაქტობრივად, კონტროლზე აიყვანა საქართველოს საჰაერო სივრცე, რადგან აფხაზეთში განლაგებული საზენიტო-სარაკეტო სისტემები დასავლეთ საქართველოს მთელ საჰაერო სივრცეს „კეტავს“. კრემლმა ხარისხობრივად გააუმჯობესა ურთიერთობები თურქეთთან და მიაღწია უმნიშვნელოვანეს შეთანხმებას აზერბაიჯანთან, რომელიც წლიდან წლამდე ამ ქვეყანაში მოპოვებული გაზის სულ უფრო დიდი მოცულობების შესყიდვის შესაძლებლობას აძლევს, რაც დასავლეთზე ორიენტირებული პროექტების (მაგ. „ნაბუკო“) ტორპედირების შესაძლებლობას ქმნის.** აშშ ასეთი მიღწევებით ვერ დაიკვეხნის, მისი გავლენა აზერბაიჯანსა და სომხეთზე შესუსტდა, საქართველოს ნატოში გაწევრების საკითხი დაიბლოკა, სამხედრო ბაზების დაფუძნებაზე ლაპარაკი ხომ საერთოდ ზედმეტია. თეორიულად აშშ-ის აქტივში შეიძლება ჩაიწეროს სააკაშვილის ხელისუფლების შენარჩუნება, თუმცა ამ უკანასკნელს განვლილ პერიოდში საგარეო ვალის გაზრდისა და ადამიანთა უფლებების დარღვევის გარდა ღირსშესანიშნავი არაფერი გაუკეთებია, ხოლო სააკაშვილის შენარჩუნება თეთრი სახლისთვის, ცნობილი გამონათქვამის არ იყოს, დაემსგავსა „ჩემოდანს სახელურის გარეშე“ — სათრევადაც მძიმეა და გადასაგდებადაც ჯერჯერობით ენანებათ. შესაძლოა, იმ შემთხვევაში, თუ აშშ სამხრეთ კავკასიაზე კონცენტრაციას მოახდენდა, ის შეძლებდა რუსე- ▶

## მოკლედ



### პრეზიდენტი სიტყვით გამოვიდა

**საქართველოს პრეზიდენტი გაეროს შტაბბინაში სიტყვით გამოვიდა და იქ შეკრებილ საზოგადოებას კიდევ ერთხელ ასწავლა, როგორ უნდა იქნეს მიღწეული „სწრაფი ეკონომიკური განვითარება, სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფა და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა“.** შემდეგ კი დაასკვნა, რომ „ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეინარჩუნებს სტაბილურობას, თუ არ იზრუნებს სიღარიბის დონის შემცირებაზე, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სისტემების დახვეწაზე“. საქართველომ ამ ყველაფერზე, ცხადია, უკვე იზრუნა და, რა თქმა უნდა, წარმატებითაც, მაგრამ, სააკაშვილის მტკიცებით, ეს მხოლოდ დასაწყისია. „იყო შესაძლებლობა, რომ საქართველო ბიუროკრატიული ქვეყანა გამხდარიყო, ამის ნაცვლად ჩვენმა ქვეყანამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ახლა ის ათასწლეულის გამოწვევების მოგვარების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს“, — განაცხადა სააკაშვილმა.



### კარი ისევ ღიაა

**პრეზიდენტ სააკაშვილს ამერიკაში 90-ზე მეტი ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრა აქვს დაგეგმილი და ცხადია, ვისაც ხვდება, ყველას უკლებლივ ეპატიჟება საქართველოში მის მიერ ჩადენილი საოცრებების საკუთარი თვალით სანახავად.**

როგორც მისმა პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა, ამგვარ შეთავაზებაზე უკვე განაცხადა თანხმობა ხორვატიის პრეზიდენტმა ივო იოსოპოვიჩმა. ბოლო დროს ჩვენი პრეზიდენტი ორდღიანი ვიზიტებით გამგზავრების შემდეგ ორი კვირით კი იკარგება ხოლმე უგზო-უკვლოდ, მაგრამ იმედია, ამჯერად სტუმარს ჩამოასწრებს. ვიზიტის ფარგლებში სააკაშვილი უკვე შეხვდა ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზოსა და ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებში, კეტრინ ეშტონს. რაც შეეხება ნატოს გენერალურ მდივანს, ანდერს ფოგ რასმუსენს, მან ალიანსის „ფილოსოფიის ნაწილის“ შესაბამისად კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა, რომ „კარი ღიაა“.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀თის წინსვლის შეჩერება, თუმცა ამის გაკეთების სურვილი ვაშინგტონში ნამდვილად არ შეინიშნება, თეთრ სახლს აშკარად სხვა პრიორიტეტები აქვს. არსებული ტენდენცია მომავალ ათწლეულში რეგიონის რუსეთისადმი დაქვემდებარებას მოასწავებს და ამას დასავლეთში მშვენივრად აცნობიერებენ; კაცმა რომ თქვას, ეს აღმოსავლეთშიც ესმით.

**„ვფიქრობ, ამიერკავკასიისთვის სასარგებლო იქნება მორიგება ზესახელმწიფოებს შორის, თუ ისინი მტრული ზრახვების არარსებობის პირობებში ერთმანეთის ინტერესებს აღიარებენ. გარე ძალებმა უნდა მოილაპარაკონ, რომ რეგიონს იარაღს არ მიაწვდიან და ნებისმიერ ნაბიჯს კონფლიქტის მიმართულებით ერთობლივად აღკვეთენ, თუმცა ამას აზრი მხოლოდ მაშინ ექნება, როდესაც რეგიონი ნებისმიერი უსაფრთხოების ალიანსის მიღმა აღმოჩნდება და მისი „გარდამავალი“ სტატუსი მას კონფლიქტის ზონიდან ნეიტრალიტეტის ზონად გადააქცევს“,** — მსგავს აზრებს XXI საუკუნის პირველ ხუთწლედში მხოლოდ ზოგიერთი რუსი ან მაქსიმუმ გერმანელი პოლიტოლოგისგან თუ მოვისმენდით; ამჟამად კი ასეთი პოზიციებიდან ანგლო-ამერიკელებიც გამოდიან. „Foreign Policy“-ში გამოქვეყნებული წერილის ავტორი, თომას დე ვაალი ფრიად სერიოზული ორგანიზაციის — „კარნეგი ფონდის“ ექსპერტია, ადრე ის „Institute for War & Peace Reporting“-ის დირექტორი იყო. თუ მხოლოდ თანამდებობების სახელწოდებებს შევხედავთ, ალბათ, მოგვეჩვენება, რომ დე ვაალი „ჩამოალაბორანტეს“, თუმცა, თუ მხედველობაში დასავლური სააზროვნო ცენტრების არაფორმალურ იერარქიას მივიღებთ, ეს რეალური დაწინაურებაა. ერთი ნაბიჯი (უმრავლესობისთვის ის ერთადერთ ნაბიჯად რჩება) იმ პირამიდის მწვერვალისკენ, რომელსაც საერთაშორისო პოლიტიკის არქიტექტორები იკავებენ. დე ვაალის წერილი ერთგვარი პასუხია იმ გაურკვევლობაზე, რომელიც დასავლეთში სამხრეთ კავკასიასთან დაკავშირებით სუფევს და, ამავე დროს იმ მიდგომების პირველადი ფორმულირება, რომელიც გარკვეულ გავლენიან წრეებში ამ საკითხთან დაკავშირებით (სავარაუდოდ) არსებობს. ალბათ, შეცდომა იქნება, ვიფიქროთ, რომ ეს ცუდ ხასიათზე გაღვიძებული ადამიანის პირადი იმპროვიზაციაა.

## ო, ეს თვალთმაქცი ჯენტლმენები

**„Foreign Policy“-ში გამოქვეყნებული წერილის სათაური „შეწყვიტეთ დიდი თამაში“ თავისთავად პარადოქსულია, რადგან უმრავლესობას ამ დროს დიდი მწერლისა და ბუმბერაზი იმპერიალისტის რედიარდ კიპლინგის ფრაზა ახსენდება: „როდესაც ყველა მოკვდება, მხოლოდ მაშინ დასრულდება დიდი თამაში“. ამ აზარტული სახელით შევა ისტორიაში (და აწმყოში) რუსეთისა და ბრიტანეთის (შემდგომ მას აშშ ჩაენაცვლა, თუმცა ბრიტანელები ამ თამაშიდან არ გასულან და ვაშინგტონის უმცროსი პარტნიორების როლს ასრულებენ) გეოპოლიტიკური ჭიდილი აზიაში, რომელშიც რუსეთის მოქმედების ვექტორი მიმართული იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, თბილი ზღვებისკენ, ხოლო ანგლო-ამერიკული — პირიქით, რესურსებით მდიდარი სამხრეთ კავკასიისკენ და ცენტრალური აზიისკენ.**



**«ვფიქრობ, ამიერკავკასიისთვის სასარგებლო იქნება მორიგება ზესახელმწიფოებს შორის, თუ ისინი მტრული ზრახვების არარსებობის პირობებში ერთმანეთის ინტერესებს აღიარებენ. გარე ძალებმა უნდა მოილაპარაკონ, რომ რეგიონს იარაღს არ მიაწვდიან და ნებისმიერ ნაბიჯს კონფლიქტის მიმართულებით ერთობლივად აღკვეთენ, თუმცა ამას აზრი მხოლოდ მაშინ ექნება, როდესაც რეგიონი ნებისმიერი უსაფრთხოების ალიანსის მიღმა აღმოჩნდება და მისი „გარდამავალი“ სტატუსი მას კონფლიქტის ზონიდან ნეიტრალიტეტის ზონად გადააქცევს»**

თუმცა მარადიული „დიდი თამაში“ შეიძლება დროებით შეჩერდეს და ამის პრეცენდენტი არსებობს. I მსოფლიო ომის წინ, 1907-ში, რუსეთმა და დიდმა ბრიტანეთმა ხელი მოაწერეს კონვენციას, რომელმაც მკაფიოდ გამიჯნა გავლენის სფეროები აზიაში (ავღანეთი, პამირი), ხოლო სპარსეთი, ფაქტობრივად, ორივე იმპერიის ერთობლივ სამფლობელოდ, კონდომინიუმად აქცია. შეთანხმების ინიციატორი ლონდონი იყო და ამას ორი წინაპირობა განსაზღვრავდა: ა) ახლოვდებოდა შეტაკება გერმანიასთან, რომელშიც ლონდონი და პეტერბურგი მოკავშირეები უნდა ყოფილიყვნენ. ამასთანავე, გერმანიას აზიის შუაგულში შეღწევის კონკრეტული გეგმები ჰქონდა (მაგ. რკინიგზის გაყვანა ბაღდადამდე, ავღანურ საქმეებში ჩარევის მცდელობა) და აზიის ორი მთავარი მოთამაშე „ორი მინუს ერთის“ პრინციპით გაერთიანდა; ბ) რუსეთის პოზიციები რეგიონში, კერძოდ სპარსეთში სწრაფად ძლიერდებოდა. იმ ვითარებაში დროებითი დაზავება ლონდონისთვის საუკეთესო გამოსავალი იყო. თომას დე ვაალი ბრიტანელია და ამ გარიგების ფასი და მნიშვნელობა, სავარაუდოდ, ძალიან კარგად ესმის.

**რით ჰგავს საუკუნისწინანდელი ვითარება დღევანდელს? გარკვეული თვალთახედვით, ის იდენტურია. არსებობს მესამე ძალა — ჩინეთი, ამავე დროს რუსეთი სამხრეთით (კერძოდ, ამიერკავკასიაში) წინ მიიწევს და არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ დასავლეთი მის შეჩერებას შეძლებს (ან მონდომებულია ეს გააკეთოს). ძველი ბრიტანული გამონათქვამი, „როდესაც თამაშის წესები ჯენტლმენებს მოგების შესაძლებლობას არ აძლევს, ისინი მათ ცვლიან“, შეგვიძლია შემდეგი გაგრძელება დავამატოთ: „როდესაც ჯენტლმენებს არ აძლევენ შესაძლებლობას, თამაშის წესები შეცვალონ (ხოლო შულერობისთვის კანდელაბრებს ურტყამენ), ისინი ვაჭრობას იწყებენ“.** ვაჭრობა, ცხადია, იდილიური სურათის წარმოჩენით იწყება: ნეიტრალური, დემილიტარიზებული კავკასია, მასზე მზრუნავი მშვიდობისმყოფელი ზესახელმწიფოები, მოკლედ სრული თანხმობა და ურთიერთგაგება, 1907-ში რომ იტყოდნენ, „LEntente cordiale“, „გულითადი თანხმობა“, რომელსაც, უბრალოდ, „ანტანტის“ სახელით ვიცნობთ.

თუ ამას რეალური პოლიტიკის ენაზე გადავთარგმნით, ეს ანგლო-ამერიკელების და რუსების მიერ სამხრეთ კავკასიაზე კონდომინიუმის (ხოლო ცენტრალურ აზიაში გავლენის სფეროების გამიჯვნის) შეთავაზებაა, პრინციპით „ორი მინუს ერთი, ანუ ჩინეთი“. **თუმცა დღეს კიპლინგის დრო არ არის და მსგავსი ცინიკური შემოთავაზებები ღია ტექსტით არ კეთდება, სავარაუდოდ, ამიტომ თომას დე ვაალი მოუწოდებს, „დიდი თამაშის შეწყვეტისაკენ“ (რომლის შესაძლო ქვეტექსტზე უკვე ვისაუბრეთ) და ამასთანავე წერს, რომ „ყველაზე დიდი ილუზია ამ რეგიონის „დიდ საჭადრაკო დაფად“ წარმოდგენაა, რომელზეც დიდი სახელმწიფოები პატარებს, როგორც პაიკებს, ისე ამოძრავებენ, საკუთარი ინსტრუმენტების შესაბამისად. სინამდვილეში კი გეოპოლიტიკური კლიმატი როგორც არ უნდა იცვლებოდეს, ადგილობრივი პოლიტიკოსები ყოველთვის ახერხებენ საგარეო ძალით მანიპულირებას, ყოველ შემთხვევაში ისეთივე დოზით, როგორითაც დიდები მათით მანიპულირებენ“.** თუ ჩვენ ავიღებთ XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ინდოეთის ვიცემეფეების, სხვა ინგლისელი მაღალჩინოსნების დღიურებსა და წერილებს ლონდონში, სწორედ ასეთ (ერთი ერთზე) შეფასებებს შევხვდებით; ცბიერი „ტუზემცები“, თურმე დიადი იმპერიებით მანიპულირებენ, ამიტომ აუცილებელია მათი ერთობლივი გაკოჭვა, „გულითადი თანხმობის“ სულისკვეთებიდან გამომდინარე (რა მნიშვნელობა აქვს, იქნება ეს ავღანელი აბდურ რახმან ხანი (XIX საუკუნე), ნიჭიერი მმართველი, თუ მიხეილ სააკაშვილი, რომლის შესახებ ისედაც ყველაფერი ვიცით). ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მცირე რეგიონული სახელმწიფოები აბსოლუტურად უსუსურები არიან, თუმცა მათი შესაძლებლობების გაზვიადება, ალბათ, არ ღირს. შემდეგ დე ვაალი კიდევ „ორ ილუზიაზე“ მიუთითებს, რომლებიც, მისი თქმით, არსებული ვითარების რეალისტურ აღქმას ხელს უშლის.

## დიდი სავაჭრო დახლი

**ერთი ილუზია, თომას დე ვაალის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთი (მისი განსაზღვრებით „რეგიონის ყველაზე ძლიერი მოთამაშე“) სამხრეთ კავკასიაში თითქოსდა ყოვლისშემძლეა; ხოლო მეორე — იმაში, რომ სამხრეთ-კავკასიის რეგიონს დასავლეთისთვის თითქოსდა დიდი მნიშვნელობა აქვს. ორივე ეს არგუმენტი (მათში არის სავსებით მკაფიო ქვეტექსტი:**

ა) მოსკოვს: დასავლეთი ამ არეულ რეგიონში იმდენს კი მოახერხებს, რომ ადგილობრივების მეშვეობით სისხლი გაგიშროთ;

ბ) ვაშინგტონს: ამ საბადოებისა და პლაცდარმების ფიზიკურ დაცვას მაინც ვერ შეძლებთ) ასევე წარმოადგენს მოწოდებას „დაზავებისკენ“. ამ შემთხვევაში მთავარი არა კონკრეტიკა, არამედ ზოგადი სულისკვეთება და პრობლემისადმი მიდგომის პრინციპებია. თუ რუსეთი ამ პრინციპებს გაიზიარებს, დასავლეთისთვის არსებითი მნიშვნელობა არ ექნება იმას, თუ სად გაივლის გავლენის სფეროების გამყოფი ხაზი — კავკასიონზე, ირან-აზერბაიჯანის საზღვარზე თუ იმის იქით, (ეს თანმდევი ვაჭრობის თემაა), რადგან მთავარი ფსონი („ყველას მინუს ჩინეთი“) განუზომლად დიდია.

ამასთანავე, წერილის ბოლოს დე ვაალი დასავლელ პოლიტიკოსებს აიმედებს და ურჩევს, საკუთარ თავს კითხვა დაუსვან: „შეუწყობს თუ არა ხელს ჩემი ქმედებები საზღვრების გახსნას და იზოლირებული რეგიონის გათავისუფლებას?“. ისე, საზღვრებისა და ბაზრების გახსნა დასავლეთის პოლიტიკურ ლექსიკონში ექსპანსიის სინონიმია, ამისთვის კარგი ილუსტრაცია აშშ-ის მიერ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის უდიდესი ნაწილის დამორჩილების ისტორიაა. ამ მოწოდებას მოქმედების სტრატეგიის შეცვლისკენ, სავარაუდოდ, ორი მხარე აქვს: ის იძლევა მომავალში წარმატების მიღწევის იმედს ანგლო-ამერიკელების მიერ არაერთგზის წარმატებით გამოყენებული მეთოდების მეშვეობით, ამავე დროს შეიცავს მოწოდებას დღევანდელი (გარკვეული თვალსაზრისით, წაგებული) თამაშის დასრულებისკენ, რუსეთთან „LEntente cordiale“-ს მიღწევის გზით.

**წერილში, რომლის განხილვას ამდენი დრო დავუთმეთ, უამრავი სხვა საინტერესო წიაღსვლაა, თუმცა ჩვენ ის, უპირველეს ყოვლისა, გვაინტერესებდა, როგორც დასავლეთში შექმნილი განწყობის ერთ-ერთი ინდიკატორი, გარკვეული გავლენიანი წრეების მიდგომის ილუსტრაცია, თორემ განხილული პრინციპების პრაქტიკული რეალიზაცია, განსახილველად საინტერესოა, თუმცა დიდი პოლიტიკის გადასახედიდან მხოლოდ ტექნიკურ საკითხს წარმოადგენს.**

მიუხედავად იმისა, დათანხმდება თუ არა რუსეთი 1907 წლის კონვენციის მსგავს გარიგებას თუ სამხრეთ კავკასიაში ფორსირებულ წინსვლას განაგრძობს, სააკაშვილის ხელისუფლების პერსპექტივები ნებისმიერ შემთხვევაში ფრიად საეჭვო ჩანს.

**დიმიტრი მონიავა**

## გამოხმაურებანი



**ლალი აფციაური,**
**ადვოკატი:**

ევროსაბჭოს წესდებაში წერია: ქვეყანა, რომელიც მასობრივად არღვევს ადამიანის უფლებებს, უნდა გაირიცხოს ევროსაბჭოდან! იძულებული გავხდები, შევაგროვო ხელმოწერები და ჩემი ქვეყნის გარიცხვა მოვითხოვო ევროსაბჭოდან.

„მოვუწოდებ პატიმართა დედებს, მამებს, დებს, ძებს, ცოლებს: ოჯახის წევრს გიკლავენ, გამოდით და დაიცავით!“

*„ასავალ-დასავალი“*



**სოზარ სუბარი,**
**ყოფილი სახალხო დამცველი:**

თუ საერთაშორისო დოკუმენტებში გიწერია, რომ ყველა ადამიანს აქვს არჩევნებში მონაწილეობის და არჩევნებით ხელისუფლების შეცვლის უფლება და ხედავ, რომ არჩევნები გადაიქცა ფარსად, არ გაქვს შანსი, ოდესმე არჩევნები მოიგო და ხალხი ფეხებზე ჰკიდიათ, მაშინ უნდა აჯანყდე! თუ ვინმეს აქვს ამის თავი, აჯანყდეს და გაუძღვეს ერს!

*„ასავალ-დასავალი“*



**ლადო პაპავა,**
**მეცნიერ-ეკონომისტი:**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს, როდესაც ხანძრების ფონზე ხორბალზე უნდა დაეწყო ფიქრი, ამ დროს ჩვენ ვიცით, რომ ძირითადი განცხადებები ბაყაყებსა და ნიანგებზე კეთდებოდა და თურმე წიწაკის ექსპორტმა უნდა გადაარჩინოს საქართველო.

*„ალია“*



**ჯანსუღ ჩარკვიანი,**
**პოეტი:**

მაგალითად, მე ვეუბნები ხელისუფლების რომელიმე მაღალი თანამდებობის პირს, — მაიმუნი ხარ-მეთქი. თუ იმან იცის ინგლისური, ვერ მიჩივლებს, რადგან ინგლისურად „მაიმუნ“ არის „ჩემი მთვარე“. ჩემო მთვარეო, თუ ვეტყვი, პირიქით, გაუხარდება.

*„ქრონიკა“*



**თენგიზ სიგუა,**
**საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი:**

ახლა ოპოზიცია იმდენად დასუსტებულია, რომ სააკაშვილს არ ეშინია, მაგრამ ძალიან ეშინია ცარიელი ბიუჯეტისა, რამაც შეიძლება ხალხი გამოიყვაროს ქუჩაში.

*„ქრონიკა“*



**თიკა კანდელაკი,**
**ტელეჟურნალისტი:**

საქართველოში ჩამოსვლის სურვილი გამიჩნდა. მინდა, სააკაშვილს თვალებში ჩავხედო. მაინტერესებს, ინამუსებს თუ არა, რომ თვითონაც ჩამხედოს თვალებში და თავისი ნაბოდვარი კიდევ ერთხელ, ჩემ წინაშე გაიმეოროს? მაგრამ სააკაშვილი ამას როგორ გამიბედავს...

*„ყველა სიახლე“*



**გუბაზ სანიკიძე,**
**„ეროვნული ფორუმის“ ლიდერი:**

ამირანი არ ვარ, რომ ბაყბაყდევს თავი მოვჭრა. გმირობას არავის ვთხოვ, ერთადერთს ვითხოვ, — როცა ვიტყვით, იმ დროს გამოვიდეთ. წინასწარ დროს არ გამოვაცხადებ. არა ვარ იმ ჭკუაზე, მერაბიშვილს პრესაში გამოვუქვეყნო სამოქმედო გეგმა.

*„ყველა სიახლე“*



**ვალერი გელბახიანი,**
**პოლიტიკური დევნილი:**

დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები: სააკაშვილი ემზადება არა პრემიერ-მინისტრობისათვის, არამედ კიდევ ერთხელ — მესამე ვადით პრეზიდენტობისათვის და თუ ქართველი ხალხი უფლებას მისცემს, ამას გააკეთებს კიდეც.

*„ასავალ-დასავალი“*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net





**სერგეი ლავროვი,**
**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი:**

საქართველო რუსეთს რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კონვენციის დარღვევებში 1990-იანი წლებიდან ადანაშაულებს და აქამდე თბილისს ამგვარი სარჩელით არც ერთი სასამართლოსთვის არ მიუმართავს. საქართველო, ასევე, არ გამოსულა ბრალდებით 8 აგვისტოს ღამეს. ამ ქვეყანამ სასამართლოს მხოლოდ მას შემდეგ მიმართა, რაც ბატონი სააკაშვილის ავანტურა ჩავარდა. დასკვნები თავად გააკეთეთ.



**სერგეი ბაგაფში,**
**აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი:**

2008 წლის აგვისტოს მოვლენების გამეორების გამორიცხვა არ შეიძლება. ამას იმაზე დაკვირვების შედეგად ვამბობ, თუ როგორ განაგრძობენ დასავლეთის ქვეყნები საქართველოს შეიარაღებას.

*newsru.com*



**ედუარდ კოკოითი,**
**სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი:**

დღეს უარს აცხადებს რა, ხელი მოაწეროს მემორანდუმს ძალის გამოუყენებლობის თაობაზე, საქართველოს ხელისუფლება სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და რუსეთის მშვიდობიან ინიციატივებს უარყოფს.

*newsru.com*



**ანატოლი სერდიუკოვი,**
**რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრი:**

გარწმუნებთ, რომ 2008 წელს სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ განხორციელებული მსგავსი აგრესიის საქართველოს მხრიდან გამეორების შემთხვევაში არა ხუთი დღე, არამედ გაცილებით ნაკლები დრო დაგვჭირდება.

*newsru.com*



**სილვიო ბერლუსკონი,**
**იტალიის პრემიერ-მინისტრი:**

მრავალწლიანი ტოტალიტარიზმის შემდეგ რუსეთის ფედერაცია ძალიან ბევრს აკეთებს იმისათვის, რომ დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე წინ წაიწიოს და დიდი ნაბიჯებით მიდის. პირადად გავიცანი ჯერ პრეზიდენტი პუტინი, შემდეგ კი პრეზიდენტი მედვედევი, დავამყარე მათთან პირდაპირი მეგობრული ურთიერთობები და შემიძლია დაგარწმუნოთ მათ ნამდვილ, გულწრფელ სურვილში, ააშენონ დემოკრატიული რუსეთი. რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობებს, ის ვერ იქნება იმაზე უკეთესი, ვიდრე ახლაა.

*putin.ru*

# თურქიზაციის საფრთხე და გრანდიოზული ქართული მითი

**ჩვენი სახელოვანი მომღერლის, პაატა ბურჭულაძის რეპერტუარში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პარტიაა ნაბუკო. მაგრამ დღეს, როდესაც ნაბუკოს ახსენებენ, ოპერას ან ბიბლიურ გმირ ნაბუქოდონოსორს კი არ წარმოვიდგენთ, არამედ გაზსადენს, რომელიც შენდება თუ არ შენდება, ვერავის გაუგია და რომელსაც საქართველოზე უნდა გაევლო. წინა კვირაში რიხით გვაცნობეს, რომ ბაქოში სამმა პრეზიდენტმა — სააკაშვილმა, ალიევმა და რუმინეთის პირველმა პირმა ხელი მოაწერეს პროექტს, რომლის მიხედვითაც აზერბაიჯანის გაზი საქართველოს გავლით ფოთში ჩავიდოდა, იქ საცავი აშენდებოდა და შემდეგ ტანკერებით რუმინეთში გადაიტანდნენ „მთელი ევროპისათვის“. ეს ცოტა რთულად განსახორციელებელი პროექტი მეორე დღეს ქართული ტელეეთერიდან გაქრა. არადა, ასეთ საპიარო პროექტს ჩვეულებრივ მთელი კვირა ატრიალებენ ხოლმე.**



**ნაბუკოს პროექტი 2009 წელს ორჯერ განიხილეს — აპრილში ენერგეტიკულ სამიტზე, სოფიაში (იქ სააკაშვილი რომ არ შეუშვეს, დაბოღმილი ბოდრუმში გავარდა — ყველას გვახსოვს ეს ფოტოები) და მაისში პრაღის სამიტზე, რომელსაც ანგელა მერკელი უძღვებოდა (და ერთი ფოტოც არ გვაქვს იმის სანახავად, ხელი მაინც თუ ჩამოართვა მან დაუპატიჟებლად ჩასულ სააკაშვილს).**

საქმე ისაა, რომ იმავე დღეს ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში უკრაინის პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა და ყაზახეთის პრეზიდენტმა ნაზარბაევმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ყაზახური გაზის უკრაინის გავლით ევროპისათვის მიწოდების შესახებ. ამით ბაქოს ხელშეკრულებას აზრი დაეკარგა. გაუგებარია, იცოდნენ კი ამ სამმა პრეზიდენტმა ასტანის შეხვედრის შესახებ და, თუ იცოდნენ, დროს რატომ კარგავდნენ უაზრო პროექტზე?

ნაბუკოს პროექტს ჯერ კიდევ 2002 წლის თებერვალში ვენაში ჩაეყარა საფუძველი – კასპიური გაზი აზერბაიჯანიდან, თურქმენეთიდან და, შესაძლოა, ირანიდან უნდა მიეწოდებინათ ევროპისათვის. ვინაიდან იმავე საღამოს ხუთი ქვეყნის პირველი პირი (თურქეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი და ავსტრია) ვენის სახელმწიფო ოპერის თეატრში ჯუზეპე ვერდის განთქმულ ოპერას დაესწრნენ, სახელწოდება ნაბუკოც ამიტომ მიეცა. 2008 წლის თებერვალში ამ პროექტს გერმანიაც შეუერთდა.

ნაბუკო — ეს სახელი დღეს, ალბათ, ყველა ქართველმა იცის. მაგრამ მე ამოვიღე ამ პროექტთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი და, ჩემდა გასაოცრად, ვერსად საქართველოს ხსენებას ვერ მივაგენი. იმისათვის, რომ ტენდენციურობა არ დამწამონ, ამიტომ მკითხველს ამ მილსადენთან დაკავშირებულ სრულ ინფორმაციას მივაწოდებ.

წლეულს, 6 სექტემბერს, ბრიუსელში ხელი მოეწერა „სამანდატო წერილს“, რომელსაც ხელს აწერენ EBRD (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი), IFC (ევროპის საინვესტიციო ბანკი) და ნაბუკოს კომპანია. ამ მანდატით სამ ფინანსურ ინსტიტუტს ევალება, მოიძიონ ოთხი მილიარდი ევრო ერზრუმის ბაუმგარტენთან (ავსტრია) მილსადენით დაკავშირებისათვის.

2008 წლის თებერვალში აზერბაიჯანმა ხელი მოაწერა კონტრაქტს, რომ ის გაზის წარმოებას შემდეგ ხუთ წელიწადში ორმაგად გაზრდიდა, რათა იგი ამ მილსადენისათვის მიეწოდებინა. ლაპარაკია შაჰ-დენიზის საბადოზე. თურქეთის პრეზიდენტმა 2009 წლის თებერვალში განაცხადა, რომ ის ამ პროექტში მონაწილეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ მას ამ მილსადენით გატარებული გაზის 15% დარჩება, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია კონსორციუმის წევრთა შორის და პრაქტიკულად ჩაშლის პირას დააყენა პროექტი.

**ნაბუკოს პროექტი 2009 წელს ორჯერ განიხილეს – აპრილში ენერგეტიკულ სამიტზე, სოფიაში (იქ სააკაშვილი რომ არ შეუშვეს, დაბოღმილი ბოდრუმში გავარდა – ყველას გვახსოვს ეს ფოტოები) და მაისში პრაღის სამიტზე, რომელსაც ანგელა მერკელი უძღვებოდა (და ერთი ფოტოც არ გვაქვს იმის სანახავად, ხელი მაინც თუ ჩამოართვა მან დაუპატიჟებლად ჩასულ სააკაშვილს).**

კონსორციუმის ხუთივე ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა მთავრობათაშორის საბოლოო ხელშეკრულებას ხელი 2009 წლის 13 ივლისს მოაწერა. ამ ხელმოწერას ესწრებოდნენ ევროკავშირის პრეზიდენტი მანუელ ბაროზო და ამერიკის კონგრესის წარმომადგენლები. **ჩვენმა ტელევიზიებმა გვიჩვენეს, რომ იქ იმყოფებოდა მიხეილ სააკაშვილიც, მაგრამ სამიტის სტენოგრამაში ის არასად არ არის დაფიქსირებული — ცხადია, კვლავ დაუპატიჟებელი სტუმარი იყო საქართველოსთვის თავის მოსაჭრელად!!!**

3,300 კილომეტრის სიგრძის მილსადენი ერზრუმიდან თურქეთის გავლით შევა ბულგარეთში, იქიდან რუმინეთისა და უნგრე-

▶

## მოკლედ



### ვენეციის კომისიას არ ველოდებით

**მართალია, ვენეციის კომისიის დელეგაციის წევრები საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტზე რეკომენდაციებს ოქტომბრის შუა რიცხვებისთვის დაგვპირდნენ და გვთხოვეს, მანამდე პროექტის განხილვას ნუ იჩქარებთო, მაგრამ, როგორც ამბობენ, საქმე არ იცდის.** საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის გადადებას არავინ აპირებს. პირველი მოსმენა მიმდინარე კვირისთვისაა დაგეგმილი. პარლამენტის ბიუროს სხდომის თავმჯდომარე, ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი ამაყად აღნიშნავს: „ცნობილია ვენეციის კომისიის რეკომენდაციებიც და ჩვენი გადაწყვეტილებებიც“. მართალიცაა, რეკომენდაციებს რომ დაველოდოთ, მერე ხომ შეიძლება მათი გათვალისწინებაც მოგვთხოვონ?!




### შეჩერება და ზედაპირული შემოწმება

**ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მიიჩნევს, რომ პოლიციის შესახებ კანონში ტერმინის „შეჩერება და ზედაპირული შემოწმება“ შეტანა სამართალდამცველი ორგანოების მხრიდან თვითნებობისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საფრთხეს მნიშვნელოვნად გაზრდის.** ცვილებების შემდეგ პოლიციის თანამშრომელს ნება მიეცემა, შეაჩეროს პირი იმისათვის, რომ დადასტურდეს ან გაქარწყლდეს ეჭვი ამ პირის დანაშაულში მონაწილეობის შესახებ. შეჩერებული პირი, მიუხედავად იმისა, რომ მიმოსვლის თავისუფლება შეზღუდული აქვს და პოლიციელი მის არაფორმალურ დაკითხვას აწარმოებს, არ სარგებლობს ადექვატური პროცესუალური უფლებებითა და გარანტიებით.



### ანგლოსაქსური ოკუპაცია

**ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებას საქართველოს სკოლების „ანგლოსაქსურ ენობრივ ოკუპაციაში“ ადანაშაულებს.** „საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, რაც ვერ მოახერხა არაბმა, თურქმა, მონღოლმა და სხვა დამპყრობელმა, ამას აპირებს ჩვენი სამშობლოს დაუძინებელი მტერი მიხეილ სააკაშვილი“, — განაცხადა პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ. გუგავას ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ უცხოეთიდან ინგლისური ენის მასწავლებლებად ჩამოყვანილ ადამიანებს საერთოდ არ აქვთ პედაგოგის სერტიფიკატები და სინამდვილეში რელიგიური სექტის წარმომადგენლები არიან. ლეიბორისტული პარტია თითოეულ ქართველს ბრძოლისაკენ მოუწოდებს.




### ამერიკელებს სახლებიდან ყრიან

**მხოლოდ აგვისტოს თვეში ამერიკულმა ბანკებმა და საკრედიტო სააგენტოებმა უძრავი ქონების 95 364 საცხოვრებელი სახლი მიიღეს პირად საკუთრებაში. ამ სახლების მეპატრონეებმა იპოთეკური კრედიტის დაფარვა ვერ შეძლეს.** „RealtyTrac“-ის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი თვით ამერიკისთვისაც კი რეკორდულია. ბოლო წლებში ამერიკა მხოლოდ საკუთარ რეკორდებს ხსნის. ზემოხსენებულის წინა რეკორდი მან 2010 წლის მაისში დაამყარა, როდესაც ფინანსურმა ორგანიზაციებმა მოსახლეობას 93 777 სახლი წაართვეს. აგვისტოს მაჩვენებელი კი 3%-ით აჭარბებს ივლისისას და 25%-ით — შარშანდელი აგვისტოსას. ვალების გამო ბინის დაკარგვის ან მისი აუქციონზე გაყიდვის საფრთხის შესახებ აგვისტოში 338,8 ათასი ამერიკელი გააფრთხილეს.

**ამავე დროს სტამბულში შეიკრიბა თურქულენოვან ხალხთა სამიტი. მას ესწრებოდნენ ხუთი დამოუკიდებელი თურქულენოვანი სახელმწიფოს პირველი პირები (არ ესწრებოდა მხოლოდ უზბეკეთი). შეიქმნა ამ სახელმწიფოთა თანამშრომლობის საბჭო, რომლის გენერალურ მდივნად არჩეულია ჰალილ აკინჯი (ის იყო საქართველოში ეუთოს პირველი მისიის ხელმძღვანელი, ხოლო შემდეგ — თურქეთის ელჩი რუსეთში). ილჰამ ალიევის სიტყვებით, «ჩვენი ძალა ჩვენს ერთობაშია»!**



**მხოლოდ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ კვლავ ალაპარაკდნენ პან-თურქიზმის იდეის აღორძინებაზე და პირველი აზერბაიჯანის პრეზიდენტი გეიდარ ალიევი იყო. მას ეკუთვნის გამოთქმა — ერთი ერი, ორი სახელმწიფო! მაგრამ თურქეთი ევროკავშირში გაწევრებაზე იყო ორიენტირებული და ჩამორჩენილ და ღარიბ საბჭოთა რესპუბლიკებთან გაერთიანების იდეა არ ხიბლავდა.**

◀ თის გავლით მივა ავსტრიის ბაუმგარტენში. მაგრამ ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ისაა, რომ, ამ დოკუმენტების მიხედვით, ერზრუმს ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენი კი არ უერთდება, როგორც ჩვენი პროპაგანდა გვარწმუნებდა, არამედ თავრიზ (ირანის აზერბაიჯანი)-ანკარის გაზსადენი, ასევე, სამხრეთ კავკასიის გაზსადენი, რომელიც თურქმენეთიდან კასპიის ზღვის სამხრეთით გაივლის.

გაზის პოტენციური მიმწოდებლები არიან თურქმენეთი, ყაზახეთი და ერაყის ქურთისტანი. ირანმაც გამოთქვა მზადყოფნა, მაგრამ ამერიკა და ევროკავშირი წინააღმდეგი არიან. ასევე, პროექტს უერთდება ეგვიპტეც არაბული გაზსადენის საშუალებით. ევროპაში კი პოლონეთმა გამოთქვა ახალი მილსადენის აგების სურვილი ბაუმგარტენიდან პოლონეთამდე.

**ყველაზე მოულოდნელი აღმოჩნდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, კუშნერის განცხადება, რომ „რუსეთს სრული უფლება აქვს, შეუერთდეს ნაბუკოს პროექტს“. არადა, რუსეთს თავისი პროექტი აქვს სახელწოდებით „სამხრეთის ნაკადი“, რომელიც, ასევე, თურქეთთანაა დაკავშირებული.**

2009 წლის 6 სექტემბერს რუსეთის პრემიერ-მინისტრი პუტინი თურქეთში ჩადის და იქ თურქეთის პრემიერთან ერთად ხელს აწერს ხელშეკრულებას „სამხრეთის ნაკადის“ მილსადენის შავი ზღვის ფსკერზე თურქეთის ტერიტორიულ წყლებში მშენებლობის შესახებ.

მაგრამ ნაბუკოს პროექტთან დაკავშირებული ეს ყველაფერი ჯერჯერობით მხოლოდ ვირტუალურ სფეროშია: ფინანსები ჯერჯერობით მოძიებული არ არის. გარდა ამისა, რუსეთის გაზპრომი აპირებს შაჰ-დენიზის მთელი გაზის შესყიდვას, ხოლო ერაყის ქურთისტანის გაზის მიწოდების საკითხი გაუგებარია. სამხრეთ კავკასიის მილსადენი, რომელიც კასპიის ზღვის სამხრეთით უნდა აშენდეს, ირანის კეთილ განწყობაზეა დამოკიდებული და ა.შ. და რაც მთავარია, წინა კვირაში ასტანაში ხელმოწერილი ხელშეკრულებით, უკრაინას აღარ ექნება პრობლემა, შეუფერხებლად მიაწოდოს გაზი ევროპას. არადა, სწორედ უკრაინის ტრანზიტის არასაიმედოობის გამო მიეცა ნაბუკოს პროექტს ასეთი დიდი სტატუსი. ხოლო საქართველოს სატრანზიტო ფუნქციები ენერგომატარებლების სფეროში სააკაშვილის 2008 წლის ავანტიურამ დაასამარა.

**ამავე დროს სტამბულში შეიკრიბა თურქულენოვან ხალხთა სამიტი. მას ესწრებოდნენ ხუთი დამოუკიდებელი თურქულენოვანი სახელმწიფოს პირველი პირები (არ ესწრებოდა მხოლოდ უზბეკეთი). შეიქმნა ამ სახელმწიფოთა თანამშრომლობის საბჭო, რომლის გენერალურ მდივნად არჩეულია ჰალილ აკინჯი (ის იყო საქართველოში ეუთოს პირველი მისიის ხელმძღვანელი, ხოლო შემდეგ — თურქეთის ელჩი რუსეთში). ილჰამ ალიევის სიტყვებით, „ჩვენი ძალა ჩვენს ერთობაშია“!**

რაც უნდა მოულოდნელი იყოს, თურქულენოვან ქვეყანათა თანდათანობითი გაერთიანების იდეა მოდის არა თურქეთიდან, არამედ უფრო ყაზახეთიდან ან აზერბაიჯანიდან. ამ იდეას კი დღეს ღიად უჭერს მხარს ამერიკა.

პირველად „დიდი თურანის“ იდეა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში კონსტანტინოპოლში გაახმიანა ბაქოელმა, ეროვნებით აზერბაიჯანელმა ინტელექტუალმა. მას ცარისტულმა რუსეთმა დაუჭირა მხარი. შემდეგ ამ იდეას მხარს უჭერდა ბოლშევიკების ეროვნებათა საქმეების მინისტრი იოსებ სტალინი, რომელიც ფიქრობდა, ამ გზით გაებოლშევიკებინა თურქეთი და ახალ საბჭოთა იმპერიაში შემოეყვანა. ბაქოში 1918 წლის ნოემბერში სტალინი მუსლიმან-კომუნისტების კონგრესზე ამბობდა: „ჩვენი მიზანია, ხიდები გავდოთ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის და შევქმნათ ერთიანი რევოლუციური ფრონტი“. ამავე დროს ის კატეგორიულად გამოდიოდა პან-ისლამიზმის იდეის წინააღმდეგ და მხარს უჭერდა „რევოლუციურ ნაციონალიზმს“. ასევე იყო დაფიქსირებული კომინტერნის ტაქტიკა აზიაში აღმოსავლეთის ხალხთა კონგრესზე ბაქოში. საბოლოო ჯამში ბოლშევიკების მიზანი იყო, ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე დაეფუძნებინათ „თურქ ხალხთა ფედერაცია“.

მაგრამ თურქი ქემალისტები თავიდან პანისლამური გაერთიანების იდეით იყვნენ შეპყრობილი და ეს ეთნიკურად დაყოფილი ისლამური სამყარო მათ არ აწყობდათ. ამიტომ ბოლშევიკები ახალ ტაქტიკაზე გადავიდნენ – მათ დაიწყეს თურქულენოვან ხალხებში „ავტოქტონურობის“ იდეის დანერგვა, ვითომ ისინი მონღოლეთის სტეპებიდან კი არ იყვნენ მოსული, არამედ ოდითგან იმ ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ. მაგალითად, მეზობელ აზერბაიჯანში გაავრცელეს იდეა, რომ ისინი თურქები კი არ არიან, არამედ ძველი ალბანელების შთამომავლები (ამას შეეწირა ქართული ეკლესიები საინგილოში, რომლებიც ალბანურად გამოაცხადეს). თუ თურქები აღიარებენ, რომ ისინი იმ ტერიტორიაზე მისული ხალხია, აზერბაიჯანელები ამას არ აღიარებენ. ბოლშევიკები შეეცადნენ, ამ ქვეყნების სალაპარაკო ენა თანდათანობით დაეცილებინათ თურქულისაგან და თითოეულს განსხვავებული გრამატიკაც კი შეუქმნა.

**მხოლოდ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ კვლავ ალაპარაკდნენ პან-თურქიზმის იდეის აღორძინებაზე და პირველი აზერბაიჯანის პრეზიდენტი გეიდარ ალიევი იყო. მას ეკუთვნის გამოთქმა — ერთი ერი, ორი სახელმწიფო! მაგრამ თურქეთი ევროკავშირში გაწევრებაზე იყო ორიენტირებული და ჩამორჩენილ და ღარიბ საბჭოთა რესპუბლიკებთან გაერთიანების იდეა არ ხიბლავდა.**

სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა სააკაშვილის აგვისტოს ავანტიურის შემდეგ. თურქეთი, როგორც იქნა, მიხვდა, რომ ევროკავშირს არ სურს, თავის ტერიტორიაზე უვიზოდ გადაადგილებისა და დასახლების უფლება მისცეს 70 მილიონზე მეტ მუსლიმანს. ამიტომ მან, პირველ ყოვლისა, სამხრეთ კავკასიას მიაპყრო თავისი ყურადღება, ხოლო შემდეგ თავისი „ძმანი“ გაიხსენა ცენტრალური აზიიდან, სადაც ასეთ გაერთიანებაში თურქეთს უპირობო ლიდერის პოზიცია გარანტირებული აქვს.

საინტერესოა, რომ სწორედ ენერგოპროექტები აქცევს თურქეთს რეგიონის უპირობო ლიდერად. აქ კი ჩვენ ვაწყდებით ახალ პროექტს, რომელიც სააკაშვილმა ცოტა ხნის წინათ გაახმიანა — აზერბაიჯან-საქართველოს კონფედერაციის შესახებ. ცხადია, რომ ასეთი კონფედერაცია, თუ კი ის ოდესმე შეიქმნა, შემდგომში თურქეთის მიერ იქნება ჩაყლაპული. ამავე დროს კი ის საკომპენსაციოდ მესხეთ-ჯავახეთს სომხეთს დაუთმობს. ოღონდ ესეც სათუოა, რადგან შეიძლება თურქეთი იმდენად გაძლიერდეს, რომ მან კვლავ ახალციხის საფაშოს აღდგენა მოინდომოს იმავე საზღვრებში, როგორშიც ის იყო, ვიდრე რუსი გენერალი პასკევიჩი მას არ წაართმევდა 1829 წელს.

დღეს თურქეთში ორი მიმართულება (პანისლამური და პანთურქული) ეჯახება ერთმანეთს იმ ფონზე, რომ პროევროპული და სეკულარული ძალები დამარცხებას დამარცხებაზე იღებენ: ხელისუფლება, როგორც ჩანს, უფრო პანისლამურს უჭერს მხარს, ცდილობს რა, ოსმალეთის იმპერიის ყოფილ ქვეყნებში გააძლიეროს თავისი პოზიცია, რაც არც თუ ისეთი პოპულარობით სარგებლობს ამ ქვეყნებში; მაგრამ თურქულენოვანი სახელმწიფოები მასზე ზეწოლას აძლიერებენ და ლიდერის პოზიციას სთავაზობენ. ამ დროს კი ყველა ენერგოპროექტებით ევროპა უკვე არა იმდენად რუსეთზე, არამედ თურქეთზე დამოკიდებული ხდება. თურქეთი ასევე დაბალანსების სახით სტრატეგიულ პარტნიორობას სთავაზობს რუსეთს, რათა ახალი სლავურ-თურქული ღერძი შეიქმნას.

**რომელ მხარესაც არ უნდა წავიდეს თურქეთი, ჩვენ მაინც გასრესილი აღმოვჩნდებით ან ისლამურ, ან თურქულ სამყაროში. ეს კი ჩვენ სწორედ იმ ეპოქაში გვაბრუნებს, რომელშიც ვიყავით, ვიდრე სახელოვანი მეფე ერეკლე მეორე სიბერეში თავის ცნობილ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა, რუსეთისათვის პროტექტორობის თხოვნის შესახებ.**

**იქნებ სააკაშვილს სწორედ ეს აწყობს?**

**რამაზ კლიმიაშვილი**



საავტორო სვეტი

# «წიგნების რევოლუცია»

**თბილისის ქუჩებიდან ბუკინისტები აყარეს. მათ თავი „დედაენის“ ძეგლთან მოიყარეს, კიდევ კარგი, რომ პირდაპირ საკონცენტრაციო ბანაკში ან გეტოში არ გაისტუმრეს. მართალია, წიგნის „გამოუსწორებელი მოყვარულები“ მათთან მაინც მივალთ, თუნდაც იმ ადგილს ეკლებიანი მავთული შემოავლონ, მაგრამ იმ ახალგაზრდების რაოდენობა, რომელთა ცხოვრებაში განხილულ მომენტამდე ადგილი ჰქონდა მოულოდნელ პაემანს დახლზე გამოფენილ წიგნთან და ერთი ნახვით შეყვარებასაც კი, ამიერიდან ამ შესაძლებლობას მოკლებულნი იქნებიან. ადამიანის შემთხვევითი შეხვედრა წიგნთან თბილისის ქუჩებში პრაქტიკულად შეუძლებელი შეიქნა, წიგნი მხოლოდ განსაზღვრულ ზონაში თუ მოიძებნება, ამიერიდან მხოლოდ „დედაენის ზონაში“, „ზონაზე“, ძველად რომ იტყოდნენ.**

აზრი არ აქვს იმის გარკვევას, იყო თუ არა ეს ქალაქის ხელისუფლების მორიგი კრეტინული ინიციატივა (ამ შემთხვევაში თავს უფლებას მივცემ, ფაქტს მოკრძალებული შეფასება დავურთო) თუ წარმოსახვითი კონსპიროლოგიური სქემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელიც საქართველოს მოსახლეობის ფორსირებული დეგრადაციისთვის ხელის შეწყობას ითვალისწინებს იმ პოლიტიკასთან ერთად, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება განათლებისა და მეცნიერების სფეროში ატარებს. კონსპიროლოგია, ზოგადად, პარანოიაში გადავარდნას მოასწავებს, თუმცა ცნობილი გამონათქვამისა არ იყოს, „ის, რომ პარანოია გაქვთ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არავინ გითვალთვალებთ“.

საინტერესოა, რომ ბევრი განათლებული ადამიანი „ნაციონალების“ მმართველობას უყურებს როგორც ერთგვარ ისტორიულ კაზუსს, დროებით ფენომენს, რომელსაც მალე ბოლო მოეღება; ან კიდევ — როგორც ბარბაროსების მღვრიე ტალღას, რომელმაც მარადიულ ქალაქს გადაუარა და მალე, ცნობილ ტერმინოლოგიას თუ მოვიშველიებთ, ისევ იქ ჩაირეცხება, საიდანაც ამოიტუმბა. ხელისუფლების მხარდამჭერებს ისინი ისევე უყურებენ, როგორც პროფესორი პრეობრაჟენსკი — შარიკოვს და ხშირად ავიწყდებათ, რომ შარიკოვი სწორედ პრეობრაჟენსკიმ შექმნა, თანაც არა მხოლოდ ბულგაკოვის კონკრეტულ ნაწარმოებში, არამედ გაცილებით ფართო სოციალურ კონტექსტში.

**წარმოვიდგინოთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება და მასთან ერთი მსოფლმხედველობის მქონე ძალები უახლოესი ათწლეულების განმავლობაში არსადაც არ წავლენ. გასაგებია, რომ ძნელი წარმოსადგენია, თუმცა, როგორც განვითარებული წარმოსახვის მქონე ერის წარმომადგენლებს, ალბათ, არ უნდა გაგვიჭირდეს, რას მოასწავებს ეს პერსპექტივა აღწერილი კატეგორიის ადამიანებისთვის? დიდი ალბათობით, ჩვენ მივიღებთ სასწავლო დაწესებულებისგან იზოლირებულ, საკუთარი ცოდნის რეალიზების შესაძლებლობას მოკლებულ ჯგუფს, რომლის საზოგადოებრივი აქტიურობა მხოლოდ მიმდინარე პროცესების ირონიული კომენტირებით შემოიფარგლება, თუმცა მათი რეპლიკების სიღრმისეული შინაარსი სათანადო განათლებასა და კრიტიკული აზროვნების უნარს მოკლებული ახალგაზრდა თაობისთვის უკვე გაუგებარი იქნება. შემდეგ კი აკადემიური განათლებისა და შესაბამისი აღზრდის მქონე ადამიანების უკანასკნელი თაობა, უბრალოდ, უკვალოდ გაქრება.**

ქვეყანაში შექმნილი რეალობისგან დისტანცირების სურვილი სავსებით გასაგებია, თუმცა, ალბათ, არ შეიძლება პასიურობის, საკუთარ თავში ჩაკეტვის გამართლებად იქცეს, რომელიც, პრინციპში, თვითმკვლელობის ერთ-ერთ, ფრიად გაწელილ ფორმას წარმოადგენს. არავინ არავის შესთავაზებს კათედრას უნივერსიტეტში ან ისეთ სამუშაო ადგილს, სადაც ადამიანი საკუთარი ცოდნის რეალიზებასა და მომავალი თაობისთვის გამოცდილების გადაცემას შეძლებს. თუმცა გამოსავალი, ალბათ, მაინც არსებობს.

შვილებთან საუბრებზე, მათ განათლებაზე დახარჯულმა თითოეულმა საათმა, ბოლომდე მიყვანილმა სამეცნიერო ნაშრომმა ან თუნდაც არაფორმალურ გარემოში წაკითხულმა ლექციამ ქვეყნის მომავალში შეიძლება უფრო დიდი წვლილი შეიტანოს, ვიდრე ნებისმიერ ჩვენგანს წარმოუდგენია. ადეკვატური რეაქცია უვიცობის მოზღვავებაზე ცოდნის უანგარო გავრცელებაა; **თუ გნებავთ, ამას განათლების პარალელური სისტემის შექმნა დავარქვათ. თუმცა, ცხადია, პროცესში ჩართვა არა სისტემების შექმნით, არამედ საკუთარ თავზე მუშაობით უნდა დავიწყოთ. ეს, ალბათ, არცთუ ურიგო დასაწყისი იქნება იმ შედეგის მისაღწევად, რომელზეც თითოეული ჩვენგანი ოცნებობს. „ვარდების რევოლუცია“ დასრულდება მხოლოდ მაშინ, როდესაც წიგნიერების, მარტივად რომ ვთქვათ, „წიგნების რევოლუცია“ დაიწყება.**

**დიმიტრი მონიავა**

## ელიზბარ ჯაველიძე:

# ოპოზიციამ სააკაშვილის პოლიტიკური გვამი ხელმეორედ გააცოცხლა და ენერგიით სავსე ისევ წარმოუჩინა საზოგადოებას

**მიუხედავად იმისა, რომ 30 მაისის ადგილობრივ არჩევნებში სასტიკი მარცხის შემდეგ რადიკალური პარტიები მთელი ზაფხულის განმავლობაში პოლიტიკურ ასპარეზზე არ ჩანდა, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მაინც შეინიშნებოდა მოლოდინი იმისა, რომ ისინი სექტემბრიდან საპროტესტო ტალღას განახლებული ძალით ააზვირთებდნენ...**
**„მოლოდინის“ სამი თვე მიიწურა, სექტემბერიც დადგა და ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები იმდენად მშვიდად ვითარდება, ლამისაა, სიტყვები — რადიკალური და ოპოზიცია — „ვარდოსანთა“ ლექსიკონიდან სამუდამოდ გაქრეს...**
**რამ განაპირობა ოპოზიციური მუხტის ჩაცხრომა, რა რესურსებს ფლობს იგი დღეს რეალურად და რამდენად ადეკვატურია ხელისუფლებასთან მიმართებაში — ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ცნობილი პუბლიცისტი და მეცნიერი, პროფესორი ელიზბარ ჯაველიძე ესაუბრება.**

## ხელისუფლების მასონური გეგმით, 2013 წლისთვის საქართველოში დარჩება 300 ათასი ე. წ. ქართველი, რომლებიც მოემსახურებიან ძია სემებს, ბრაიზებსა და კლინტონებს...



**— ბატონო ელიზბარ, სექტემბერი საქართველოში, „წესისამებრ“, პოლიტიკურად აქტიური სეზონია, მაგრამ წელს, როგორც ჩანს, ამ „ტრადიციას“ აღსრულება არ უწერია, რადგან ოპოზიცია სამარისებურად დუმს და ხელისუფლების უკანონო ქმედებებზე ხმას არ იღებს. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?**

— საქმე ისაა, რომ ოპოზიციამ საბედისწერო შეცდომა დაუშვა, თუ ამას შეცდომას დავარქმევთ და განზრახ გადადგმულ ნაბიჯად არ მივიჩნევთ, როცა 30 მაისის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო. გასაგებია, რომ ადამიანები ვართ და ერთხელ ყველა შეიძლება შევცდეთ. **მაგრამ, როცა კაცი საკუთარ შეცდომებზე ვერ სწავლობს, ის, უბრალოდ, ბრიყვია და მისი ადგილი პოლიტიკაში არ არის; თუმცა ოპოზიციის მხრიდან, ამ შემთხვევაში, არა მგონია, საქმე სიბრიყვესთან გვქონდეს. მათ, უბრალოდ, არჩევნებში მონაწილეობა იმიტომ მიიღეს, რომ საზოგადოების თვალში კონსტრუქციულ ძალად გამოჩენილიყვნენ. პირველ რიგში ეს ეხება ალასანიას, „რესპუბლიკელებსა“ და „მემარჯვენეებს“, რომლებიც დღესაც თავს იწონებენ იმით, რომ ისინი არ არიან რადიკალები.**

...თავისთავად ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ მეორეს მხრივ, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ფაქტი ერთია — ყველა იმ პოლიტიკურმა ძალამ, რომლებიც მონაწილეობდნენ 30 მაისის არჩევნებში, ნებით თუ უნებლიეთ, სააკაშვილის პოლიტიკური გვამი ხელმეორედ გააცოცხლეს, გამოკვებეს და ჯანსაღი ენერგიით სავსე ისევ წარმოუჩინეს საზოგადოებას... ეს იყო მიუტევებელი შეცდომა, რომელიც მიმაჩნია, რომ ეროვნული ღალატის ტოლფასია, ვინაიდან ამ არჩევნებში მონაწილეობით ოპოზიციამ, როგორც რუსები იტყვიან, „გააპრავა“ სააკაშვილის გამარჯვება და ფაქტობრივად შეუძლებელი გახადა ხელისუფლების შეცვლა უახლოეს მომავალში. თავის მხრივ, ამ შეცდომამ, ბუნებრივია, უკიდურესად დაასუსტა და დააკნინა ოპოზიციაც. ამას უკვე თვითონაც ხვდებიან და ამიტომაც არ ჩანს დღეს არც ერთი პარტია თუ ცალკეული ლიდერი პოლიტიკურ ასპარეზზე...

**— კი მაგრამ, როცა ოპოზიციის მამები ომახიანად მოგვიწოდებდნენ, ოღონდ არჩევნებზე გამოდით და ხელისუფლებას კუდით ქვას ვასროლინებთო, რა აძლევდათ მათ ესოდენ დიდი ოპტიმიზმის საფუძველს?**

— იცით რა, **ყველას თავისი მიზეზი და მიზანი ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, მაგალითად, ალასანიას ამერიკის საელჩოდან უბრძანეს, რომ ამ პროცესში ჩართულიყო, „რესპუბლიკელები“ კი იმთავითვე ერისა და ქვეყნის გამყიდველები არიან და მათი მოსყიდვა შედარებით არ გასჭირვებია ხელისუფლებას. სხვა პარტიებსაც, ალბათ, ფული შესთავაზეს და ამით დაითანხმეს არჩევნებში მონაწილეობაზე, თორემ ვერავინ დამარწმუნებს, რომ მათ მართლა სჯეროდათ ამ არჩევნებში გამარჯვებისა...**

## ყველას თავისი მიზეზი და მიზანი ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, მაგალითად, ალასანიას ამერიკის საელჩოდან უბრძანეს, რომ ამ პროცესში ჩართულიყო, „რესპუბლიკელები“ კი იმთავითვე ერისა და ქვეყნის გამყიდველები არიან და მათი მოსყიდვა შედარებით არ გასჭირვებია ხელისუფლებას. სხვა პარტიებსაც, ალბათ, ფული შესთავაზეს და ამით დაითანხმეს არჩევნებში მონაწილეობაზე, თორემ ვერავინ დამარწმუნებს, რომ მათ მართლა სჯეროდათ ამ არჩევნებში გამარჯვებისა...

**— ანუ, თქვენი აზრით, ოპოზიციამ ფული აიღო არჩევნებში მონაწილეობის სანაცვლოდ?**

— გადაჭრით და დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — დღეს **ბევრი ოპოზიციონერი ჯიპებით დადის, მათ გამოუყვეს კაბინეტები და დაუნიშნეს საკმაოდ მაღალი ხელფასები. ეს კი ისეთი ფუფუნებაა, რომელიც, მოგეხსენებათ, ისე, ჰაერში, არ მოიპოვება. ამიტომ მაქვს საფუძვლიანი ეჭვი და თავს უფლებას მივცემ, ეს ეჭვი გამოვთქვა, რომ ოპოზიცია მიეყიდა ხელისუფლებას.** საერთოდ, არჩევნები, დიდი ხანია, საქართველოში ფულის კეთების საშუალებად იქცა და ამაში გაცილებით დიდია ოპოზიციის წვლილი, ვიდრე ხელისუფლების...

## ბევრი ოპოზიციონერი ჯიპებით დადის, მათ გამოუყვეს კაბინეტები და დაუნიშნეს საკმაოდ მაღალი ხელფასები. ეს კი ისეთი ფუფუნებაა, რომელიც, მოგეხსენებათ, ისე, ჰაერში, არ მოიპოვება. ამიტომ მაქვს საფუძვლიანი ეჭვი და თავს უფლებას მივცემ, ეს ეჭვი გამოვთქვა, რომ ოპოზიცია მიეყიდა ხელისუფლებას.

**— ამ რამდენიმე დღის წინათ თავის ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში სააკაშვილმა მეტად საგულისხმო განცხადება გააკეთა. თქვა, რომ მისი მთავარი მიზანია საქართველოში მეორე სახელმწიფო ენად ინგლისურის გამოცხადება. თქვენი აზრით, რას ნიშნავდა ეს განცხადება?**

— ამით ის რეალურად ამბობს, რომ 2013 წლისთვის საქართველო აღარ იქნება ქართველების, აღარც აზერბაიჯანელების, სომხების, ქურთების. ეს იქნება რაღაც უეროვნებო, უტრადიციო, ყოველგვარი ზნეობისა და სულიერებისაგან დაცლილი ტერიტორია, სადაც, მასონური გეგმის თანახმად, დარჩება სამასიდან ექვსასიათასამდე ე. წ. ქართველი, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ ამერიკიდან ჩამოსულ ძია სემებს, ბრაიზებს, კლინტონებს და ა.შ. ეს არის გეგმა, რომელზედაც მუშაობს მთელი ინსტიტუტები და რომლის განსახორციელებლადაც მოყვანილია სააკაშვილი.

ამ გეგმის მიხედვით, ჯერ უნდა მოხდეს საქართველოს ტერიტორიული დაქუცმაცება, შემდეგ კი ქართველი ხალხის, ახალგაზრდობის სულიერი გარყვნა და გათქვეფა იმ სიბინძურეში, რასაც ფსევდოდასავლური ცივილიზაცია ჰქვია; ამის ნათელი მაგალითია აჭარა, კონკრეტულად კი ბათუმი, რომელიც დღეს, ფაქტობრივად, აღარ არის საქართველო და რომელიც რეალურად უკვე თურქეთს ეკუთვნის...

**— სხვათაშორის, იმასაც ამბობენ, რომ, შესაძლოა, თურქეთ-საქართველოს შორის საზღვარი დროებით გაუქმდესო.**

— მე არაერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, ერთადერთი, რაც თურქეთს აკავებს, არის ყარსის ხელშეკრულება, რომელიც თავის დროზე რუსეთთან დაიდო; და ერთ მშვენიერ დღეს იმავე რუსეთმა რომ განაცხადოს, არ მაინტერესებს ეს ხელშეკრულებაო, დარწმუნებული ვარ, თურქეთი იმ წუთში აჭარას დაიკავებს. მით უფრო, რომ ეკონომიკურად და სოციალურად ეს რეგიონი მას, უკვე დიდი ხანია, დაპყრობილი აქვს.

**— რა ვიცი, სახელისუფლო არხებს თუ დავუჯერებთ, ბათუმი და მთლიანად აჭარა მალე სინგაპურს გაუტოლდება.**

— იცით რა, ეს ყველაფერი იმდენად იაფფასიანი პროპაგანდაა, რომ, მგონი, ამის უკვე თვითონაც აღარ სჯერათ ჩვენს ძვირფას ხელისუფალთ. ჩადით და საკუთარი თვალით ნახეთ, იქ რა ხდება — ხალხი სიღარიბის ზღვარზეა, არის კატასტროფული უმუშევრობა და მოსახლეობა შიმშილობს. ხელისუფლებამ დღეს რეალურად მათხოვართა ბუდედ აქცია მთელი აჭარა, თვითონ კი დაგრიალებენ, დადიან რესტორნებში და ჰგონიათ, რომ ხალხიც მათსავით ფუფუნებაში ცხოვრობს. სხვათაშორის, ამ ზაფხულს იქ კარგად ინებივრეს ოპოზიციის ლიდერებმაც; მაგალითად, გიორგი თარგამაძემ — თავის დულცინეა გრიგოლიასთან ერთად, რომელსაც დღეს თავი ნომერ პირველ ოპოზიციონერად მოაქვს... მინდა მივმართო მას: რის ოპოზიცია ხარ შენ, თარგამაძევ, როცა ხელისუფლების დახმარებით შეხვედი პარლამენტში, როცა მისივე დაფინანსებით შექმენი პარტია და დღემდე ხელისუფლების ჯიბეში ხარ გამომწყვდეული. რისი მაქნისი ხარ, შე გამყიდველო იუდავ, და ვის უნდა ჰქონდეს შენი იმედი, როცა კაცად არა ხარ დაბადებული, როცა სულით და ხორცით მოღალატე ხარ და საკუთარი ქვეყნის, ხალხის სიყვარული არ შეგიძლია?! იმავეს ვეუბნები დანარჩენ ოპოზიციასაც, მათ, ვინც ჯერ იყო და პარლამენტარის მანდატები დემონსტრაციულად დახიეს, დღეს კი საკრებულოში მოკალათებულან და ხელისუფლების გადაწყვეტილებებს კვერს უკრავენ.

## ამ გეგმის მიხედვით, ჯერ უნდა მოხდეს საქართველოს ტერიტორიული დაქუცმაცება, შემდეგ კი ქართველი ხალხის, ახალგაზრდობის სულიერი გარყვნა და გათქვეფა იმ სიბინძურეში, რასაც ფსევდოდასავლური ცივილიზაცია ჰქვია; ამის ნათელი მაგალითია აჭარა, კონკრეტულად კი ბათუმი, რომელიც დღეს, ფაქტობრივად, აღარ არის საქართველო და რომელიც რეალურად უკვე თურქეთს ეკუთვნის...

**— ამ დღეებში დიდი აჟიოტაჟი ატყდა გაეროს მიერ ჩვენს დევნილებთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციაზე. სააკაშვილმა ამაყად განაცხადა, რომ ეს არის საქართველოს დიპლომატიური გამარჯვება რუსეთის წინააღმდეგ. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— ამ ე. წ. რეზოლუციის შესახებ უამრავი განცხადება მოვისმინე, მაგრამ ყველაზე სალი და რეალური შეფასება მას ერთმა რუსმა დიპლომატმა მისცა, რომელმაც განაცხადა, ეს რეზოლუცია არის კანფეტი, რომელიც გაერომ საქართველოს გადაუგდო და საქართველომაც გადაყლაპაო, ანუ ამით მან იმ მარტივ ჭეშმარიტებაზე მიგვანიშნა, რომ რუსეთი არის გოლიათი სახელმწიფო და ასეთი, რაღაც უმნიშვნელო, რეზოლუციებით მას უკან ვერავინ დაახევინებს...

რაც შეეხება სააკაშვილის ნათქვამს, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ, რა თქმა უნდა, ეს არის სისულელე, რომელიც ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზანს, რომ საზოგადოება, როგორც იტყვიან, დაბოლდეს.

ასე გვაბოლებდნენ ჩვენ ომამდეც, როცა კრემლის მესვეურებს, განსაკუთრებით პუტინს, ქართველების მტრად გვიხატავდნენ, და გვაბოლებენ დღესაც, თუმცა მთელი ამ პროცესების განმავლობაში ნათლად გამოჩნდა ერთი რამ — პუტინი არის თავისი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტი და ყველაფერი, რასაც ის აკეთებს, ნაკარნახევია საკუთარი ხალხის ინტერესებით. სწორედ ეს არის ის მთავარი თვისება, რაც მას სააკაშვილისგან განასხვავებს და რაც, შეიძლება, შურს კიდეც ჩვენს პრეზიდენტს...

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მოდი, ახლა ორიოდე სიტყვით გამოსავალზეც ვისაუბროთ...**

— გამოსავალი მხოლოდ ერთია: ეს კაციჭამიები უნდა წარიხოცონ როგორც ხელისუფლებიდან, ისე ქვეყნიდანაც.

**— კი მაგრამ, ვინ გააკეთებს ამას?**

— ხალხი, ქართველობა! **დროა, საზოგადოება გონს მოვიდეს და აღსდგეს ამ ფაშისტების წინააღმდეგ, თორემ მალე საბოლოოდ დაიღუპება საქართველო. თუ სხვა გზა არ არის, დაე, სისხლიც დაიღვაროს, მოხდეს, რაც მოსახდენია, ოღონდ ქვეყანა გადარჩეს და ერმა არ დაკარგოს ის ღირსება, რომლის წყალობითაც დღემდე მოვიდა ქართველი ხალხი...**

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რა ხდება ქართულ სპორტში

**ცნობილი სპორტსმენი ლუკა კურტანიძე ბერძნულ-რომაული, ძიუდოსა და თავისუფალი ჭიდაობის მსოფლიო ჩემპიონატზე ქართული გუნდის წარუმატებლობაში ხელისუფლებას ადანაშაულებს. ასე მხოლოდ კურტანიძე არ ფიქრობს. მოსაზრებას, რომ ხელისუფლება უხეშად ერევა ქართული სპორტის ცხოვრებაში, სხვა ვეტერანი სპორტსმენებიც იზიარებენ. დღეს საქართველოში სპორტსმენებს პოლიტიკური ნიშნით რომ სდევნიან, ახალი ამბავი აღარაა.**

## შოთა ხაბარელი: გადაწყვეტილებების მიღება პოლიტიკური ნიშნით ხდება



რამდენიმე დღის წინათ ბათუმის ჭადრაკის სახლს, რომელიც ნონა გაფრინდაშვილის სახელობისა იყო, სახელი გადაარქვეს და „ვეტერანთა სახლი“ უწოდეს. ნეტა, ვის უშლიდა ხელს ქალბატონი ნონას სახელი?! თუმცა ცნობილია, რომ „ნაცონალებს“ ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი არ ეპიტნავებათ, რადგან აქციებზე ქართველი ხალხის დაბეჩავების გამო პროტესტს გამოთქვამდა. მერე რა, თუ ნონა გაფრინდაშვილი ხუთგზის მსოფლიო და თერთმეტგზის ოლიმპიური ჩემპიონია?! დღეს ჩვენთან დამსახურების მიხედვით არავის მიაგებენ პატივს!

**ქვეყანაში სპორტი რომ პროფესიონალებმა უნდა მართონ, არავის აინტერესებს. სპორტშიც, ისევე როგორც ყველა სხვა სფეროში, მთავარია, მმართველი პარტიის მიმართ სიყვარულით იყო განწყობილი. საქართველოს სპორტულ სამყაროში ყველა სერიოზული გადაწყვეტილება პოლიტიკური ნიშნით მიიღება, პროფესიონალებსა და კომპეტენტურ პირებს არავინ არაფერს ეკითხება. სპორტის ყველა სახეობაში მწვრთნელი, ფედერაციის ხელმძღვანელი პოლიტიკური ნიშნით ინიშნება. აღარაფერს ვამბობ იმ ელმენტარული პირობების არარსებობაზე, სპორტსმენს, სულ ცოტა, ვარჯიშისთვის რომ ესაჭიროება, არა თუ წარმატებული ასპარეზობისთვის.**

ბოლო დროს ძიუდოში განვითარებული მოვლენები, ალბათ, სამარცხვინოდ ჩაიწერება ქართული სპორტის ისტორიაში. რატომ გაუშვეს ძიუდოდან ხაბარელი? იგი ხუთჯერ გახდა საუკეთესო მწვრთნელი. საქართველოს ძიუდოს ფედერაცია, ძიუდოისტები და ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი ერთადერთი ნათელი წერტი-

## სოსო ჯაჭვლიანი: ხელისუფლება უხეშად ერევა სპორტის ყველა სახეობაში



ლი იყო ქართულ სპორტში. მისი გაშვების შემდეგ კი, რაშიც ღიად ადანაშაულებდნენ ნაცმოძრაობის ფავორიტ დილარ ხაბულიანს, სახეზეა ცირეკიძის „წარმატებები“. დღემდე არ გარკვეულა, სინამდვილეში რა მოხდა ტოკიოში. ალბათ, სირცხვილს ვერ „გაუძლო“ ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა ამირან ტოტიკაშვილმა და ტოკიოში მომხდარი ინციდენტის გამო თანამდებობა დატოვა. იგი ტოკიოს მოვლენებს დადგმულ სპექტაკლს უწოდებს და ამ სპექტაკლის „რეჟისორობას“ ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, გია ნაცვლიშვილს აბრალებს. ახლა უკვე საქართველოს ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი ძალიან აღელვებული აღნიშნავდა, რომ ის განტევების ვაცია და რომ მის კვალდაკვალ პასუხისმგებლობა სხვებმაც უნდა გაიზიარონ.

მას შემდეგ, რაც ნაციონალებმა ყვარყვარესეული „ე, ბიჯო, ჩოუდექი თავში“-ს მეთოდით გადაწყვიტეს, საბოლოოდ ხელში მოეგდოთ სპორტის ეს სახეობა, წარუმატებლობა წარუმატებლობაზეა.

ალბათ, ცოტამ თუ იცის, რომ მოსკოვში მიმდინარე წლის მაისში ევროპის პირველობაზე მსოფლიოს 30 ქვეყნის მკლავჭიდელთა გუნდი მონაწილეობდა, მათ შორის საქართველოც, თუმცა რა გზით მოხვდა ქართველთა დელეგაცია იქ, ეს კიდევ სა-

## ლუკა კურტანიძე: მსაჯების მომზადების საკითხსაც კი «ზემოთ» წყვეტენ



კითხავია. როგორც ჩანს, სიძულვილმა გონება დაუბნელა ხელისუფლებას. აქ მარტო რუსეთისა და პუტინის სიძულვილზე არ არის საუბარი. ხელისუფლებისთვის მიუღებელი იყო იმ სპორტული ფედერაციის წარმატება, რომელსაც ოპოზიციონერი სოსო ჯაჭვლიანი ხელმძღვანელობდა.

**სოსო ჯაჭვლიანი, მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი:**

— სპორტსმენების პოლიტიკური ნიშნით დევნა რომ ხდება, ამის ნათელი მაგალითი ლუკა კურტანიძეა. მეტი რა გინდათ?ამ ქვეყანაში ყველაფერი პოლიტიზირებულია და სპორტი როგორ დარჩებოდათ უყურადღებოდ?! იმ ქვეყანაში, სადაც ლევან თედიაშვილი ფედერაციის არჩევნებზე ერთ ხმას მიიღებს, რაზე უნდა ვილაპარაკოთ? არავის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ყველას თავის გზაზე გაუმარჯოს, მაგრამ ასე არ შეიძლება. საქართველოში დღეს ხელისუფლება სპორტის ყველა სახეობაში ერევა. ვერავინ დამაჯერებს დედამიწის ზურგზე, რომ რომელიმე სპორტსმენი თავისი ქვეყნის მტერი იყოს. ერთადერთი მიზანი აქვთ, წარმატების მიღწევა ისევ და ისევ თავიანთი ქვეყნის წარმოსაჩენად. ამ ხელისუფლებას რომ ჰკითხო, დემოკრატიულ სახელმწიფოს აშენება უნდა. ვერ ვამჩნევ დემოკრატიისკენ გადადგმულ ნაბიჯებს. თუ არ მოსწონთ დემოკრატია, მაშინ გამოაცხადონ, რომ დიქტატურაა.

**შოთა ხაბარელი, ძიუდოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი:**

— სპორტისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ყოველთვის პოლიტიკის ჩარევით მიიღება და ეს ჩემთვის ყოვლად მიუღებელია. თუ გვინდა, სპორტში წარმატებას მივაღწიოთ, სპორტი უნდა იყოს პოლიტიკისგან განყენებულად. დღეს ქართული სპორტული სამყარო იმ მდგომარეობაშია, როგორსაც არ იმსახურებს. სპორტი პროფესიონალებმა უნდა მართონ. არ უნდა ხდებოდეს სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება პოლიტიკური ნიშნით. მთავარია, მეტი ვკითხოთ პროფესიონალებს. მათი რჩევები ისევ და ისევ ქართული სპორტის განვითარებას წაადგება.

ის, რომ ბათუმში ჭადრაკის სახლს ნონა გაფრინდაშვილის სახელი გადაარქვეს, ქართული სპორტის ისტორიაში ყველაზე შავი ასოებით ჩაიწერება. ნონა გაფრინდაშვილის სახელის უარყოფა, ესაა ყველაზე საშინელი რამ, რაც შეიძლება ჩაიდინო საკუთარი ქვეყნის დამსახურებული ადამიანების წინაშე. ძალიან ცუდი გადაწყვეტილება მიიღეს. დადგება დრო და, ვინც ეს გააკეთა, თავის საქციელს მწარედ ინანებს.

**ლუკა კურტანიძე, მოჭიდავე:**

— პატარა ქვეყნისთვის სპორტი ერთგვარ პოლიტიკას წარმოადგენს, მაგრამ პოლიტიკოსები იმ დოზით არ უნდა ერეოდნენ ამ დარგში, როგორც დღეს ხდება. იმდენად პოლიტიზირებულია სპორტი, რომ ყველაფერს ზემოთ წყვეტენ და თან არც არავის ეკითხებიან რჩევას. მსაჯების მომზადება სად უნდა მოხდეს, ისინი წყვეტენ. ვიღაცის პოლიტიკური შეხედულებების გამო გადააქვთ ბაზები და ა.შ. როდესაც სპეციალისტები და პროფესიონალები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, ისინი არც უსმენენ. ეს სახელმწიფო საქმეა, რადგან თანხა იხარჯება და ამდენად, გამიზნულად უნდა დაიხარჯოს. ოპოზიციონერი ვიქნები თუ ხელისუფლების მომხრე, სპორტისთვის მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. არ უნდა ხდებოდეს სპორტის ფედერაციებში ინტრიგების ხლართვა. ეს არაა ის ადგილი, სადაც უნდა დაყო და იბატონო, რადგან აქ ყველამ ქვეყნის წარმატებებისთვის უნდა იბრძოლოს.

რაც ამათ ბათუმში გააკეთეს, სირცხვილია. ამით ნონა გაფრინდაშვილს ჩრდილს ვერ მიაყენებენ. ეს მათი სირცხილია, ვინც მოიფიქრა და გააკეთა. ნონა გაფრინდაშვილი და მისნაირები ყოველთვის მისაბაძ ადამიანებად დარჩებიან ხალხის თვალში. ჩვენ ლეგენდები და მაგალითები გვყავს და უნდა გავუფრთხილდეთ მათ. არ მინდა, საქართველოში ბევრი უღირსი ადამიანი დადიოდეს. ყველამ ერთად ხმამაღლა უნდა გამოვთქვათ პროტესტი ასეთი ქმედებების წინააღმდეგ.

**ლილი მიროტაძე**

## მოკლედ



### დიდი შეღავათების კოდექსი

**ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა ახალ საგადასახადო კოდექსს მეწარმეებისა და ბიზნესმენებისთვის დიდი შეღავათი უწოდა.** სინამდვილეში შეღავათი იმაში გამოიხატება, რომ ახალი კოდექსი არა მხოლოდ საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის, არამედ გადასახადებსაც აერთიანებს. ახალი კოდექსის ამოქმედებასთან ერთად გაჩნდება საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტიც. ახლებური მიდგომაა საჯარიმო სანქციებთან დაკავშირებითაც და სალარო აპარტის მფლობელს პირველივე დანაშაულზე, დაჯარიმების ნაცვლად, შესაძლოა, ჯერ გაფრთხილება მისცენ. გათვალისწინებულია მედიის, ჯანდაცვისა და განათლების სექტორების დაბეგვრასთან დაკავშირებით კანონმდებლობისა და საზოგადოების შენიშვნებიც.



### გამყრელიძე ვერ გატეხეს

**„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ გულდაწყვეტით აღნიშნა, რომ ძნელი წარმოსადგენია, „ასეთმა“ ოპოზიციამ ხალხი საპროტესტოდ კვლავ ქუჩაში გამოიყვანოს.** ვინაიდან „საზოგადოებაში ქუჩის აქციების მიმართ განწყობა უკვე უარყოფითია, რადგანაც ყველა აქცია დასრულდა უშედეგოდ“, გამყრელიძემაც გადაწყვიტა, ჩათრევას ჩაყოლა სჯობსო და გამოაცხადა: „მომხრე ვარ, ბოროტად არ გამოვიყენოთ საზოგადოებრივი განწყობა“. მიუხედავად ასეთი განწყობებისა, „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერს სჯერა, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს, თუკი საზოგადოება შეიკვრება და გამარჯვებისთვის განეწყობა, ხელისუფლების დამარცხება ამ საარჩევნო კოდექსისა და ვანო მერაბიშვილის პოლიციური რეჟიმის პირობებშიც შესაძლებელია.



### ლეიბორისტების წერილი აშშ-ს

**ლეიბორისტულმა პარტიამ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილის — თინა ქეიდენაუს საქართველოში ვიზიტისას შეიტყო, რომ აშშ საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტის გასაძლიერებლად 30 მილიონი დოლარის გამოყოფას აპირებს, ამიტომ შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს წერილი გაუგზავნა.** პარტიის გენერალური მდივნის — სოსო შატბერაშვილის განცხადებით, ამავე მიზნით, ბუშის ადმინისტრაციის მიერ გადმოგზავნილი ათობით მილიონი დოლარი ორ-სამ პოლიტიკურ პარტიასა და რამდენიმე ტელეკომპანიას ხმარდებოდა, შედეგად კი მივიღეთ სახელმწიფო გადატრიალება „ვარდების რევოლუციის“ სახით და დიქტატურის დამყარება საქართველოში.



### პრეზიდენტს უნდობლობას ვუცხადებთ

**„მიუხედავად პოლიტიკურ შეხედულებათა სხვადასხვაობისა, ერთმანეთისადმი დამოკიდებულებისა, შევიკრიბოთ და ერთად დავიწყოთ ის, რისი დაწყების აუცილებლობაზე ცალ-ცალკე ყველანი ვსაუბრობთ!“** — ამ ტექსტით პოლიტიკურ პარტიათა ლიდერები, არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები და საზოგადო მოღვაწეები 22 სექტემბრისათვის დაგეგმილ საქართველოს პრეზიდენტისათვის უნდობლობის გამოცხადების პროცესის დამფუძნებელ კონფერენციაზე მიიწვიეს. კონფერენცია განიხილავს დოკუმენტებს საქართველოში რეფერენდუმის გზით პრეზიდენტისათვის უნდობლობის გამოცხადების სამართლებრივი პრინციპების თაობაზე და პრეზიდენტის იმპიჩმენტის უნდობლობის ტექსტს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



## ქეთი ბექაური:

# ოქტომბრიდან დამოუკიდებელი ადვოკატის ინსტიტუტი აღარ იარსებებს

**ხელისუფლებას კანონმდებლობაში სერიოზული ცვლილებები შეაქვს. ცოტა ხნის წინათ მათ ჯარიმები გაგვიორმაგეს, ახლა კი პოლიციის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებით, პოლიციელს „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე შესაძლებლობა ექნება, ნებისმიერი მოქალაქე გააჩეროს და გაჩხრიკოს. ამის პრობლემა პოლიციელს არც ადრე ჰქონია, რადგან მაშინ უსაფუძვლო ჩხრეკის საფუძვლად ოპერატიულ ინფორმაციას იმიზეზებდნენ, რომლის გადამოწმების საშუალება არც ერთ მოკვდავს არ ჰქონდა. შესაბამისად, დიდი ვერაფერი განსხვავება იქნება, რას მოიმიზეზებს პოლიციელი, მთავარია, მას ჩხრეკის სურვილი გაუჩნდეს და შესაძლოა დიდი ხნით ციხეშიც გაგისტუმრონ. ამავე დროს იცვლება სისხლის სამართლის პროცესი, რომლის სწავლებაც შინაგან საქმეთა სამინისტროში თანამშრომლებისთვის უკვე დაიწყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების ძალისხმევით, ოქტომბრიდან ის ძალაში შევა. ადვოკატთა განცხადებით, ეს კანონი წინააღმდეგობაშია კონსტიტუცუასთან და მისი მიღების შემთხვევაში, ადვოკატთა კორპუსი, ფაქტობრივად, უფუნქციო და უსუსური გახდება, შესაბამისად, დაუცველი რჩება დაზარალებულიც და ბრალდებულიც. „საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის ადვოკატ ქეთი ბექაურს დაუკავშირდა:**



— რამდენიმე დღის წინათ გაცხადდა, რომ ხელისუფლება აპირებს, ცვლილებები და დამატებები შეიტანოს საქართველოს კანონში პოლიციის შესახებ, რომლის საფუძველზეც ყველა პოლიციელს უფლება ეძლევა, გონივრული ეჭვის საფუძველზე ნებისმიერი მოქალაქე გააჩეროს ქუჩაში და ადგილზე გაჩხრიკოს ისე, რომ არც ჩხრეკის ოქმი შეადგინოს და არც დამსწრე ეძებოს. ერთი სიტყვით, ქუჩაში ჩხრეკა დაკანონდა. რა თქმა უნდა, ეს სამართლიანობისკენ გადადგმულ ნაბიჯად ნამდვილად ვერ ჩაითვლება, პირიქით — ეს არის ადამიანის უფლებების დისკრიმინაცია.

**— ასევე იცვლება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც.**

— ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით იგნორირებულია და გაუფასურებულია ადვოკატის ინსტიტუტი საქართველოში. ეს კოდექსი არის დისკრიმინაციული, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით. თუკი ის ამოქმედდება 1 ოქტომბრიდან, აღარ იარსებებს დამოუკიდებელი ადვოკატის ინსტიტუტი, რომელიც არის თავისუფალი ტრიბუნა და საქართველოს სახელმწიფოს დემოკრატიულობის დასაყრდენი. წარმოიდგინეთ, ახალი კოდექსით არ არსებობს დაზარალებული მხარე. დაზარალებულის უფლებები საერთოდ ამოღებულია. მას არ აქვს ადვოკატის აყვანის უფლება, განაჩენის გასაჩივრების უფლება. დაზარალებული პროცესში მონაწილეობს, როგორც მოწმე. მოსამართლეს შეუძლია, გაიყვანოს დარბაზიდან და, როცა მისი რიგი მოვა, მაშინ დაუძახოს მას. ადამიანის ყველა ფუნდამენტალური უფლება არის იგნორირებული.

**— ანუ ბრალდებულის უფლებებზეა ორიენტირებული ახალი კოდექსი?**

— არც ბრალდებულის უფლებაა დაცული, რამდენადაც, თუკი ადვოკატის ინსტიტუტი მოიშლება ამ ქვეყანაში, ბრალდებულიც დაუცველი დარჩება. ბრალდებულს იმდენად აქვს შეზღუდული უფლებები, რომ განაჩენის გასაჩივრების უფლება, სააპელაციო წესით აქვს მხოლოდ ბრალდებულსა და განსასჯელს, ადვოკატს კი — არა. აღმკვეთი ღონისძიების გასაჩივრების უფლება აქვს მხოლოდ ბრალდებულს და არა აქვს ადვოკატს. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, ადვოკატის გარეშე ამის მოხერხება, ყველას ხომ არ აქვს იურიდიული განათლება? **ამ კოდექსის მიზანია, რომ ვერც ერთმა ბრალდებულმა, განსასჯელმა, მსჯავრდებულმა ვერ დაიცვას თავისი უფლებები და, ფაქტობრივად, ეს კანონი შეიძლება ჩაითვალოს ანტიკონსტიტუციურად, ვინაიდან კონსტიტუციის 42-ე მუხლის მესამე ნაწილში პირდაპირ არის გაწერილი, რომ დაცვის უფლება გარანტირებულია, მაგრამ კონსტიტუციის ამ მოთხოვნას ახალი სისხლის სამართლის პროცესი, რომელიც ხელისუფლებამ თავს მოგვახვია და 1 ოქტომბრიდან უპირებს ამოქმედებას, დისკრიმინაციულია.** კიდევ უფრო დიდი უბედურებაა, რომ ახალმა საპროცესო კოდექსმა პროკურატურას მიანიჭა შეუზღუდავი უფლებები, რაც გულისხმობს, რომ პროკურორის შეხედულებაზეა დამოკიდებული, კონკრეტულ ფაქტზე დაიწყებს თუ არა სისხლის სამართლებრივ დევნას.

**ამ კოდექსის მიზანია, რომ ვერც ერთმა ბრალდებულმა, განსასჯელმა, მსჯავრდებულმა ვერ დაიცვას თავისი უფლებები და, ფაქტობრივად, ეს კანონი შეიძლება ჩაითვალოს ანტიკონსტიტუციურად, ვინაიდან კონსტიტუციის 42-ე მუხლის მესამე ნაწილში პირდაპირ არის გაწერილი, რომ დაცვის უფლება გარანტირებულია, მაგრამ კონსტიტუციის ამ მოთხოვნას ახალი სისხლის სამართლის პროცესი, რომელიც ხელისუფლებამ თავს მოგვახვია და 1 ოქტომბრიდან უპირებს ამოქმედებას, დისკრიმინაციულია.**

ასევე დარღვეულია ბალანსი დაცვისა და ბრალდების მხარეს — პროკურორს შორის. ადვოკატი შეზღუდულია ყველანაირად, პროკურორის უფლებები კი გაზრდილია. ასე ხდება პროცესზეც, **პროკურორს შეუძლია, არ წარმოადგინოს მტკიცებულება, დაუმალოს მხარეს, რომ ადვოკატი ვერ მოემზადოს და პოზიცია შეიმუშაოს. ამას არანაირი სანქცია არ მოჰყვება სასამართლოს მხრიდან. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი გაბედავს და დაცვის მტკიცებულებას წინასწარ არ გააცნობს ბრალდების მხარეს, მას სასამართლოს მიერ 500-დან 5000 ლარამდე ჯარიმა დაეკისრება, ამ ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში წარმოუდგენელია და კატასტროფულად დრაკონული ციფრია 500 ლარი, აღარაფერს ვამბობ 5000-ზე.** პროკურორს ენიჭება ჩხრეკის, ამოღების უფლება, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს და სასამართლომ განჩინებით დართოს ამის ნება, ადვოკატს კი სასამართლოსთვის მიმართვის უფლება არ აქვს.

**— ფაქტობრივად, საერთოდ უფუნქციოდ რჩება ადვოკატი?**

— რა თქმა უნდა. არც ჩხრეკის უფლება გვაქვს, არც ამოღების და, თქვენ წარმოიდგინეთ, დაზარალებულს, რომელმაც განიცადა მორალური, მატერიალური თუ ფიზიკური ზიანი, არ აძლევენ ადვოკატის ყოლის უფლებას. ახალი საპროცესო კოდექსის რედაქციაში გაწერილია, რომ პირს, რომელსაც გამოჰკითხავენ (ვიდრე ის დაიკითხება ოფიციალურ ორგანოში), ჩვეულებრივ მოქალაქეზეა საუბარი, შეუძლია იყოლიოს ადვოკატი, ე.ი. დაზარალებულს არ აქვს უფლება, იყოლიოს ადვოკატი და მოქალაქეს, რომელთანაც მივა მხარე გამოსაკითხად, ანუ ახსნა-განმარტების ჩამოსართმევად, მას ჰქონია ადვოკატის ყოლის უფლება. მოწმეს მოქმედი კანონმდებლობით ჰყავდა ადვოკატი, ახალი საპროცესო კოდექსი კი მოწმეს ამ უფლებას ართმევს.

**— საქართველო ისედაც იყო პოლიციური სახელმწიფო, როგორი იქნება ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ამ კანონის ამოქმედების შემდეგ?**

— რა თქმა უნდა, პოლიციური სახელმწიფო იყო. ხელისუფლება პირდაპირ გვეუბნება, ჩემი საყრდენია პოლიცია და პროკურატურაო. მას უწერენ ჰიმნებს. ჰიმნს ჟღერადობაც კარგი აქვს და სასიამოვნო მოსასმენია, ჩვენ არ ვითხოვთ ადვოკატებზე ჰიმნის დაწერას, მაგრამ თავზე ხელს ნუ აიღებენ და ნუ ჩააფურთხებენ სულში ადვოკატებს, დაანებონ თავი დამოუკიდებელი ინსტიტუტის მოშლის მცდელობას ამ ქვეყანაში, რომელიც სამართლიანობისა და დემოკრატიულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია სამართლიანი სახელმწიფოს აღმშენებლობისთვის, დაანებონ ამ კედლის ნგრევას თავი. წინააღმდეგ შემთხვევა- ▶

## ლუბა ელიაშვილი:

# ტელევიზორს რომ ჩართავ, უკვე იცი, რომ მოგატყუებენ



**პრეზიდენტს სხვადასხვა საკითხებში ცხრა მრჩეველი ჰყავს, ერთ-ერთი მათგანი თამარ კინწურაშვილი გახლავთ. მისი მოღვაწეობა და „აყვავებული“ პირველი არხი, ანუ „საზოგადოებრივი ტელევიზია“, ალბათ, ჯერ კიდევ ბევრს ახსოვს. ჰოდა, რა გასაკვირია, ახლა საქართველოს ტელესივრცე კინწურაშვილის დროინდელ პირველ არხზე უარესი რომ არის.**

დღის მანძილზე გაუთავებელ ტელესერიალებს მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებები კვეთენ. თუ სერიალის მაყურებელი არ ხარ, ტელევიზორი ოჯახში უსარგებლო ნივთი ხდება. სანამ საინფორმაციოებზე გადავიდოდეთ, დროებით სატელევიზიო სივრცის საღამოს ნაწილზე ვისაუბროთ. „სიმართლის დრო“, „ღამე შორენასთან“, „ნანუკას შოუ“ „პროფილი“ და გაუგებარი გემოვნების „კლაბ“ თუ სხვა შოუები, რომლებზეც თითქმის აღარავის ეცინება და ცისფერების როლმორგებული მსახიობები უნიჭოდ მასხარაობენ, დაფინანსებას მერიისგან იღებენ. იმ ფონზე, როცა მუნიციპალიტეტი თანხებს სოციალურად დაუცველებს უმცირებს. „ღამე შორენასთან“, როგორც იქნა, დასრულდა, როგორც ჩანს, ტელეარხის ხელმძღვანელობა მიხვდა, რომ შორენამ მიზანს ვერ მიაღწია და საზოგადოებას თავისუფალი სექსი ტელეეთერიდან ვერ ასწავლა. ამბობენ, რომ ეთერში აღარ გავა ნანკა კალატოზიშვილის გადაცემა „სიმართლის დრო“, რომელიც ტრანსექსუალებისა თუ მამათმავლების პოპულარიზაციას ეწეოდა. „ნანუკას შოუ“-ზე სხვა გადაცემებთან შედარებით სათქმელი ბევრი არაფერია, ელემენტარულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს და საშუალო გემოვნების მაყურებელს იზიდავს. ასევეა „პროფილიც“, ოღონდ ეს გადაცემა კიდევ უფრო დაბალი დონისა თუ გემოვნების მაყურებელზეა, როგორც ჩანს, გათვლილი. რაც შეეხება საინფორმაციო გამოშვებებს, ყოველი გადაცემა ან უბედური შემთხვევით: მამამ შვილი (ან პირიქით) მოკლა, ავტოკატასტროფა მოხდა და ა.შ. იწყება. თუ ასეთი ფაქტი ქვეყანაში არ გვაქვს, მაშინ ჩვენი საინფორმაციო გამოშვების მესვეურები მსოფლიოს უბედურ შემთხვევებს გვაცნობენ ან სააკაშვილის ვიზიტებზე გვიყვებიან ქვეყნისა თუ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. გვქონია „მიშას შოუს“ პრეცენდენტიც, როდესაც სააკაშვილმა ტელეჟურნალისტობა შეითავსა და პირდაპირი ჩართვები განახორციელა აჭარაში, კახეთსა თუ უკრაინაში და პირდაპირ ეთერში გაეცნო რეგიონებში არსებულ სიტუაციებს, თითქოსდა მისი გუბერნატორები სახელმწიფოს ხარჯზე შეძენილი ძვირადღირებული ჯიპებით თბილისში ჩამოსვლას ვერ ახერხებდნენ. მოკლედ, ქართული ტელესივრცე განვითარების ნაცვლად უკანსვლით მიდის.

**საბოლოო ჯამში მოხდება ის, რაც — საბჭოთა კავშირში, როდესაც აღარავის სჯეროდა საბჭოთა ეკრანებიდან, პრესიდან წამოსული პროპაგანდის და ყველა ეძებდა ჩახშობილ არხებზე ინფორმაციას, ზოგი «ამერიკის ხმას» უსმენდა, ზოგი — რადიო «თავისუფლებას» და ა.შ.**

ქართული ტელევიზიების შესაფასებლად ჟურნალიტს, „იბერიის“ ყოფილ ტელეწამყვან ლუბა ელიაშვილს დავუკავშირდით, აღმოჩნდა, რომ ერთ დროს ტე- ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**პროკურორს შეუძლია, არ წარმოადგინოს მტკიცებულება, დაუმალოს მხარეს, რომ ადვოკატი ვერ მოემზადოს და პოზიცია შეიმუშაოს. ამას არანაირი სანქცია არ მოჰყვება სასამართლოს მხრიდან. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი გაბედავს და დაცვის მტკიცებულებას წინასწარ არ გააცნობს ბრალდების მხარეს, მას სასამართლოს მიერ 500-დან 5000 ლარამდე ჯარიმა დაეკისრება, ამ ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში წარმოუდგენელია და კატასტროფულად დრაკონული ციფრია 500 ლარი, აღარაფერს ვამბობ 5000-ზე.**

◀ში, ადვოკატთა კორპუსი ამხედრდება და ესენი მიიღებენ ადექვატურ პასუხს. **ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ფეხქვეშ გათელონ ადვოკატის ინსტიტუტი. ადვოკატთა უფლებები თუ გაითელება და ადვოკატი თავს ვერ დაიცავს, ის ვერავის დაიცავს, შედეგად კი კიდევ უფრო გაითელება ადამიანთა უფლებები. ეს ხდება იმიტომ, რომ ამ ქვეყანას ჰყავს ვაგაზაშვილები, რობაქიძეები, მამაცაშვილები, გირგვლიანები და პასუხი გაუცემელია მათთვის, ასევე არსებობენ 7 ნოემბრის, უკანონობით დაზარალებულები. მათთვის ხელისუფლებას პასუხი არ გაუცია დღემდე. ამისთვის მოირგო ეს ახალი საპროცესო კოდექსი ხელისუფლებამ. სისხლის სამართლის პოლიტიკა უნდა კანონს ეფუძნებოდეს, მაგრამ სისხლის სამართლის პოლიტიკა დღეს ხელისუფლების შიდა პოლიტიკურ, ვიწრო მერკანტილურ ინტერესებზეა მორგებული და საზოგადოებრივ ინტერესებს არ პასუხობს.**

ჩვენ ოთხი თვეა ვმუშაობთ ამ კოდექსში ცვლილებათა პაკეტზე. დღეს უკვე ხელმოწერილია და გადავაგზავნეთ 23 თაბახის ფურცელი, ასზე მეტი ცვლილება, რომელიც შევიტანეთ. ვთხოვთ პარლამენტსა და ხელისუფლებას, რომ ეს ცვლილებები, იმ ცვლილებებთან ერთად, რომლებიც თვითონ აქვთ ჩამოწერილი (58 ცვლილება შეაქვთ კიდევ), გაითვალისწინონ. ჩვენ მივმართეთ პარლამენტის თავმჯდომარეს, იურიდიულ კომიტეტს, ფრაქციათა წარმომადგენლებს, მათ ლიდერებს, ისინი კანონშემოქმედებით საქმიანობას ეწევიან და ამიტომაც თავი უნდა შეიწუხონ და ისეთი კანონი შეიმუშავონ, რომელიც საზოგადოებაში იმუშავებს და არა ვიწრო პოლიტიკური ინტერესების მსახური იქნება. ჩვენ გავუგზავნეთ ეს პაკეტი მათ და კეთილი ინებონ, სახელისუფლო ცვლილებებთან ერთად, ჩვენი ცვლილებებიც განიხილონ და შეაფასონ. ასევე, მივმართავთ საქართველოში აკრედიტირებულ ყველა დიპლომატიურ კორპუსს, ევროსაბჭოს, ევროკავშირს, ევროპარლამენს, დიდი რვიანის წევრ სახელმწიფოებსა და ყველას, რომ მხარში დაგვიდგნენ.

**სოფო გელაშვილი**

---

◀ლევიზიის ერთ-ერთი სახე, ოთხი წელია, ტელევიზორს აღარ უყურებს.

**— როგორ შეაფასებთ დღევანდელ სატელევიზიო სივრცეს?**

**ლუბა ელიაშვილი:**

— სამწუხაროდ, დაწვრილებით ვერაფერს გეტყვით, რადგან, სამი თუ ოთხი წელია, აღარ ვარ ტელევიზიის მაყურებელი. ძალიან ცოტა დარჩა სანახავი ტელევიზიით, ბოლო სამი წელია, განსაკუთრებით. მანამდე კიდევ შეიძლებოდა რაღაცის ნახვა და გაგება „იმედზე“. ახლა ტელევიზორს იმიტომ რთავ, რომ მოგატყუონ. ამდენად, ის, რისი ნახვაც მაინტერესებს, მაგალითად „კავკასიის“ ან „მაესტროსი“, ინტერნეტში ვნახულობ, დანარჩენი არხებისა რა მოგახსენოთ. რაც უნდა ლამაზად იყოს შეფუთული ტყუილი, ტყუილი ტყუილია და მითუმეტეს პროფესიონალისთვის — ძალიან იოლი შესამჩნევი, თუ როგორ არის ინფორმაცია აწყობილი საიმისოდ, რომ პროპაგანდად იქცეს და არა ფაქტები ასახოს.

**— თქვენ, როგორც პროფესიონალი, ამას, რა თქმა უნდა, ხვდებით, მაგრამ საზოგადოება თუ იჯერებს იმ ტყუილს, რასაც მას სთავაზობენ?**

— რაღაც დროის განმავლობაში იჯერებს და დაიჯერებს, მაგრამ საბოლოო ჯამში მოხდება ის, რაც — საბჭოთა კავშირში, როდესაც აღარავის სჯეროდა საბჭოთა ეკრანებიდან, პრესიდან წამოსული პროპაგანდის და ყველა ეძებდა ჩახშობილ არხებზე ინფორმაციას, ზოგი „ამერიკის ხმას“ უსმენდა, ზოგი რადიო „თავისუფლებას“ და ა.შ.

**— როგორ შეიძლება, რომ ქართული ტელევიზიები იქცნენ საზოგადოებრივ არხებად?**

— უნდა არსებობდეს მედიის პოლიტიკური ზეწოლისგან გათავისუფლების პოლიტიკური ნება. როგორც კი მედია გათავისუფლდება, ბუნებრივად დააყენებს ბაზარი თავის მოთხოვნილებებს და დადგება დრო ტელევიზიაში პროფესიონალების მისვლისა, ისეთი პროფესიონალებისა, ვინც მართლა გააკეთებს კარგ გადაცემებს. ის პროფესიონალებიც, რომლებიც დღეს მუშაობენ და, სამწუხაროდ, წნეხის ქვეშ ყოფნის გამო ვერ ახერხებენ თავიანთი ნიჭისა და უნარის სრულ გამოვლენას, მათაც მიეცემათ ამის საშუალება.

**სოფო გელაშვილი**

---

## რობინზონ მარგველანი:

# «მხედრიონმა» დაიწყო აფხაზეთში ძარცვა-გლეჯა...



ცოტა ხნის წინათ ქართულ ფორუმებზე გაჩნდა „მხედრიონის“ დანაშაულებრივი ქმედებების ამსახველი ვიდეომასალები. ამ დაჯგუფების სისასტიკე და თავგასულობა, მიუხედავად იმისა, რომ დიდი დრო გავიდა, ალბათ, საქართველოში ბევრს არ დავიწყებია. მაშინ ისედაც აწიოკებულ ქვეყანას „მხედრიონის“ დამარბეველმა ბანდებმა გადაუარეს და აფხაზებისგან გადარჩენილი ქონება დაიტაცეს. გარდა ყაჩაღობისა, მხედრიონელებს უამრავ სასტიკ დანაშაულში სდებდნენ ბრალს. მკვლელობა, გაუპატიურება, ძარცვა — ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ დანაშაულებისა, რომელთაც მხედრიონელები სჩადიოდნენ. მხედრიონელთა გარკვეულმა ნაწილმა სასჯელი მოიხადა, თუმცა ბევრმა მათგანმა თავისუფლება ვადაზე ადრე მოიპოვა, ბევრი კი პასუხისგებაში არ მიუციათ, მეტიც, დღეს ხელისუფლებაშიც კი გვყავს. საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მეუღლე „მხედრიონელთა გმირობებზე“ თურმე წიგნს ამზადებს და მასში პრეზიდენტის ქვრივი იმ დავალებაზე ისაუბრებს, რაც ამ დაჯგუფებას ჰქონდა მიცემული. ამის შესახებ მისი დისგან, ლელესგან შევიტყვეთ, თავად მანანა არჩვაძემ ჩვენთან საუბარი არ ისურვა. ამ წიგნში, ალბათ, უამრავი ფაქტი მოხვდება იმაზე, თუ როგორ ექცეოდნენ შეიარაღებული ბანდის წევრები მოქალაქეებს. „საქართველო და მსოფლიო“ „მხედრიონის“ როლსა და დანაშაულებზე ზვიად გამსახურდიას დაცვის უფროსს, რობინზონ მარგველანს ესაუბრა.

## ყველა უბედურების სათავე იყო «მხედრიონი»

**— ბატონო რობინზონ, „მხედრიონის“ თემა ისევ წამოტივტივდა, რა როლი და დანაშაული მიუძღვის ამ დაჯგუფებას ქვეყნის წინაშე?**

— „მხედრიონი“ რაც იყო, ყველასთვის ცნობილია, თუმცა იქ ვაჟკაცი ბიჭებიც იყვნენ, რომლებსაც ეგონათ, რომ დიდ საქმეს აკეთებდნენ, სინამდვილეში კი დღეს რა მდგომარეობაშიც არის ქვეყანა, ლომის წილი „მხედრიონს“ მიუძღვის. „მხედრიონი“ ძალიან ბევრ სიბინძურეს სჩადიოდა სამეგრელოში: წვავდნენ სახლებს, ხოცავდნენ, ძარცვავდნენ ხალხს; ქუჩას გადაკეტავდნენ თავსა და ბოლოში და ტვირთავდნენ მანქანებს. 800 მანქანა მარტო ზუგდიდიდან წამოიყვანეს და წითელ ხიდზე წამალში გაცვალეს.

**— ამ დაჯგუფებამ ხალხს აფხაზეთის ომზე არანაკლები ზიანი მიაყენა.**

— „მხედრიონმა“ დაიწყო აფხაზეთში ძარცვა-გლეჯა და ყველა უბედურების სათავე ის იყო, მაგრამ მე კიდევ ხაზს ვუსვამ: „მხედრიონში“ იყვნენ ვაჟკაცებიც, პატრიოტებიც, რომლებიც თავიანთ თანამებრძოლებს, რომლებსაც ასეთ უღირს საქციელზე მიუსწრებდნენ, ადგილზე უსწორდებოდნენ, ასეთი შემთხვევებიც ბევრი იყო. მახსენდება, ერთხელ ბატონი ზვიადი სამსახურიდან მიგვყავდა შესვენებაზე კოლხურ კოშკში (ეროვნული მოძრაობის დროს ზვიადის გვერდით ვინც ვტრიალებდით, **კოლხური კოშკის საძმო** გვერქვა, ფიცი გვქონდა ყველას დადებული) და ფილარმონიასთან გზა იყო გადაკეტილი მხედრიონელების მიერ. დაცვის უფროსი მაშინ იყო ანდრო კანკავა. ის საჭესთან იჯდა, მე — გვერდით, პრეზიდენტი კი — უკანა სავარძელზე. გავჩერდით, მხედრიონელებს მომართული ჰქონდათ ავტომატები, ვითომ ზვიადის აყვანა უნდოდათ. ანდრომ მითხრა, მიდი, ბიჭო, შენ იცნობ მაგათო. გადმოვხტი მანქანიდან ჩემი იარაღით და წავედი პირდაპირ მათკენ, ბევრნი იყვნენ, რომ დამინახეს, მითხრეს: რობინზონ, შენ ხარ დღეს ამათი ღმერთიო. ეს ბიჭები მიცნობდნენ, სამაჩაბლოში ვიბრძოდით ერთად. მაშინვე შებრუნდნენ და გზა გაგვიხსნეს.

**— „მხედრიონის“ ბევრი წარმომადგენელი იხდიდა სასჯელს, როგორ ფიქრობთ, რაც მათ ჩაიდინეს საქართველოს, ქართველი ხალხის წინაშე, ეს სასჯელი საკმარისია?**

— მე მორწმუნე კაცი ვარ, როცა აღსარებას აბარებ, გულახდილი უნდა იყო, თუ გულახდილად ჩააბარებ აღსარებას, უფალი მოგიტევებს და მე და შენ რა უფლება გვაქვს, არ მივუტევოთ? ღმერთი არავის დატოვებს უყურადღებოდ, ყველას თავისას მიუზღავს, თუ მოინანიეს, ალბათ, მიეტევებათ.

**— მანანა არჩვაძის დას ვკითხე, რა როლი შეასრულა-მეთქი „მხედრიონმა“ საქართველოში, მან მითხრა, როლი კი არა, დავალება შეასრულაო.**

— რა სახელს დავარქმევთ, მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ საქართველო დაანგრიეს, ეს დავალება იყო თუ როლის შესრულება, მნიშვნელობა არ აქვს. მაგრამ „მხედრიონში“ იყვნენ გზააბნეული ქართველი ვაჟკაცები, ბიჭები, რომლებსაც ეგონათ, რომ მამულისთვის იბრძოდნენ, სინამდვილეში მდინარის სულ სხვა ნაპირზე აღმოჩნდნენ და იქიდან უკანდასახევი გზაც აღარ ჰქონდა, ალბათ, ბევრს.

**— ბორის ლომაიამ, კახა ლომაიას მამამ, თქვა, რომ ჯაბა იოსელიანი ვარლამივით საფლავიდან უნდა ამოვთხაროთო. ჯაბა იოსელიანი, ალბათ, არ იყო მათ რიგებში, რომლებიც შემთხვევით მოხვდნენ „მხედრიონში“ და ეგონათ, მამულიშვილურ საქმეს აკეთებდნენ. მან, ალბათ, ყველაზე ზუსტად იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა „მხედრიონს“.**

— უკაცრავად, ჯაბა იოსელიანზე არც მითქვამს ეგ, მე უბრალო, მეომარ ბიჭებზე ვამბობ. იყო ასეთი ფაქტები: ბიჭი ციხეში ზის და მამას ეუბნებიან, მოდი, ჩაეწერე, წამოდი ჩემთან საომრად და შენს შვილს გამოვუშვებთო. რამდენი იყო ასეთი შემთხვევა, რამდენი ციხიდან გამოუშვეს, მისცეს ავტომატი, ბიჭებმა უთხრეს, ომში კი წავალთ, მაგრამ ხომ გვინდა რაღაცო? აგერ ავტომატი გაქვთ და რაც გინდათ, ჰქენითო, იყო პასუხი. ეს უფროსების ბრძანება იყო. კაცს, რომელიც ყაჩაღობისთვის ზის ციხეში, რომ გაათავისუფლებ და ავტომატს მისცემ, ის დაზოგავს ვინმეს?

ყველამ იცის, რა როლი შეასრულა „მხედრიონმა“ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობაში, ყველამ იცის „მხედრიონმა“ რა როლი შეასრულა აფხაზეთის დაკარგვაში, სამაჩაბლოს დაკარგვაში, მე რა უნდა ვთქვა, არც პროკურორი ვარ და არც მოსამართლე. თუმცა „მხედრიონის“ გარდა იქ გვარდიაც იყო... დიდი ფული იყო ჩადებული გადატრიალების მოსაწყობად. ჩვენ იარაღი არ გვქონდა, მაშინ სკოლაში სამხედრო მომზადება საგნად ისწავლებოდა და ყველა სკოლას ჰქონდათ სამი-ოთხი სასწავლო ავტომატი. სკოლებიდან გამოგვქონდა ეს იარაღი, ბიჭები როგორღაც შეაკეთებდნენ ხოლმე და იმით ვომობდით, ოთხ ტყვიას რომ გაისროდი, მეხუთე იჭედებოდა. ამათ კი ყოველ მეორე დღეს ახალ-ახალი „ბე ტე ერები“, ტექნიკა და ტყვია-წამალი ჰქონდათ. ერთ დღეს ბუნკერში ბრძოლის დროს 8 „ბე ტე ერი“ ავაფეთქეთ, მეორე დღეს 12 გამოიყვანეს.“

**იყო ასეთი ფაქტები: ბიჭი ციხეში ზის და მამას ეუბნებიან, მოდი, ჩაეწერე, წამოდი ჩემთან საომრად და შენს შვილს გამოვუშვებთო. რამდენი იყო ასეთი შემთხვევა, რამდენი ციხიდან გამოუშვეს, მისცეს ავტომატი, ბიჭებმა უთხრეს, ომში კი წავალთ, მაგრამ ხომ გვინდა რაღაცო? აგერ ავტომატი გაქვთ და რაც გინდათ, ჰქენითო, იყო პასუხი. ეს უფროსების ბრძანება იყო. კაცს, რომელიც ყაჩაღობისთვის ზის ციხეში, რომ გაათავისუფლებ და ავტომატს მისცემ, ის დაზოგავს ვინმეს?**

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# რუსული ფლოტის ძლიერება იზრდება

**„ფლოტი შეარაღებული ძალების ერთადერთი სახეობაა, რომელსაც მშვიდობიან დროს ჩვენი პოლიტიკის მხარდაჭერა შეუძლია“, — წერდა სსრკ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ლეგენდარული სარდალი ადმირალი სერგეი გორშკოვი. მართალია, „გორშკოვის ფლოტი“, რომელმაც „ცივი ომის“ წლებში საზღვაო სივრცეში აშშ-ის საზღვაო ძალების ბატონობა ეჭვქვეშ დააყენა, დღეს აღარ არსებობს, თუმცა ის ცვლილებები, რომლებიც მან ჩრდილოური ზესახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ფსიქოლოგიაში შეიტანა, მის მიერ შემუშავებული და დამკვიდრებული ოკეანური ფლოტის ფილოსოფია არ დაკარგულა. როგორც კი რუსეთმა, უმძიმესი კრიზისიდან თავის დაღწევა შეძლო, ის მაშინვე ფლოტის გაძლიერებას შეუდგა.**



„ЦАМТО“-ს ინფორმაციით, ვითარება დღეს, მიმდინარე პროგრამების მიხედვით, ასეთია:

**სამხედრო-საზღვაო ბაზები**: ნოვოროსიისკში სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობა 92 მილიარდი რუბლი დაჯდება. სამუშაოების დასრულება 2020 წლისთვის იგეგმება. დღეისთვის გამოყოფილია 13,5 მილიარდი რუბლი; მიმდინარეობს წყალქვეშა სამუშაოები, რომლებიც გაისად დასრულდება. სავარაუდოდ, ამ ბაზაზე განთავსდება შავი ზღვის ფლოტის ახალი ხომალდების ნაწილი, რომელთა შესახებ „საქართველო და მსოფლიო“ 18 აგვისტოს ნომერში წერდა.

ბაზა სირიაში, ტარტუსში, 2012 წლამდე განვითარდება როგორც ბაზირების პუნქტი, შემდეგ სრულფასოვანი ბაზის შექმნა დაიწყება. მოდერნიზაცია ტარტუსში მძიმე ხომალდების ბაზირების შესაძლებლობას ითვალისწინებს.

**ავიამზიდები:** რუსული ავიამზიდის ტექნიკური პროექტის შემუშავება 2010 წლის ბოლოსთვის დასრულდება. თუ პროგრამას შეფერხებები არ შეექმნება, პირველი ავიამზიდი ფლოტის შემადგენლობაში 2020 წლისათვის შევა.

**საშუალო ავიამზიდები (მძიმე ავიამზიდი კრეისერები):** 2012 წლისათვის დაიწყება ჩრდილოეთის ფლოტის „Адмирал Кузнецов“-ის მოდერნიზაცია, რომელიც 2017 წლამდე გაგრძელდება. მოდერნიზაციიის ფარგლებში სრულად გამოიცვლება ხომალდის შეირაღების სისტემები და რადიოელექტრონული მოწყობილობა. სავარაუდოდ, გაიზრდება მასზე ბაზირებული საფრენი აპარატების რაოდენობაც. დღეს კრეისერის ბორტზე შეიძლება იმყოფებოდეს 26 „Су-33“ და „МиГ-29К“, აგრეთვე, სუბმარინების წინააღმდეგ მოქმედი 24 ვერტმფრენი (18-„Ка-27“ ან „Ка-29“, ორი „Ка-27ПС“ და ოთხი „Ка-31“). მოდერნიზაციის პროცესში კრეისერი აღიჭურვება საზენიტო სარაკეტო-საარტილერიო კომპლექს „Пснцирь“-ის საზღვაო ვარიანტით.

**კრეისერები:** „Орлан“-ის კლასის 11442 პროექტის ყველა ატომური კრეისერი, კერძოდ კი „Адмирал Нахи- ▶

# ამერიკული იარაღი და ქართული კორუფცია

**გასულ კვირას ერთბაშად ორი ზესახელმწიფოს თავდაცვის მინისტრი საქართველოსთვის ამერიკული შეიარაღების მიწოდების თემას შეეხო. „ჩვენ ძალიან ფრთხილნი ვიყავით იმასთან დაკავშირებით, რასაც საქართველოს ვაწვდით. ჩვენ, ასევე, დაინტერესებულები ვართ იმით, რომ მივაწოდოთ საქართველოს საშუალებები, რომლითაც ის შეძლებს, ავღანეთში დახმარება აღმოგვიჩინოს. იმის დიდი ნაწილი, რასაც ჩვენ საქართველოში ვაკეთებთ (პირადი შემადგენლობის მომზადება და სხვა), ხდება იმიტომ, რომ თავად მათ (ქართველებს) სურთ, რომ ჩვენს ძალისხმევაში ავღანეთში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ“, — განაცხადა აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა.**



ვაშინგტონში ვიზიტად მყოფმა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი სერდიუკოვმა კი შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ აშშ ქართული არმიის შეირაღებას განაგრძობს. „ეს ჩვენ გვაშფოთებს და ხელს უშლის ჩვენს თანამშრომლობას აშშ-თან და ისრაელთან“, — თქვა მინისტრმა და დასძინა, რომ მისი უწყება საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების ანალიზს მუდმივად ახდენს. მისი თქმით, რუსეთს აქვს გეგმები, რომლებიც რეგიონში მოვლენათა განვითარების სხვადასხვა ვარიანტებს ითვალისწინებს. სერდიუკოვის აზრით, კრიზისული სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში, მისი გადაწყვეტა არა ხუთ დღეს, როგორც 2008-ში, არამედ ნაკლებ დროს მოითხოვს.

ამ განცხადებებს ორ კითხვამდე მივყავართ: დააწესა თუ არა ვაშინგტონმა ფაქტობრივი ემბარგო საქართველოსთვის შეიარაღების მიწოდებაზე? შეუძლია თუ არა სააკაშვილის ხელისუფლებას, გვერდი აუაროს არაფორმალურ აკრძალვას და საქართველოში ამერიკული შეიარაღების მსხვილი პარტია შემოიტანოს?

ამის თაობაზე საუბრისას სიცხადე საკითხში არც მიხეილ სააკაშვილმა შეიტანა, როდესაც „Newsweek“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში საკმაოდ ბუნდოვანი ფორმულირება გამოიყენა: „იმედი გვაქვს, რომ შეერთებული შტატები თავდაცვითი შეიარაღების პოტენციალის თვალსაზრისით დაგვეხმარება, თუმცა არ ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით რაიმე მკაფიო ვადა არსებობს“.

ეს შეფასება სავსებით ჯდება „Eurasianet“-ის მიერ განსაზღვრულ ჩარჩოებში: „ბოლო თვეებში საქართველოს ხელისუფლება ძალიან ვიწრო სივრცეში ბალანსირებას ცდილობს, ის აკრიტიკებს „ფაქტობრივ“ ემბარგოს შეიარაღების მოწოდებაზე და თან ცდილობს, რომ ეს სიტყვები ჩივილად არ იქნას აღქმული. საჯარო გამოსვლებისას სააკაშვილი ამ საკითხს უდიდესი სიფრთხილით უდგება“.

„Eurasianet-მა აღნიშნულ თემას ვრცელი პუბლიკაცია მიუძღვნა და რიგი საინტერესო, ხშირ შემთხვევაში კი თავზარდამცემ, ფაქტზე მიუთითა: „წარმოდგენას თბილისისთვის შეიარაღების მიწოდებაზე ეფექტური ემბარგოს არსებობის შესახებ ქმნის ლობისტური PR-სააგენტო „Orion Strategies, რომელიც საქართველოს უშიშროების საბჭომ დაიქირავა. ამ კომპანიის მფლობელი რენდი შენემანია, რესპუბლიკელების პარტიიდან აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის, ჯონ მაკეინის ყოფილი მრჩეველი საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში, ამჟამად კი — საერთაშორისო პოლიტიკის საკი- ▶

## ავღანეთი: გამოსავალი არ ჩანს



**„ნატომ უნდა გადასცეს „თალიბანს“ კონტროლი ავღანეთის სამხრეთსა და აღმოსავლეთზე, — განაცხადა ამერიკელმა დიპლომატმა რობერტ ბლეკვილმა, რომელიც ბუშის ადმინისტრაციაში ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის მოადგილის პოსტს იკავებდა: თალიბები იგებენ, ჩვენ კი ვაგებთ.** მათ მაღალი მორალური სულისკვეთება აქვთ და წინააღმდეგობას აგრძელებენ. გეგმა „ა“ (კოალიციის დღევანდელი სტრატეგია) წარუმატებლობას განიცდის, ამიტომ საჭიროა გეგმა „ბ“, კონტროლი ავღანეთის სამხრეთსა და აღმოსავლეთზე თალიბებს უნდა გადავცეთ. ფასი, რომელსაც ამერიკელები ამ სცენარზე უარის თქმისათვის გადაიხდიან, ძალზე მაღალი იქნება“.

## რუსული ტანკები ლიდერობენ



**რუსეთი მსოფლიოში ძირითადი საბრძოლო ტანკების მთავარი ექსპორტიორი გახდა. ბოლო სამი წლის განმავლობაში მან 482 ახალი 1,57 მილიარდი დოლარის ღირებულების ტანკი გაყიდა.** შეიარაღების ბაზრის ანალიზის ცენტრის პროგნოზით, 2010-13 წლებში უკვე დადებული კონტრაქტებისა და წინასწარი შეთანხმებების მიხედვით, რუსეთი უცხოელ მყიდველებს 859 ახალ ტანკს მიაწვდის, რომელთა საერთო ღირებულება 2,75 მილიარდ დოლარს შეადგენს. შემდგარი და დაგეგმილი გაყიდვების მიხედვით, მეორე ადგილს აშშ იკავებს, რომელმაც 2006-09 წლებში 209 „Abrams“-ი გაყიდა, ხოლო 2010-13 წლებში 298-ის გაყიდვას გეგმავს; მესამე ადგილზე გერმანიაა, შესაბამისად, 292 და 122 „Leopard 2“-ით.

## მსუბუქი, მაგრამ მრისხანე



**„BAE Systems“-მა ახალი მსუბუქი საბრძოლო მოდული დისტანციური მართვით „SD-ROW“ შექმნა.** ის პირველად გუშინ კეიპტაუნში გახსნილ შეიარაღებების გამოფენაზე „Africa Aerospace and Defence 2010“ წარმოადგინეს. მოდული შეიქმნა სპეციალურად მსუბუქად დაჯავშნულ მანქანებში მყოფი პერსონალის დაცვისთვის. შეირაღების კონფიგურაციიდან გამომდინარე, მისი მოქმედების სიშორე 600 მეტრს აღწევს. მოდულის მართვა ეკიპაჟის ერთ-ერთ წევრს შეეძლება და ამისთვის მანქანის შიგნით პოზიციის შეცვლა არ დასჭირდება. ძირითადი მახასიათებლები: სიმაღლე — 610 მმ. სიგანე — 470 მმ. წონა — 65 კგ. შეირაღების ჩათვლით, დამიზნების კუთხე-ვერტიკალით — -20-დან +80 გრად.; ჰორიზონტალით — -135-იდან +135 გრად.

## ისრაელის ფლოტს პრობლემები აქვს

**„რუსეთი შეასრულებს კონტრაქტს და სირიას ზებგერით ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებს, „П-800 Яхонт“-ს მიაწვდის“, — განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი სერდიუკოვმა.** მისი თქმით, კონტრაქტი ჯერ კიდევ 2007 წელს დაიდო და მისი გადახედვის წინაპირობა არ არსებობს. ისრაელი შეშფოთებას გამოთქვამს ამ კონტრაქტის გამო, რადგან შიშობს, რომ ეს რაკეტები არა სირიელი სამხედროების, არამედ ტერორისტების ხელში აღმოჩნდება. „П-800 Оникс“-ის („Яхонт“-ი საექსპორტო სახელწოდებაა) მოქმედების სიშორე კომბინირებული ტრაექტორიით 300 კილომეტრს, საბრძოლო ნაწილის მასა 270 კილოგრამს აღწევს. ამ რაკეტებს შეუძლიათ, ისრაელის საზღვაო ძალებს სერიოზული საფრთხე შეუქმნან.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ мов", „Адмирал Лазарев" და „Адмирал Ушаков" 2020 წლამდე ფლოტის საბრძოლო შემადგენლობაში დაბრუნდება. მათი მოდერნიზაციისთვის ნიმუში ამავე პროექტის კრეისერი „Петр Великий" იქნება. ეს პროგრამა მეტად ძვირადღირებული და შრომატევადი ჩანს, თუმცა მისი წარმატებული განხორციელების შემთხვევაში რუსეთის ფლოტის ძალა მნიშვნელოვნად გაიზრდება.


АДМИРАЛ КУЗНЕЦОВ

**საესკადრო ნაღმოსნები:** რუსეთში ახალი თაობის, „სტელსის" ტექნოლოგიაზე დაფუძნებული საესკადრო ნაღმოსნის შექმნაზე მუშაობა დაიწყო. პროექტის შემუშავება, სავარაუდოდ, 2,5 წელიწადში დასრულდება. წელს დასრულდა პროექტ 1155-ის საესკადრო ნაღმოსნის „Вице-адмирал Кулаков"-ის მოდერნიზაცია. სავარაუდოდ, ამავე ტიპის მოდერნიზაციას თანდათან ამავე პროექტის 7 ხომალდი გაივლის (არის კიდევ ერთი გაუმჯობესებული 11551 პროექტის საესკადრო ნაღმოსანი „Адмирал Чабаненко" და ამავე კლასის 956 პროექტის 7 ხომალდი).

**ფრეგატები:** ოქტომბერში დასრულდება პროექტ 22350 პირველი ხომალდის „Адмирал Горшков"-ის აგება. მოდევნო წელს აიგება ამავე პროექტის „Адмирал Касатонов"-ი. გადაწყვეტილებას სერიის გაგრძელების შესახებ უახლოეს მომავალში მიიღებენ.

**კორვეტები:** რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობა მიიჩნევს, რომ ფლოტს ამ კლასის 30 ხომალდი ესაჭიროება. სავარაუდოდ, უახლოეს პერსპექტივაში ეს 20380 პროექტის ხომალდები იქნება. ორი მათგანი „Стерегущий" და „Сообразительный" უკვე მზად არის; კიდევ სამი — აგების სტადიაშია. ზოგიერთი მონაცემის თანახმად, რუსეთის თავდაცვის სამინისტრო კონკურსისთვის ემზადება, სადაც პერსპექტიული კორვეტის ახალი გეგმა უნდა გამოავლინოს.

**უნივერსალური სადესანტო ხომალდები:** რუსეთი საზღვარგარეთ რამდენიმე ასეთი ხომალდის შეძენას გეგმავს. მიმდინარეობს მოლაპარაკებები საფრანგეთთან ოთხი „Mistral"-ის ტიპის ხომალდის თაობაზე, შესაძლებელია ესპანური „Juan Carlos"-ის და ჰოლანდიური „Johan de Witt"-ის შეძენაც.

რუსეთი აქტიურად განაგრძობს სარაკეტო კატარღებისა და სადესანტო ხომალდების აგებას, მათ შორის უნდა გამოვყოთ 11711 პროექტის დიდი სადესანტო ხომალდები; ორი მათგანი მწყობრში, სავარაუდოდ, უახლოეს 2-3 წელიწადში შევა. აგრეთვე, იგება ოკენოგრაფიული და მომარაგების ხომალდები და კავშირგაბმულობის სპეციალური ხომალდი.


ПЕТР ВЕЛИКИЙ

რუსეთის წყალქვეშა ფლოტი ცალკე, ვრცელ თემას წარმოადგენს; მის მდგომარეობასა და განვითარების პერსპექტივებს უახლოეს მომავალში განვიხილავთ. პროგრამების მიმდინარეობა იმაზე მიუთითებს, რომ XXI საუკუნის 20-30-იან წლებში რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალები შეერთებული შტატებისთვის ისეთივე მრისხნე და ანგარიშგასაწევი ძალა გახდება, როგორიც საბჭოთა სამხედრო ფლოტი ადმირალ გორშკოვის სარდლობის წლებში იყო.

---

◀ თხებში ვიცე-პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის, სარა პეილინის მრჩეველი".

უნდა აღინიშნოს, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" მონაცემების თანახმად, „Orion Strategies-ი საქართველოს მთავრობასა და უშიშროების საბჭოსთან 2004 წლიდან მუშაობს. ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ამ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მან 800 ათასი დოლარი მიიღო. თუ „Eurasianet"-ის ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება, გამოდის, რომ ქართველი გადამხდელი იხდის ფულს აშშ-ში საქართველოსთვის იარაღის მიწოდებაზე ფაქტობრივი ემბარგოს არსებობის შესახებ აზრის გავრცელებაში(!), რაც ყოველგვარ ლოგიკას ეწინააღმდეგება.

„Eurasianet-მა „Orion Strategies-სგან ოთხი შეთანხმების ნიმუში მიიღო, რომლებიც, მისი წარმომადგენლების თქმით, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაიბლოკა. „ორმა კომპანიამ — „General Dynamics-მა და „AM General-მა კომენტარზე, უარი განაცხადეს. ორი სხვა ფირმის წარმომადგენლებმა კი აღნიშნეს, რომ „Orion-ის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არასწორია და სახელმწიფო დეპარტამენტს გარიგება არ დაუბლოკავს".

უაღრესად საინტერესო „Arms Tech"-ის პრეზიდენტის, ჯოზეფ რუსტიკის კომენტარი იყო, რომლის კომპანია საქართველოსთვის მართვადი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების („Claymore") წარმოებისთვის ემზადებოდა. „თუმცა ეს გარიგება შეაჩერეს, როდესაც შუამავალს ისრაელიდან, ოფერ პაზს, რომელიც შესყიდვების შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებდა, აშშ-ის ფედერალურმა პროკურატურამ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჩინოვნიკების კორუფციული მოსყიდვის სქემაში მონაწილეობაში ბრალი წაუყენა, რომელიც ითვალისწინებდა მათ მიერ არმიისთვის შეირაღებისა და სურსათის შეძენას გაბერილი ფასებით. ჯოზეფ რუსტიკის თქმით, პაზს ბრალი წაუყენეს სწორედ მაშინ, როდესაც გარიგება კომპანია „Arms Tech"-ის მიერ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების წარმოების შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტში განიხილებოდა. კომპანიამ მიიღო 2010 წლის 19 მარტით დათარიღებული წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო: „გაცნობებთ, რომ თქვენი მიმართვების განხილვის პროცესში, იმ მიზეზების გამო, რომელიც თქვენს კომპანიასთან არ არის დაკავშირებული, თქვენი უცხოელი პარტნიორი კომპანია „Paz Logistics"-ი იმ კომპანიათა რიცხვში მოხვდა, რომელთა მიმართვას უარი უნდა ეთქვას". ჯოზეფ რუსტიკის თქმით, ამის შემდეგ მან პირდაპირ მიმართა საქართველოს თავდაცვის უწყების წარმომადგენლებს და მათ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების შეძენა შესთავაზა შუამავლის გარეშე. არაოფიციალურად მე მათგან მივიღე პასუხი: „ჩვენ დაინტერესებულები არ ვართ", — თქვა ჯეიმს რუსტიკმა". ცხადია, ამ ისტორიამ შეიძლება სერიზოული დამატებითი არგუმენტები მისცეს ადამიანებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სააკაშვილის მმართველობის წლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კორუფციის ბუდედ გადაიქცაო.



პენტაგონის წარმომადგენელმა სელესტა უოლანდერმა ამ თემასთან დაკავშირებით შემდეგი კომენტარი გააკეთა: „საქართველო მზად არ არის იმ თავდაცვითი შეირაღების მიღებისათვის, რომელზეც პრეზიდენტი სააკაშვილი საუბრობს. მომავალში ასეთი რამ გამორიცხული არ არის, თუმცა ამჟამად შეერთებული შტატები არ თვლის, რომ საქართველო მსგავსი შესყიდვებისთვის მზად არის".

---

## ლადო სადღობელაშვილი:

# კოკო გამსახურდია ხელისუფლებასთანაა შეკრული

**ლადო სადღობელაშვილი პარტია „თავისუფლების" ყოფილი წევრია. პარტიიდან წამოსვლის მიზეზად იგი იქ შექმნილ არაჯანსაღ სიტუაციას ასახელებს. თვლის, რომ კოკო გამსახურდია ხელისუფლებასთან დაახლოებული პირია და ვერ ხსნის, რატომ გაიწელა ასე საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებათა გამოძიება.**



**— რა კომპრომატებია თქვენთვის ცნობილი კოკო გამსახურდიას წინააღმდეგ? რით შეგიძლიათ დაამტკიცოთ, რომ ხელისუფლებასთანაა შეკრული?**

— მოგეხსენებათ, ამასწინათ გავაკეთე განცხადება კოკო გამსახურდიას პარტია „თავისუფლებიდან" წამოსვლაზე. ჩემი გადაწყვეტილება რამდენიმე მიზეზმა განაპირობა. ჯერ ერთი, საკრებულოს არჩევნების პერიოდი მინდა გავიხსენო, როდესაც ბატონი კოკო მოსახლეობასთან შეხვედრებს ატარებდა. სწორედ ამ შეხვედრებიდან რამდენიმე პარტიის წევრმა, კერძოდ მე, ზაზა კიკაბიძემ და მიხეილ ამისულაშვილმა დავასკვენით, რომ საქმე „სუფთად" არ იყო. მოგეხსენებათ, მოსახლეობასთან შეხვედრისას და მითუმეტეს არჩევნების პერიოდში პარტიის ლიდერი მოწადინებული უნდა იყოს, ხალხის ნდობა მოიპოვოს, რასაც კოკოს საუბრებიდან და საქციელიდან ვერ დაასკვნიდი. საქმე ისაა, რომ მოსახლეობასთან შეხვედრისას მას ერთი საოცარი ფრაზა ეკერა პირზე, რაც საზოგადოებაში უკურეაქციებს იწვევდა. „უსაქმოდ ჯდომას, უშედეგო ბრძოლა სჯობსო" — აი, ამ ფრაზაზეა საუბარი. გაოცებული საზოგადოება პარტიის სხვა წევრებს სთხოვდა ამ ფრაზის ახსნას.

მინდა გავიხსენო ცოტნე გამსახურდიას დაკავების პერიოდი და კოკოს უმოქმედობა. ვგულისხმობ კონსტანტინეს გულგრილ დამოკიდებულებას მისი ძმის ამბავთან. აი, მაგალითად, ეკა ბესელიამ იბრძოლა და მიაღწია მიზანს. დღეს მისი შვილი და ძმა თავისუფლები არიან, კოკომ რა ქნა? ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სასამართლო პროცესების დროს დაიწყო პარლამენტარების ხელმოწერების შეგროვება, რაც, ფაქტობრივად, უშედეგოდ დასრულდა. ამასთანავე, კანონმდებლობა ამ სიტუაციაში, სანამ სასამართლო საბოლოო განაჩენს არ გამოიტანს, უძლურია.

მახსენდება, ასევე, კოკოს მოტივაცია პარლამენტში მის შესვლასთან დაკავშირებითაც. საქმე ეხებოდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული მიზეზების გამოძიებას. ამ კომისიის შექმნის შემდგომ გავიდა 9 თვე, თუმცა სერიოზული შედეგი არ ჩანს. არ არის კონკრეტული გვარები და სახელები. მხოლოდ ისაა მნიშვნელოვანი, რომ ექსპერტიზამ დაადგინა, გამსახურდია მოკლულია. ეს საქართველოს მოსახლეობამ ისედაც იცოდა. ამას ცხრა თვე არ სჭირდებოდა. ამ მასალის გამოძიებას სამი თვეც ეყოფოდა, ანუ საქმე გვაქვს შეგნებულ დროის გაწელვასთან, რადგან ამ შემთხვევაში შესაბამისად ხელფასიც დიდია. კოკო გამსახურდია ხელისუფლებასთანაა შეკრული და თანაც საკუთარი მამის სიკვდილის გარემოებების გამოძიებასთან დაკავშირებით.

**მეოთხე და ყველაზე მთავარი მიზეზი ისაა, რომ ადგილობრივი საკრებულოს არჩევნების დროს, მესამე ნომრად პარტიულ სიაში ეწერა კოკოს ცოლის ძმა — კარლო ბარდაველიძე, რომელიც ამავე დროს საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატი იყო. არჩევნების დასრულებისას ეს ადამიანი კონტროლის პალატის ერთ-ერთ ხელმძღვანელ პოსტზე დაინიშნა. არის თუ არა ეს ხელისუფლებასთან უშუალო კავშირი? მეტსაც გეტყვით, კოკო ბატონი თითქმის მუხლებზე ჩოქვით ევედრებოდა რამდენიმე მაღალჩინოსანს, ჩემი ცოლის ძმა სამსახურში მოაწყვეთო.**

მეოთხე და ყველაზე მთავარი მიზეზი ისაა, რომ ადგილობრივი საკრებულოს არჩევნების დროს, მესამე ნომრად პარტიულ სიაში ეწერა კოკოს ცოლის ძმა — კარლო ბარდაველიძე, რომელიც ამავე დროს საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატი იყო. არჩევნების დასრულებისას ეს ადამიანი კონტროლის პალატის ერთ-ერთ ხელმძღვანელ პოსტზე დაინიშნა. არის თუ არა ეს ხელისუფლებასთან უშუალო კავშირი? მეტსაც გეტყვით, კოკო ბატონი თითქმის მუხლებზე ჩოქვით ევედრებოდა რამდენიმე მაღალჩინოსანს, ჩემი ცოლის ძმა სამსახურში მოაწყვეთო. ამასთანავე, მინდა აღვნიშნო, რომ დღეს პარტია „თავისუფლება", ფაქტობრივად, აღარ არსებობს. არ არსებობს პარტიის ოფისი და აქტივი. პარლამენტის 317-ე ოთახი და მხოლოდ 3-4 იქ დასაქმებული პიროვნება არის დღეს პარტია „თავისუფლება".

**— კოკო გამსახურდია თვითონ ადანაშაულებს დაცვის უფროს რობინზონ მარგველანს ხელისუფლებასთან კავშირში, ეს როგორ ავხსნათ?**

— კი, ბატონო, ადანაშაულებს. თუმცა მე სერიოზული ეჭვი და ამ ეჭვის დამამტკიცებელი ფაქტები მოვიყვანე, რომ კოკო გამსახურდია პარტიის რესურსს იყენებდა ნათესავების კეთილდღეობისათვის. ამასთან, რესურსში მე მხოლოდ პიროვნებებს არ ვგულისხმობ. აქ საუბარი იმ 100 000 ლარზეცაა, რომელიც ხელისუფლებამ „კარდაკარისთვის" დაარიგა, თუმცა ეს „კარდაკარის" აქცია „თავისუფლებამ" მხოლოდ რუსთავში გააკეთა. პასუხს კი კაციშვილი არ სთხოვს ამ თანხებზე.

**— კოკო გამსახურდიას გარდა, ვის თვლით ხელისუფლებასთან „კარგ ურთიერთობაში" შემჩნეულ ოპოზიციონერად?**

— მე რაც ვნახე, იმაზე შემიძლია საუბარი. თუმცა დღეს რომ ოპოზიცია ჭრელია, ალბათ, ბევრი დამეთანხმება. ვგულისხმობ იგივე „ჰალსტუკიან ხვლიკს" და „ხალიან ვაჟკაცს".

**ლილი მიროტაძე**

**კოკო გამსახურდია პარტიის რესურსს იყენებდა ნათესავების კეთილდღეობისათვის. ამასთან, რესურსში მე მხოლოდ პიროვნებებს არ ვგულისხმობ. აქ საუბარი იმ 100 000 ლარზეცაა, რომელიც ხელისუფლებამ „კარდაკარისთვის" დაარიგა, თუმცა ეს „კარდაკარის" აქცია „თავისუფლებამ" მხოლოდ რუსთავში გააკეთა. პასუხს კი კაციშვილი არ სთხოვს ამ თანხებზე.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ნანა კაკაბაძე:

# არ გამიკვირდება, თუ კანონში იმასაც ჩაწერენ, რომ პოლიციელი უფლებამოსილია, ადამიანებს სახლებში შეუვარდეს და ოჯახები დააწიოკოს

**„პოლიციის შესახებ კანონში“ შეტანილი ცვლილებების თაობაზე, რომლებიც სამართალდამცავთათვის „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე, მოქალაქის შეჩერებისა და ზედაპირული ჩხრეკის უფლების მინიჭებას გულისხმობს, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ადამიანის უფლებათა დამცველი, ადვოკატი ნანა კაკაბაძე.**

**— ქალბატონო ნანა, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ სამართალდამცავთა უფლებების გაზრდის შესახებ ინიცირებულ კანონპროექტში შავით თეთრზე წერია, რომ „პოლიციელი უფლებამოსილია, შეაჩეროს პირი, თუ არსებობს გონივრული ეჭვი მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ“. თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე და რაში მდგომარეობს ამ ცვლილებების მთავარი არსი?**

— ამჟამად ჩვენს კანონმდებლობაში შედის ცვლილებები, რომელსაც აბსოლუტურად სხვა გზით მიჰყავს ქვეყანა, რათა დეკლარირებული დემოკრატია, რაზეც ხელისუფლება ყბადაღებული საუბრობს და მეორეც — ის რეალობა, რომელშიც სინამდვილეში ვიმყოფებით, არის პოლიციაზე დამყარებული დიქტატურა, რეჟიმი, რომელიც შემოიჭრა აბსოლუტურად ყველა სფეროში და რომელიც შთანთქავს ყველაფერს.

რაც შეეხება „პოლიციის შესახებ კანონში“ შეტანილ ახალ მუხლებს, არ ვიცი, ამ პროექტის ავტორები როგორ ასხვავებენ ერთმანეთისგან გონივრულსა და უგუნურ ეჭვებს, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ფაქტია, ამ კანონის მიხედვით, ჩვენს ე.წ. სამართალდამცავებს ენიჭებათ შეუზღუდავი უფლებები და კაცმა არ იცის, რომელი პოლიციელი როგორ გამოიყენებს ამ უფლებებს. ეს სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ ხელისუფლება დღითიდღე უკონტროლო ხდება, თუმცა პირადად ჩემთვის ამ კანონის მიღება მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ქვეყანაში, სადაც პოლიციური რეჟიმი სკოლებსა და საბავშვო ბაღებს შეეხება, ასეთი რამ ნამდვილად არ უნდა გვიკვირდეს...

**— ისე, ცოტა არ იყოს, გაუგებარია, რაში სჭირდებოდა ხელისუფლებას ეს კანონი, როცა პოლიცია უამისოდაც „მშვენივრად“ ახერხებდა მოქალაქეების ჩხრეკას...**

— ამ კანონის შემოღების აუცილებლობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ამის გარეშე პოლიციელი მოქალაქეს ვერ ჩხრეკდა, არამედ დღეს, უბრალოდ, ხელისუფლება ცდილობს, დააკანონოს და კონსტიტუციის ჩარჩოებში მოაქციოს ყველა ის ქმედება, რასაც დღემდე კანონდარღვევით სჩადიოდა. თანაც ამას საჭიროების მიხედვით აკეთებენ. მაგალითად, შარშანდელი ოთხთვიანი საპროტესტო გამოსვლების შემდეგ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ისეთი ცვლილებები შეიტანეს, რომ ლამის ქვეყანაში მშვიდობიანი მანიფესტაციის გამართვა კანონით აიკრძალა. ასევე მოირგეს და თავიანთი ნებასურვილის მიხედვით გადააკეთ-გადმოაკეთეს საარჩევნო კანონიც და მთლიანად კონსტიტუციაც... ერთი სიტყვით, მთელი ე. წ. ცვლილებები კანონმდებლობაში გათვლილია იმაზე, რომ, რაც უნდა უმსგავსობა ჩაიდინოს ხელისუფლებამ, საზოგადოება ყველაფერს შეხვდეს მშვიდად, აუღელვებლად და ხალხმა ჩათვალოს, რომ ყველაფერი, რასაც სააკაშვილი და მისი გარემოცვა აკეთებს, კანონიერია...

**— ისე, სხვა რომელიმე ქვეყანაში თუ არსებობს „გონივრული ეჭვის“ მსგავსი რაიმე კანონი?**

— ყოველ შემთხვევაში, იმ ცივილიზებული, დემოკრატიული ქვეყნებიდან, რომლებთანაც საქართველოს პარტნიორული ურთიერთობა აქვს, არსად ასეთი კანონი არ მოქმედებს და არც არასდროს ყოფილა. ეს არის გაუგონარი, ყოვლად უპრეცენდენტო შემთხვევა და სიმართლე გითხრათ, მიკვირს, როცა იგივე დემოკრატული დასავლეთის ლიდერებიც ამაზე თვალს ხუჭავენ. ერთადერთი, ვისაც ამ ხელისუფლებაზე რაიმე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, სწორედ ისინი არიან, მაგრამ, როგორც ჩანს, მათთვის მთავარი პოლიტიკაა და არა ის ღირებულებები, რომლებსაც საქვეყნოდ ქადაგებენ — დემოკრატია და ადამიანის უფლებები... სხვათაშორის, ამ ლიდერებმა თავის დროზე საკმაოდ ბევრი იღვაწეს იმისათვის, რომ ჩვენი საზოგადოება დასუსტებულიყო და ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც მიზანს — დღეს ქართველი ხალხი მთლიანად მოწყვეტილია ხელისუფლების კონტროლს და, შესაბამისად, ხელისუფლებაც იმას აკეთებს, რაც მოუნდება...

**— იქნებ, ჩვენს დასავლელ პარტნიორებს არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რაც აქ ხდება...**

— ამას ბევრი ამბობს, მაგრამ ეს აბსურდია, იმიტომ, რომ აქ არის მათი სამსახურები, საელჩოები და შეუძლებელია, ვერ ხედავდნენ, რა მდგომარეობაა ქვეყანაში, თუნდაც დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, ისინი ყველაფერს ხედავენ და ყველაფერი იციან, მაგრამ, როგორც გითხარით, მათთვის მთავარი პოლიტიკური ინტერესებია, დემოკრატია და ადამიანის უფლებები კი ჩვეულებრივი სამანიპულაციო თემებია, რომლითაც საზოგადოებას თვალში მუდმივად ნაცარს აყრიან.

**— რაც შეეხება ისევ „პოლიციის შესახებ კანონში“ შეტანილ ცვლილებებს, ამბობენ, ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგა, რომ ოქტომბრიდან ოპოზიცია საპროტესტო ტალღის აგორებას აპირებსო. თქვენი აზრით, რამდენად საფუძვლიანია ეს მოსაზრება?**

— ბოლო სამი წლის გამოცდილებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება სავსებით ლოგიკურია... დღეს ხელისუფლებას საზოგადოების მიმართ პანიკური შიში აქვს. პირადად სააკაშვილს, ალბათ, ყოველ ღამე ესიზმრება, თუ როგორ ამხობენ მის ხელისუფლებას, როგორ ასამართლებენ მას და მისი გარემოცვის წევრებს. ამიტომაც ღებულობენ ახალ-ახალ კანონებს, შეაქვთ ცვლილებები კონსტიტუციაში და ცდილობენ, მუდმივი სტრესისა და ტერორის ქვეშ ამყოფონ საზოგადოება...



**— იქნებ, ტერორი არაფერ შუაშია და მართლაც ობიექტური საჭიროება მოითხოვდა კანონის გამკაცრებას... თუ არის თქვენთვის ცნობილი, რა ვითარებაა ამჟამად საქართველოში კრიმინოგენული თვალსაზრისით?**

— სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვითონ ხელისუფლების წარმომადგენლები ტრაბახობენ, ჩვენი რეფორმების წყალობით ქვეყანაში დანაშაულთა რაოდენობა მინიმუმამდე შემცირდაო. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: თუ ეს ასეა, რა საჭიროა სამართალდამცავთა უფლებების ესოდენ უსაზღვროდ გაზრდა და კანონის გამკაცრება, მით უმეტეს, როგორც სააკაშვილი აცხადებს ხოლმე, თუ პოლიციას საზოგადოების ოთხმოცი პროცენტი ენდობა?! საქმე ისაა, რომ ხელისუფლებას, ბოდიში და, სულ ცალ ფეხზე ჰკიდია კრიმინოგენული ვითარება. მისი მთავარი ამოცანა ის არის, რომ საზოგადოებას უთხრას, კანონი ჩემს ხელთაა, ძალაუფლებაც მე მაქვს და წყნარად იყავით, თორემ შავ დღეს დაგაყრითო. სამწუხაროდ, საზოგადოებაც მორჩილად იტანს ამ ყველაფერს და ნაწილობრივ, ალბათ, ამითაც არის ხელისუფლების თავგასულობა, თვითნებობა განპირობებული...

**საქმე ისაა, რომ ხელისუფლებას, ბოდიში და, სულ ცალ ფეხზე ჰკიდია კრიმინოგენული ვითარება. მისი მთავარი ამოცანა ის არის, რომ საზოგადოებას უთხრას, კანონი ჩემს ხელთაა, ძალაუფლებაც მე მაქვს და წყნარად იყავით, თორემ შავ დღეს დაგაყრითო. სამწუხაროდ, საზოგადოებაც მორჩილად იტანს ამ ყველაფერს**

**— საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებში რამდენად ჯდება ეს კანონი?**

— არავითარი სამართლებრივი ნორმები, ეს არის ანტიკონსტიტუციური ანომალია, რომლის მსგავსიც არ არსებობს არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში. ჩაიხედონ ერთი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში და ნახონ, როგორაა განმარტებული სიტყვა ეჭვი. იქნება გაუნათდეთ კიდეც გონება და მიხვდნენ, რომ ეს არ არის რაღაც კონკრეტულ მტკიცებულებებზე დამყარებული მოტივი, რის საფუძველზეც შეიძლება ადამიანი შეაჩერო და გაჩხრიკო, თუმცა ეს ისედაც კარგად იციან...

**— რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ კანონის შემოღებას? ანუ როგორ აისახება რეალობაში ეს ცვლილება?**

— შედეგები იქნება ის, რომ მივიღებთ ათმაგად და ოცმაგად უფრო მოძალადე პოლიციას. გაიზრდება პატიმართა რაოდენობა და თითოეულ მოქალაქეს მუდმივად ექნება შიში, ვაი თუ ქუჩაში გავიდეს და შინ დაბრუნების ნაცვლად საპყრობილეში ამოჰყოს თავი. ეს ე. წ. კანონი ამის ყველანაირ პირობას ქმნის, იმიტომ, რომ მასში წერია, პოლიციელი უფლებამოსილია, გონივრული ეჭვის საფუძველზე მოქალაქე გაჩხრიკოსო, რაც სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი ისედაც გათამამებული სამართალდამცავებისთვის იმის ჩანერგვა, რომ მათ ყველაფერი შეუძლიათ და ყველაფრის უფლება აქვთ.

**— მაინც მგონია, რომ ეს კანონი ოპოზიციურ ძალებზე ზეგავლენის მოსახდენად უფროა მიღებული, ვიდრე რიგით მოქალაქეებზე.**

— იცით რა, როცა პოლიციელს კანონში ჩაუწერ, ვინც გინდა დაიჭირე, ყველაფერი შენზე და შენს გონივრულ ეჭვებზეა დამოკიდებულიო, მერე ამ პოლიციელისგან მართლა ყველაფერია მოსალოდნელი. ნუ გვექნება იმის მოლოდინი, რომ რომელიმე მათგანში პატრიოტიზმის გრძნობა გაიღვიძებს და უარს იტყვის თავის სამსახურზე. ეს არ მოხდება, იმიტომ, რომ ხელისუფლებამ უკვე საკმარისად შეაღწია მათ გულებში და სამარადჟამოდ მოაჯადოვა თითოეული პოლიციელი...

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ საზოგადოებამ რა შეიძლება დაუპირისპიროს ხელისუფლების მოქმედებებს? რა შესაძლებლობები რჩება ხალხს თუნდაც ამ „გონივრული ეჭვის“ კანონის წინააღმდეგ საბრძოლველად?**

— მე არა ერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, თუ საზოგადოება ისევ ცოცხალია, თუ ხალხს, ერს შესწევს იმის ძალა, რომ ხმა აღიმაღლოს და აღსდგეს ამ ტოტალური უკანონობის, რეჟიმის წინააღმდეგ, უნდა გავერთიანდეთ და ვიბრძოლოთ ბოლომდე. სხვა გზა და გამოსავალი, სამწუხაროდ, არ არსებობს, ვინაიდან საქმე გვაქვს ხელისუფლებასთან, რომლისგანაც ყველაფერია მოსალოდნელი.

შეიძლება ვიღაცას გაეცინოს, მაგრამ ამათ შემყურეს არც ის გამიკვირდება, თუ ხვალ და ზეგ კანონში იმასაც ჩაწერენ, რომ პოლიციელი უფლებამოსილია, ადამიანებს სახლებში შეუვარდეს და ოჯახები დააწიოკოსო. სამწუხაროდ, მაგრამ ეს რეალობაა და, თუ ამ რეალობას ახლო ხანებში ვერ შევცვლით, მე პირადად ქვეყნის მომავალს ვერ ვხედავ...

**ჯაბა ჟვანია**

## მოკლედ



### პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროექტი

**„ვფიქრობთ, ხალხის მიერ პრეზიდენტის გადაყენების უფლებამოსილების თავის თავზე აღება ერთადერთი სწორი და მშვიდობიანი გამოსავალია შექმნილ ვითარებაში. ამ დოკუმენტის დანიშნულებაა, ნათელი გახადოს, რომ ხელისუფლების შეცვლა ხალხისა და მით უმეტეს ცალკეული პოლიტიკური ძალების უპასუხისმგებლო ახირება კი არა, ობიექტურად არსებული უკიდურესი აუცილებლობაა“.**

ამ განცხადებით „თეთრებმა“ ხელისუფლებისადმი უნდობლობის გამოცხადებისა და პრეზიდენტის იმპიჩმენტის დოკუმენტების პროექტები გამოაქვეყნეს. მათი სურვილია, რომ აღნიშნულ დოკუმენტებს საქართველოს ყველა მოქალაქე გაეცნოს, თუ საჭიროა, ცვლილებებიც შეიტანოს და შემდეგ კი უნდობლობის პროცესი რეალურად დაიწყოს.




### კალანდაძის პასუხი სერდიუკოვს

**„ყველამ კარგად იცის, რომ ეს აბსურდია... საქართველო ვინმეს წინააღმდეგ აგრესიას არასდროს გეგმავდა და არც მომავალში აპირებს“.**

ასე გამოეხმაურა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე რუსეთის თავდაცვის მინისტრის, ანატოლი სერდიუკოვის განცხადებას საქართველოს მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის შესახებ. შეგახსენებთ, რომ რუსეთის თავდაცვის მინისტრის, ანატოლი სერდიუკოვის განცხადებით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კრიზისული სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში იგი ძალიან მოკლე დროში გადაწყდება და არა ხუთ დღეში, როგორც 2008 წელს მოხდა. გარდა ამისა, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა შეშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ „აშშ ქართული არმიის შეიარაღებას აგრძელებს“.

# დაჭერილებისა და დასაჭერების მასობრივი ვაქცინაცია

**კორუფციას ვებრძვით და საცაა, ბოლოს მოვუღებთო, — ისე უხაროდა საქართველოს პრეზიდენტს, როცა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის, ნიკოლოზ ფრუიძის დაკავების ამბავი შეიტყო, თითქოს კორუმპირებულებს უმაღლეს სახელისუფლო თანამდებობებზე ის კი არა, მე ვნიშნავდე. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილმა ზუსტად არც კი იცის, ანალოგიური ბრალდებით რამდენი მაღალჩინოსანია დაპატიმრებული და მის უახლოეს გარემოცვაში კიდევ რამდენია დასაჭერი.**

ყველაზე მსხვილი ჩინოსანი, რომელსაც მიშამ ანტიკორუფციული ვაქცინა შეუშხაპუნა, „თავიდან რკინის", „შემდეგ პლასტმასის" და „ბოლოს რეზინის ირაკლი" იყო, ოქრუაშვილს ვგულისხმობ, რომელიც იმ პერიოდში შიშის ზარს სცემდა ყველას, თქვენ წარმოიდგინეთ, პრეზიდენტსაც კი! ცხადია, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ფრუიძე ასეთი გაქანების კაცი არ არის, მაგრამ, როგორც გამოძიება ირწმუნება, კორუფციული გარიგებებისა და „ლევი ფულის" კეთების საქმეში მას ბადალი არ ჰყავს.

თურმე მინისტრის მოადგილემ თანამდებობრივ უფლებამოსილებას გადაამეტა. მისი დახმარებითა და ლობირებით „ვაქცინების ტენდერში" გამარჯვებულად შპს „ენ ფარმი+" გამოცხადდა. „ენ ფარმი+"-ის დამაარსებელმა, ზურაბ ნატროშვილმა ფრუიძეს „ამაგი" 25 ათასი დოლარით დაუფასა, თვითონ კი 700 ათასი ჩაიდო და... დაიჭირეს.

**სიმართლე გითხრათ, ნიკოლოზ ფრუიძისა და ვაქცინების ისტორიაზე მეტად ის მაინტერესებს, თუ სად იყო და „რასა იქმოდა" ყოფილი ჯანდაცვის მინისტრი სანდრო კვიტაშვილი მაშინ, როცა მისი მოადგილე „აკრძალული ილეთებით" ფულს შოულობდა? ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, იმ დროს მინისტრ კვიტაშვილს ღრმად ეძინა და, როცა გამოიღვიძა, უკვე სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი იყო. ასე რომ, სანდროს არც არაფერი გაუგია და არც არავინ დაუნახავს.**

თუმცა ამ ვერსიაში არის ისეთი მომენტები, რომლებიც საფუძვლიანი ეჭვებს „ბადებს". მაგალითად, თუ მინისტრს ეძინა, მაშინ კეთილი ინებოს და გამოღვიძებულმა სრულად და ამომწურავად მოგვიყვეს იმ სიზმრების შესახებ, რომლებსაც სექტანტურ წარმოსახვებში ნახულობდა.

**(ჰო, სიტყვა სექტანტი შემთხვევით არ წამომცდენია. ბატონი ალექსანდრე 1995-97 წლებში გაერთიანებული მეთოდისტური ეკლესიის დახმარების კომიტეტის საქართველოს მისიის უფროსის მოადგილე და მისიის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი იყო; მოკლედ, ქართველებისთვის, უბრალოდ, სექტანტი.)**

ვინაიდან ყოფილი მაღალჩინოსანი თავისი სიზმრების შესახებ დუმილს ამჯობინებს, შეგვიძლია „ღრმა ძილის" ვერსია გამოვრიცხოთ. მეორე ვერსია კი დაახლოებით ასე ჟღერს: მართალია, კვიტაშვილს ეღვიძა მაშინ, როცა მისი მოადგილე „ვაქცინების მაქინაციით" მდიდრდებოდა, მაგრამ ფრუიძის საქმიანობაში საეჭვო მაინც არაფერი შეუმჩნევია. მიუხედავად იმისა, რომ ტენდერების ტენდენციურად ჩატარებისა და ხელოვნურად შექმნილი ფირმების ლობირების შესახებ ყველაფერი იცოდა.

ამ ვერსიას არსებობის უფლება მხოლოდ იმიტომ არ შეიძლება ჰქონდეს, რომ თავისი არსით წინააღმდეგობასა და შეუსაბამობაში მოდის. თუ სანდროს ეღვიძა და იცოდა, ვაი! თუ სანდროს ეღვიძა და არ იცოდა, უი! მოკლედ, კვიტაშვილი ძალით რომ არ დაენიშნათ უნივერსიტეტის რექტორად, პასუხისმგებლობა არ ასცდებოდა.

**აშკარაა, რომ ფრუიძის საქმიანობას „სატელეკომუნიკაციო კომპანია შსს"-დან ვანო და მისი ბიჭები დიდი ხნის განმავლობაში აკვირდებოდნენ, მაგრამ სააკაშვილის შიშით „კვიტაშვილის ფენომენის" ამოხსნას ვერ ბედავდნენ. მესამე ვერსიის თანახმად, ბოლოს ისევ მერაბიშვილმა გაბედა და მიშას ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა, ასეო, ისეო, ჯანდაცვის მინისტრისა და მისი მოადგილის დაჭერა მინდაო.**

**საკმარისია, თორმეტიდან ათმა თქვას, «დამნაშავეა» და მსჯავრდებულს „ევრო-რემონტიანი" საკნის ხეხვა წლობით მოუწევს.**





**სად იყო და «რასა იქმოდა» ყოფილი ჯანდაცვის მინისტრი სანდრო კვიტაშვილი მაშინ, როცა მისი მოადგილე «აკრძალული ილეთებით» ფულს შოულობდა?**

სააკაშვილს ამის გაგონებაზე ელდა ეცა, დასცხა და თანაც როგორ. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, „ერთგული თანამესკამისა" და სექტანტი კაცის დაჭერა?! მოგეხსენებათ, გამოსავალი გამოუვალ მდგომარეობაშიც მოიძებნება და მიშამ სანდროს გადარჩენის ორიგინალურ ხერხს მიაგნო. პრეზიდენტმა გადაწყვიტა, რომ ჯანდაცვის მინისტრი სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დაენიშნა.

„წიგნების სკანდალი" ახალი დასრულებული იყო. ალბათ, გახსოვთ, „წიგნიპარია" გია ხუბუა რექტორობიდან როგორ სამარცხვინოდ გააპანღურეს, მის ნაცვლად კი პროფესორებმა რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლად სხვა აირჩიეს. მიშამ ახალი სახელისუფლო კარუსელი დაატრიალა და კვიტაშვილი ისე უცებ გახადა უნივერსიტეტის ბატონ-პატრონი, რომ ამ უკანასკნელმა აზრზე მოსვლაც ვერ მოასწრო.

**მესამე ვერსიის მიხედვით, სანდროს მინისტრის სავარძელთან გამომშვიდობება არ უნდოდა, მაგრამ, რადგან დაჭერას გადაარჩინეს, ყველაფერზე დათანხმდა. თანაც ეს უნიჭოდ დადგმულ-შესრულებული სპექტაკლი სააკაშვილმა ისე გააფორმებინა, თითქოს უნივერსიტეტის პროფესორები და აკადემიკოსები კვიტაშვილს კალთებს ახევდნენ, გვიშველე, თორემ უშენოდ დავიღუპებითო.**

31 აგვისტოს ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ასე ჭიკჭიკებდა: „აკადემიური წრეებიდან შეთავაზება მივიღე, უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობა შემესრულებინა, რასაც დავთანხმდი (სხვა გზა არ ჰქონდა) და დღეს გადადგომის შესახებ განცხადება დავწერე. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო დღეს იკრიბება და ჩემს კანდიდატურასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებს. მანამდე კი მინდა გითხრათ, რომ ეს ჩემთვის დიდი პატივი და ამავე დროს დიდი პასუხისმგებლობაც."

აკადემიური საბჭოს სხდომა მალე დასრულდა, რომელზეც მიშას მიერ რექტორად დანიშნული კვიტაშვილი „ერთხმად აირჩიეს". ვერსია, რომ სანდროს ეს თანამდებობა არ ეპიტნავებოდა და „იძულებით გაუშვეს", სწორედ იმავე დღეს, რამდენიმე საათში, დადასტურდა. აკადემიური საბჭოს სხდომიდან გამოსულმა ახალმა რექტორმა, რომლისთვისაც ვითომ უნივერსიტეტის შეფობა „დიდი პატივი და დიდი პასუხისმგებლობა" იყო, ჭოჭმანი დაიწყო: „რექტორის არჩევნები დეკემბრის დასაწყისში ჩატარდება და მოსაფიქრებლად საკმარისი დრო მაქვს?!"

ეტყობა, ალექსანდრეს ბოლო წუთამდე იმის იმედი ჰქონდა, რომ მას სააკაშვილი არა მხოლოდ დაჭერას გადაარჩენდა, არამედ რომელიმე (რა მნიშვნელობა აქვს) უწყების მინისტრობასაც უფეშქაშებდა. ექს-მინისტრი მშრალზე დარჩა. ისე, სხვა მის ადგილას სააკაშვილზე ლოცვაში გაათენ-დააღამებდა, გასაციმბირებლად რომ არ გაიმეტა.

**მესამე ვერსიის ავტორები უფრო შორს მიდიან და ამტკიცებენ: თუ კვიტაშვილი ჭკუით არ იქნება, დიდი დღე არ უწერია. ვანო ისეთ რაღაცებს უჩხრეკავს, თავის დაძვრენა თვით ეშმაკსაც გაუჭირდებაო. მით უფრო, რომ მერაბიშვილი სანდროს ყოფილ მოადგილეს, ფრუიძეს უტყუარი მტკიცებულებების მისაღებად ლიმონივით გამოწურვას უპირებს.**

ისე, ბედი უნდა ყველაფერს. შესაძლოა, „ვაქცინების საქმე" ნაფიც მსაჯულთა გადასაწყვეტი გახდეს. ამიერიდან, მოსამართლის სინდისზე არც ერთი განაჩენი აღარ იქნება. საკითხავი ის არის: უშველის კი რამეს ჩვენს დაქცეულ „მართლმსაჯულებას" თორმეტი ნაფიცი მსაჯული? განსასჯელისთვის რა მნიშვნელობა აქვს, მის ბედს ერთი გადაწყვეტს თუ 12? სამართლიანი სასამართლოს შესაქმნელად მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება არ კმარა.

**კარგი იქნება, თუ ბატონი სანდრო ამ „ნოვაციის" შესახებ ამომწურავ ინფორმაციას მიიღებს. ჩვენს დროში ადამიანმა ბევრი უნდა იცოდეს, განსაკუთრებით მაშინ, თუ დაჭერა-არდაჭერაზე აქვს საქმე. ცნობისათვის, საკმარისია, თორმეტიდან ათმა თქვას, „დამნაშავეა" და მსჯავრდებულს „ევრორემონტიანი" საკნის ხეხვა წლობით მოუწევს.**

**გიორგი გორგაძე**

## მოკლედ



### ოქტომბრიდან ნაფიცი მსაჯულები ამოქმედდებიან

**დასაწყისისთვის მხოლოდ თბილისში და მხოლოდ განზრახ მკვლელობის საქმეებთან მიმართებაში. თავად** ნაფიცი მსაჯულები კი საარჩევნო სიიდან შერჩეული 18-დან 70 წლამდე თბილისში რეგისტრირებული მოქალაქეები იქნებიან, რომლებიც არ არიან იურისტები, ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, მსჯავრდებულები, ფსიქიკური ან ჯანმრთელობის გარკვეული სახის პრობლემების მქონე პირები. საქართველოს მოქალაქე, რომელსაც შეარჩევენ, ვალდებულია, ნაფიცი მსაჯული იყოს. თუ დასაბუთებული არგუმენტაციის გარეშე ნაფიც მსაჯულად შერჩეული მოქალაქე მოვალეობის შესრულებაზე უარს იტყვის ან არაჯეროვნად შეასრულებს, 1000-დან 1500-ლარამდე ჯარიმა დაეკისრება.



### ვიაროთ „დაბმულებმა"

**„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" ისეთი ცვლილებები შედის, არა მხოლოდ მანქანაში, შეიძლება სახლშიც უსაფრთხოების ღვედებით დაბმულებმა ვიმოძრაოთ.** როგორც კანონპროექტის ერთ-ერთმა ინიციატორმა, დეპუტატმა რუსუდან კერვალიშვილმა განმარტა, დღეს მოქმედი ნორმით, უსაფრთხოების ღვედის გამოყენება სავალდებულოა იქ, სადაც სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა ნებადართულია 80 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით. კანონპროექტით კი, ღვედის გამოყენება ნებისმიერ ადგილას იქნება სავალდებულო, მათ შორის თბილისშიც. ავტომანქანით მოძრაობისას მძღოლის ან მის გვერდით მჯდომი მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა 40-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს.



### პლუს ათი ათასი უმუშევარი

**როგორც ჩანს, ჩვენში ყველანაირი კრიზისი უმუშევრობის ზრდის გარანტიაა და ამ მხრივ არც ხორბლის ბაზარზე შექმნილი პრობლემებია გამონაკლისი.** როგორც ირკვევა, შექმნილმა ვითარებამ პრობლემები ადგილობრივ წისქვილ-კომბინატებსაც შეუქმნა. „ყაზახეთმა გადაწყვიტა, საქართველოსთვის დაპირებული 300-500 ათასი ტონა ხორბლის დიდი ნაწილი აზერბაიჯანში, აზერბაიჯანულ-ყაზახურ წისქვილკომბინატში, გადაამუშავოს და საქართველოში ფქვილის სახით შემოიტანოს, რაც ქართული წისქვილკომბინატების ნაწილს უმოქმედოდ დატოვებს", – იუწყება რადიო „ჰერეთი". მეხორბლეთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით გილიგაშვილი კი ყაზახური ხორბლის შემოტანასთან დაკავშირებულ შეფერხებებს უარყოფს.




### შაშკინი სტუდენტებს დაემუქრა

**მას შემდეგ, რაც სასკოლო ასაკის ბავშვებისა და მასწავლებლების გაინგლისურენოვნების საქმე ფეხზე დააყენა, საქართველოს განათლების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა სტუდენტებისთვისაც მოიცალა.** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წლის დაწყება შაშკინმა ძალზე ორიგინალურად მიულოცა სტუდენტებს და ახარა, რომ „მომავალ წელს ვერც ერთი სტუდენტი დიპლომს ვერ აიღებს, თუ ვერ ჩააბარებს ინგლისურის გამოცდას". ამის შემდეგ კი რექტორის არჩევნების თემაზე გადავიდა და ამ ქვეყანაში ყველაზე სასტიკ მუქარადქცეულ მოსალოდნელ რეფორმებსაც შეეხო: „რექტორის არჩევნები ჩატარდება ნოემბერ-დეკემბერში და დარწმუნებული ვარ, რომ ახალი რექტორი ძალიან ბევრ მნიშვნელოვან რეფორმას გაატარებს უნივერსიტეტში".

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ფული ქვეყნის მაგიერ

**უცხოური პრესიდან გადმოღებული წერილი, რომელსაც დღეს შემოგთავაზებთ, მიუკიბ-მოუკიბავად წარმოგვიდგენს უმწვავეს პრობლემებს და, თუ კარგად დაუკვირდება ჩვენი მკითხველი, ბევრ საერთოს იპოვის საქართველოში შექმნილ რეალობასთან. „ჩვენ, — განაცხადა თავის დროზე აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა უფროსმა, — ტრილიონობით დოლარი დავხარჯეთ საბჭოთა კავშირის დასანგრევად!..“ მის ამ სიტყვებს მთელი იმ დღე-ღამის განმავლობაში იმეორებდა ყველა მსოფლიო ტელეარხი. ბუში სავსებით საფუძვლიანად წარმოგვიდგინეს, როგორც „ცივ ომში“ გამარჯვების მთავარი ორგანიზატორი. საბჭოთა კავშირს კი ისე მოექცნენ, როგორც დამარცხებულებს ეპყრობიან „ცივილიზებულ“ მსოფლიოში. დაიწყო საერთო-სახალხო საკუთრების თავშეუკავებელი გაყოფა და გადანაწილება, ეკონომიკური და პოლიტიკური ბანდიტიზმი. ხოლო რუსეთი გაურკვევლობისგან და გამოუვალი მდგომარეობის გამო მოიკუნტა და ამოწყვეტის პირას დადგა.**



**ბოლო 20 წლის განმავლობაში დასავლეთმა 370 მილიონი დოლარი დახარჯა რუსეთში შობადობაზე კონტროლის დასაწესებლად. იმავე „საქმისთვის“ უკრაინას 330 მილიონი დოლარი დაახარჯეს, ბელარუსს — 26; რუმინეთს 99 მილიონი დოლარი ერგო, მოლდოვას — 64, საქართველოს — 78. ამრიგად, შობადობაზე კონტროლის დასაწესებლად დასავლეთის მიერ გაღებული ხარჯების მიხედვით პირველ ადგილზეა რუსეთი, უკრაინა — მეორეზე, რუმინეთი — მესამეზე, საქართველო მეოთხეზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის.**

## ხალხისთვის თავსმოხვეული დანაშაულებრივი რეფორმები

მაშა რასპუტინამ (ალა პოტაპოვას, პოპულარული რუსი საესტრადო მომღერლის, სასცენო ფსევდონიმი) ჯერ კიდევ მაშინ, როცა ცოცხლები იყვნენ ჭეშმარიტი პოეტები, რამდენიმე ფრიად აქტუალური სიმღერა შეასრულა. ერთ-ერთის კვინტესენცია ერთ ასეთ სტროფში იყო გადმოცემული:

**გაძვირდა ცხოვრება,**
**გაძვირდა კვლავ,**
**რად მშობე, დედავ,**
**ეგებ მოგეკალ“.**

რატომ დამბადეო, დედავ, მოთქვამდა ქალი. უფროსი თაობის ადამიანებმა უმალ უპატრონო ბავშვების ფოლკლორთან გაავლეს პარალელი:

**„ვაი, რად გავჩნდი**
**ამქვეყნად,**
**რად გამაჩინა დედამ“.**

ამ სიმღერის დაბადების ჟამს განსაკუთრებული კითხვები არავის დაჰბადებია: უპატრონო, ობოლი ბავშვები სამოქალაქო ომის მსხვერპლი იყვნენ უდავოდ. ჩვენ კი ცოტას გავუძლებთ შოკისებურ თერაპიას და მერე ლამაზად ვიცხოვრებთ, როგორც დასავლეთში!

და ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა დასავლეთისავე რეალურ საშიშროებებს.

მაგალითად, იმას, რომ მსოფლიოში უმდიდრეს ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში — ორმოც მილიონ მოქალაქეს ხელი არ მიუწვდება სამედიცინო მომსახურების არც ერთ სახეობაზე.

**სამაგიეროდ, აშშ-ში და დასავლეთის რიგ ქვეყნებში ცოტა როდია ისეთი სპეციალისტი, ვისაც პლანეტა დედამიწაზე ადამიანების გამოხშირვის პროგრამები აქვთ დამუშავებული.**

**განსაკუთრებით რუსეთზეა აქცენტირებული მათი ძალისხმევა.**

ელცინის ბანდიტური უსაზღვროების ალტაცებისგან ჭკუაზე გადასული მოსახლეობის ნაწილმა სწრაფად და უშრომლად გამდიდრება მოინდომა. ზოგმა დანაზოგის შენახვაზე იზრუნა, სხვებმა ირწმუნეს გამყიდველი ტელევიზიის წამოსროლილი პრინციპის ჭეშმარიტება: „ჩვენ ვსხედვართ, ფული კი მოდის!“ სასწრაფოდ ჩააბარეს წლობით დაგროვილი თანხა „მმმ“-ის ტიპის საეჭვო კომპანიებსა და ფირმებს.

ქურდბაცაცები, ვისაც ადამიანები ენდნენ და ფული მიაბარეს, აღმოჩნდა ის წვეთი, რომელშიც, როგორც ერთმა ჭკვიანმა კაცმა დაწერა, „აირეკლა მთელი ეს „პერესტროიკა“, რეფორმა, დემოკრატია და ის ყველაფერი, რაც ფოკუსების მკეთებელს ცილინდრში ჰქონდა დამალული“.

თვითმკვლელობათა როგორმა ტალღამ გადაუარა მაშინ ქვეყანას! რამდენიმე მკვლელობამ? მაშინ მიმნდობთა შორის ყველაზე გერგილიანებმა უზარმაზარი ვალები აიღეს და დანაშაულებრივი და უსინდისო ტელერეკლამის გავლენით საკუთარი ნებით ჩააბარეს თაღლითებს.

„ვიცით კი რამე იმ მახინჯის შესახებ, ვისი გვარიცაა მავროდი?“ ვიღაც იდგა მის უკან, გამოუშვეს ციხიდან გათახსირებული. იჯდა კი იმაზე ნაკლებ ხანს, რაც მის ნამოქმედარს ეკუთვნოდა.

## მარგარეტ ტეტჩერი: რუსეთში 15 მილიონიც მეყოფა

სოვეტოლოგები უმუშევრად არ დარჩენილან. საბოლოოდ ჩამოიხსნეს ნიღბები და ზოგიერთმა მათგანმა, ზბიგნევ ბჟეზინსკის ტიპისამ, საქვეყნოდ განაცხადა, რომ რუსეთში 50 მილიონზე მეტმა ადამიანმა არ უნდა იცხოვროს. ხოლო ყბადაღებულმა „რკინის ლედიმ“ მარგარეტ ტეტჩერმა, რომელსაც სიბერეში მარაზმი მოერია, აღიარა, რომ „ამ მილსადენის მომსახურებისთვის 15 მილიონი ადამიანიც საკმარისია“.

ბებიას, სხვათაშორის, შეიძლება ჩინეთიც ეგულისხმა რუსეთის ნაცვლად.

მასმედიის ინფორმაციით, ხორვატიელმა დოქტორმა ანტუნ ლისეცმა, რომელიც ამ ზაფხულს მოსკოვში სიცოცხლის გადასარჩენად გამოდიოდა, განაცხადა, რომ **ბოლო 20 წლის განმავლობაში დასავლეთმა 370 მილიონი დოლარი დახარჯა რუსეთში შობადობაზე კონტროლის დასაწესებლად. იმავე „საქმისთვის“ უკრაინას 330 მილიონი დოლარი დაახარჯეს, ბელარუსს — 26; რუმინეთს 99 მილიონი დოლარი ერგო, მოლდოვას — 64, საქართველოს — 78. ამრიგად, შობადობაზე კონტროლის დასაწესებლად დასავლეთის მიერ გაღებული ხარჯების მიხედვით პირველ ადგილზეა რუსეთი, უკრაინა — მეორეზე, რუმინეთი — მესამეზე, საქართველო მეოთხეზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის.**

მეცნიერმა ეს მონაცემები ღია, ყველასთვის ხელმისაწვდომ წყაროებში მოიპოვა და სავარაუდოა, რომ შეცდა, რადგან სინამდვილეში რუსთა გასაწყვეტად გაცილებით მეტი ფული იხარჯება.

ლისეცის ვარაუდით, ეს ფული დაიხარჯა იმ სამსახურების განვითარებაზე, რომლებიც შობადობაზე კონტროლის დაწესებასა და ოჯახის დაგეგმვას ემსახურება, აგრეთვე, ჩინოვნიკების მოსყიდვას, იმ ღონისძიებათა ლობირებას, რომლებიც შობადობის შესამცირებლად იყო მიმართული უკანასკნელი წლების განმავლობაში. ამ წლებში შეიქმნა ხელოვნური უნაყოფობის, სტერილიზაციისა და ე.წ. სექსუალური განათლების აგრესიული დანერგვის სამსახურები, რომლებიც გულუხვად ფინანსდებოდა დასავლეთის მიერ.

ამჟამად უდიდესი სახსრები იხარჯება ჯანმრთელობისთვის მავნე ჰორმონალური კონტრაცეფციის რეკლამირებისათვის. ლობისტების მონდომებით, გახშირდა ქალებზე ზემოქმედება აბორტის გაკეთებისა და მათი სტერილიზაციის მიზნით. მოსახლეობის მოსპობის მეთოდები, რომლებსაც მცირედასახლებულ რუსეთში გამოიყენებენ, აპრობირებული იყო მჭიდროდ დასახლებულ განვითარებად ქვეყნებში. ახლახან ბილ გეიტსს წამოსცდა, რომ იგი დიდ ფულს ხარჯავს შობადობის შემცირებაში.

## დასავლეთის შესახებ ნათელი მითების მსხვრევა

„პერესტროიკის“ იდეოლოგები საბჭოთა ადამიანებს დასავლეთს, ზოგიერთნი — ახლო აღმოსავლეთსაც (ისრაელის სახით), როგორც ბედნიერ ზღაპარს წარმოუჩენდნენ.

**პარალელურად აღვივებდნენ ზიზღს ჩვენი ქვეყნის ცხოვრების წესისადმი, სადაც გორბაჩოვის „კატასტროიკის“ (კატასტროფული გარდაქმნის) გაღვივებამდე მოქმედებდა სოციალური გარანტიების სისტემა, რომელიც უცხო იყო დასავლეთის უმრავლესი ქვეყნისთვის.**

დავიმოწმოთ მაიკლ პარნეტის კვლევების შედეგები. ეს პიროვნება პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატია, დისერტაცია იელის უნივერსიტეტში (აშშ) დაიცვა. არის საქვეყნოდ ცნობილი სოციოლოგი და პოლიტოლოგი. მისი წიგნები 20 ენაზეა თარგმნილი. მრავალი საერთაშორისო პრემიის ლაურეატია პოლიტოლოგიის დარგში. მისი კვლევის საგნებია დემოკრატია და ეკონომიკური ძალაუფლება, აშშ-ის იმპერიალიზმი და ინტერვენციონიზმი, ტერორიზმი და გლობალიზაცია. მისი ყველაზე ცნობილი წიგნებია: „ხაფანგი ტერორისტებისთვის“ (2002), „დემოკრატია რჩეულთათვის“ (2002), „ბინძური სიმართლეები“ (1996), „მახვილი და დოლარი“ (1992) და სხვ. მაიკლ პარენტი 250 სტატიის ავტორია.

**„მე შემხვედრია ბევრი უმუშევარი ადამიანი, ვინც მწარედ მოთქვამდა და ითხოვდა დასაქმებას. ზოგიერთთან ერთად, იძულებული ვიყავით, გველოცა, რათა მათ იმწამსვე თავი არ მოეკლათ. იმდენჯერ იმეორებდნენ, რომ სიკვდილს ნატრობენ“, — ამბობს თ. ტერანსი, ამერიკული სოციალური სააგენტოს დირექტორი. მისი ამოცანაა, იმუშაოს იმ ადამიანებთან, ვისაც სამუშაოს პოვნის იმედი გადაეწურათ, უსახლკარონი და მშივრები არიან. სამოქმედო ადგილი — ალაბამას შტატი. მაგრამ ასეთი რამ აშშ-ში შეიძლება ყველგან მოხდეს, ვაშინგტონში, მაგალითად, თეთრი სახლის მახლობლად, სუპერმარკეტში, შეიძლება შეხვდეთ ბერიკაცს, რომელიც მწარედ ტირის და ხელში ძაღლის საკვებიანი პაკეტი უჭირავს: „მშიერი ვარ. მშიერი ვარ“, — ბუტბუტებს ის უბედური.**

**ასეთ რამეს ნიუ იორკშიც წააწყდებით, მაგალითად, როცა გამწარებული ქალი ბინის პატრონს უკივის, რადგან ამ უკანასკნელმა დედა და პატარა შვილები ბინიდან გაასახლა ქირის გადაუხდელობის გამო. შემდეგ ბავშვებს ბავშვთა სახლში გაამწესებენ, დედას — საგიჟეში, სადაც ყოვლისმცოდნე ფსიქიატრები ერთხმად დაადგენენ: „პარანოიდული შიზოფრენია“.**

ქვეყნად სუფევს სიღარიბე და დაუნდობლობა. და სანამ აშშ-ის პოლიტიკური ლიდერები თავდაჯერებით მიდიან თავისუფალი ბაზრისკენ, სულ უფრო მრავლდება ისტორიები შიმშილის, ტკივილისა და გამოუვალი მდგომარეობის შესახებ. სოციალური პათოლოგიები ამერიკის საზოგადოების ისეთივე ორგანული ნაწილი გახდა, როგორც დანაშაული და კაპიტალიზმი.

## სტატისტიკის ზოგიერთი მონაცემი

ამერიკული ცხოვრების ბინძური სიმართლე ასეთია: ბევრი სიღარიბე, ძალადობა და ყოველგვარი პათოლოგიები. აი, რას ღაღადებენ ციფრები:

**ყოველწლიურად**

**27.000** ამერიკელი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებს.

**5.000** (ზოგიერთი მონაცემით, — უფრო მეტი) თვითმკვლელობის მცდელობა ფიქსირდება.

**26.000** ადამიანი უბედური შემთხვევის გამო საკუთარ სახლში კვდება.

**23.000** ადამიანს კლავენ.

**85.000** ცეცხლსასროლი იარაღითაა დაჭრილი.

**38.000** მათგან იღუპება, მათ შორის 2.600 ბავშვია.

**13.000.000** ძალადობის მსხვერპლია (ჩხუბი, ძალადობა, გაუპატიურება, შეიარაღებული ძარცვა და ა.შ.).

**135.000** ბავშვი სკოლაში შეიარაღებული მიდის.

**5.500.000** ადამიანს აპატიმრებენ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისთვის (საგზაო შემთხვევების ჩაუთვლელად).

**125.000** იღუპება ადრეულ ასაკში ალკოჰოლის ჭარბად მიღების მიზეზით.

**473.000** იღუპება დაავადებებით, რომლებიც თამბაქოს ნაწარმთანაა დაკავშირებული, მათ შორის 53.000 არამწეველია.

**31.450.000** ეწევა მარიხუანას.

**14.000** იღუპება ლეგალური, რეცეპტებით გაცემული წამლების გადამეტებული დოზით მიღების გამო.

**6.500.000** მძიმე ნარკოტიკს (ჰეროინს) იღებს.

**5.000** ზედმეტად დიდი დოზის მიღების მიზეზით იღუპება.

**1.000** იღუპება საყოფაცხოვრებო ქიმიით მოწამვლის გამო.

**37.000.000**, ანუ ყოველი მეექვსე ამერიკელი რეგალურად იღებს ფსიქოტროპულ წამლებს, ძირითადად, ქალები. ამას ექიმები წაახალისებენ, რადგან მოგება უზარმაზარია.

**25.000.000**, ანუ ყოველ მეათე ამერიკელს ფსიქოთერაპევტული მკურნალობა სჭირდება, რომლის ღირებულების საერთო ჯამი წელიწადში 4 მილიარდ აშშ დოლარს უდრის.

**2.000.000** ადამიანს ოპერაციებს უკეთებენ, მათგან 10.000 ოპერაციის შედეგად იღუპება.

**180.000** იღუპება წამლებზე ალერგიული რეაქციის მიზეზით. ეს ერთად აღებული ავიაკატასტროფებისა და ავტოავარიების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობაზე მეტია.

გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**45.000** ავტოავარიების მსხვერპლი ხდება.

**126.000** ბავშვი იბადება სერიოზული თანდაყოლილი დაავადებით ან არასაკმარისი კვების, გარემოპირობების, დედის მიერ ნარკოტიკების მიღებისა და სხვა წინაპირობათსა გამო.

**2.900.000** ბავშვის მოვლის პირობები არასაკმარისია. ხშირად სცემენ და ჩაგრავენ.

**5.000** ბავშვი იღუპება მშობლების ხელით.

**30.000** ბავშვი მიღებული ტრავმების შედეგად არაშრომისუნარიანი იზრდება.

**1.000.000** ბავშვი შინიდან გარბის, ძირითადად, აგრესიის, მათ შორის, სექსუალური აგრესიის გამო.

**150.000** უგზოუკვლოდ იკარგება.

**900.000** ბავშვი 7 წლის ასაკიდან იძულებულია იმუშაოს ფერმერების დაბალანაზღაურებად თანაშემწეებად, ჭურჭლის მრეცხავებად და სხვ. სამუშაო დღე ხშირად 10 საათს გრძელდება.

**700.000** ქალი ძალადობას განიცდის, ერთი ქალი — ყოველ 45 წამში.

**100.000** ადამიანი სერიოზულად ავადდება საწარმოო პირობების გამო კიბოთი, ტუბერკულოზით და ა.შ.

**14.000** ადამიანს სამუშაო ადგილზე კლავენ, მათგან 90 პროცენტი მამაკაცია.

**60.000** იღუპება ტოქსიკური ნარჩენებისაგან მოწამვლით.

**დღეს**

**5.100.000** ადამიანი ციხეშია ან ციხის შემდგომ გამოსაცდელ პერიოდს გადის. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში დაპატიმრებულთა რაოდენობა 200 პროცენტით გაიზარდა!

**15.000** ტუბერკულოზითაა დაავადებული.

**10.000.000** ალკოჰოლიკია.

**16.000.000** შაქრის დიაბეტითაა დაავადებული.

**160.000** ყოველწლიურად დიაბეტით იღუპება.

**280.000** საგიჟეთშია მოთავსებული.

**255.000** მათგან უკანასკნელ წლებში გარეთ გამოუშვეს.

**2.400.000** ადამიანი ქრონიკულ დაავადებათა სინდრომითაა დაავადებული.

**10.000.000** ასთმითაა დაავადებული. ეს რიცხვი ყოველ ხუთ წელიწადში ერთნახევარჯერ იზრდება.

**40.000.000** არა აქვს სამედიცინო დაზღვევა.

**1.800.000** მოხუცი თავიანთი შვილების სახლებში შიმშილობს, მათ უკიდურესად უდიერად ეპყრობიან, სცემენ.

**1.000.000** (1996 წლის მონაცემებით) ვიჩ ინფექციითაა დაავადებული.

**40.000.000** ადამიანმა ბავშვობაში სექსუალური ძალადობა განიცადა.

**7.000.000**-დან **12.000.000**-მდე უმუშევარია.

**6.000.000** დროებით, არაგარანტირებულ სამუშაოზეა.

**80.000.000** საარსებო მინიმუმის დაბლა ცხოვრობს.

**35.000.000** სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს.

**2.000.000** უსახლკაროა.

ახლა კი გულზე ხელი დაიდეთ და აღიარეთ, რომ ადამიანები, რომლებიც ნაგვის ყუთებში იქექებიან და რომლებიც რეფორმირებული საზოგადოების სავიზიტო ბარათებად წარმოგვიდგებიან, საბჭოთა ხელისუფლების წლებში არ შეგხვედრიათ.

**ანდრეი ტიჟნიაევი,**
**აკადემიკოსი, რუსეთის მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირების წევრი**

# «მინდაპურიდან — სინგაპურამდე»

**არ იფიქროთ, ეს სათაური იმიტომ ავირჩიე, რომ პური გაძვირდა. არც ის იფიქროთ, პაწა რო აგრილდება, სინგაპურისკენ ვაპირებდე გასეირნებას. თუმცა ეს ორი „თეზა" პირდაპირპროპორციულად უკავშირდება ერთმანეთს, თუ რატომ — მოთმინება იქონიეთ... საქართველო რომ „სატურისტო" ქვეყანაა, ეგ ახლა აღმოაჩინა ჩვენმა „მტრისთვისთვალდასაფსებმა" მთავრობამ, თორემ, რაც აქ გასულ ასწლეულებში თურქი, სპარსი, მონღოლი და ათასი რჯულის „ტურისტი" შემოსულა და გასულა, იმდენი სიკეთე მეც და თქვენც, ჩემო მკითხველო.**




**სინგაპურში ნამყოფი ვარ-თქო, რომ ვთქვა, არ დამიჯერებთ (არადა — ვარ). ამიტომ ვიტყვი, რომ ტელევიზორში ხშირად მინახავს და ჟურნალ-გაზეთებში ხომ წამიკითხავს და წამიკითხავს, მაგრამ ვერაფრით გავიგე, რატომ უნდა დავემსგავსოთ ჩვენ მაინცდამაინც სინგაპურს და არა სხვა წარმტაც ქვეყანას?!**

გაგიკვირდებათ და ქვეყნის სინგაპურიზაცია, არც მეტი, არც ნაკლები, შავიზღვისპირეთიდან, კერძოდ, ბათუმიდან, იწყება თურმე (უფრო სწორად — ბათუმიდან „ნაწყარა". — ავტ.). ბათუმში მაინც ვარ ნამყოფი და ამას კი დამიჯერებთ, მაგრამ ბოლო ხანს მიმდინარე მოვლენების შემდეგაც კი, როდესაც ეს შავი ზღვის მარგალიტი უსაშველოდ დაამშვენეს, ააშენეს და გაალამაზეს, ისე ჰგავს სინგაპურს, როგორც ჩვენი ხვედელიძე კინოფილმ „ფეოლადან" — ბეკენბაუერს. მაგრამ, მტერი რომ არ გავახარო, ვიტყვი, რომ პატარა განსხვავება მაინცაა; მაგალითად, სინგაპურში, სანთლით რომ ეძებო, აჭარულ ხაჭაპურს ვერსად იპოვი. ბათუმში თუ იპოვი, ხომ — რას ამბობ! პირს არ ააცილო! მე, მაგალითად, ბევრი ძებნა არ დამჭირვებია, სადაც ფეხებმა მიმიყვანა, იქ შევედი. აბრაზე „კაფე" ეწერა, მაგრამ რომელ ენაზე, მე არ გეტყვით, ცოტა თქვენც გაიწვალეთ თავი და თქვენით მიხვდით.

— ერთი, აჭარული ხაჭაპური, თუ შეიძლება, — მივმართე აშკარად ოქროსიმიტაციაგადაკრულკბილებიან შუა ხნის მამაკაცს, რომელსაც, ცოდვა არ მინდა და, თეთრი ხალათიც კი ეცვა სტომატოლოგივით, მაგრამ... დასვრილი, ყასაბივით.

**— აჭარული არ გვაქვენ, — დამანახვა კბილები.**

**— რეიზა? — მოვუქციე აჭარულად.**

**— რეიზა და მიზდა, არ გვუაქვენ და მორჩა მაი! — აშკარად გაბრაზდა დამხვდური.**

**— მაშინ ისთე ხაჭაპური მომეცი.**

**— მაი რომელია?**

**— ისთე, ისთე... ჩვეულებრივი ხაჭაპური.**

**— მაი კი, ბატონო, ოთხი ლარი გედეიხადეთ წინდაწინ.**

**— ოთხი ლარი ერთ ხაჭაპურში?! რა ამბავია ძამა?!**

აჭარელმა ვაჭარ-ბიზნესმენმა მოღრუბლულად ამათვალიერ-ჩამათვალიერა:

**— შენ ციდან ხვარ ჩამოფრინდი, ჭოვ? არ გაგიგია დაქფული რომ გაძვირდა?!**

**— არ თქვა ახლა, ყველიც გაძვირდაო!** — მეც დავუბღვირე.

**— ააა, შენ ყველიანი ხაჭაპური გდომებია, — გაეხარდა მებუფეტეს, — მაი 7 ლარი და 80 თეთრი ღირს...**

ასეთი და მსგავსი მაგალითები, შემიძლია აგერ და ახლავე კრიალოსანივით ავაწყო ერთმანეთზე და, თუ ნამდვილად არა, სიმწრით მაინც გაცინოთ, მაგრამ პრეტენზია იუმორესკაზე არ მაქვს და თავს ვიკავებ.

„ხაჭაპური რო ძვირია, იმიზა იწუნებ ბათუმს, შე აბდალოო?" — იყვირებს ბათუმელი ბიზნესმენი, მაგრამ ხმას რომ ჩაუწიოს, შევახსენებ, რომ ხელმისაწვდომი არც ბინა-სასტუმროებია, არც პლაჟზე სასიამოვნო დასვენება და არც კატერ-სკუტერებით სეირნობა, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი მოკვდავისთვის, თორემ ბობოლა თურქისთვის, არაბისთვის, სომეხისთვის და ჩინელისთვის ყველაფერი ხელმისაწვდომია. განსაკუთრებით ჩინელისთვის, რომელიც ზღვაში არაა შესაშვები, თორემ აგრილდება ცოტა, დაუგრილდებათ ტვინები და შიგ ზღვაში გახსნიან მაღაზიებს.

გვეყო ახლა „სინგბათუმი" და თბილისისკენ გადმოვინაცვლოთ.

დასავლეთთან შედარებით, აქეთ უფრო ხალვათობაა. ზღვა აქეთაც გვაქვს, მაგრამ წამსვლელია ცოტა... იმიტომ, რომ ვისაც ზღვაზე დასვენების შნო ჰქონდა, ბათუმშია. ვინც დარჩა, რა ეზღვავება ზღვა პრობლემებში... ძირითადი საზრუნავი ჭერი, პური და ბალიშია. გარემოვაჭრეები ქუჩებიდან აყარეს და უთხრეს, ა, ბატონო, თქვენ სუფთა ბაზარი და შედით შითო. მაგრამ მგელს რომ ზოოპარკის გალიას ტყე ურჩევნია, კი იცით თქვენ მაგ ამბავი.



**— რატომ არ შედიხართ, დეიდა, ბაზარში? — ვეკითხები ყოფილ ქუჩის მოვაჭრეს.**

**— გადასახადია ნენა და მე რაღა მრჩება?**

**— ხომ დაგპირდათ მთავრობა, ახალ წლამდე არ გახდევინებთო?**

ქალმა ირიბად გამომხედა:

**— კი, აბა?! მთავრობა იმასაც დაგვპირდა, თქვენ-თქვენს მიწაზე დაგაბრუნებთო, მარა შეასრულა?**

**— რატომაც არა, ზოგი ხომ დააბრუნა?**

**— სად, ნენა?**

**— ფოცხო-ეწერში, თან უთხრა, — აფხაზეთთან ახლოს იცხოვრებთ და შუქი და წყალი თუ არ გექნებათ, მაგას დარდობთო?**

**— თუ კაია, მთავრობამ წეიყვანოს იქ თავისი ცოლშვილი, ნახავს ერთი, რავარია!** — გაკაპასდა ქალი.

**— დაწყნარდი... წეიყვანს, აპა, არ წეიყვანს? — დავამშვიდე ჩემი ჭკუით და დროზე გავეცალე...**

კაცმა რომ თქვას, საგანგაშო მართლაც რა გვაქვს, ჩემო ჭკვიანო და მურაბა ხალხო. პურის ფასმა რაღაც 10 თეთრით მოიმატა, 20-30%-ით გაძვირდა დანარჩენი პროდუქტი, მაგრამ, როგორც პრემიერი ირწმუნება, „ყველაფერი რიგზეა". მთავრობა გვაიმედებს, რომ კონსტიტუციაში ახალ ცვლილებებს შეიტანს. მდაბიურად რომ ვთქვათ, მოსამართლეებს აირჩევს (თუ დანიშნავს) განუსაზღვრელი (დიდი) ვადით. ეს იმიტომო, რომ ამ შემთხვევაში სამსახურიდან მოხსნის შიში არ ექნებათ და ვერც ზეწოლა იმოქმედებს მათზეო.

ვთქვათ ვიღაცები მოატყუეს, როგორც ყოველთვის, მაგრამ ჩემი და ჩემისთანების მოტყუება ასე ადვილია? მოხსნით შეიძლება მართლაც ან არ, ან ვერ მოხსნან „ზემოდან", მაგრამ წასვლაზე განცხადებას ისე კოხტად და მარტივად დააწერინებენ თავისი ნებით და ხელით, როგორც ახლა მე ვწერ იმას, რასაც კითხულობთ.

ეს 10000 უცხოენოვანი პედაგოგიც რომ მოგვემატა სარჩენად, ისაა სასაცილო, თორემ ჩვენი ბავშვები რომ ამ მეთოდით „აილავიუ"-ს და „ჰაუდუიუდუ"-ს მეტს ვერაფერს ისწავლიან (ეს სიტყვები ისედაც იციან), მეც კარგად ვიცი, თქვენც და ტრიფონიამაც...

— თქვენ რაღამ შეგაწუხათ, თქვენც ქუჩაში ვაჭრობთ? — ვეკითხები გალიზიანებულ შუახნის მამაკაცს, რომელიც ნერვიულად ქაჩავს „პრიმას" და ბოლმიანად ბუტბუტებს:

— მე იმან შემაწუხა, ბიძიკო, რო ზეთი 2,50-დან 4,50 ლარი გახდა. თუმცა ზეთი რა ჭირად მინდა, კარტოფილი აღარსადაა, 4 კილო ღირდა ლარი, ახლა კილოც არ მომდის მაგ ფასად. ინფლაციააო, მთავრობა იძახის, სულ ინფლაცია არაა ჩემს ჯიბეში?

**— მთავრობა ხომ დაგპირდათ სამუშაო ადგილებს?**

**— ვინც დაგვპირდა, თვითონ იგი გვჭრის ყელ-კისერს.**

**— მაინც ვინ?**

**— ვინ და კონკრეტულად გიგი უგულავა.**

**— ეგ როგორ გავიგო?**

**— როგორ, ბიძიკო, და გამოჩნდება საცხა ერთი კინკილა დურგლის ადგილი თუ არა, ჩეიცვამს ეს უგულავა დურგლის ტანისამოსს და ეფორმება დურგლად. გამოჩნდება მეპურის ადგილი და ვერც იქ მიასწრებ. გამოჩნდება მალიარის ადგილი, დაავლებს ხელს ვედროს და ფუნჯს და გარბის პირველი. ნეტავ, ვიცოდე, საიდან გებულობს ყველაზე ადრე ან სად მიაქვს ამდენი ფული?! მე ერთგან ვერ მევეწყვე.**

გაცინება მინდოდა, მაგრამ კაცი აბსოლუტურად სერიოზულად ლაპარაკობდა გამოცდილი ორატორივით, თან ორივე ხელს ხმარობდა ზურიკელას ბაბუასავით.

**— პრეზიდენტიც არაა მთლად სწორი... აგერ ახლახან ერთი ლიოჩიკი დატოვა ულუკმაპუროდ.**

**— ეგ როგორ?** — გავიკვირვე ყასიდად.

**— ტელევიზორში აჩენეს „სოფსტვენნორუჩნო" მართავდა სამალიოტს, ვითომ ლიოჩიკები დაგველია. ვაშალომიძეს აკატავებდა ჩემი თვალით ვნახე... ეგეცაა რა... აღმაშენებელს რომ ედრება, სამართლიანია? თუ მასეა, რუსთავში ვცხოვრობ მე და შოთა მქვია.**

**— ეგ რა შუაშია?**

**— იმ შუაშია, რომ დავწერ, ბატონო, მეც „ვეფხისტყაოსანს", შოთა ვარ, რუსთაველი ვარ და დამიდგან მეც ძეგლი რუსთაველის მეტროსთან.**

**— იქ უკვე დგას,** — ვეღარ ვიკავებ სიცილს.

**— მარჯანიშვილის მეტროსთან იყოს, — წავიდა დათმობაზე გამწარებული რუსთაველი.**

სად არის ამ დროს ჩვენი „მამა-ოპოზიცია"? — ისმება ლოგიკური კითხვა. სად და... ვთქვა? რატომ ვთქვა? შპიონი ვარ? თანაც მე რატომ ვთქვა, როცა ყველამ ვიცით, რომ მაძღარი კაცი არ ყვირის". რაღა დაგვრჩენია? ააბა, ვინ იტყვის? რა და... ამოვიღოთ ხმა, თორემ სულ სიცხეები კი არ იქნება, მოგვადგება კარზე მშიერი ზამთარი და რა მნიშვნელობა აქვს, არ იქნება პური ქვეყანაში და იმიტომ ვერ იყიდი, თუ იქნება და უფულობის გამო ვერ შეჭამ.

ჰოდა, სათაური ამიტომ ავირჩიე. მართალია, მინდაპურიდან სინგაპურამდე კია ცოტა გრძელი გზა, მაგრამ არც ისეთი, ჩვენი მთავრობა რომ არ გაგვიიმასქნის".

**მომავლის დიდი იმედით,**
**მურმან მერკვილიშვილი**

P.S. ისე ოპოზიცია-პოზიციაზე ერთი ანეკდოტი გამახსენდა: ერთმა მოხუცმა იმერელს შეაგინა — შენი დედაო...
— მართლა შემაგინე, კაცო, შენეო? — იმერელმა.
— მართლა, მართლაო.
— კიდე კაი, თუ არა, მე მეგონა, ისთე გლახაობდიო...
„დაწყნარდა" იმერელი დღევანდელ ოპოზიციასავით.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მოკითხვა ტუვალუდან

**გინდა-არგინდა, ჩვენი ხელმძღვანელების მრისხანე გამონათქვამები გაგახსენდება რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც, ვიყოთ გულახდილნი, იყიდა კუნძულეთის პატარა ქვეყნის, ნაურუს მიერ სეპარატისტული რეგიონების აღიარება. და აი, დღეს იმავე დიპტრიუკს უსირცხვილოდ და მორალურ-ეთიკური შეზღუდვის გარეშე იყენებს საქართველოს ხელისუფლება...**




## ყველაფერს ყიდიან და ყველაფერს ყიდულობენ

მაგრამ, უმჯობესია, პირველწყაროს მივმართოთ: „საქართველოს მთავრობის ცნობით, თბილისი ფინანსურ დახმარებას გამოუყოფს კუნძულეთის სახელმწიფო ტუვალუს წყნარ ოკეანეში“.

ტუვალუ თავის მასშტაბით მსოფლიოში მეოთხე მცირე სახელმწიფოა, რომელიც პოლინეზიაში, ორ პატარა კუნძულზეა განთავსებული, რომელთა საერთო ფართობი 26 კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა — 12 ათასი.

განკარგულება „გაეროში ტუვალუს მუდმივი წარმომადგენლობისთვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ“ საქართველოს მთავრობამ 10 სექტემბრის სხდომაზე დაამტკიცა. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ცნობით, ფინანსური დახმარების დეტალები, მათ შორის, მისი მოცულობა „შემდგომ მოლაპარაკებათა საგანია“, ამიტომაა, რომ მთავრობის განკარგულებაში დახმარების ოდენობა მითითებული არ არის.

ახლა ის ვთქვათ, თუ რა მიზეზით გადაიდგა ეს ნაბიჯი: „ტუვალუ იმ 50 სახელმწიფოთა შორისაა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს საქართველოს მიერ ინიცირებულ გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას, რომლითაც აღიარებულია ყველა იძულებით გადაადგილებული პირისა და ლტოლვილის უფლება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში საკუთარ სახლებში დაბრუნების შესახებ“ (Civil Georgia, თბილისი, 11 სექტემბერი, 2010 წ.).

გაუმართლათ ჩვენს ძმებს, ტუვალელებს, და მათთან ერთად — მთელ ცივილიზებულ მსოფლიოს, რადგან ჩვენი სახით მოევლინათ მძლავრი და „უანგარო“ დონორი, რომელიც თანასწორივით ეპაექრება, იცით, ვის? — დიახ, დიახ, სწორედ სისხლისმსმელ რუსეთს. პარალელების გავლება და კომენტარის გაკეთება მკითხველებისთვის მიგვინდვია. ჩვენ კი დავფიქრდეთ, რამდენი შეიძლება დაუჯდეს საქართველოს ბიუჯეტს ამგვარი „დიპლომატია“, თანაც იმის გათვალისწინებით, რომ ტუვალუს მსგავსი ქვეყანა, შესაძლებელია, ათობით იყოს?..

**ჩვენი „დერჟავნიკების“ გულუხვობა ნაურუელთა მიმართ, თუ არ ვცდები, 50 მილიონ დოლარში განივთდა. მაგრამ ჩვენ უკანასკნელ პერანგს გავიხდით და ამ ციფრით არ დავკმაყოფილდებით — გავაორმაგებთ ან გავასამმაგებთ. აბა, ვინა გგონივართ! დავუფასოთ პრეზიდენტს გულუხვობისა და ხელგაშლილობის ნიჭი და უნარი.**

## აი, ბაქო, ჯან, ბაქო!

აი, ამ სატახტო ქალაქში თქვა პრეზიდენტმა ისეთი სწორი და ბრძნული სიტყვა, რომ გაჰკვირდება ნებისმიერი: **„თხევადი გაზის ტრანსპორტირება პოლიტიკურ იარაღად არ უნდა იქცეს და ეს მნიშვნელოვანი გარღვევა იქნება ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში!“.**

კი, ზუსტად ასეა საკაცობრიო თვალსაზრისით, მაგრამ **სინამდვილეში სხვა კუდს დავინახავთ, თუ გავითვალისწინებთ გადასადგმელი ენერგეტიკული ნაბიჯის ერთგვარ ანტირუსულ ფაქტორს და ამ საქმის წამყვანი ფიგურანტების ამერიკულ გაწვრთნილობას. ამ შემთხვევაში ღონისძიების არც თუ მცირე პოლიტიკური შემადგენელი გააჩნია და მისი უარყოფა უაზრობაა.**

ეკონომიკურ ეფექტიანობაზე რა ვთქვათ? აქ გაცილებით რთულადაა საქმე. გავიხსენოთ: აზერბაიჯანული გაზის მიწოდება საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე გამავალი, არსებული მილსადენით განხორციელდება. ჩვენთან მოხდება მისი გათხევადება. შემდეგ ტანკერებით გადაზიდავენ კონსტანსცას ნავსადგურში. აქ გადაამუშავებენ გაზად რუმინეთში გამოსაყენებლად, ბულგარეთში, უნგრეთში და ა.შ. გადასატუმბად.

ამ ციკლში, ჯერ ერთი, დამატებითი ტექნოლოგიური სირთულეები წარმოიქმნება. მეორე — ბაქოს შეხვედრის მონაწილეებით, შეხვედრის მონაწილეებით, შეხვედრის დროს განცხადებული შენიშვნების გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ, ამ საქმის მიმართ ევროპული სტრუქტურებისა და წამყვანი სახელმწიფოების ინტერესი აშკარად არასაკმარისია, უპირველესად, **ნახშირწყალბადებით მომარაგების არსებულ სისტემასთან მისი მცირე კონკურენტუნარიანობის გამო. მომავალი ობიექტი, უნდა ვივარაუდოთ, ჯერჯერობით განიხილება როგორც ვარიანტი „ყოველი შემთხვევისთვის“,** ხოლო მისი დეკლარირებული ფინანსური ნაწილი „ცენტრალიზებული“ ევროპული დახმარების გარეშე ვერ ჩაითვლება სანდო საყრდენ წერტილად, მიუხედავად იმისა, რომ მოსალოდნელი ხარჯი დაგეგმილია, თანაბრად განაწილდეს აზერბაიჯანს, საქართველოსა და რუმინეთს შორის.

**ჩვენ ამდენი „თავისუფალი ფული“ (700 ათასიდან 1,5 მილიარდ დოლარამდე) არ გაგვაჩნია. მდიდარი და განათლებული ევროპისთვის მიმართვა, რათა დაინტერესებული მონაწილეობა მიიღოს პროექტში, მხოლოდ ადასტურებს გარკვეული სიძნელეების არსებობას, რომლებიც დაფინანსებაში არსებობს.**

**„ტუვალუ იმ 50 სახელმწიფოთა შორისაა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს საქართველოს მიერ ინიცირებულ გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას, რომლითაც აღიარებულია ყველა იძულებით გადაადგილებული პირისა და ლტოლვილის უფლება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში საკუთარ სახლებში დაბრუნების შესახებ“.**

რუმინეთმა, რომელიც აქტიურობდა სამიტზე და ხელი მოაწერა დასკვნით დოკუმენტებს, წინა დღით რუსეთის „გაზპრომთან“ ქათინაურების გაცვლაში წაივარჯიშა. **მედიის გადმოცემით აღნიშნული ფაქტი ასე ფიქსირდება: „რუმინეთმა დაადასტურა, რომ დაინტერესებულია მონაწილეობა მიიღოს ტრანსეროვნული გაზსადენის „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობაში“. 10 სექტემბერს „გაზპრომის“ პრესსამსახურმა დაადასტურა, რომ სწორედ ასეთი იყო „გაზპრომის“ დელეგაციის ვიზიტის შედეგები რუმინეთში** (REGNUM).

ეს ყველაფერი ადასტურებს უკიდურესად მარტივ ცხოვრებისეულ სიმართლეს: ჯერ კიდევ დიდი მანძილია პროექტის დოკუმენტური ნაწილის შედგენიდან პირველი აგურის ჩადებამდე მის საძირკველში და საწარმოო რეალობამდე. გავიხსენოთ „ნაბუქო“ და ის ვნებათაღელვა, რომელიც გაჩაღდა გაზის მიზნობრივი იდეის გარშემო, რომელიც უეჭველად იმსახურებდა ევროპის ყურადღებას. მაგრამ ჩვენს, ჯერ კიდევ მრავალპოლარულ სამყაროში სახეზეა სხვა დინებანიც, მოსაზრებანიც — არ გადააფარონ ეკონომიკური საბანი ორ, სამ მონაწილეს, მით უფრო, — მთელს ჯგუფს. **საქმე ის კი არ არის, მიიღებენ თუ არა აზერბაიჯანისა და საქართველოს პროექტს (საერთო ღირებულებით, ზედა შკალის მიხედვით, 4,5 მილიარდი ევრო), დაიძრებიან თუ არა გემების ქარავნები პორტიდან პორტში, არამედ იმის დემონსტრაცია, რომ რიგი ქვეყნებისა მიილტვის პოლიტიკურ-ეკონომიკური ერთიანობისა და კონფედერაციული მოწყობისაკენ. ჩანს, რომ აზერბაიჯანი და საქართველო მზად არიან, ყოველ ხელსაყრელ მომენტში დაადასტურონ ერთიან სატრანსპორტო-ეკონომიკურ ჯაჭვში — ზღვიდან ზღვამდე — ერთად ყოფნის მზადყოფნა.** და დროდადრო ხაზი გაუსვან ისეთი პრაგმატული მეზობლობის მომგებიანობას, რომლის გამოყენებაც ნებისმიერ შემთხვევაში შეეძლება ევროპასაც, აზიასაც და ამერიკასაც.

ლოგიკა ასეთია: აზერბაიჯანმაც და საქართველომაც, რომლებიც გაზის პროექტის გარეშეც ერთმანეთის პარტნიორები არიან გუამშიც, და მათმა თანამგრძნობმა რუმინეთმაც მსოფლიოს უნდა შთაუნერგოს მათდამი ინტერესი და პატივისცემა. ძალა ერთობაშია! — ამის დამტკიცებას ცდილობდნენ ბაქოს შეხვედრის მონაწილეები, რომლებიც ფრიად პოლიტიზებული იყვნენ და პირდაპირ ეწერებოდნენ ოკეანისგაღმელთა სამხრეთკავკასიური პოლიტიკისა და გლობალიზაციის ვექტორში, მაგრამ მიმხრობილი უნგრეთის სტრატეგიული მონაწილეობის გარეშე.

**რაც შეეხება აზერბაიჯანს, მისი ორგანიზატორული შემართება სამიტის ჩატარების საქმეში და საზეიმო მჭევრმეტყველება შეიძლება განვიხილოთ, როგორც პასუხი რუსეთის აუხდენელი ოცნებებისა გამო და დიდწილად, როგორც რეაქცია რუსეთის პრეზიდენტის ბაქოში ვიზიტზე.**

მაგრამ ეს მეორეხარისხოვანი დეტალებია დიდი თამაშისა, რომელიც წამოწყებულია გაზის კიდევ ერთი ახალი პროექტისა და რეგიონში მაღალი რანგის ვიზიტების დროშის ქვეშ, ან, შესაძლოა, მსოფლიო დონის ქორების რევანშის მორიგი მცდელობაა ერთბაშად ორ ფრონტზე — ქართულ და აზერბაიჯანულ ფრონტებზე — აგვისტოს გეოპოლიტიკური დამარცხების გამო. მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა.

**„გაზის დოლარების“ შემოდინებაზე ქვეყანაში ჯერ ძალიან ადრეა ლაპარაკი — ობიექტის მშენებლობა ორნახევარ წელიწადს მაინც გაგრძელდება. ჯერ კიდევ დაუდგენელია თანმდევი თემები და, რაც მთავარია, დაფინანსების წყაროები.**

მაგრამ, დაე, თავი იმტვრიონ ამის თაობაზე მათ, ვისაც გაზის კრიზისული პრობლემები აწუხებს. ჩვენთვის კი ეკონომიკური გარღვევა, დანახვისთანავე შეყვარებისა არ იყოს, იოლია: ვიყოთ მაჩანჩალა პარტნიორი, მივსდიოთ სხვის ნებას, განვახორციელოთ საერთაშორისო მნიშვნელობის დავალებები და დირექტივები, ჩვენთვის მომგებიანიც რომ არ იყოს, და შევინარჩუნოთ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოჩვენებითობა. რაც, კარგად გამოსდით პირველ პირებს.

## მოჩვენებითი გზა დიდი ფულისკენ

დეკლარირებული ტურისტული და სხვა სპონტანურად წამოჭრილი მიმართულებანი, ზოგიერთთა განსაზღვრით, პირველი პირის სურვილში ფესვგადგმული იდეაფიქსია — იყოს მსგავსი ბრწყინვალე მეფის, დავით მეოთხისა — აღმაშენებლის და გარდამქმნელის.

ასე იშვა მორიგი წარმოუდგენელი ჰიპერბოლიზაცია ქვეყნის ტურისტული შესაძლებლობების და, შესაბამისად, მოსალოდნელი შემოსავლების.

**მაგრამ ყველაზე მასშტაბური ბელეტრისტიკა აგიტპოეზიის ანარეკლით — ზურმუხტოვანი ჩვენი ზღვის ნაპირების შესახებ და პლაჟებიდან სულ რამდენიმე წუთში სათხილამურო ტრასებზე მოხვედრის შესაძლებლობის შესახებ მაღალმთიან სვანეთში, ვერ შეაცდენს გონიერ ადამიანებს.**

ჯერ ერთი. ეს უკვე გავლილი გვაქვს და ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოში აპირებდნენ ამის გაკეთებას. მაღალმოხელე აფხაზი ამხანაგები ქართველებთან ერთად გაგრიდან თოვლიანი მთებისკენ გეგმავდნენ საბაგირო გზის გაყვანას.

მეორე. **ვინ თქვა, რომ ტურიზმი მხოლოდ შემოსავლებია? ღატაკი კუბა აშშ-ის სიძვის სახლის სტატუსით თავის დროზე ცხოვრობდა და ვითარდებოდა მდიდარი სტუმრებისა და ალკოჰოლის მეფის, ბაკარდის წყალობით. ან — დღევანდელი საბერძნეთი, რომელსაც აღრჩობს ვალები და ვერ ძლება ევროპის ფინანსური დახმარებით, საერთო აზრით, „მომგებიანი“ ტურისტული ბიზნესის ლიდერად არის მიჩნეული.**

ტურიზმი საქართველოში, უეჭველად უნდა იყოს პატივდებული დარგი; მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, სამეცნიერო-ეკონომიკური დაპროგრამების საფუძველზე მდგარი და არა პირველი პირისა და მისი მარჯვენა ხელის, ქვეყნის ამჟამინდელი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ვერონიკა ქობალიას ზეპირი გამონათქვამების მიხედვით წარმართული ვოლუნტარისტული მიმართულება. ალბათ, **დროა, ისწავლონ მაღალი თანამდებობის ბატონებმა ტრიბუნებიდან საგნობრივი საუბარი, ეს ერთი. და, მეორე, ილაპარაკონ დასაბუთებულად, გარკვევით და ლოგიკურად და არა ბრბოს ფსიქოლოგიასა და ობსკურანტების ტუზზე გათვლით: რაც უფრო დიდია ტყუილი, მით უფრო სჯერა მისი მშიერ, თუნდაც ბრძენ ხალხს.**

## ფული, მანი და ტყვიები

ღირს, ჩვენი ანტიეკონომიკის კიდევ ერთი მაგალითიც აღვნიშნოთ, რომელიც მუდმივად არსებობს და თანაც არა მხოლოდ კვირებისა და თვეების მანძილზე. ეს არის წარმოუდგენლად ფუქსავატური დამოკიდებულება ხაზინის ფულის მიმართ, მნიშვნელოვანი დანახარჯები, მაგალითად, ტურისტული ინფრასტრუქტურის ფრაგმენტებზე, შადრევნების, ხიდების მშენებლობაზე, ქუჩის მხატვრობაზე, მემორიალების დანგრევასა და მონუმენტური სკულპტურების დემონტაჟზე, რაც ვერ ესადაგება ჩვენს ფულად შესაძლებლობებს, რომლებიც ოპტიმუმს ძალიან არის დაშორებული.

ბიუჯეტი, რომელიც, უპირველესად, ძალოვან სტრუქტურებს ემსახურება და ჩინოვნიკების მაღალ ხელფასებს უზრუნველყოფს, აგრეთვე, ზოგიერთ კოსმეტიკურ სოციალურ ასპექტსა და ღატაკურ პენსიებზე იხარჯება, სრულიად არ შეესაბამება საარსებო მინიმუმს, მოსალოდნელ კეთილდღეობას და, რა თქმა უნდა, ჰიპერტროფირებულ სამხედრო ხარჯებს. უკანასკნელი **რამდენიმე წლის განმავლობაში შეიარაღებამ და არმიამ შთანთქა სამ მილიარდამდე ლარი,** რაც ხუთდღიანი ომის შედეგებით ქარს გატანებული აღმოჩნდა და გაშიფვრას არ ექვემდებარება. ერთი სიტყვით, ომის მღვრიე წყალში, უნდა ვივარაუდოთ, იმალება ბევრი კრიმინალური ფესვი და სიუჟეტი, რომელთა შესწავლა საჭიროდ არავის მიაჩნია.

მოდით, გვახსოვდეს ეს ყველაფერი.

**საქინფორმი**

# ქართული ანბანის საიდუმლოზე დოკუმენტურ ფილმს იღებენ

**სტუდია „დოკუმენტალისტი“ (შემოქმედებითი ჯგუფი: იდეის ავტორები — ნუგზარ რუხაძე, მადონა სიხარულიძე, რეჟისორი — ბუბა ხოტივარი, სცენარის ავტორები — მადონა სიხარულიძე და ნინო ცისკარაძე. კონსულტანტები — აკადემიკოსები თამაზ გამყრელიძე და მიხეილ ქურდიანი, პროფესორები რამაზ პატარიძე და ნინო სამსონია, პროდიუსერი — ნელი ზანგურაშვილი) ქართველი და უცხოელი ენათმეცნიერების გამოკვლევების საფუძველზე იღებს მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმს ქართულ ანბანში შეფარულ საიდუმლოებათა ამოხსნის თაობაზე.**

## ნუგზარ რუხაძე: საქართველო იდეოლოგიურ ომში მარცხდება



| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | ⴀ | Ⴀ | 1 | ს | ⴑ | Ⴑ | 200 |
| ბ | ⴁ | Ⴁ | 2 | ტ | ⴒ | Ⴒ | 300 |
| გ | ⴂ | Ⴂ | 3 | ჳ | ⴣ | Ⴣ | |
| დ | ⴃ | Ⴃ | 4 | უ | ⴓ | Ⴓ | 400 |
| ე | ⴄ | Ⴄ | 5 | ფ | ⴔ | Ⴔ | 500 |
| ვ | ⴅ | Ⴅ | 6 | ქ | ⴕ | Ⴕ | 600 |
| ზ | ⴆ | Ⴆ | 7 | ღ | ⴖ | Ⴖ | 700 |
| ჱ | ⴡ | Ⴡ | 8 | ყ | ⴗ | Ⴗ | 800 |
| თ | ⴇ | Ⴇ | 9 | შ | ⴘ | Ⴘ | 900 |
| ი | ⴈ | Ⴈ | 10 | ჩ | ⴙ | Ⴙ | 1000 |
| კ | ⴉ | Ⴉ | 20 | ც | ⴚ | Ⴚ | 2000 |
| ლ | ⴊ | Ⴊ | 30 | ძ | ⴛ | Ⴛ | 3000 |
| მ | ⴋ | Ⴋ | 40 | წ | ⴜ | Ⴜ | 4000 |
| ნ | ⴌ | Ⴌ | 50 | ჭ | ⴝ | Ⴝ | 5000 |
| ჲ | ⴢ | Ⴢ | 60 | ხ | ⴞ | Ⴞ | 6000 |
| ო | ⴍ | Ⴍ | 70 | ჴ | ⴤ | Ⴤ | 7000 |
| პ | ⴎ | Ⴎ | 80 | ჯ | ⴟ | Ⴟ | 8000 |
| ჟ | ⴏ | Ⴏ | 90 | ჰ | ⴠ | Ⴠ | 9000 |
| რ | ⴐ | Ⴐ | 100 | ჵ | ⴥ | Ⴥ | 10000 |

— მსოფლიომ ჯერ კიდევ არ იცის, — თქვა „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში იდეის ავტორმა **ნუგზარ რუხაძემ**, — რომ ქართველები, როგორც ერი, რას წარმოვადგენთ. არ ვამბობ ისეთ უცნაურობას, რაც ჭეშმარიტებას არ შეესაბამება. ენათმეცნიერებთან, ქართული ენის სპეციალისტებთან გამართული კონსულტაციებისა და უამრავი ლიტერატურის გაცნობის შემდეგ, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ მსოფლიოში მოქმედ ანბანთა შორის ქართული ორიგინალური და გამორჩეულია. მისმა შემქმნელებმა უზუსტესად აღნუსხეს ქართული ფონემური მარაგი და შეუსატყვისეს ზუსტად იმდენი ნიშანი, რამდენიც საჭირო იყო. ჩვენი დამწერლობა იქმნებოდა და ვითარდებოდა ბერძნულისა და არამეულის პარალელურად, მისი დასაბამი უძველესი ცივილიზაციის წიაღშია საძიებელი.

**— რამდენად შეუწყობს ხელს ქართული ანბანის პოპულარიზაციას ამ ფილმის გადაღება?**

— ქართული კულტურა ისეთი, როგორიც არის, ჩაბმულია სამკვდრო-სასიცოცხლო იდეოლოგიურ ომში და, სამწუხაროდ, ამ ომს აგებს. აგებს და არავინაა პატრონი და გამკითხავი, აქ არაფერი გიშველის, გარდა ზუსტად გათვლილი, გეგმაზომიერი საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებებისა.

**დღეს ამ მარცხის საუკეთესო მაგალითებად გამოდგება მსოფლიო მასშტაბით სხვადასხვა ენაზე გამოცემული ლექსიკონები, ენციკლოპედიები, ცნობარები, ალმანახები, ატლასები, ბროშურები და ა.შ., რომელთა უმრავლესობაში, როგორც წესი, მოხსენიებულია ურარტუ და არმენია, ხოლო იბერია და საქართველო — არა!** აქ დავა შეიძლება, რა თქმა უნდა, და დავობენ კიდეც, გამწარებული დავობენ. არა და არ იღებენ ხელს იმის მცდელობაზე, რომ მსოფლიო დაარწმუნონ ქართული კულტურის, ქართული ენის, ქართული ეროვნული საწყისის ორიგინალურობასა და ისტორიულ განსაკუთრებულობაში.

**ამერიკის ერთ-ერთ ინსტიტუტში დევს აკადემიური გამოცემა „ამბავი საქართველოზე“, რომლის ავტორიც ვინმე სუნია (მისი ნამდვილი გვარი სუნიანცია). წავიკითხე და კინაღამ გული გამისკდა... საოცარია, მაგრამ ამ წიგნის კრიტიკა ქართულ პრესაში ვერ ვიპოვე. ჩვენი მეცნიერები არ გამოხმაურებიან ამ სულელურ გამოცემას. როგორ შევაფასოთ ეს ფაქტი? დაუდევრობად? — კი, დაუდევრობაა. უფულობას დავაბრალოთ? — უფულობაცაა, პროპაგანდას მილიონობით დოლარი სჭირდება. დაუდევრობასთან და უფულობასთან ერთად, სამშობლოსადმი სიყვარულის უკმარისობაც გვჭირს. ქართველებმა, ბოლოს და ბოლოს, უნდა ვისწავლოთ, თუ რა არის „განხორციელებული სიყვარული“. აი, ეს ფილმი ჩვენი მხრიდან განხორციელებული სიყვარულის გამოვლენა იქნება.**

მსოფლიოში გავრცელებული ავტორიტეტული ცნობარები სავალალოდ მწირ ინფორმაცის იძლევა ორიგინალური ქართული ენისა და დამწერლობის შესახებ, მაშინ, როდესაც, მაგალითად, სომხური ლინგვისტური კულტურა შესაშურადაა წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე ვამბობ, რომ საქართველო აგებდა და აგებს იდეოლოგიურ ბრძოლას.

**— ბატონო ნუგზარ, ფილმის ისტორიულ-ლიტერატურული ფონის შესახებ რას გვეტყვით?**

— ცნობილია, რომ თანამედროვე ცივილიზაცია მხოლოდ 14 მოქმედ ანბანს იცნობს, ქართული ანბანი ერთ-ერთია მათ შორის. ამ უძველესი ანბანის წარმოშობის საკითხზე დღემდე არ წყდება მეცნიერული დავა.

ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფი ისეთი კინოდოკუმენტური ნაწარმოების შექმნას აპირებს, რომელიც მსოფლიოს დაარწმუნებს, რომ ქართველები და შუმერები ერთი წარმომავლობის ხალხია და რომ მათი დამწერლობა ერი და იგივეა. თუ ფილმი გამოგვივიდა, ეჭვგარეშეა, რომ ისტორიული ჭეშმარიტება ქართული ანბანის შესახებ ცნობილი გახდება ცივილიზებული სამყაროსთვის, რითაც საბოლოოდ დაესმება წერტილი ქართული ეროვნული ლინგვისტური კულტურის შესახებ სიმართლის დამახინჯების მცდელობას.

შუმერულ-ქართული ცივილიზაციის შესაძლო იდენტურობაზე თავის დროზე მიუთითებდნენ ცნობილი მეცნიერები: მიხაკო წერეთელი, ივანე ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე; თანამედროვეთაგან — ანდრია აფაქიძე, გიორგი ციციშვილი, რამაზ პატარიძე, თეიმურაზ მიბჩუანი, რაჟდენ დუმბაძე და სხვანი. ნიკო მარი წერდა: „დღეს იქნება თუ ხვალ, ქარული ენის შეუსწავლელად, მის გაუცნობლად, ვერც ერთი საკაცობრიო სიძველეთა საკითხი ვერ გადაიჭრება“.



ბუბა ხოტივარი

საუბარში ერთვება ფილმის რეჟისორი **ბუბა ხოტივარი**:

— ჩვენი ეროვნული განძია ანბანი, ამოუხსნელი დიდი სირთულეებით, ძალიან ღრმა შინაგანი ფილოსოფიური, კოსმიური, კოსმოგენური რელიგიური არსია მასში ჩადებული. კომპეტენტურ მეცნიერთა აზრით, მისი სიძველე და თვითმყოფადობა ეჭვგარეშეა. ქართული დამწერლობის მკვლევართა მიზანი ანბანში შეფარული საიდუმლოს ამოხსნა იყო. პირველი სერიოზული მცდელობა ამ მიმართულებით ცნობილ ენათმეცნიერს, ბატონ რამაზ პატარიძეს ეკუთვნის. დღეს პრაქტიკულად დასაბუთებულია, რომ ქართული დამწერლობა არ შექმნილა ქრისტიანულ ეპოქაში და არ გადმოუღიათ იგი ბერძნულიდან. სულ ცოტა, იგი იქმნებოდა და ვითარდებოდა ბერძნული და არამეული დამწერლობის პარალელურად და, თუ უფრო შორს წავალთ, მისი დასაბამი უძველესი ცივილიზაციების წიაღში უნდა ვეძებოთ. ფილმი, ვიმედოვნებ, ამ მიმართებით თავის სიტყვას იტყვის.

ვაპირებთ, ფირზე აღვბეჭდოთ უძველესი სახალხო-რელიგიური რიტუალები, რომლებიც, რაც დრო გადის, კარგავს პირვანდელ სახესა და შინაარსს. ცდას არ დავაკლებთ, რათა მსოფლიოს ხალხებს გავაცნოთ ჩვენი გამორჩეულად ორიგინალური და ეგზოტიკური ფოლკლორი.

**— ბატონო ბუბა, როგორია ფილმის სადისტრიბუციო სტრატეგია?**

— მოვიდა დრო, რომ გაკეთდეს მაღალი დონის, მე ვგულისხმობ Discovery-ის ტიპის დოკუმენტური ფილმი ქართულ ანბანზე, რომელსაც ექნება სერიოზული რეზონანსი მსოფლიოში. რაც შეეხება მსოფლიო არხებზე გასვლას, ნამდვილად უპატრონოდ ვართ მიტოვებულნი. პატრონი სჭირდება საქართველოს მეცნიერებასა და ქართულ კინოს, მთავრობამ უნდა მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს, სახელმწიფო უნდა აფინანსებდეს ფილმებს ერის ისტორიაზე.

**— ეს ფილმის პროდიუსერის ფუნქცია უფროა, ვიდრე მთავრობის...**

— ფილმის პროდიუსერმა **ნელი ზანგურაშვილმა**, შემიძლია ვთქვა, ეს იდეა თავიდან აალორძინა. რომ არა მისი ენერგიული, საქმიანი მიდგომა ამ პროექტისადმი, მე პირადად ხელი მქონდა ჩაქნეული, რადგან მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ, სანამ არ მოხდება ახალი კინოკოდექსის მიღება, მანამდე სერიოზული ძვრები უკეთესობისაკენ არ იქნება. მაგრამ ახლა იმედი გაჩნდა. ქალბატონი ნელის ენერგია, საქმისადმი მისი სიყვარული, პატრიოტიზმი და სურვილი, რომ გაკეთდეს სერიოზული შემეცნებითი ფილმი ქართულ ანბანზე, ამ თემას თავის გზას აპოვნინებს.



ნელი ზანგურაშვილი

**— ვინ დააფინანსებს ფილმს?**

— წინასწარ მოველაპარაკეთ ჯეოსელს, გავაცანით ფილმის სინოფსისი. პირველ ეტაპზე თემა მოწონებულია, საქმე ადგილიდან დაიძრა.

**— ქალბატონო ნელი, ფილმი, რომლის პროდიუსერიც თქვენ ბრძანდებით, საუკუნის პროექტად მოიაზრება...**

— ასეთ შეფასებას მეც ვიზიარებ. კოლეგებმა უკვე თქვეს, რომ ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ ქართული კულტურისა და ფოლკლორის პოპულარიზაციას, მათთვის შესაფერისი, ღირსეული ადგილის დამკვიდრებას მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში. ვაპირებთ, გადავიღოთ დოკუმენტურ-პუბლიცისტური ფილმი ქართულ-შუმერული პარალელების შესახებ, რაც დააფიქსირებს ქართული დამწერლობის განსაკუთრებულ როლს მსოფლიო ლინგვისტურ მეცნიერებაში, წარმოაჩენს პროფესორ რამაზ პატარიძის მიერ გაშიფრულ საიდუმლოს, რომელიც შუმერულ-ქართულ დამწერლობაშია ჩადებული და სამყაროს წარმომავლობის სიმბოლურ ახსნას წარმოადგენს. ეს ყველაფერი კი, ბუნებრივია, წინააღმდეგობას გაუწევს ქართული კულტურისა და დამწერლობის დამახინჯება-დაკნინების მიზანმიმართულ მცდელობას.

უცხოელი მეცნიერებისა და ექსპერტების დაინტერესება ქართული ანბანის კვლევასთან დაკავშირებული საკითხებით დიდია და მათ უკვე გამოთქვეს ჩვენს პროექტში მონაწილეობის სურვილი. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ თემაზე მაღალპროფესიულად და საინტერესოდ გადაღებულ თუნდაც ერთ ფილმს შეუძლია, სერიოზული ბიძგი მისცეს საზოგადოდ მსოფლიო ანბანების კრიპტოლოგიური კვლევის გააქტიურებას, რაც, თავის მხრივ, შეიძლება თემატურად დაკავშირებული სამეცნიერო ფილმების მთელი ციკლის შექმნას დაედოს საფუძვლად.

**ლაშა გიორგიძე**

## მოკლედ



### ბურჯანაძე მოითხოვს

**„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს ღია წერილით მიმართავს და უცხოეთში მყოფ ქართველ „კანონიერ ქურდებთან“ პარტიის ლიდერის ნინო ბურჯანაძის შესაძლო კავშირების შესახებ საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებას მოითხოვს.** „მოვითხოვთ, გამოქვეყნდეს თქვენს უწყებაში არსებული ავსტრიული მხარის მიერ მოწოდებული მასალა, რომლის საფუძველზეც გააკეთა განცხადება პირდაპირ ეთერში საქართველოს პრეზიდენტმა ან უარყოთ ეს განცხადება. წინააღმდეგ შემთხვევაში კიდევ ერთხელ ნათლად დადასტურდება საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი პირი, ქვეყნის პრეზიდენტი პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციისა და მათთან ბრძოლის მიზნით წინასწარი განზრახვით ავრცელებს ცრუ ინფორმაციას“, — ნათქვამია განცხადებაში.



### პრეზიდენტი ხელებს მოგამტვრევთ

**„აბა რა ეგონათ?!“ — შესძახა პრეზიდენტმა სააკაშვილმა და ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილის — კოკა ფრუიძის დაპატიმრების ამბავს ისიც მოაყოლა, რომ საქართველო კორუფციის განეიტრალების კუთხით ევროპულ ქვეყნებზე მეტს აკეთებს.**

„ჩვენი მთავრობის დროს დაკავებულია რამდენიმე მინისტრის მოადგილე, საპარლამენტო უმრავლესობის 4 თუ 5 წევრი. მე არ ვიცი სხვა ევროპული ქვეყანა, რომელიც კორუფციის გასანეიტრალებლად ამდენს აკეთებს. ის, რომ მაღალი თანამდებობის პირებს დააკავებენ, არ უნდა იყოს გასაკვირი. აბა, რა ეგონათ?! დავჩლუნგდით?! დავძაბუნდით?! თუ კადრები ხშირად იცვლება, არ ნიშნავს, რომ ამ კადრებს ვერ ვაკონტროლებთ. როგორც კი ვინმე თავზე ხელს აიღებს, მოსტყდებათ ის ხელები ძირში“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ნაცმოელმა «დე ლა როზებმა» საქართველოსთან ბრძოლა დავით აღმაშენებლის ძეგლის თბილისის ცენტრიდან განდევნით დაიწყეს



**საქართველოში ბარბაროსთა მარბიელ ურდოსავით შემოჭრილმა „ვარდების ხელისუფლებამ“ ზედიზედ დაამდაბლა ყველა ეროვნული სიწმინდე და საუნჯე, უდიერად დაამხო ქართველი კაცისთვის ოდითგანვე სალოცავად ქცეული ყველა ხატი და ნიშანსვეტი, მაგრამ იმას კი ველარავინ წარმოიდგენდა, რომ ეს გათავხედებული ურჯუკები დიდ დავით აღმაშენებლს შეჰბედავდნენ ვერაგულად მოთხრას დედათბილისის ცენტრიდან. ტყის ყაჩაღივით მხრებგაკოჭილი და დამცირებული დიდგორის გმირი ისე განდევნეს დედათბილისის ცენტრიდან, როგორც „ერთი ვინმე შეურაცხთაგანი“ და ერთ დროს აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა მეფეთ-მეფე და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ზარდამცემი თვითმპყრობელი ქალაქის დასავლეთისკენ გამავალი „დიღმის ტრასის“ გზაჯვარედინზე დააყუდეს. ის, რაც პირველ დიდგორზე ვერ შეძლო ქართველთა სისხლით გაუმაძღარმა ორტოკიდთა და ოგუზთა მოდგმის სარდალმა ნეჯმ ედდინ არდუხტ ოღლი ილღაზმა, „ახალ დიდგორზე“ წარმატებით დააგვირგვინეს ჯერაც გაურკვეველი წარმომავლობისა და გვარტომობის ნაცმოელმა თურქ-სელჩუკებმა; ისე, რომ ოცდათექვსმეტი წლის მანძილზე სამოც დიდ ომში გამარჯვებულ და ოთხსაუკუნოვანი მონობიდან თბილისის განმათავისუფლებელ მეფე-რაინდს სამოცი მამულიშვილიც ვერ მიეშველა სახელისუფლო ტერორის შიშით.**

ახლანდელ საქართველოს ესადაგება ნეტარხსენებულ დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის მიერ აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი სტატიის ფრაგმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ **„ამჟამად სამშობლო ჩვენი მოგვაგონებს დავითის წინა დროის საქართველოს — სარწმუნოება შელახულია, ზნეობა — დაცემული, ცოდნა — დაკნინებული, ქვეყანა — პარტახქმნილი, ერი — დაქსაქსული და დაწყლულებული“.**

მართლაც, ჩვენი ქვეყნის ძველი და ახალი გაპარტახების პანორამული პარალელები საოცრად იდენტურია. **როგორც „ქართლის ცხოვრების“ დიდი წიგნი გვაუწყებს, აღმაშენებლის აღზევებამდე თურქ-სელჩუკთა შიშით თავზარდაცემული მოსახლეობა უგზო-უკვლოდ გარბოდა „ტყეთა, კლდეთა, ქვაბთა და ხვრელთა შინა“ და უმოწყალოდ იხოცებოდა „ზამთრის საფრთხითა, უსახლობითა, შიმშილითა და მხეცთა საკბილო ხდებოდა“. ახლანდელ საქართველოშიც იგივე სურათია: ნაცმოელ თურქ-სელჩუკთა მიერ დევნილი, დამშეული და დაშინებული ხალხი დედაწულიანადაა აყრილი და დაქსაქსული მილეთის გზებზე ბედისა და ლუკმა პურის საძიებლად.**

* * *

„ვარდების ხელისუფალთაგან“ განსხვავებით, დავით მეფემ ბრწყინვალედ გაართვა თავი მტრებისგან საქართველოს ტერიტორიების გაწმენდისა და ლტოლვილთა დაბრუნების ორ უმთავრეს სახელმწიფოებრივ პრობლემას, რაც „ვარდების ხელისუფლებამ“ დღემდე ვერ შეძლო. მან ტყე-ღრეებიდან გამოიყვანა და ოჯახებს დაუბრუნა მიმოფანტული ხალხი, **„გაუჩინა მათ საზრდელი და სადგომი, უკანვე გამოიხსნა მიტაცებული ქვეყანანი და სიმდიდრენი, დაამშვიდა და გააძლიერა ქვეყანა, აღავსო ყოვლითა კეთილითა, განავსო და აღაშენა ყოველი და გარდაემატა ყოველთა ჟამთა სიმდიდრითა სამეფო ჩვენი“.**

პოლიტიკურ „ონანიზმში“ გაწაფული ნაცმოელები, აგერ უკვე ექვსი წელია, შორეული მეტროპოლიებიდან კაბალისტური გარიგებების საფასურად ჩამოლალული „საფრთხობელების“ თანხლებით პერმანენტულად მართავენ რაღაც ბუტაფორიულ „critique debate“-ებს დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად, მაგრამ „ჩრდილოელი მტრის“ მიმართ მათი ერთობლივი მუშტების ქნევა და ფაფხური უკანმოტრიალებული ბუმერანგივით ეხეთქებათ ცხვირ-პირში „ვარდების რევოლუციის“ პირველ და უკანასკნელ მოჰიკანებს. გამაბეზრებლად უსასრულო და ალერგიის მომგვრელი „კონსულტაციებით“, „დაკვირვებებითა“ და „მხარდაჭერებით“ გართული ოკეანისგაღმელი და გამოღმელი პოლიტიკური პამპულები იმას კი აღარ ფიქრობენ, **რომელი განდგომილი კუთხის მოსახლეობა ისურვებს საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნებას, თუ აქ მძვინვარე უკიდურესი სიღატაკისა და გაჭირვების გამო ისევ საქართველოს საზღვრებს მიღმა გასაქცევად გაუხდებათ საქმე.**

* * *

**დავით გიორგის ძე მეოთხეს ერის პირუთვნელმა სამსჯავრომ სიცოცხლეშივე უწოდა „აღმაშენებელი“, „მეფე-მზე“, „ჯვაროსანი რაინდი“, „დიდგორის გმირი“, „გრაალის რაინდი“, „ქრისტეს მხედარი“ და „მესიის მახვილი“, მაგრამ ქართველი ხალხისთვის დღემდე გამოუცნობია, რა ნიშნით უწოდეს ნაცმოელმა თურქ-სელჩუკებმა ოკეანის გაღმიდან ინსცენირებულ და დაფინანსებულ თავიანთ თეატრალურ ბალაგანს „ვარდების რევოლუცია“.**

სავარაუდოა, რომ ერისა და ქვეყნის მიმართ მათი პათოლოგიური სიძულვილი ამ ეშმაკის მოციქულებმა თვალთმაქცურად გახვიეს სიყვარულის სიმბოლოდ აღიარებულ ვარდების თაიგულში და ამ საცთურით ხელდამშვენებული წარუდგნენ მათ მიერ გაბრიყვებულ ქართველ ხალხს.

მოსყიდულმა მოენეებმა და პოლიტიკურმა შულერებმა ლამისაა საქართველოს თავაწყვეტილი ხელისუფლება დემოსისა და ერის მორჩილ მმართველად აღიარონ, მაგრამ ამ თვითმარქვია „დემოკრატებმა“ ერთხელ კიდევ ჩაწიხლეს ხალხისა და ეკლესიის ნება, როცა დიდი აღმაშენებელი თავიანთი სამთავრობო კარუსელის იმ ერთ-ერთ რიგით წევრად მიიჩნიეს, რომლისთვისაც სულ მზად აქვთ პანღური და ალიყური.

* * *

ასოცდაორი წლის წინათ დავით მეფეზე, ერზე და ისტორიაზე გამოქვეყნებულ სტატიებში დიდი ილია წუხდა, რომ XIX საუკუნის საქართველოს აღმაშენებლის ძეგლი არ გააჩნდა და თანამედროვეებს მოუწოდებდა, სხვა ქვეყნებიდან მაინც გადმოეღოთ სახელოვან წინაპართა პატივისცემის მაგალითები. ეს მენტორული მოწოდება დღესაც ძალაშია დიდგორის გმირის წინააღმდეგ ამხედრებული ნაცმოელი თურქ-სელჩუკებისთვის.

**დიდებული სანახავია ფარხმალში ჩაუქად ჩამჯდარი და ყელმოღერებულ ბედაურზე ამაყად ამხედრებული იური დოლგორუკის ძეგლი, რომელიც რუსული ეროვნული სულის დარაჯად დგას წითელ მოედანზე. ეს ქანდაკება არასოდეს გამხდარა რუსეთის რომელიმე ხელისუფლების თავდასხმისა და შეურაცხყოფის ობიექტი.**

იური დოლგორუკმა დააარსა მოსკოვი, ხოლო დავით აღმაშენებელმა ისე შექმნა ქართული სახელმწიფო, როგორც ღმერთმა მიწისგან ადამი.

**ასევე წარმოუდგენელია, რუსეთის სახელმწიფოს ოდესმე მოევლინოს ისეთი ცუნდრუკი ხელისუფლება, რომელიც წითელი მოედნიდან მოთხრის ლეგენდარული მინინისა და პოჟარსკის ძეგლს და მას დედაქალაქიდან გამავალი, რომელიმე ბალაშიხის ან ლიუბერცის ტრასებისკენ გადაისვრიდა.** ამ მონუმენტურ ქმნილებას საკრალური ამულეტივით ამშვენებს იმ ჭეშმარიტების მაუწყებელი ლაპიდარული წარწერა, რომ სახალხო გმირები მადლიერი ერის მარადიულ კუთვნილებას წარმოადგენენ და არა რომელიმე დროებითი მთავრობის ხელწამოსაკრავ „ვანკა-ვსტანკებს“: **„ГРАЖДАНИНУ МИНИНУ И КНЯЗЮ ПОЖАРСКОМУ БЛАГОДАРНАЯ РОССИЯ. ЛЪТА 1818“.**

გონებაგაუხსნელი ნაცმოელებისათვის ბრძნულ შეგონებად ჟღერს ამ ძეგლის მიმართ გამოთქმული ბესარიონ ბელინსკის შთამაგონებელი სიტყვები: **„Счященный имена их не изчезнут в океане вечности. Они всегда будут воспламенять любовь к родине в сердцах потомков“.**

ოკეანის წყალდალეულო ნაცმოელებო! ის მაინც თუ შეგინიშნავთ, სად დგას ჯორჯ ვაშინგტონისა და აბრაამ ლინკოლნის ქანდაკებები და რა პატივს მიაგებს მათ ამერიკელი ხალხი? ან ისეთი ხელისუფლება თუ გეგულებათ სადმე, რომელიც სახელმწიფოს პირველი პრეზიდენტის სახელს გაცვლიდა აქოთებულ ნავთობზე? ან სად გააქრეთ ჰერეთის რუსთავიდან რუსთაველის მონუმენტური ქანდაკება?!

## «ცივილიზებულ ევროპაში» გაწევრების ნიშნით ახალგაზრდებს სამიზნეზე უდგამენ ინგლისური ენისა და კომპიუტერის უფასო სწავლების საცთურს, რათა წარმატებით შეასრულონ საზღვრებს მიღმა მათი განდევნისა და ქვეყნის გაუკაცრიელების პროგრამა.

* * *

ძეგლებისა და ქვეყნის ძირისგამომთხრელი ნაცმოელებისთვის ძალზე ძველმოდურად გამოიყურება სამშობლოს სიყვარულით გულანთებული და ხმალზე ხელწავლებული ქართველი ვაჟკაცი. ესენი ხელოვნურად აჯიშებენ ფარ-ხმალდაყრილი და დაშინებული ნაშინდარელი ბრინკას უდღეურ შთამომავლებს, რომლებიც საზღვრებს მიღმა გადახვეწილ ქალ-რძალთა მიერ გამოგზავნილი მოწყალების მოლოდინში ითვლიან თავიანთი ნაძრახი სიცოცხლის დღეებს. დიდგორის გმირის თითო-ოროლა თანამებრძოლის გარდა არც არავინ ჩანს, ხაფი ხმით რომ შეუძახოს ნაცმოელ, თურქ-სელჩუკთა მიერ „დაჩმორებულ“ თანამემამულეებს: — რა დაგემართათ, ხალხო! „თქვენი წინაპრები რკინას ჭამდნენ, დათვებს ხანჯლებით ხოცავდნენ და ყინულებზე იძინებდნენ. თქვენ კი ისე დგახართ თქვენი წინაპრების საფლავებზე, როგორც წიწილები დევის მკერდზე“. პირიქით, უზნეობისა და გარყვნილების სერიული პროპაგანდის ფონზე „დე ლა როზები“ ღიად და შეფარვით ამცირებენ უპატრონოდ დარჩენილ ქართველ ხალხს, თითქოს და მისი ისტორიული არასრულფასოვნებისა და პატრიარქალური ჩამორჩენილობის გამო, ხოლო „ცივილიზებულ ევროპაში“ გაწევრების ნიშნით ახალგაზრდებს სამიზნეზე უდგამენ ინგლისური ენისა და კომპიუტერის უფასო სწავლების საცთურს, რათა წარმატებით შეასრულონ საზღვრებს მიღმა მათი განდევნისა და ქვეყნის გაუკაცრიელების პროგრამა.

გამოდის განათლების მინისტრად სახელდებული ვიღაც „შაშკინ-მიშკინი“ ოკეანის გაღმიდან „განმანათლებელთა“ ათასკაციანი „დესანტის“ ჩამოსხმას გვპირდება სამშობლოდან გასაფრენად დაფრთიანებულ თინეიჯერთა „გასაწვრთნელად“. რა უნდა ასწავლონ ამ აბგააკიდებულმა და მსოფლიოს კიდით-კიდემდე მოტინგიცე წვრილფეხა მაგისტრანტებმა ქართველ ხალხს?! რომელი მატრაკვეცა იჩემებს, განათლების რეფორმატორად მოევლინოს იმ ერს, რომლის ლეგენდარულ მმართველს მთელი სიცოცხლის მანძილზე ხმალი და წიგნი არ გაუგდია ხელიდან და რომელსაც პირველად მსოფლიოს ისტორიაში „მწიგნობართუხუცესი“ ჰყავდა პირველ მოადგილედ, ანუ „ვიცემეფედ“. ან რომელმა „რეფორმატორმა“ შეიძლება ასწავლოს წიგნისა და განათლების ფასი იმ დიდი აღმაშენებლის შვილებსა და შვილთაშვილებს, რომელსაც „ნადირობასა თუ ლაშქრობასა შინა წიგნები ეტვირთა სიმრავლესა ვირთა და აქლემთა და, სადაც გარდახდის, პირველად ყოვლისა, წიგნი მოაქვნდიან“. მსოფლიოს ისტორიაში პირველად დავით დიდს ეკუთვნის საყოველთაოდ შთამაგონებელი „სლოგანი“: „კაცთა პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრება არს“.

* * *

ქვეყნის უბადლო განმანათლებელი და რეფორმატორი დავით ბაგრატიონი თუ დიდად აფასებდა განათლებულ კაცთა ღვაწლს და გარს შემოკრებილი ჰყავდა ნიჭიერი, გამოცდილი და სიქველით სახელგანთქმული სწავლულები, ნაცმოელმა „ნოვატორებმა“ ეროვნული საგანმანათლებლო ცენტრები ხელთ უგდეს ინტერნეტსაიტებიდან ამოგლეჯილი „შპარგალკებით“ შეიარაღებულ, ქართულ ორთოგრაფიაში თუ ლექსიკაში გაუცნობიერებელ მენეჯმენტებს. საეჭვოდ მოამრავლეს სასკოლო მერხებიდან თავიანთი ოროსნობით სახელგავარდნილი, ხოლო მოწიფულობის ასაკში მარტოდენ ქალობის ნიშნით დაწინაურებული დიაცები. და ბოლოს, ნაცმოელთა ექვსწლიანი საგანმანათლებლო „ნოვაციები“ იმით დასრულდა, რომ გამოჩნდნენ ხელჯოხებით შეიარაღებული „მანდატურებიც“, რათა წიგნებისკენ სახრის ქნევით მირეკონ უახლეს სასწავლო პროგრამებზე გულაყრილი და ხელიდანწასული გოგო-ბიჭები.

* * *

დღენიადაგ დასაქმების „პრიორიტეტებზე“ მოქადაგე ჰარვარდელ და ოქსფორდელ ნაცმოელთაგან განსხვავებით, თექვსმეტი წლის დავით ბაგრატიონმა უკვე იცოდა, რომ ყოველგვარ მატერიალურ ფასეულობებზე წინ ქვეყანაში უნდა მდგარიყო ერის სულიერი ძალა, რწმენა და ზნეობა, რადგან შინაგანად გახრწნილი, ქვენა გრძნობებს დამონებული და სოდომგომორული ცოდვებით მოცული საქართველო ვერც დიდგორის ტრიუმფატორის სახელს მოიხვეჭდა და ვერც ქვეყნის საზღვრებს გასწევდა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. როგორც „ქართლის ცხოვრების“ დიდი წიგნი გვამცნობს, დავით დიდმა შექმნა ისეთი საქართველო, სადაც „ვერც მოქალაქე, ვერცა მხედარი ვერ იკადრებდა განდრეკილად სვლად და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო, ყოველთა კაცთა იყო წესიერება და პატიოსნება“.

აღმაშენებლის საამაყო ეპოქის მორალურ კოდექსს თუ სიბრძნით, სიკეთითა და ადამიანური ნამუსით აღსავსე გიორგი ჭყონდიდელი წერდა, ნაცმოური „ეპოქის“ სულიერი მარაზმი ჯერ არ- ▶

ნახული უხამსობითა და უტიფრობით აისახება შეურაცხადის აშკარა სიმპტომებით დაღდასმულ ერეკლე დეისაძის „პროზაში“, რასაც, დიდი აღმაშენებლის სიტყვებით, შეიძლება, ეწოდოს არა ლიტერატურა, არამედ „შესაკრებელი უფსკრული ბიწიერების ღვართა“.

„ღამე შორენასთან“ — ეს პორნოგრაფიული უხამსობაც ნაცმოელთა ცხოვრებისეული უზნეობის ამსახველ სატელევიზიო ვარიაციას წარმოადგენდა, რომლის დანიშნულებაც ფსევდოლიტერატურულ ბალასტთან ერთად მთლიანად მომავალი თაობის ზნეობის წაბილწვა იყო.

ამ გარყვნილების ლაფში მფორთხავ უსახურ არსებებზე დიდი აღმაშენებელი მისთვის დამახასიათებელი ლაკონურობით ბრძანებდა: „ემონენ ვნებათა ლირწთა და ვითარცა ღორნი ინწუბეს საგორველსა წვირისასა“.

* * *

ცხადია, ამ გარყვნილებით მოცულ ქვეყანაში აღარ იზრდებიან ახალი დროის დავით აღმაშენებლები, მაგრამ სამაგიეროდ პანტაპუნტით მრავლდებიან დავით პედერასტები. გასული წლის 19 დეკემბერს „რუსთავი 2“-მა გვაცნობა, რომ „წლის საუკეთესო პედერასტად“ აღიარებულია ვინმე დავით... ბარამია, ხოლო მორიგი კონკურსისთვის ისე მონდომებით ემზადებიან ტრადიციულ სინდის-ნამუსზე ხელაღებული და „ევროპული სივრცეებისკენ გაჭრილ-გავარდნილი“ ვინმე ირაკლი გიორგაძე და ძმანი მისნი, რომ თითქოს მამათმავალთა კონკურსიც ნატოში გაწევრების ერთ-ერთი პირობა იყოს.

დავით აღმაშენებელმა „ერის დიდ წყლულთა კურნებად“ რუის-ურბნისის კრება გამართა და ისეთი კანონები მიიღო, რომელთა მიხედვითაც „განასპეტაკა ზნეობა თვისთა ქვეშევრდომთა, დაცემული მაჰმადის თაყვანისმცემელთა გავლენით“. კრების საკანონმდებლო აქტის მე-18 მუხლის მიხედვით, ყოველ მამათმავალს ელოდა „ცოცხლივ ჯოჯოხეთად შთამხდელი რისხვა“, რაც ახალ ქართულ ენაზე ნიშნავს პედერასტთა შეპყრობას და ცოცხლად დამარხვას. ეს კანონი თანამედროვე სჯულდებასაც მისცემდა ქართულ ელფერს, მაგრამ „ვარდების ხელისუფალნი“ ამ კაცთა მოდგმის დამაკნინებელ სიგლახეს კი არ კრძალავენ, არამედ ყოველგვარი ანტიპროპაგანდის გარეშე უკმევენ გუნდრუკს და მზაკვრულადაც იყენებენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა კომპრომეტაციისა და ლიკვიდაციის მიზნით.

* * *

თევზისა და მისი აყროლებული თავისა არ იყოს, — რადგან ყველაფერი თავიდან იწყება, — ახლა საქართველოს სხვადასხვა დროის ორი მთავარსარდლის მიმართვებს შორის გავავლოთ მცირე პარალელი იმის ნათელსაყოფად, თუ საით შეიძლება გადახაროს ბედისწერის სასწორი ქვეყნის ლიდერის სეფესიტყვამ:

**1121 წელი. 12 აგვისტო. დიდგორის ველი.**

**სრულიად საქართველოს მეფეთ-მეფისა და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის დავით აღმაშენებლის მიმართვა მეომრებისადმი:**

**— ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკთა ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ!..**

**2003 წელი. პატრიოტთა ბანაკი.**

სამპრეზიდენტიანი საქართველოს მესამე პრეზიდენტისა და სამხედრო საქმეში ფრიად უმეცარი მთავარსარდლის მიმართვა ახალგაზრდებისადმი:

**— ეჰა, პატრიოტთა ბანაკის ბინადარნო! თქვენ უნდა დამეგობრდეთ ამ ბანაკებში, შეიყვაროთ ერთმანეთი. აქვეა ბუჩქები და ხევები, რომ ისეირნოთ!..**

პირველი მიმართვის ავტორმა და მისმა მამაცმა მეომრებმა სახელი და დიდება მოუხვეჭეს ქართულ მახვილს — მუსრი გაავლეს თურქ-სელჩუკთა ექვსასიათასიან არმიას, ხოლო აღმაშენებლის ხმლით თავგადაჩეხილი ნეჯმ ედ დინ არდუხტ ოღლი ილღაზი ჯალამბარით გაათრიეს ბრძოლის ველიდან...

მეორე მიმართვის ავტორმა და მისმა „პატრიოტებმა“ კი ლაფში ამოსვარეს დიდი აღმაშენებლისა და ქართველი ერის საბრძოლო დიდება.

როცა ტანაშოლტილი ქართველი ვაჟკაცები სახელოვნად დაეცნენ ცხინვალის მისადგომებთან გამართულ უთანასწორო სვრემაში და სლავთა მოტომექანიზებულმა კოლონამ ხუხულებივით მილეწ-მოლეწა ეს „პატრიოტული ბანაკები“, ჯავშნების წინაღმდგომი არავინ გამოჩენილა, რადგან იქვე, ბუჩქნარებსა და ხეივნებში, „საკურდღლაოდ“ გადასულმა გოგო-ბიჭებმა მარდად მოკურცხლეს.

* * *

ნაცმოელ თურქ-სელჩუკებს მათგან ყბადაღებული რეფერენდუმი და პლებისციტი არც მაშინ გახსენებიათ, როცა დავით ბაგრატიონის პირველ სატახტო ქალაქში აღმართული საბრძოლო დიდების მემორიალი დაამხეს და ფაშისტ კანიბალთა წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოდან წარგზავნილი შვიდასი ათასი მეომრის საამაყო სახელი შებილწეს. ნამუსზე ხელაღებული „დე ლა როზების“ გარდა, არც ერთი ღირსეული მამულიშვილი არ შედგამს ფეხს იმ საყოველთაო წყევლა-კრულვით დაღდასმულ შენობაში, რომელიც ბრძოლის ველზე დაცემული სამასი ათასი მეომრის სულთა სასუფეველსა და ზვარაკად შეწირული დედა-შვილის უბიწო სისხლის ტბორზე აღიმართება.

* * *

კავკასიონის სიმაღლიდან კვლავ დიდებულად გადმოგვყურებს „უძრავი და დაფიქრებული“ აჩრდილი ახოვანი ღმერთკაცისა:

**„ხელში გელათი უჭირავს, ერთში,**
**წიგნი უჭირავს მეორე ხელში,**
**მზეია კახთა, მთიები — რანთა,**
**ლიფლიფი — სვანთა და უდიმართა!..“**

ეს ლეგენდარული დავითია! „მარად და ყველგან საქართველოს თანამედევი უკვდავი სული“ და ღვთის მიერ მესიად მოვლენილი „მეფე-მზე“, რომელმაც თავისი ელვარე სხივებით უნდა გაფანტოს ლამპიონებით განათებულ, მაგრამ ეშმაკთან წილნაყარ ნაცმოურ საქართველოში ჩამოწოლილი წყვდიადი...

**თამაზ მუშკუდიანი,**
**ბოლნისი**

# «ნეხვიანი ჩოჩელი» და ოპოზიციონერი სკუნსები

**„ენა რომ არ ჰქონდეს, ყვავი წაიყვანდა“ — ეს გამოთქმა ლეიბორისტების ლიდერ შალვა ნათელაშვილზე ზედგამოჭრილია. „მშრომელების“ ბელადის სხარტ აზროვნებასა და „უძვლო ენაზე“ ლამის ლეგენდები დადის. ნათელაშვილი ხშირად ისეთ აზრებს აფრქვევს, იფიქრებ, „საცაა გაგიჟდება საწყალიო“, მაგრამ სინამდვილეში გულს იფხანს და ნერვებს იწყნარებს. როგორც ჩანს, ბოლო დროს „დიდმა ლეიბორისტმა“ ყველა სიკეთესთან ერთად მჩხიბაობაც დაიწყო.**



**შალვა ნათელაშვილი,** ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:

**„პრეზიდენტად იქნება ვიღაც „ჩიბურაშკა“, ერთუჯრედიანი ან ორუჯრედიანი, რომელიც სააკაშვილის შეკვეთებზე იცეკვებს. აი, ეს არის მთელი ფილოსოფია...“**

იმის გასარკვევად, საქართველოს მომავალი პრეზიდენტი ერთუჯრედიანი იქნება თუ ორუჯრედიანი, ბატონი შალვა ამერიკაშიც კი გაფრენილა და სააკაშვილის „დალაგებული“ პოლიტიკა სულ თავდაყირა დაუყენებია. იოლი წარმოსადგენია, რა დღეში ჩაყრიდა ამერიკელ „მიშისტებს“.

**„მე ორი კვირა ვიყავი ამერიკაში, სადაც თავდაყირა დავუყენე სააკაშვილს ყველაფერი. ასეთი რთული მივლინება ჯერ არ მქონია“.**

მივლინებიდან დაბრუნებულმა ნათელაშვილმა (ეტყობა, გული კარგად ვერ მოიოხა) თავისი „კოლეგების“ ლანძღვა-გინება დაიწყო. ბაზალეთელის მორიგი „შედევრიდან“ ვარკვევთ, რომ თურმე ოპოზიციაში ეგზოტიკურ ცხოველებს დაუდევთ ბინა და სიტუაციას ამყრალებენ.

**„აი, ამას ვამბობ, თუ არა ხარ ოპოზიციონერი, წადი, მომცილდი, მე გავაკეთებ საქმეს, ნუ დაასკუნსებ სიტუაციას. სკუნსი, ხომ იცი, რაც არის? უკანალიდან ასხამს რაღაც საშინელ სითხეს, სუნიანს, რომელიც ვეფხვსაც კი თვალებს სთხრის. მომცილდით, ნუ მიშლით ხელს, ნუ მომივარდებით მიტინგზე და ნუ აამყრალებთ იქაურობას!“.**

შალვას უკაბადონო ფანტაზიის წყალობით, გავიგეთ ისიც, რომ მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი, „ნეხვიანი“ ცეზარ ჩოჩელი ჭუტა-მუტებთან ერთად, პანამის გავლით მილიონებს იჯიბავს.

**„ბეჟუაშვილები, ჭუტები, მუტები, ჭყონიებები, კურდღელაშვილები, ჩოჩელები დარეგისტრირებული არიან პანამაში რაღაც „პანამა ოფ ამერიკა იმპერიალის“ სახელით, ვერაფერს გაიგებ, რომ ნეხვიანი ჩოჩელია უკან...“**

ჩამოთვლილ ინდივიდებს ფულის შოვნა-გათეთრება რომ ეხერხებათ, ამას ფიცი-მტკიცი არ სჭირდება, ქვეყანაც ფეხებზე ჰკიდიათ, ხალხიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით სააკაშვილიც!..

მაგრამ ისინი პრეზიდენტის დაკრულზე მანამ იცეკვებენ, სანამ საქმეს სჭირდება. საკმარისია, „ნაციონალების გემმა“ ჩაძირვა დაიწყოს და ისე აფუცხუნდებიან, გეგონება, მთელი ცხოვრება მიშას ოპოზიციაში იყვნენ და დიქტატორულ რეჟიმს ებრძოდნენო.

ამ კვირაში ცოტა განსხვავებული თავსატეხი ჰქონდა ექს-პრეზიდენტ, ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც სააკაშვილს, შაშკინსა და ინგლისურ ენას ერთდ შემოსწყრა.



**ედუარდ შევარდნაძე,** ექს-პრეზიდენტი:

**„ინგლისური ენის შესახებ ახალი პროექტი თუ მართლაც განხორციელდა, ქართული ენა მოკვდება. ეს რომ გააკეთო, ან სულელი უნდა იყო, ან — უცოდინარი. მე მგონი, სააკაშვილი არც სულელია და არც უცოდინარი. ამაზე არ უნდა წავიდეს. ამ პროექტის განხორციელება იქნება თვითმკვლელობის ტოლფასი. შაშკინი ამას შეეწირება, მას ან მოხსნიან, ან დაიჭერენ!“**

ფაქტია, რომ ინგლისური ენის თითქმის სახელმწიფო ენად გამოცხადება ჩვენს ქვეყანასა და სააკაშვილის ხელისუფლებას კარგს არაფერს უქადის. ისე, „ამ დამსახურებისთვის“ შაშკინზე მართლაც ალალი იქნება ერთი ევრორემონტიანი საკანი. საინტერესოა, განათლების მინისტრი რომელ ენაზე დაიცავს საკუთარ უფლებებს, როცა 12 ნაფიცი მსაჯულის წინაშე წარსდგება...

სტაჟიანი პოლიტიკოსების მსგავსად, სანერვიულო არც ახალგაზრდა „პოლიტიკანებს“ ელევათ. სოზარ სუბარის, გიორგი გუგავასა და ლევან ვეფხვაძის სატკივარი მერაბიშვილის უწყების გაძლიერებას უკავშირდება.



**სოზარ სუბარი,** ყოფილი სახალხო დამცველი:

**„პოლიციას ისედაც შეუძლია, რომ ადამიანი გააჩეროს, გაჩხრიკოს, წაიყვანოს ნარკოლოგიურ შემოწმებაზე და ამ ყველაფერს ახლა „გონივრული ეჭვი“ რომ დაემატება, მტრისას! ბარემ კანონში ჩაწერონ — „ხოში მაქვს და გაჩერებო“!.. მიშა მიდის ჰააგისკენაც, ჰუსეინისკენაც და ჩაუშესკუსკენაც! მან დაამყარა ტირანია და უკვე ერთი ადამიანი წყვეტს ყველაფერს“.**

სამაგიეროდ, ყველა გზა მიშასკენ მიემართება, ცალკეულ შემთხვევებში კი, ამ გზამ, შესაძლოა, მერაბიშვილამდეც მიგიყვანოთ, მითუმეტეს, რომ თქვენს დასაჭერად მოწმეები და მტკიცებულებები არ სჭირდებათ.



**გიორგი გუგავა,** ლეიბორისტი:

**„პოლიციელს მოწმე არ დასჭირდება, ციხეში რომ გაგიშვას. როგორ უნდა დაასაბუთო, რომ პოლიციელის გონივრული ეჭვი უსაფუძვლო იყო“?**

**ლევან ვეფხვაძე,** „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრი:

**„მე და გია ცაგარეიშვილი ამას პარლამენტში აქტიურად ვაპროტესტებდით, თქვენ დღეს აკეთებთ იმას, რომ პოლიცია უნდა აქციოთ საბჭოთა მილიციად, მანქანას რომ შემოაყენებდნენ და**



**აბა, ბიჭებო, ჯიბეები ამოიტრიალეთო და მერე ვითომ ჯიბიდან რაღაცას ამოუღებდნენ“.**

ვიდრე ახალგაზრდები ვანოს სისტემას აკრიტიკებდნენ, ბურჯანაძემ დრო იხელთა და სააკაშვილი გამოთათხა. თუმცა გაწიწმატებულმა ნინომ უნებურად საკუთარ თავზეც თქვა სიმართლე.



**ნინო ბურჯანაძე,** „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი:

**„სააკაშვილმა ძალიან კარგად იცის, რომ მე ვერც შემაშინებს, ვერც მომისყიდის, ველარც მომატყუებს, ამიტომ, ბუნებრივია, ის მთავარ საფრთხეს ხედავს ბურჯანაძეში“.**

ბურჯანაძის ნათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი სააკაშვილს დაშინებულიც ჰყავდა და მოსყიდულიც. აბა, სხვას რას უნდა ნიშნავდეს ნინოს „გულწრფელი აღიარება“, „ვერც მომისყიდის“ და „ველარც მომატყუებსო“, ესე იგი, ეს ყველაფერი წარსულში არაერთხელ მომხდარა.

როცა ამ ქალბატონის მორიგი ფრაზა ამოვიკითხე, გაოცებისგან ენა ჩამივარდა. თურმე ბურჯანაძის „საცოდავი“ ქმარი, ბადრი ბიწაძე ცოლის გამო იჩაგრებოდა(?!).

**„ჩემი მეუღლე ძალიან ხშირად იჩაგრებოდა და უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა იმის გამო, რომ ბურჯანაძის ქმარი იყო“.**

რა შეიძლება ვუწოდოთ ამ უაზრობას, თუ არა მარაზმი. ახლა რომ გითხრათ, ქალბატონო ნინო, თქვენს ხელში ბადრი მართლაც გვეცოდებაო, დაგვიჯერებთ? რა თქმა უნდა, არა! ჰოდა, არც ჩვენ გვჯერა მიშას ხელში ბიწაძის „საცოდაობის“.

**გიორგი გორგაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# რატომ უსმენდნენ ადვოკატის სატელეფონო საუბრებს?

**ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2009 წლის დეკემბერში ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და 5000 ლარით დააჯარიმა თადარიგის პოლკოვნიკი, საგამოძიებო სისტემაში მუშაობის 32 წლის სტაჟის მქონე „მხედრიონელთა“ — ჯაბა იოსელიანის, დოდო გუგეშაშვილისა და სხვათა ბრალდების, საქართველოში პირველად 1978 წელს მცირეწლოვანი კ. ანთიას გატაცების, საქართველოს პირველი პრეზიდენტისა ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმის, მრავალი ბანდიტიზმისა და სხვა კატეგორიების უშუალო გამომძიებელი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომის მონაწილე, ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ჩხოროწყუს რაიონის სოფ. მუხურის მკვიდრი, 63 წლის ჯონი ზარანდია. უნდა აღინიშნოს, რომ ჯონი ზარანდია აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას ერთ-ერთი ადვოკატიც იყო.**



2010 წლის ივნისში ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი, ძალაში უცვლელად დატოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენი და სასჯელის სახით განუსაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. ჯონი ზარანდიამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატას:

**„მე ბრალად მედება საანგარიშგებო გაყალბებული დოკუმენტების შედგენა-გამოყენება. დოკუმენტებს, რომლითაც გამასამართლეს, საბუღალტრო დატვირთვა არ გააჩნია. ჩემთვის დაუდგენელია, თუ როგორ გაჩნდა იგი ჩემ მიმართ წარმოებულ საქმეში. ბრალი მედება თითქოს სს „ზუგდიდსოფლტექნიკას“ 2007 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთად ჰქონდა 466 კუბ.მ წიწვიანი ფიცრის დანაკლისი. „ზუგდიდსოფლტექნიკა“ ეწეოდა ხე-ტყის მასალების დამზადებასა და რეალიზაციას თურქეთში. მისი მფლობელები იყვნენ 100% წილის მესაკუთრენი. ისინი სვანეთის ტერიტორიაზე ახდენდნენ ხის მორების დამზადებას, მის ჩამოტანას და რეალიზაციას თურქეთში,“** — ნათქვამია ჯონი ზარანდიას მიერ გაგზავნილ საკმაოდ ვრცელ საკასაციო წერილში. ჯონი ზარანდიას განცხადებით, ბრალდებები მის მიმართ აშკარა დარღვევებით არის წარდგენილი. ამდენად, მოითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებას, საქმის შეწყვეტას და გამართლებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას საკასაციო საჩივრით მიმართა მსჯავრდებულ ჯონი ზარანდიას ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მებრძოლი ჭკადუამ.

**„განსასჯელ ჯონი ზარანდიას მიმართ წარდგენილია ბრალდება, რომ მან დახმარება გაუწია „ზუგდიდსოფლტექნიკის“ ხელმძღვანელსა და თანამშრომლებს: ნაპო გაბისონიას, თ. ხაზალიას, ზ. გვასალიას, თ. შეროზიას ყალბი დოკუმენტების შედგენა-გასაღება-გამოყენებაში. აქ მხედველობაშია საანგარიშსწორებო ბარათი და საგადასახადო დოკუმენტები. ჯონი ზარანდიას მიმართ ამ ბრალდების დამადასტურებელი დოკუმენტები, მტკიცებულებები არ არსებობს. მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება, რომ ჯ. ზარანდიას არავითარი დახმარება არ გაუწევია და არავითარი რჩევა არ მიუცია „ზუგდიდსოფლტექნიკის“ მუშაკებისთვის. ჯონი ზარანდიას მიმართ თავიდანვე გამიზნული იყო საწინააღმდეგო მასალების შექმნა. ეს იწყება 2007 წლის თებერვლიდან, როდესაც ხდებოდა მისი სატელეფონო საუბრების მოსმენა, რაც კანონსაწინააღმდეგო ქმედებას წარმოადგენს,“** — აცხადებს ადვოკატი მებრძოლი ჭკადუა. ჯონი ზარანდია უზენაესი სასამართლოს განაჩენს ელოდება.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

# დართლოს უკანასკნელი მოჰიკანი

## ბესო იდოიძე: არ მინდა ჩემი მამაპაპისეული კოშკები, სოფელი და არემარე მოისპოს

**საუკუნეების განმავლობაში ცხვრის ფარების მიერ მთებსა და ტყეებში გაკვალული გზები, ულამაზესი პანორამები, უღელტეხილები, ჩანჩქერები და კალმახებით უხვი მდინარეები — სწორედ ასეთი სილამაზითაა მდიდარი თუშეთი. ხეობებს ალპური მდელოები ენაცვლება. ომალოში მოხვედრა თვითმფრინავითაც შეიძლება, მაგრამ ამ სილამაზის ბოლომდე შეგრძნებისა და აღქმისთვის სოფელ ალვანიდან ავტომობილით 5-საათიანი მგზავრობა ნამდვილად ღირს, მაგრამ მძღოლი აუცილებლად გამოცდილი უნდა იყოს, რადგან ეგზოტიკური მგზავრობა, შესაძლოა, სიცოცხლისთვის სარისკო აღმოჩნდეს...**



**თუშეთი საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. ულამაზესი კოშკებით ცნობილი დართლო ზღვის დონიდან 2000 მეტრ სიმაღლეზეა. ბესო იდოიძე ერთადერთი ადამიანია დართლოში, რომელიც ზამთარ-ზაფხულ არ ტოვებს სოფელს, ვერ ელევა მშობლიურ კერას, კოშკებს და მამა-პაპის საფლავებს. თუშეთში ზამთარი 8 თვეს გრძელდება. გაუსაძლისი კლიმატური პირობების გამო, ხშირად სოფელში მარტო დარჩენა გმირობის ტოლფასია. ამ საინტერესო რესპონდენტთან საუბარს სტილის დაცვით გთავაზობთ, რათა თავადაც ჩასწვდეთ მთაზე შეყვარებული მარტოხელა კაცის გულისწუხილს.**

— აბა, თუშეთ მარტოკა შეჭიდებულ კაც ვერ იქნებ ადვილ. ყველაფერ ძნელ: თიბვა, კრეფა, ყველაფერ ხელით არ გასაკეთებელ. მარტო ხარებ მუშაობ, ტრაქტორ აქ არ გვყავ და არაფერ არ არის. ოქტომრიდან მაისამდე ბევრი ვერ შეძლებს აქ მარტოკა.

**— აქ რატომ რჩებით?**

— აქ დარჩომის მიზეზი ის არ, ყველა-ყველამ რომ თავი დაანებოს აქაობას, მე არ მემეტებ. ისტორიულად იდოიძეების დაარსებულ არს დართლო, კოშკებზეც არს წარწერებ. ისტორიულ წყაროებ ირკვევა, რომ ჩემ წინაპრებ მოსულან პირველად ამ სოფელს. სერგი მაკალათიას აქ აღწერილ თავის წიგნში.

**— მარტო არ გიჭირთ ზამთარში აქ ყოფნა?**

— ზაფხულში მოდიან მარტო აქ. ზამთარში ბარში ბრუნდება ხალხი. აქ, 5 წელ, რაც ვცხოვრობ. ჩემამდე ნახევარ საუკუნე რეზო პაპა ცხოვრობდა, მისგანაა, რომ აქაობამ მოაღწია, შეინარჩუნა ძველი იერ-სახე და არ გავერანდა. ერთ ზაფხულ რომ ამოვედ, მკვდარი დამხვდა რეზო პაპა და მე დავმარხე. მას მერე აქ ვარ. ადრე აქ მოდიოდნენ მეცხვარე თუშები, ქიზიყიდან, თათრებიც მოდიოდნენ საიალაღოდ ზაფხულობით. შეშის გამო წვავდნენ სახლებს. მას მერე მე დავრჩი, მე აქ არც მატერიალური მაინტერესებს და არც არაფერ. არ მინდა, ჩემი მამაპაპისეულ კოშკები, სოფელი და არემარე მოისპოს.

**ხის მოჭრა საჭირო არცაა, იმდენი შეშა ყრია ტყეში, მაგრამ არ მაძლევენ გამოტანის საშუალებას. მე თავად არ მოვაჭრევინებ სხვას ხეს და მე როგორ მოვჭრი? მაგრამ არ მაძლევენ ტყეში შესვლის უფლებას. ზამთარი როგორღა გადავიტანო შეშის გარეშე?**

**თუშეთი მდიდარია ტყის მასივებით, მაგრამ ერთადერთ დართლოელს რეინჯერები ტყიდან შეშის გამოტანის უფლებას არ აძლევენ. კანონით კი, მაღალმთიანი სოფლების მკვიდრთ ყოველწლიურად 5 კუბ.მეტრი შეშა ეკუთვნით.**

— აქ არიან ეროვნულ პარკის რეინჯერები, რომლებსაც არაფერი აინტერესებთ. ფორმა ჩიიცვან და ხელფასებ აიღონ, ეგ არის მაგათი საქმე. დოგმურ პრობლემებს გიქმნიან, წარმოდგენა არ აქვთ, რაზე გელაპრაკებიან. იმ დღეს ბოკერია იყო ამოსულ, ალბათ, იმან უთხრა პრეზიდენტს, რომელმაც ამათ დუუცაცხანა, იმის მერე მოვიდნენ. მკითხეს, რა მიჭირს, რა არის საჭირო. არადა, აქ ხელუხლებელი ტყეებია. ხის მოჭრა საჭირო არცაა, იმდენი შეშა ყრია ტყეში, მაგრამ არ მაძლევენ გამოტანის საშუალებას. მე თავად არ მოვაჭრევინებ სხვას ხეს და მე როგორ მოვჭრი? მაგრამ არ მაძლევენ ტყეში შესვლის უფლებას. ზამთარი როგორღა გადავიტანო შეშის გარეშე? პრეზიდენტამდე რატო უნდა მივიდეს ეს ამბავი? აქ არავინ ინტერესდება, რითი და როგორ ვძლებ და ვცხოვრობ. არც კითხულობენ, გიჟ ხარ? მარტო ხარ? რა გინდა საერთოდ აქა? წასასვლელი კი მაქ ალვანში, ცოლშვილთან, სადაც ქვეყანაა და ყველაფერია, მაგრამ ვერ ველევი აქაობას.

**— გამოსავალი რა არის?**

— გამოსავალ ისაა, რომ ხალხს შეეკითხონ, მე შემეკითხონ, აქაურ გლეხს შეეკითხონ, რა გვიჭირს. კაბინეტებში აქაური საქმეები ვერ გადაწყდებ. IX-X საუკუნეებზე დაბადებულ-დაზრდილები აქაურ ამბებს ვერ მიხედავენ. მაგრამ აქაურებს არაფერს ეკითხებიან. თავიანთ ჭკუაზე სწყვეტენ სულელურ რამეებს. ასე მგონია, არც აინტერესებთ აქაურობა.

**— დართლოში სანახავი ბევრია. თუშეთში ამოსული უცხოელები აქაურობას მთებში მიმალულ უძველეს ცივილიზაციას უწოდებენ. მათ შორის საინტერესოა ახლახან, არქეოლოგიური გათხრების დროს, აღმოჩენილი უძველესი სახალხო მსაჯულის სასამართლოს ტიპის ნაშთები.**



— ახლა რომ ამერიკიდან და ევროპიდან შემოდის ჩვენთან ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, აი, დართლოში საუკუნეების წინ იყო ეგეთი სასამრთლო. აქ ჩეხი და აქაური არქეოლოგები იყვნენ რესტავრაციაზე, რომლებმაც აღმოაჩინეს დამრჩალი ნაშთები — 12 სკამი, დამნაშავის სკამი, მოსამართლის სკამი და საფიცარი ქვა. ყველაფერი ეს ქვებისგან იყო გაკეთებული. გარდა ამისა, აქ უამრავი ორნამენტები და წარწერებია კოშკებზე გამოსაკვლევი. ბევრი რამ განადგურდა. ბევრი განადგურდება, თუ არ მივხედავთ. მარტო მე რა შემიძლია შიშველ ხელებით? მარტო მე რა გავაკეთო? რაც შემიძლია, თავსა ვდებ და დარაჯად ვარ დარჩომილი. მოხედეთ აქაურ სიმდიდრეს. გონთ იყავთ, ქართველებო!

**ბესო იდოიძე თუშეთის სოფლების გადარჩენის გზას ტურიზმის განვითარებასა და ხელისუფლების თანადგომაში ხედავს. შესაბამისი პირობების შემთხვევაში, მოსახლეობა ბარიდან მთას დაუბრუნდება, ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნით, სტუმარი ზამთარში თვითმფრინავით ამოვა. საამისოდ მოსამზადებელი სამუშაოები უკვე ჩატარებულია. ახლახან ქართული ტურისტული კომპანია „არტთრეველის“ ორგანიზებით, 5 სხვადასხვა ქვეყნის ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები თუშეთში იმყოფებოდნენ, რომლებიც მომავალში თუშეთს ტურისტული ჯგუფებით ეწვევიან.**

**გიორგი ბერიძე**

# ვაფა იდრისი — პირველი შაჰიდი ქალი, რომელიც ეროვნულ გმირად იქცა

**როდესაც საერთაშორისო საინფორმაციო-ანალიტიკურმა სააგენტომ „Washington ProFile"-მა ქალთა ტერორიზმის ვარსკვლავების სია გამოაქვეყნა, მასში საპატიო ადგილი დაიკავა პალესტინელმა შაჰიდმა, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე თანამედროვეობის ყველაზე ცნობილ ტერორისტად ცხადდებოდა. მსოფლიოში პირველმა ქალმა, რომელმაც საკუთარი თავი ცოცხალ ბომბად გადააქცია, 2002 წლის 27 იანვარს იერუსალიმში აიფეთქა თავი. ტერაქტის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა და 150-მდე დაიჭრა. ხშირად ტერორისტთა ნამდვილი სახელები მხოლოდ მათმა კოლეგებმა და სპეცსამსახურების თანამშრომლებმა თუ იციან, მაგრამ შინაზ ამური, იგივე ვაფა იდრისი ის სახელია, რომელიც არამც თუ მთელმა მსოფლიომ გაიგო, არამედ ტერორიზმის თავისებურ სიმბოლოდაც იქცა.**




ვაფას ოჯახი

კვირას, ამ ქალაქისთვის ჩვეულებრივ სამუშაო დღეს, იერუსალიმის ცენტრში, იაფოსა და კინგ-ჯორჯის ქუჩების გადაკვეთაზე, ქალაქის მთავარ სავაჭრო უბანსა და ერთ-ერთ ყველაზე ხალხმრავალ ადგილას, ზუსტად ფეხსაცმელების მაღაზიის წინ და 22 იანვრის ტერაქტის ადგილიდან, პიცერია „სბაროდან" სულ რაღაც 20 მეტრის დაშორებით, მოულოდნელად ბომბი აფეთქდა. **აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ ფეხსაცმლის მაღაზია მთლიანად დაიშალა, მინები ჩამოემსხვრა 200 მეტრის რადიუსში მდგარ ყველა შენობას, უამრავი ადამიანი დაიჭრა. შემთხვევის ადგილას პოლიციელებმა ნაფლეთებადქცეული ორი გვამი იპოვეს, ერთი — მამაკაცის, მეორე — ქალის. თავდაპირველად ქალზე ეჭვი არავის მიუტანია, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც გვამები ექსპერტიზამ შეამოწმა, სამართალდამცავები გამაოგნებელი რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ. სხეულის დაზიანებების თავისებურებათა მიხედვით, კამიკაძე ქალი იყო.** მამაკაცი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, 81 წლის ისრაელელი ექსკურსიამძღოლი პინჰუს ტოკტალი კი ის ერთადერთი ადამიანი გახლდათ, ვისი სიცოცხლეც ამ ტერაქტმა იმსხვერპლა.

საინფორმაციო საშუალებების პირველადი ინფორმაციის მიხედვით, იმ დღეს საკუთარ სხეულზე მიმაგრებული ასაფეთქებელი მოწყობილობა იორდანიის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქ ნაბლუსის მკვიდრმა 20 წლის სტუდენტმა შინაზ ამურმა აამოქმედა, რომელიც თავისი მშობლიური ქალაქის, ნაბლუსის, ან-ნაჟახის უნივერსიტეტში სწავლობდა, მაგრამ **მალე პოლიციამ გაავრცელა ახალი მასალები, რომელთა მიხედვითაც ტერორისტი რამალას ახლოს მდებარე ალ-ამურის დევნილთა ბანაკში ცხოვრობდა და ორგანიზაცია „ტანზიმის" წევრი იყო.**

„ტანზიმი", თავის მხრივ, პალესტინის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა „ფატხას" სამხედრო ფრთას წარმოადგენს. „ფატხას" სათავეში თავად იასირ არაფატი ედგა. ეს, ერთის მხრივ, გასამხედროებული ორგანიზაცია იყო, მეორეს მხრივ კი — პალესტინის ავტონომიის მთავარი პოლიტიკური პარტია. წარსულში „ფატხა" ისრაელსა და აშშ-ში ტერორისტულ ორგანიზაციად ითვლებოდა, მაგრამ 1988 წელს მან ტერორისტული აქტების საშუალებით მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვაზე უარი განაცხადა. დასახელება კი, რომელიც ბოლოდან თავისაკენ წაკითხვისას არაბულად „სიკვდილს" ნიშნავს, სწორად წაკითხვის შემთხვევაში კი — „გამარჯვებას" ან „დაპყრობას", ცხადია, უცვლელად დარჩა.

სწორედ ამ ორგანიზაციის წევრად მიიჩნიეს შინაზ ამურიც სამართალდამცავებმა და ისიც დაადგინეს, რომ კამიკაძის ნამდვილი სახელი ვაფა ირდისი იყო.

**მიუხედავად ამისა, კარგა ხანს არც ერთი ტერორისტული ორგანიზაცია მომხდარზე პასუხისმგებლობას არ იღებდა.**

მოგვიანებით, შიიტური ტერორისტული მოძრაობა „ჰეზბოლას" მიერ კონტროლირებადმა ტელევიზიამ „ალ-მანარმა" ხაზგასმით აღნიშნა, რომ შინაზ ამური შხემეს ა-ნაიაჰის უნივერსიტეტში სწავლობდა, ანუ ინტელიგენციის წარმომადგენელი იყო, მაგრამ ეს სვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოახდენდა საერთაშორისო საზოგადოებაზე სასურველ ზემოქმედებას, თუ დანარჩენ მსოფლიოს წარმოდგენაც არ ექნებოდა, რას წარმოადგენდა ეს სასწავლო დაწესებულება.

**ა-ნაიაჰის უნივერსიტეტმა კი დიდი ხნით ადრე გაითქვა სახელი, როგორც ტერორისტების ნამდვილმა საჯიშემ. იქ მუდმივად მიმდინარეობდა ახალ-ახალი „წამებულების" მომზადება მსოფლიოს მშვიდობიანი მოსახლეობის ამოსახოცად. ამის შესახებ კარგად იცოდნენ როგორც არაბებმა, ასევე ებრაელებმაც. ამდენად, არავის დაუჯერებია, რომ აღნიშნული სასწავლებლის სტუდენტები და მასწავლებლები პალესტინის საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ნაწილის აზრს გამოხატავდნენ.**

მოგვიანებით საბოლოოდ დადასტურდა, რომ ვაფა ირდისის შესახებ გავრცელებული პირველადი ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა და გოგონამ მთელი ცხოვრება მართლაც რამალას ალ-ამურის ლტოლვილთა ბანაკში გაატარა. ამ ადგილს ბარაკებს ვერ დაარქმევდით, მაგრამ კეთილმოწყობილი მეზობელი რაიონების ფონზე ეს ვიწრო ქუჩები და დაბალჭერიანი სახლები საცოდავად გამოიყურებოდა.

ტერაქტიდან ორიოდე დღეში ამ დასახლების ყველა მცხოვრებმა იცოდა, ერთფეროვანი, არაფრითგამორჩეული სახლებიდან რომელი იყო მისი. **ამ სახლის პატარა სასტუმრო ოთახში მთელს კედელზე იყო გაკრული ვაფას უზარმაზარი სურათი, რომელზეც ის პალესტინელების დაუმორჩილებლობის სიმბოლოს — იერუსალიმის მეჩეთის ალ-აქსასა და „ფათხას" გერბის ფონზეა გადაღებული. ამ ფოტოზე ვაფა ლოყებჩაჩხვლეტილი 16 წლის გოგონაა. მისი გადაღებიდან 2002 წლის 27 იანვრის საბედისწერო დღემდე 12 წელი გავიდა.**


ალ-ამარის კამიკაძეების გალერეა


შაჰიდი

## ამ ოჯახს პალესტინაში კარგად იცნობენ — რვა ძმიდან ექვსი ისრაელის ციხეებში ზის, ერთი დაიღუპა — 1994 წელს ისრაელის არმიის ოფიცერი მოკლა, სამი დაჭრა და გაიქცა, სამი თვის შემდეგ კი, დაკავებისას, თავში რამდენიმე ათეული ტყვია ესროლეს.

ვაფას მამა მაშინ გარდაიცვალა, როდესაც გოგონა რვა წლის იყო. მისი ძმა ალ-ამურის ბანაკში „ალ-აკსას წამებულთა ბრიგადების" შექმაში მონაწილეობდა და 10 წელი ისრაელის ციხეში გაატარა.

1948 წლამდე, ვიდრე ისრაელელები სახლიდან გაქცევას აიძულებდნენ, მსოფლიოს მომავალი პირველი შაჰიდი ქალის ოჯახი თელ-ავივიდან 20 კილომეტრით დაშორებულ ქალაქ რამლაში მდებარე დიდ სახლში ცხოვრობდა. მიწაც ბევრი ჰქონდათ, მაგრამ შემდეგ, ვიდრე ალ-ამურის ბანაკში დასახლდებოდნენ, ორი წლის მანძილზე უგზო-უკვლოდ მოუწიათ ხეტიალი.

სკოლის დამთავრების შემდეგ მდივნის დიპლომი მიიღო, მაგისტრის ქუდსა და მანტიაში გამოწყობილი ვაფა ზუსტად ისევე ბედნიერად ილიმება, როგორც მსოფლიოს ყველა კოლეჯის კურსდამთავრებულები ამ ღირსშესანიშნავ დღეს.

კოლეჯის შემდეგ ვაფა გათხოვდა, მაგრამ შვილი მუცელშივე მოუკვდა, ამის შემდეგ კი საერთოდ აღარ ეყოლა ბავშვი. რვაწლიანი თანაცხოვრების შემდეგ წყვილი გაიყარა. განქორწინების შემდეგ ქალი საცხოვრებლად ლტოლვილთა ბანაკში, ძმასთან გადავიდა და წითელ ჯვარში მედდად დაიწყო მუშაობა. ის დაჭრილებს პირველად დახმარებას უწევდა არა მხოლოდ თავის მშობლიურ ქალაქ რამალაში, არამედ ჯენინესა და პალესტინის სხვა ქალაქებშიც. საერთაშორისო პოლიტიკა არასდროს აინტერესებდა, მხოლოდ პალესტინის ბედზე ღელავდა და, როგორც ჩანს, ყველაზე მეტი ზეგავლენა მასზე ყოველდღიურად დაჭრილ-დასახიჩრებულ ადამიანებთან კონტაქტმა იქონია.

**როგორც შემდეგ მისი მოხუცი დეიდა იხსენებდა, ვაფა ყველაზე ძალიან დაზარალებული ბავშვების ბედს განიცდიდა და, როგორც ჩანს, სწორედ მათი ბედით შეწუხებულმა ჩაიფიქრა ის, რაც მოგვიანებით განახორციელა კიდეც ისრაელის წინააღმდეგ.** აღსანიშნავია ისიც, რომ მისი სამივე ძმა „ფატხას" წევრი იყო.

როდესაც ლტოლვილთა ბანაკში შეიტყვეს, რომ იერუსალიმის ცენტრში კამიკაძე-ტერორისტმა თავი აიფეთქა, ოჯახს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ეს ადამიანი-ბომბი მათი ვაფა იყო. გოგონა იმ დილით ჩვეულებრივ წავიდა სამსახურში — წითელ ჯვარში. სახლში არავინ არაფერი იცოდა, ცხადია, ირდისს ოჯახის წევრებისათვის გეგმების გაზიარება არც უფიქრია.


სიგელი, რომელიც ვაფამ გარდაცვალების შემდეგ მიიღო


ტერაქტი

**ოთახი, სადაც ერთ დროს ვაფა ცხოვრობდა, შაჰიდის ნამდვილი მემორიალია — კედელზე გაკრულ უზარმაზარ სურათზე ცენტრში თავად ირდისის ფოტოა, მის ირგვლივ — სხვა ახალგაზრდების ფოტოები. ესენი ალ-ამურის ბანაკში გამოზრდილი სხვა კამიკაძეები არიან.**

ვაფას ცხედარი ოჯახს არ მისცეს და ახლობლებმა ტრადიციების შესაბამისად მისი დამარხვა ვერ შეძლეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ტერაქტის ჩამდენის ვინაობა საბოლოოდ დადგინდა, **ოჯახთან მისასამძიმრებლად უამრავი ადამიანი მივიდა, მათ შორის „ფატახის" ხელმძღვანელები და თავად იასირ არაფატიც.**

**ტერაქტის შემდეგ ირდისის ოჯახს სადამ ჰუსეინმა 15 ათასი დოლარი გადაურიცხა, მაგრამ ტერაქტიდან მალევე გარდაცვლილმა მისმა დედამ განაცხადა: ჩემმა შვილმა ეს სამშობლოსთვის გააკეთა, მე შვილის სისხლით არ ვვაჭრობო და პალესტინური ორგანიზაციების დახმარება არ მიიღო. მან ჯერ კიდევ ტერაქტიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამაყობს საკუთარი ქალიშვილით და იმედოვნებს, რომ მის მაგალითს სხვა ქალებიც მიბაძავენ.**

ვაფასთვის ასაფეთქებელი მოწყობილობის გადაცემის გამო ბრალი ვინმე ნასარს დასდეს. მისი ძმა იუსეფ აბუ ახმედი პალესტინის უშიშროების სამსახურის თანამშრომელი იყო და ირდისებთან ახლოს ცხოვრობდა. ნასარი „ფატახის" საბრძოლო ფრთის „ტანზიმის" ლიდერი გახლდათ, ვიდრე მრავალჯერ დაპატიმრებისა და გათავისუფლების შემდეგ საბოლოოდ არ ჩასვეს ციხეში. ამ ოჯახს პალესტინაში კარგად იცნობენ — რვა ძმიდან ექვსი ისრაელის ციხეებში ზის, ერთი დაიღუპა — 1994 წელს ისრაელის არმიის ოფიცერი მოკლა, სამი დაჭრა და გაიქცა, სამი თვის შემდეგ კი, დაკავებისას, თავში რამდენიმე ათეული ტყვია ესროლეს.

**რაც შეეხება თავად ვაფას, მან ტერაქტის შემდეგ მალევე მიიღო ეროვნული გმირის წოდება. მის საპატივცემულოდ ლექსები და სიმღერები იწერება არა მხოლოდ მშობლიურ პალესტინაში, არამედ სხვა არაბულ ქვეყნებშიც. სადამ ჰუსეინმა კი ბაღდადის ერთ-ერთ მთავარ მოედანზე მისთვის ძეგლის აღმართვის პირობა დადო.**

გვერდები მოამზადა **მაია სვიანაძემ**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სიონიდან თრუსოში

## ხევი



თრუსოს ხეობა: აბანო, ლომთაგორა და მთავარანგელოზი



გორისციხე. მამაწმინდის ხატი

**იშვიათად რომ „ხევის პატარძალმა“ (იგივე მყინვარწვერმა) და მისი მიბაძვით ქაბარჭინმა, შუადღეზე შუბლი გიჩვენოთ — როგორც კი მზე სრულად აღმოხდება, ცაზე მოხეტიალე ღრუბლის ქათქათა ქულებს თავთავიანთ გუნდებად დაინაწილებენ და თავებს შიგ შერგავენ. დღევანდელი დღე კი, თითქოს, გამონაკლისია — თითო-ოროლა ღრუბლის ფთილა ტატნობის ცენტრში იალკიალებს. სიო არსაიდან ქრის...**

...**სიონში** შევდივართ. აქ უმთავრესად ფაჯიშვილები, ოდიშვილები, კობაიძეები, სეთურიძეები და დავითაშვილები ცხოვრობენ. ეს ხევის ყველაზე დიდი სოფელია, რომელიც მშვენიერი ეკლესიითა და კოშკით იწონებს თავს. მოხევეები ეკლესიის აგებას თამარ მეფეს მიაწერენ, მაგრამ იგი გაცილებით ადრინდელია და IX-X საუკუნეთა მიჯნას განეკუთვნება. ტაძარი სამნავიანი ბაზილიკაა და თითქმის იმავე მოცულობისაა, რაც ახალციხის (სნოს ხეობა) მსგავსი ტიპის ეკლესია. განსხვავება ის არის, რომ სიონის ტაძარი უფრო წმინდად გათლილი ქვების პერანგში ზის. სამხრეთისა და ჩრდილოეთის ნავები თავდაპირველად გარედანაც თაღედებით ყოფილა გახსნილი, მერე კი ამოუშენებიათ. ეკლესიაში შესასვლელი კარის მარჯვენა მხარეს ქვის საჯდომებია, რომელთა ზურგებზე ჯვრებია ამოკვეთილი. ეს ერთგვარი საბჭეო ალაგია, სადაც, თურმე, თემის მხცოვანი კაცები სხდებოდნენ და საჭირბოროტო საკითხებზე ბჭობდნენ. სიონის ამ საბჭეო ალაგს „ჯორის კალო“ (ჯვრის კალო) ჰქვია.

ტაძარში შემონახულია ვერცხლით მოჭედილი „ღვთაების ჯვარი“, რომელიც, მხედრული წარწერის მიხედვით, 1693 წელს შეუწირავს საყდრისთვის არაგვის ერისთავს — ბაადურს. არცთუ ისე დიდი სიძველის მიუხედავად, ამ ხატ-ჯვართან დაკავშირებით ერთი ლეგენდა მაინც არსებობს (უმისოდ, აბა, მთა რისი მთა იქნებოდა!). ლეგენდას საფუძველი იმან დაუდო, რომ ჯვარი არასდროს გამოაქვთ საყდრიდან. **ამ ჯვრის გარეთ გამოტანისა კი თურმე იმიტომ ეშინიათ, რომ ერთხელ ფრთები გამოუსხამს და გაფრენილა. ამ დროს იგი ანგელოზის სახით ჩვენებია სისაურსა და ცოფურს, რომლებიც უკან დასდევნებიან. უფრენია ჯვარს, უფრენია და მარტყოფის კლდის ნაპრალში დაფრენილა. სისაურიცა და ცოფურიც იქვე დაბინავებულან. ეს ამბავი აქ ამოსულ ბერებს რომ შეუტყვიათ, ნაპრალში შესულან, ჯვრისათვის ოქროს ძეწკვი გამოუბამთ და თბილისის სიონის ტაძარში გადაუტანიათ. თბილისში ამ ჯვრის ხასიათი არ სცოდნიათ, თვალყური არ დაუწესებიათ და ჯვარი უკან გაფრენილა მარტყოფში. ლეგენდა არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ როგორ დააბრუნეს სისაურმა და ცოფურმა ეს ჯვარი სოფელ სიონში, მაგრამ ის კი ნათქვამია, რომ ჯვრის მთავარი საბრძანისი მარტყოფია.**



„სიონის“ კომპლექსი

* * *

...როგორც იქნა, დარიალიდან სიომ დაუბერა. კოშკს მივეყრდენი, გაღეღილი მკერდი ნიავს მივუშვირე და ყურიც მივაპყარი.

ორი სიტყვა „წანარები“ და „წანარეთი“, ანუ მოხევეებისა და ხევის ძველი სახელწოდებები, ამოტივტივდა კვლავ გონებაში: „წან“ — „სან“... წანარები ხომ ერთ-ერთი სვანური ტომი უნდა ყოფილიყო, სავარაუდოდ. და კიდევ: **XVI-XVII საუკუნეების რუსული საბუთების მიხედვით, მთელ ხევს რომ ხან „სიონი“ ჰქვია და ხან „სონი“, ხოლო აქაურ მმართველს — „სონის ერისთავი“, ეს სიონის ტაძრის გამოძახილი არ უნდა იყოს. აქ უფრო მეზობელი ოსების ზეგავლენა იგრძნობა. ისინი ხომ მოხევეებს დღესაც „სონს“ და „სენს“ უწოდებენ. არადა, ამავე სახელწოდება „სონ“-ით ყაბარდოელები თავიანთ მეზობელ სვანებს იცნობენ. უბრალო დამთხვევაა თუ ის, რომ ჩრდილოეთ კავკასიამ სიტყვა „სონით“ მოხევეების უძველესი სახელწოდება „სან“ (წან) შემოინახა?**

* * *

...სოფელ **გარბანში** გადავდივართ, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან აკრავს სიონს. ამ სოფელში, ძირითადად, ქუქიშვილები და გუჯარიძეები ცხოვრობენ.

გარბანის ეკლესიას აქაურებში შემორჩენილი აქვს ერთობ უცნაური სახელი — **„ოქროს ბებრის წმიდა გიორგი“**. როგორც ვარაუდობენ, გარბანის წმიდა გიორგის საყდრის ეს მეტსახელი განსაზღვრა ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე შემონახულმა ერთ-ერთმა ფრაგმენტულმა წარწერამ: **„წდის გვრგს ოქრუ“**. როგორც გაზეთ „ივერიის“ 1893 წლის №83 ნომრის პუბლიკაციაში წერია, **ხალხური გადმოცემის თანახმად, ეკლესიის კედლებში ოქროს ფული ყოფილა ჩამარხული, რომლის ამოღება, ხატის შიშით, ვერავის გაუბედავს აქამდე და ტაძარს სახელწოდებაც აქედან გამომდინარე მიუღია.**

მაგრამ ეკლესიისთვის ეს მეტსახელი ბევრს არაფერს ნიშნავს, მას სხვა, ბევრად უფრო საინტერესო წარწერების ფრაგმენტები აქვს და ხუროთმოძღვრული ნიშნებითაც ძალიან საინტერესოა. ეს არის დარბაზული ტიპის მოზრდილი, მაღალი ეკლესია, რომელიც ღვინისფერი ბაზალტის ქვის თანაბარი კვადრებითაა აგებული. ქვები კარგადაა დამუშავებული, წახნაგები კი ოდნავ ჩამოთლილი. ლავგარდანის შემორჩენილი უძველესი ფრაგმენტები კლასიკური ეპოქას გვაგონებს. ფ. დიუბუა და პ. უვაროვა გარბანის ეკლესიას რატომღაც „ისნოს“ უწოდებდა, ი. კლაპორტი — „გარბანს“. საბჭოთა პერიოდის მკვლევარმა ა. კრუგლოვმა, რომელმაც ეს ძეგლი 1935 წელს შეისწავლა, იგი VI-VII საუკუნეებს მიაკუთვნა. იგივე თქვა ნ. ტოკარსკიმ. ვ. დოლიძის მოსაზრებით, ძეგლი IX-X საუკუნეებისაა, მ. ლორთქიფანიძისა და მ. ჩხიკვაძის აზრით — VIII საუკუნის. ორი უკანასკნელი მოსაზრების საფუძველზე, რომელიც ყველაზე ახლოსაა რეალურთან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გარბანის „წმ. გიორგი“ VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე აღდგენილი ძველი ძეგლია და იგი იმ პერიოდის ხევის უმთავრესი ქრისტიანული ტაძარია. ოდნავ მოგვიანებით უნდა იყოს ტაძრის მთავარი შესასვლელის კარზე ასომთავრულით შესრულებული წარწერა, რომელიც ფრაგმენტულად ასე იკითხება: **„ესე ნავი ნაფუშევი“**. წარწერა იმას გვეუბნება, რომ სამხრეთის სტოვა-ნავი მოშლილი ყოფილა და, ალბათ, შეუკეთებიათ, თუმცა მერე ხელმეორედ დანგრეულა. წარწერების კვალი ჩანს ამ მონგრეული სტოვის შემორჩენილი სვეტების კაპიტელებზე.

და მაინც, ყველაზე საინტერესოდ გამოიყურება აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ფასადებზე შემონახული წარწერები: ერთხელ — **„თე“** (ე.ი. თევდორე) და ორჯერ — **„გრლ“** (ე.ი. გრიგოლ). საფიქრალია, რომ ტაძრის ერთ-ერთი შეკეთების დროს წარწერიანი ქვების ერთი ნაწილი დაიკარგა ან კედელში პირუკუ ჩაიდგა, მეორე ნაწილმა კი ადგილი მოინაცვლა და უაზროდ ჩარჩა ფასადებში.

საინტერესოა ის გარემოება, რომ კახეთის დიდი სამთავროს პირველი მმართველი, ანუ ქორიკოზი (ქორეპისკოპოსი) სწორედ გრიგოლი იყო და იგი 787-827 წლებში მთავრობდა. აკად. მარიამ ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ კახეთის (იგივე წანარეთის) პირველი სამი მმართველი: გრიგოლი, ვაჩე და სამოელი სწორედ წანართა შთამომავალნი ე.ი. მოხევეები იყვნენ, ხოლო შემდგომი ქორეპისკოპოსები — გარდაბნელი დონაურები (საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდა სნოელმა იორამ ღუდუშაურმა. მისი თქმით, 1774 წლის აღწერით, დონაურების თუ დინაურების გვარიც ხევშია დაფიქსირებული).

მეცნიერთა უმეტესობას მიაჩნია, რომ ქორიკოზი და ქორეპისკოპოსი ერთი და იგივე მნიშვნელობისაა, მაგრამ პავლე ინგოროყვა ამტებს, რომ ეს სამოხელეო ინსტიტუტი დაკავშირებულია ანტიკური ხანის პიტიახშის თანამდებობასთან. სარგის კაკაბაძის აზრით **„ქორიკოზი“** სახეშეცვლილი ფორმაა სვანური **„ქორა-ხოშა“**-სი, რაც სახის უფროსს გულისხმობს. სულხან-საბა ორბელიანი კი წერს: **„უმეცარსა მწერალსა „ქართლის ცხოვრებაში“ გაურყვნია და „ქორიკოზი“ ქარაგმითა „ქორეპისკოპოსი“ ჰგონებია“.** ამის საწინააღმდეგოდ მარიამ ლორთქიფანიძე და შოთა ბადრიძე იხსენებენ, რომ იოანე კათალიკოსს არ შეიძლება შეშლოდა და კახეთის მთავრისათვის „დიდი ქორეპისკოპოსი“ ეწოდებინა შეცდომით. მთავარი ისაა, რომ გარბანის წმ. გიორგი, რომელიც ახლახან მოქმედ მონასტრად იქცა, კახეთის სამთავროს პირელი მმართველების დროსაა აგებული და იმაზე მიგვითითებს, რომ VIII-დან XIV საუკუნის ჩათვლით სიონ-გარბანის მიდამოები არა მარტო პოლიტიკური, არამედ სულიერ-კულტურული ცენტრიც იყო ხევში.

ვტოვებთ გარბანს და თერგის მარცხენა სანაპიროზე გადავდივართ. აქ ძალიან საინტერესოა სოფელ **გორისციხის** „მამაწმინდის ხატი“ — მცირე კლდეზე შემოდგმული კოშკის ნაშალი ჯიხვის რქებითა და სარიტუალო ჭურჭლით — სადაც სუჯაშვილები, ჩქარეულები და ელოშვილები 13 ივლისს დიდ დღესასწაულს იხდიან. ხატობამდე ერთი კვირით ადრე დეკანოზები, თურმე, ამ კოშკში ადიოდნენ და რჩებოდნენ, სადაც მათთვის საკვები უმანკო ბავშვებს აჰქონდათ. ხატის შეხვეწილებს (მლოცველებს) აქ „გასტეხილი“ ქადა, ორი სანთელი, არაყი და საკლავი აჰქონდათ. ეს ტრადიციები დღეს ნაწილობრივ თუ გრძელდება.

გორისციხეს სამხრეთიდან სოფელი **ფხელშე** აკრავს, სადაც ერთ ნანგრევ კოშკში ქალების კუთვნილი ხატი „კვირეაღვთისშვილია“. ამ ხატში ფხელშელებს ერთ დროს ქალი-დეკანოზიც კი ჰყოლიათ. დღეს ყველაფერი ეს მოგონებადღა დარჩა. ფხელშეში აღდგა და ამოქმედდა წმიდა გიორგის დარბაზული ტაძარი, რომელსაც სიონის მონასტრის ბერ-მონაზონთა საძმო უვლის და დროდადრო წირვასაც ატარებს. ფხელშეს, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, ხურთისი და ყანობი მოჰყვება, მერე კი სოფელი კობია. კობს ზევით ჩრდილო-დასავლეთით თერგის სათავეები და თრუსოს ზღაპრული ხეობაა მჟავე წყლებით და მიტოვებული ციხე-სოფლებით. დიახ, თრუსოს ხეობაში, სადაც გაუსაძლისი ზამთარი იცის, დღეს აღარავინ ცხოვრობს, მაგრამ ძველი ეკლესიები შემორჩენილია **მნაში, აბანოში, სუატისში** და **ლომთაგორში**. განსაკუთრებით ლომთაგორის სიახლოვეს, მაღალ კლდეზე მდგარი მთავარანგელოზის ეკლესიაა ღირსშესანიშნავი, რომელიც განვითარებული შუასაუკუნეების ძეგლია.

სიონის მონასტრის ახალგაზრდა მოძღვარ მამა პავლესთან ერთად ლომთაგორის ციხე-სოფლის კოშკის თავზე ვდგავართ და მთავარანგელოზს გავცქერით.

— მამაო, ზამთარში, ალბათ, შეუძლებელია, რომ ძეხორციელმა გაძლოს მთავარანგელოზში, — ვეუბნები მოძღვარს, — მაგრამ ზაფხული ჩინებული იცის.

მოძღვარი სათქმელს მიმიხვდება, ერთხანს მდუმარედ დგას და მერე იტყვის: — იქ, სადაც ზაფხულია, ზამთარიც იცის. პაპანაქებას თუ უძლებს კაცი, ვითომ ყინვასთან დამარცხდება? აქ კი არა, ამაზე გაცილებით მაღლა, ბეთლემში, იდგნენ ხოლმე ბერები და უფლის ნებით არ დახოცილან...

ასე დასრულდა ჩვენი კიდევ ერთი მოგზაურობა ხევში.

**ბელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**



გარბანის „წმ. გიორგი“



ლომთაგორის ნასახლარი

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რუსეთ-ოსმალეთის ომი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №32-33

**1807 წლის აგვისტოში რუსეთ-ოსმალეთს შორის დროებითი ზავი დაიდო. აფხაზეთის მდგომარეობა არ შეცვლილა, ის ოსმალეთის ხელშივე დარჩა. ქელაიშ-ბეგის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ახლა, ვიდრე დროებითი ზავი გრძელდებოდა, რუსეთის მხრით ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარების იმედი მას აღარ შეიძლებოდა ჰქონოდა.**
**და ოსმალეთის მთავრობამაც ეს დრო შეარჩია აფხაზეთის მთავრის დასაღუპავად.**



ქელაიშ-ბეგს მრავალი შვილი ჰყავდა. მამის სახელის დამკვიდრებისათვის ისინი ერთიმეორეს მტრობდნენ. ოსმალეთმაც ეს მომენტი გამოიყენა.

2 მაისს, 1808 წელს, ქელაიშ-ბეგი მოკლა საკუთარმა შვილმა არსლანმა, დაიჭირა სოხუმის ციხე და ოსმალეთის სულტანს წყალობა სთხოვა. არსლანის წინააღმდეგ ქელაიშ-ბეგის უფროსი ვაჟი სეფერ ალი-ბეი გამოვიდა, ზუფუს მფლობელი. მან მოაოხრა არსლანის საბატონიშვილო ა ალყა შემოარტყა სოხუმ, სადაც მამისმკვლელი ჩაკეტილიყო.

სეფერ ალი-ბეგიმ გენერალ რიკჰოფს აცნობა მომხდარი ამბავის შესახებ, დახმარება სთხოვა მას და რუსხელმწიფის ქვეშევრდომობაში აფხაზეთის შემოყვანა აღუთქვა. სეფერ ალი-ბეი გარკევით უპირისპირდებოდა ოსმალეთს, რომლის აგენტადაც ის თავის მეტოქე არსლანს თვლიდა. ამავე დროს, სეფერ ალი-ბეიმ დადიანის სახლს დახმარება სთხოვა. სეფერ ალი დადიანის სიძე იყო და, როგორც ამბობდნენ, ქრისტიანობაში მოქცეულიც. თუმცა ამ უკანასკნელ გარემოებას ის პოლიტიკური მოსაზრებით აქამდე არ ამხელდა.

* * *

საქართველოს მთავარმართებელი აფხაზეთში მომხდარ ფაქტს დიდის ყურადღებით მოეკიდა, თუმცა ამ საქმეში უშუალო ჩარევას ოსმალეთთან დროებითი ზავის დარღვევის შიშით მოერია. სოლომონ იმერთა მეფის საკითხის მოუგვარებლადაც საქართველოს მთავარმართებელს სიფრთხილეს უკარნახებდა. მაგრამ ამ პირობებშიაც გუდოვიჩმა გამოსავალი იპოვნა დასეფერ ალი-ბეის დახმარება აღმოუჩინა: ნინა დედოფალს მეგრელთა ჯარით და მანუჩარ შარვაშიძეს ნება მისცა, სეფერ ალი-ბეის მიშველებოდნენ.

აფხაზეთის საკითხი სამეგრელოს მთავრის კარზე. სამეგრელოს მთავრის კარზე აფხაზეთში მომხდარ ამბავს ქართულად შეხედეს. ნინა დედოფლის აზრით, აფხაზეთის მიღება რუსეთის ხელმწიფის საფარველში კანონიერი იმიტომ იქნებოდა, რომ აფხაზეთი „არს უკვე წევრი სამეგრელოისა, რომლისათვის მარჯვედ მისაღებელ არს მონარხობისა მიერ თქვენისა“-ო, უსაბუთებდა თავის აზრს ნინა დადიანი რუსხელმწიფეს და ისტორიასაც იშველიებდა, როცა აფხაზეთის „ტახტი ნიკოპსისა დადიანისა ლევანისა და წინაპართა მათთა“ იყო.

მაგრამ უმთავრესი ის იყო, რომ სამეგრელოს მთავრის კარი აფხაზეთის შემოყვანას რუსხელმწიფის საფარველში სხვა დიდმნიშვნელოვან მომენტს უკავშირებდა. აფხაზეთი უძველესი დროიდან ქართულ-ქრისტიანული კულტურის ქვეყანა იყო. რუსხელმწიფის საფარველს ქვეშ მისი შემოყვანით ეს ქართული ქრისტიანული კულტურა, რომელსაც ოსმალეთის მაჰმადიანური პოლიტიკის წყალობით აფხაზეთის თავადაზნაურობაში პოზიციები შერყეოდა, ამ ქვეყანაში კვლავ უნდა განმტკიცებულიყო. როგორც კი რუხელმწიფის საფარველში შევიდოდა, სეფერ ალი-ბეის თავის ქრისტიანობას გააცხადებდა, ქრისტიანებადვე მოიქცეოდა მისი მომხრე თავადაზნაურობაც, ხოლო ფართე მასების უმეტესობა, დადიანის განცხადებით, აქამდეც ქრისტიანი რჩებოდა. ამ ფაქტს მოჰყვებოდა, დადიანის კარის აზრით, დაუქმებული ქართული ეკლესიის აღდგენა აფხაზეთში, რასაც რუსეთის მთავრობის ხელისშეწყობით სამეგრელოს ქართული ეკლესია შეასრულებდა.

დადიანისა და მანუჩარ შარვაშიძის ჯარები სოხუმს მივიდნენ. სოხუმი კარგად გამაგრებული ციხე იყო, მას მრავალი ათეული ზარბაზანი იცავდა. არსლან-ბეის დასახმარებლად ამ დროს ფოთიდან ქუჩუკ-ბეი — შარვაშიძიანთ სახლისკაცი და ფოთის ციხისთავი მოსულიყო ოსმალთა რაზმით. არსლანსავე მოსვლოდა სამასამდე ჩერქეზი. ასე გამაგრებული ციხის წინააღმდეგ დადიანის ლაშქარი უმწეო იყო. მოალყეთა უშედეგო უკუქცევამ სეფერ ალი-ბეის მომხრე აფხაზებს გული გაუტეხა, ხოლო ოსმალთა საქმიანმა დახმარებამ არსლან-ბეის მომხრეები გაამხნევა.

პეტერბურგში შესაძლებლად დაინახა ხელმწიფის საფარველში სეფერ ალი-ბეის მიღება. მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც ოსმალეთთან მოლაპარაკება, ამ დროს რომ მიმდინარეობდა, ასე თუ ისე დამთავრდებოდა. მანამდე კი ეს საქმე არ უნდა გახმაურებულიყო. რუსეთის მთავრობის სამხედრო და პოლიტიკური პოზიციეი ოსმალეთთან დამოკიდებულებაში ახლა ძლიერი იყო და ამ ხელსაყრელი მომენტის გამოუყენებლობა და აფხაზეთის შემოერთებაზე უარის თქმა გაუმართლებელი იქნებოდა.

ასე იყო თუ ისე, რუსეთის მთავრობას მოპოვებული ჰქონდა საკმაო საბუთი იმის მტკიცებისათვის, რომ აფხაზეთის შემოყვანა რუსხელმწიფის ქვეშევრდომობაში მეზობელი ოსმალეთის უფლების უსამართლო დარღვევა კი არ იყო, არამედ ისტორიული სამართლიანობის აღდგენა.

* * *

გუდოვიჩის პირით სეფერ ალი-ბეის ხელმწიფის ნება შეატყობინეს და „სათხოვარი პუნქტების“, ანუ საქვეშევრდომო პირობების წარდგენა მოსთხოვეს.

აფხაზეთის მთავრობის საქვეშევრდომო პირობები ანალოგიური იყო სხვა ასეთივე ტრაქტატებისა, რუსეთის მთავრობა რომ ამ დროს ამიერკავკასიელ ფეოდალებს — მთავრებს თუ ხანებს უდებდა. თავისებურება ის იყო, რომ სეფერ ალიბეი, ამიერიდან გიორგი შარვაშიძე — რუსხელმწიფის ქვეშევრდომობაში შედიოდა აფხაზეთის „ძველი სარწმუნოებით“, რომელსაც „მისი წინაპრები აღიარებდნენ“, ესე იგი „ბერძნული ქრისტიანობით“.

სეფერ ალი-ბეი არსლანის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდა და ხელმწიფის წყალობას მოუთმენლად ელოდა.

ამასობაში გენერალი რიკჰოფი გარდაიცვალა და გუდოვიჩმა დასავლეთ საქართველოს საქმეები გენერალ ორბელიანს ჩააბარა. მალე საქართველოს მთავარმართებლად გუდოვიჩის ნაცვლად ტორმასოვი დაინიშნა.

1809 წლის 13 აპრილს რუსეთ-ოსმალეთს შორის ომი განახლდა.

ორბელიანი ფოთის ციხის უომრად შოვნას ცდილობდა. ციხისთავს ქუჩუკ-ბეი შარვაშიძეს მან მიუგზავნა ვახტანგ გურიელი, პოდპოლკოვნიკი ერისთავი, სოსლან და მანუჩარ შარვაშიძენი. მოლაპარაკებამ არ გაჭრა და ორბელიანი ფოთზე ომით მივიდა და აიღო კიდევაც. აქ ოსმალთა წინააღმდეგ გრიგოლეთის ბრძოლაში გურულებთან და მეგრელებთან ერთად მხნედ იბრძოდნენ სეფერ ალი-ბეგის მომხრე აფხაზებიც.

ბოლოს, 1809 წლის შუაზე, პეტერბურგიდან ტორმასოვს აცნობეს, რომ სეფერ ალი-ბეის მიღება ხელმწიფის ქვეშევრდომობაში გადაწყვეტილია და ინვესტიტურის ნიშნებიც მალე გამოეგზავნებაო. პენსიონიც დაუნიშნეს აფხაზეთის მთავარს 2500 მან., ხოლო მის დედინაცვალს — 1500 მან. წლიურად. ხელმწიფის ეს წყალობა, ვარაუდობდნენ, გავლენას მოახდენდა აფხაზ თავადებზე და სეფერ ალი-ბეის გააძლიერებდა არსლანის ხარჯზე, რომელსაც ახლა ოსმალეთის სულტანი აფხაზეთის მთავრად აღიარებდა.

* * *

ოსმალეთთან ომი გრძელდებოდა, რუსთა ჯარს ანაპა აეღო. ფოთიც ხომ ორბელიანმა აიღო. ახლა ორი ციხეღა რჩებოდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, საიდანაც ოსმალეთი კავკასიის ხალხებს უკავშირდებოდა. ამ ციხეების დაპყრობა რუსთა მიერ დიდი წარმატება იქნებოდა კაკასიაში გასაბატონებლად და ტორმასოვი მართალი იყო. სოხუმისა და სუჯუკის (სუჯუკის ციხე — ახლანდელი ნოვოროსიისკის ადგილას) დაპყრობას რომ ჩქარობდა. მატერიკიდან ამ ციხეების აღება ძნელი იყო. თანაც ტორმასოვს ჯარი მცირე ჰყავდა, ის მოგერიებითი ომისავთის ძლივს კმაროდა. ამ ჯარის ნაწილის აფხაზეთში დაბანდება ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო. ამიტომ საქართველოს მთავარმართებელი ითხოვდა, რათა სოხუმისა (და შემდეგ სუჯუკის) ასაღებად სევასტოპოლიდან საამისო ფლოტილია გამოეგზავნათ.

მაგრამ ვიდრე ამაებზე თბილის-პეტერბურგს შორის მიმოწერა გრძელდებოდა და გიორგი შარვაშიძე ხელმწიფისაგან აფხაზეთის მთავრად დადგინების წიგნისა და სხვა ნიშნების უსასრულო მოლოდინში იყო, არსლან-ბეი იქამდე გაძლიერდა, რომ უკიდურესად შევიწროვებული გიორგი იძულებული შეიქნა, თავისი ქვეყნიდან თითქმის ლტოლვილი ქუთაისს სიმონოვიჩს ხლებოდა და მისთვის დახმარება ეთხოვნა. გიორგის საქმის წარმატებაში შეეჭვებული აფხაზი თავადაზნაურობის უმრავლესობა არსლანის მხარეს დამდგარიყო. საფრთხე დგებოდა, რომ არსლანი გიორგის აფხაზეთიდან საბოლოოდ გამოაძევებდა.

ახლა ტორმასოვი გარკვევით შეჰპირდა გიორგის, რომ გაზაფხულზე (1810 წ.) სევასტოპოლიდან ფლოტილია მოვა სოხუმის ასაღებად.

ბოლოს, 1810 წლის 7 აპრილს, როგორც იქნა, პეტერბურგიდან ხელმწიფის წყალობის სიგელი და ინვესტიტურის სხვა ნიშნებიც გამოგზავნეს. აქვე იყო ფიცის წიგნი ქართულ ენაზე. ეს უკანასკნელი გარემოება მარტო იმით როდი აიხსნება, რომ სეფერ ალი-ბეი გაქრისტიანდა, და მართლმადიდებლური ქრისტიანობის ენა კი ამიერკავკასიაში ქართული იყო, არამედ უმთავრესად იმით, რომ იმ თავიდან აფხაზეთი ქართული ფეოდალური კულტურული ურთიერთობის ენა ქართულივე იყო, მაჰმადიანი ქელაიშ-ბეგიც ხომ ქართულ ენას მიმართავდა თავის საკუთარ ბიძა-ძმის შვილებთან საქმიან ურთიერთობაში, ისევე როგორც სამეგრელოს მთავარსა თუ იმერეთის მეფესთან მიმოწერისას.

ინვესტიტურის ნიშნებმა თბილისში მაისის შუა მოაღწია. მაგრამ გიორგი შარვაშიძემ ახლა ამ წყალობის საზეიმო გამოჩვენებით მიღება ვერ გაბედა. გიორგი შარვაშიძის აზრით, ამისათვის პირველად საჭირო იყო მისი გამარჯვების უზრუნველყოფა — ესე იგი სოხუმის აღება, არსლანის გაძევება და აფხაზ თავადაზნაურობისაგან მძევლების აყვანა, თუ არა, ინვესტიტურის მიღებას არსლანის საპასუხო ზომები და აფხაზეთიდან გიორგის საბოლოო გაძევება მოჰყვებოდა.

რუსეთის მთავრობა უსიამოვნო მდგომარეობაში აღმოჩნდა: ის იძულებული გახდა, აფხაზეთი ომით ეშოვნა, რათა ის უმიწაწყლო გიორგი შარვაშიძისათვის ზეიმით ჩაებარებინა.

* * *

8 ივლისს, 1810 წელს, რუსთა სამხედრო გემები კაპიტანი დოდტის სარდლობით სოხუმს მოადგა და ორი დღის მკაცრი ბრძოლით 11 ივლისს აიღო ის. ამის შემდეგ დოდტს სწრაფად სუჯუკს ლაშქრობა ებრძანა, რათა ოსმალეთს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე საბოლოოდ ფეხი ამოკვეთოდა.

სოხუმში რუსთა გარნიზონი ჩადგა. ინვესტიტურის ნიშნებით ფოთიდან მაიორი მოიზა გაგზავნეს და სოხუმში აფხაზი თავადების თანდასწრებით ხელმწიფის ეს წყალობა დიდის მოჩვენებით გიორგი შარვაშიძეს ჩააბარეს. ეს მოხდა 1810 წლის ოქტომბერში. ახლა მთავარმა სოხუმში დაიდო ბინა.

გაგრძელება იქნება



გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული
ჟურნალის
«ისტორიული მემკვიდრეობა»
მეცხრე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.
ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ყველაზე ძვირადღირებული ტელევიზორი

**ბრიტანელმა დიზაინერმა სტიუარტ ჰიუზიმ შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებისათვის საკუთარი ნიშა მაღალტექნოლოგიური ელექტროტექნიკის მწარმოებელთა შორის იპოვა.** დაახლოებით 12 წლის წინათ მან თავის მეუღლესთან ერთად დააარსა დიზაინერული კომპანია „Goldstriker International", რომელმაც სტანდარტული საყოფაცხოვრებო ტექნიკის დიზაინის გალამაზებაზე დაიწყო ზრუნვა. ერთი ხანობა კომპანია 18-კარატიანი ოქროსგან მობილური ტელეფონების კორპუსებს ამზადებდა, შემდეგ 22-კარატიანი ოქროს სათამაშო პულტებზე ბრილიანტის სამართავი ღილაკები განალაგეს.

ახლახან ჰიუზმა გადაწყვიტა, მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ტელევიზორი შეექმნა. თავდაპირველად „PrestigeHD"-ის 55-დიუმიანი ტელევიზორისათვის 28 კილოგრამი 18-კარატიანი ვარდისფერი ოქროსგან ახალი კორპუსი ჩამოასხა. შემდეგ ეს კორპუსი 72 ცალი ბრილიანტით მორთო, ეკრანს კი ირგვლივ ალიგატორის ტყავის უწვრილესი ორნამენტები შემოავლო.



საბოლოოდ შეიქმნა სულ სამი ეგზემპლარი, რომლებიც ნავთობ-შეიხებისა და ოლიგარქების აპარტამენტებს ამშვენებს. „PrestigeHD SUPREME Rose Edition"-ის თითოეული ეგზემპლარის ღირებულება 2 250 000 დოლარია.

# ყველაზე ძვირადღირებული ველოსიპედი

**შვედურმა კომპანიამ „Aurumania"-მ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ველოსიპედის 10 ეგზემპლარი დაამზადა.** „Aurumania gold bike crystal edition"-ის კორპუსი იუველირის დამუშავებულია: ზემოდან 24-კარატიანი ოქროს სქელი ფენითაა დაფარული და „Swarovski"-ს 600-მდე კრისტალითაა მოჭედილი. სახელურები და დასაჯდომი ხელითაა შემოკერილი ყველაზე ძვირადღირებული ტყავით, რომელიც კი წარმოებაში გამოიყენება. მიუხედავად მისი უნიკალობისა, 110 000 დოლარად ღირებული ველოსიპედის მხოლოდ სამ ეგზემპლარს გამოუჩნდა მყიდველი.



# ყველაზე ძვირადღირებული იახტა

**მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ იახტა „MIRABELLA V"-ს შეიძლება ეწოდოს კერძო სამოთხე, პერსონალური კუნძული.**

იგი უფროსების ყველაზე ძვირადღირებული გასართობია, მაგრამ არა — წყალზე გადაადგილების საშუალება.

მისი ყველა ელემენტი სპეციალურად ამ იახტისთვისაა შექმნილი. ის კი მსოფლიოს გარშემო ინდივიდუალური მოგზაურობისთვის შეიქმნა. ამგვარი შენაძენებით თავს მხოლოდ ისინი ინებივრებენ, ვისაც უკვე ყველაფერი აქვს. **იახტა 92 700 000 დოლარი ღირს.**







# ყველაზე ძვირადღირებული პიჯაკი

**მამაკაცის ყველაზე ძვირადღირებული პიჯაკი „Stuart Hughes"-ისა და „Richard Jewels"-ის ერთობლივი შემოქმედებაა. უნიკალური პიჯაკის საფირმო მარკა „R.Jewels Diamond Edition"-ია და ის მსოფლიოში მამაკაცის ყველაზე ძვირადღირებულ საზეიმო სამოსად ითვლება.**

მანჩესტერის საიუველირო სახლ რიჩარდ ჯეველსისა და ლივერპულელი კუტიურე სტიუარტ ჰიუზის ერთობლივი შედევრი ფაქტურის მხრივ უძვირფასესი შალისა და აბრეშუმის ნაჭრებისგანაა შეკერილი, საყელოზე კი მთლიანობაში 240 კარატის მოცულობის 480 ცალი ბრილიანტის თვალი აქვს დამაგრებული. **პიჯაკი სამ ცალად შეიკერება და თითეულის ღირებულება 950 000 დოლარს შეადგენს.**



# ყველაზე ძვირადღირებული აბაზანები



მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული აბაზანა „Rock crystal"-ი, რომელიც კომპანია „Baldi"-ს სიამაყეა, ამაზონის გამოქვაბულებიდან მოპოვებული მთის ბროლის მთლიან ნაჭერშია გამოთლილი. მისი ღირებულება 800 000 დოლარს შეადგენს.



ფასის მიხედვით, მეორე ადგილზეა იმავე მწარმოებლის ნამუშევარი, ნავისებური ფორმის მალაქიტის აბაზანა, რომლის ზედაპირი 24-კარატიანი ოქროს ორნამენტებითაა მორთული და 222 000 დოლარი ღირს.



მესამე ადგილზე მთლიანად ხელთნაკეთი უსუფთავესი სპილენძისაგან ჩამოსხმული აბაზანაა, რომლის დიზაინი ყველაზე დახვეწილი გემოვნების მოთხოვნებს აკმაყოფილებს. მისი ღირებულება 68 000 დოლარს უტოლდება.

# ყველაზე ძვირადღირებული თანამედროვე სკულპტურა

**მოსიარულე ადამიანის ეს გამოსახულება შვეიცარიელმა მოქანდაკემ ალბერტო ჯაკომეტიმ შექმნა და აუქციონზე რეკორდულ ფასად, 104 300 000 დოლარად, გაყიდა.**

ამით ნამუშევარი ოდესმე აუქციონზე გაყიდულ ხელოვნების ნიმუშებს შორის ყველაზე ძვირადღირებულ ლოტად იქცა. ვაჭრობა სულ რაღაც რვა წუთს გაგრძელდა და ამ დროის განმავლობაში ლოტის სასტარტო ღირებულება გახუთმაგდა. მყიდველი უცნობია, მან აუქციონზე ტელეფონის საშუალებით მიიღო მონაწილეობა. XX საუკუნის სკულპტურა ადამიანის სიმაღლისაა და თანამედროვე ხელოვნების ყველაზე ცნობად სახედ ითვლება.



# უნიკალური მინის ხმალი



ეს სამურაების ხმალი ხელოვნების უნიკალური ნიმუშია. ოსტატმა მის შესაქმნელად ექვს თვეზე მეტხანს იმუშავა. გარდა ბრილიანტებით მოჭედილი სახელურისა, ბრილიანტები ურთულესი ტექნოლოგიითაა ჩასმული თავად მინაშიც. ძვირფასი ქვების საერთო მოცულობა დაახლოებით 70 კარატია.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ყველაზე სწრაფი კერძო რეაქტიული თვითმფრინავი

**ამერიკულმა ავიამწარმოებელმა „Gulfstream"-მა ახალი „G650" წარმოადგინა. 30,41 მეტრის სიგრძის თვითმფრინავის ბორტზე ორი მფრინავისა და სტიუარდესას ჩათვლით 18 ადამიანი ეტევა.** „Rolls-Royce BR725"-ის ორი ძრავი მას საათში 965 კილომეტრამდე სიჩქარით უზრუნველყოფს. ფრენის მაქსიმალური სიშორე 12 964 კილომეტრია. ეს მაჩვენებელი ამ ტიპის თვითმფრინავისათვის მსოფლიო რეკორდია, ასევე რეკორდულია სიჩქარეც. თვითმფრინავის გაყიდვა 2012 წლიდან დაიწყება და მისი ღირებულება 65 000 000 დოლარი იქნება.



# მსოფლიოს უდიდესი შადრევანი

**არა მხოლოდ უდიდესი, ამავე დროს მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული შადრევანი „Dubai Fountain"-ი მსოფლიოში ყველაზე მაღალი შენობის „Burj Dubai"-ს წინ დგას. შადრევნის მოედნის ფართობი დაახლოებით 300 კვ. მეტრია, რომელზეც შადრევნის გასანათებლად 6600 ლამპიონი და 50 ფერადი პროჟექტორია დამონტაჟებული. შადრევნის სიმაღლე, რაც არ უნდა დაუჯერებლად ჟღერდეს, 150 მეტრს აღწევს. მისი ღირებულებაა 218 000 000 დოლარი.**



# ყველაზე ძვირადღირებული აიფონი

**დღეისათვის ეს ტიტული სავსებით სამართლიანად ეკუთვნის ინგლისელი იუველირის სტიუარტ ჰიუსტის ნახელავს.**



ამ ნივთზე მუშაობას თითქმის ერთი წელი დასჭირდა. 271-გრამიანი კორპუსი 22-კარატიანი უსუფთავესი ოქროსგანაა ჩამოსხმული.

წინა მხარე მოჭედილია საერთო ჯამში 68 კარატის მოცულობის 136 ცალი უნაკლო, სისუფთავის უმაღლესი კოეფიციენტის მქონე ბრილიანტით.

უკანა მხარეს ამოტვიფრულ ვაშლის ემბლემას 1 კარატის მასის 53 ბრილიანტი ამშვენებს. სანავიგაციო ღილაკის ფუნქციას კი 7,1-კარატიანი უნიკალური ბრილიანტი ასრულებს. **აიფონის ღირებულება 3 150 000 დოლარია.**

# ყველაზე ტკბილი რეკორდი მსოფლიოში

**შესაძლოა, შვეიცარია და ბელგია მართლაც არიან შოკოლადის ყველაზე ცნობილი მწარმოებლები მსოფლიოში, მაგრამ ამჯერად მათ სომხეთმა აჯობა.** სწორედ სომეხმა კონდიტერებმა დაამზადეს მსოფლიოში უდიდესი შოკოლადის ფილა. მსოფლიოში ყველაზე ტკბილი რეკორდი შოკოლადის ფაბრიკის დარბაზში პირდაპირ გინესის რეკორდთა წიგნის წარმომადგენლების თანდასწრებით დამყარდა. ეს ფილა სიგრძეში 5,5 მეტრი იყო, სიგანეში — 2,5 მეტრი, სისქით კი 25 სანტიმეტრს აღემატებოდა. შოკოლადის მონსტრი 4 400 კილოგრამს იწონიდა. ღონისძიების შემდეგ შემქმნელებმა ეს ძვირფასი ნაკეთობა დაჭრეს და ქალაქის მოსახლეობას გაუმასპინძლდნენ.



# პირველი ფასიანი ქაღალდი მსოფლიოში

**ჰოლანდიის ქალაქ ენკჰაუზენის არქივში მსოფლიოში გამოცემულ აქციათაგან უძველესი აღმოაჩინეს. ჰოლანდიის ოსტ-ინდური სანაოსნო კომპანიის ფასიანი ქაღალდი 1606 წლის 9 სექტემბრითაა დათარიღებული.**

აქცია ენკჰაუზენის მკვიდრის, პიტერ ხარმენშას სახელზეა გამოცემული. ეს ადამიანი იმ ხანად ქალაქის მერის თანაშემწე იყო. ხარმენშას გარდაცვალების შემდეგ ფასიანი ქაღალდი მისი მეუღლის საკუთრებაში გადავიდა, შემდეგ კი ქალიშვილს გადაეცა. საბოლოოდ აქციამ ქალაქის არქივამდეც მიაღწია, აქ კი ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტმა რუბენ შალკემ აღმოაჩინა.



აღსანიშნავია, რომ ეს აქცია ხარმენშას 150 გულდენი დაუჯდა და მისგან დივიდენდს 1650 წლამდე იღებდა. დივიდენდების გაცემის თაობაზე თავად აქციის უკანა მხარესაა გაწერილი.

ამის საშუალებით შალკემ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაანალიზება შეძლო და დაასკვნა, რომ XVII საუკუნის პირველ ნახევარში მას არც თუ ისე სახარბიელოდ ჰქონდა საქმე აწყობილი.

ოსტ-ინდური კომპანიის გაერთიანება პირველ ტრანსნაციონალურ კომპანიად ითვლება და მსოფლიოში პირველია აქციების ბრუნვაში გაშვების თვალსაზრისითაც. აღნიშნულ აღმოჩენამდე მსოფლიოში უძველეს აქციად მიჩნეული იყო ფასიანი ქაღალდი, რომელიც ამავე კომპანიამ 1606 წლის 27 სექტემბერს გასცა. ამრიგად, რეკორდი 18 დღით გაუმჯობესდა.

# ყველაზე გრძელი ლიმუზინი





**ავტომანქანების დიზაინერმა, კონსტრუქტორმა და კოლექციონერმა ჯეი ორბერგმა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ დაიმკვიდრა სახელი „ჰოლივუდ ჯეი". ჰოლივუდის მიერ გადაღებული ბლოკბასტერების უმეტესობისათვის სწორედ ორბერგის შექნილი მანქანებია გამოყენებული. მაგრამ ეს ამბავი შესაძლოა იმდენად ცნობილი არც გამხდარიყო, მოუსვენარ კონსტრუქტორს მსოფლიოში ყველაზე გრძლი ლიმუზინის შექმნა რომ არ მოსვლოდა აზრად.**

შექმნა კიდეც და ეს 30,48-მეტრიანი გიგანტი, ცხადია, გინესის რეკორდების წიგნში დასახლდა, სავარაუდოდ დიდი ხნით. პლანეტის ყველაზე გრძელ ავტომანქანას 26 ბორბალი აქვს. მისი სალონი სასტუმროს უფრო ჰგავს, ვიდრე გადაადგილების საშუალებას.

მისი გამოუსადეგარობა აბსოლუტურ მაქსიმუმს აღწევს. 25 მეტრზე გადაჭიმული ფანჯრები, ორი მოტორი, ოცი ღერძი. რომ აღარაფერი ვთქვათ ბარებზე, დივან-სავარძლებსა და სხვა მრავალ წვრილმანზე, შიგნით განთავსებულია ჯაკუზი, აუზი ხუთმეტრიანი ტრამპლინით, ბილიარდის სათამაშო მაგიდა, გოლფის სათამაშო მომცრო ზომის მოედანი და ვერტმფრენების ასაფრენი მოედანიც კი. მაგრამ, სამწუხაროდ, ათტონიან „ამერიკულ ოცნებას" იგივე ბედი ეწია, რაც ჩვეულებრივ „მოკვდავ" ავტომანქანებსაც ხშირად ემართებათ ხოლმე — ავარიაში მოყვა.

ორბერგისათვის კი ეს ტრაგედია ახალი სტიმულის საბაბად იქცა და გადაწყვიტა, 2008 წლის საპრეიდენტო არჩევნებისას ტეხასის შტატის კონგრესმენის რონ პოლის კამპანიაში მონაწილე 16-მეტრიანი ლინკოლნის ბაზაზე ახალი ყველაზე გრძლი ავტომანქანა შექმნას.

# ყველაზე მსგავსი ტყუპები მსოფლიოში



**ცნობილმა კომპანიამ „Cadbury"-მ ზაფხულში შოკოლადის ახალი ბატონი „Wispa Duo" შექმნა და, ვინაიდან შეკვრაში ორი აბსოლუტურად ერთნაირი ნახევარი დევს, სარეკლამო კამპანიისათვის ტყუპების კონკურსი გამოაცხადა. კონკურსში გამარჯვებულად ის წყვილი გამოცხადდებოდა, რომლის ტყუპისცალებიც ყველაზე მეტად ჰგვანან ერთმანეთს.**

პრიზის სახით გამარჯვებულებმა არა მხოლოდ შოკოლადი, არამედ სარეკლამო კამპანიასა და პრომო აქციებში მონაწილეობის შესაბამისი კონტრაქტიც მიიღეს. კონკურსის დღეს ლონდონის ერთ-ერთი სტუდიის შესასვლელთან 200-მდე ტყუპმა მოიყარა თავი, მაგრამ, ჟიურის გადაწყვეტილებით, მათ შორის ყველაზე მსგავს წყვილად ლონდონელი პერლ და რუბი დეიები დასახელდნენ.



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## დედას ჩვილი საპირფარეშოში დარჩა



**ავიაკომპანია „Gulf Air“-ის თვითმფრინავში, რომელიც ბაჰრეინ-მანილას რეისის შესრულების შემდეგ აეროპორტში დაეშვა, საპირფარეშოს სანაგვე ყუთში ახალშობილი იპოვეს.** როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჩვილი დედამისმა ამავე საპირფარეშოში გააჩინა, შემდეგ კი მანილას აეროპორტში თვითმფრინავიდან ისე ჩავიდა, რომ ბავშვის თან წაყვანა აზრადაც არ მოსვლია. ყველაზე უცნაური ისაა, რომ ქალისთვის მის თანამგზავრებს უცნაური არაფერი შეუმჩნევიათ. ბავშვის შესახებ ვერავინ ვერაფერს იეჭვებდა, აეროპორტის თანამშრომლებს ნაგვის ურნაში რაღაც მოძრავი რომ არ შეენიშნათ. ბიჭი მაშინვე ექიმებს გადააბარეს და დადგინდა, რომ მის ჯანმრთელობას ზიანი არ მისდგომია. ერთადერთი, რისი წყალობითაც დედის ვინაობის დადგენა მოხერხდა, მის სავარძელზე აღმოჩენილი სისხლის ლაქა იყო. ახლა სოციალური სამსახურები ბავშვის დედის, უკიდურეს შემთხვევაში კი, მისი ნათესავების პოვნას ცდილობენ. ბიჭს სახელი აეროპორტის თანამშრომლებმა შეურჩიეს. ჯორჯ ფრენსისის ინიციალები „Gulf Air“-ის კოდს შეესაბამება.

## გთავაზობთ ცოცხლად დამარხვას



**სამხრეთ კორეაში გაჩნდა ორგანიზაცია სახელწოდებით „Coffin Academy“, რომელიც მსურველებს ცოცხლად დამარხვას სთავაზობს. ამის შესახებ ინგლისურენოვანი „ალ-ჯაზირა“ იუწყება.**

კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, ადამიანებს თურმე დაუოკებელი სურვილი აქვთ, სიკვდილამდე ჩაწვნენ კუბოში, რამდნიმე საათი იქ გაატარონ და შემდეგ სულ სხვაგვარად შეხედონ თავიანთ ცხოვრებას. რადენიმე საათიანი კუბოში წოლა ჯერ ვერავინ გარისკა, ყველაზე მეტი, რაც კი კომპანიის კლიენტებს ოთხ ფიცარში გაუტარებიათ, ათი წუთია. ამის შემდეგ მათ კუბოს კარს უღებენ. ორგანიზაციის დირექტორის ჩუნ ჟუნის განცხადებით, ამ ათი წუთის მანძილზე მისი კლიენტების ცხოვრება რადიკალურად იცვლება. ცერემონიის მონაწილეები კი აცხადებენ, რომ „სიკვდილის გამოცდილება“, რომელსაც ისინი ეზიარნენ, ხანგრძლივი სულიერი სიმშვიდის გარანტიად იქცა. კომპანიაში აცხადებენ, რომ მათი კლიენტები კვდებიან, რათა სიცოცხლე ისწავლონ.

## დიეტა ორანგუტანისთვის



**დორსეტში მდებარე ცხოველების გადარჩენის ბრიტანულ ცენტრ „Monkey World“-ის თანამშრომლებმა ორანგუტან ოშინისათვის ჯანსაღი კვების პროგრამა შეიმუშავეს. საქმე ისაა, რომ ცხოველის წონა 98 კილოგრამს აჭარბებს.**

13 წლის მანძილზე ოშინი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ერთ-ერთ ოჯახში შინაური ცხოველის მსგავსად ცხოვრობდა. ჭარბწონიანობაც იქ განუვითარდა. მდედრი ორანგუტანის ნორმალურ წონად 30-50 კილოგრამი ითვლება, ოშინი თითქმის ორჯერ აჭარბებს დასაშვებ ნორმას. ამის მიზეზი მისი არაჯანსაღი კვებაა. პატრონები საბრალო ცხოველს ფასტ-ფუდის მენიუსა და ტკბილეულს არ აკლებდნენ. მაგრამ სხვა გზაც არ ჰქონდათ — ჭამა ცხოველის დამშვიდების ერთადერთი საშუალება იყო. მის პატრონებს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ამით ოშინს რაიმე საფრთხის წინაშე აყენებდნენ. ახლა მისთვის დადგენილი ორჯერადი კვების მთავარი პროდუქტები ხილი, ბოსტნეული და უცხიმო ხორცია. ორანგუტანი ძველებურზე მოძრავი გახდა. სპეციალისტების აზრით, რამდენიმე თვეში ის ნორმალურ წონას დაიბრუნებს, შემდეგ კი მეწყვილეს შეურჩევენ და იმედია, შვილიც ეყოლება.

# პენტაგონი ჯარისკაცების ტვინებს გააკონტროლებს

**პენტაგონმა პროექტის „ულტრაბგერის დახმარებით ტვინის აქტიურობის დისტანციური მართვა“ რეალიზაციის დაწყების შესახებ გამოაცხადა. ეს ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრო ჯარისკაცების მუზარადების შიდა ზედაპირზე დაამონტაჟებს სპეციალურ მოწყობილობას, რომლის საშუალებითაც სიფხიზლის, შემეცნების, ტკივილისა და საერთო ფსიქოლოგიური მდგომარეობისთვის პასუხისმგებელი ტვინის ზონების სტიმულირებას მოახდენს.**



ეს არის ერთ-ერთი იმ მთელი რიგი პროექტებიდან, რომლებიც პენტაგონმა ტვინთან დაკავშირებით მოამზადა. გონების „ოპტიმიზება“ პირველ რიგში მიმართულია იმ ჯარისკაცების რაოდენობის შემცირებისაკენ, რომელთაც მსახურების შემდეგ ან მის გარკვეულ ეტაპზე ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია ესაჭიროებათ. გარდა ამისა, **სამხედრო ხელმძღვანელებს სურთ, რომ სხვადასხვა ადამიანური სისუსტეები ექსტრემალურ სიტუაციებში გადაწყვეტილებებზე გავლენას არ უნდა ახდენდეს.**

ამჯერად აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს პერსპექტიული კვლევების სამმართველოს არიზონას უნივერსიტეტის ნევროლოგის, უილიამ ტაილერის ნაშრომები მოხვდა თვალში. ეს უკანასკნელი კი ტვინის არაინვაზიური სტიმულირების მეთოდის დახვეწაზე მუშაობს. **„როდესაც ადამიანები მეკითხებიან, რა შეუძლია ამ მოწყობილობას, მე ვუბრუნებ კითხვას, რა იციან მათ საკუთარი ტვინის შესახებ. ორგანიზმის ყველა ფუნქციას ტვინი ასრულებს და, თქვენ რომ ნეიროანატომია იცოდეთ, აუცილებლად დაიწყებდით თითოეული ამ ფუნქციის რეგულირებას“, — აცხადებს მეცნიერი.**

დღეისათვის უკვე შემუშავებულია ტვინის სტიმულაციის მოწინავე მეთოდები პარკინსონის დაავადებით დაწყებული, მძიმე დეპრესიით დამთავრებული მთელი რიგი დარღვევების სამკურნალოდ. **სამწუხაროდ, ტვინში ღრმა შეღწევისათვის ინვაზიური ქირურგიაა საჭირო, ულტრაბგერის საშუალებით გარედან სტიმულირება კი ვერ აღწევს იმ სიღრმეებში, რომლებშიც მრავალი დაავადებული „სქემაა“ განთავსებული.**

**მაგრამ ტაილერი ამან ვერ შეაჩერა. მან და მისმა კოლეგებმა გამოიგონეს რაღაც იმპულსური ულტრაბგერები, რომლებიც თავის ტვინის ღრმა უბნებზეც ახდენს ზემოქმედებას.** გარდა ამისა, მას შეუძლია, მიზანში ამოიღოს 2-3-მილიმეტრიანი ზონები და, რაც მთავარია, თავად ეს მოწყობილობა იმდენად პატარაა, რომ თავისუფლად შეიძლება მუზარადის შიდა ზედაპირზე დამაგრება. მას თითქოსდა ტვინის ტრამვების მართვაც კი უნდა შეეძლოს.

**„ის, რასაც ჩვენ ტრამვას ვუწოდებთ, ეს მრავალსაათიანი მეტაბოლური დაზიანების შედეგია, თავისუფალ რადიკალებსა და სიმსივნეს საკმაოდ დიდი დრო სჭირდებათ. დისტანციური მართვის ზუსტის მარტივი ჩხვლეტით დაუყოვნებელი ჩარევა რომ შეიძლებოდეს, ჩვენ თავიდან ავიცილებდით იმას, რაც მომავალში ადამიანის სიცოცხლეს მოწამლავს“, — აცხადებს უილიამ ტაილერი.**

მიუხედავად იმისა, რომ უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში პენტაგონს 100 მილიარდი დოლარის დაზოგვა მოუწევს, ამ მეცნიერის მომავალი კვლევები აშშ-ის მთავარი სამხედრო უწყების ფინანსური მხარდაჭერით წარიმართება.

*warandpeace.ru*

# პარიზის ისლამიზაცია



**პარიზის ერთ-ერთ ქუჩაზე ფარულმა კამერამ დააფიქსირა მუსლიმანთა უზარმაზარი ბრბო, რომელსაც ლოცვის დროს უსაფრთხოების კერძო სამსახურები იცავდნენ. მართალია, ამ ყოველივეს საფრანგეთის კანონმდებლობა კრძალავს, მაგრამ პოლიციამ ჩაურევლობის ბრძანება მიიღო. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ, მიუხედავად საფრანგეთის ხელისუფლებაში მყოფი იმ რამდენიმე ადამიანისა, რომლებიც მუსლიმანების წინააღმდეგ მკაცრი ზომების გატარებასა და ფარანჯის აკრძალვას მოითხოვენ, დანარჩენები ისლამისათვის პრივილეგირებული სტატუსის შენარჩუნებაზე ზრუნავენ.**

ფარული კამერის პატრონი ერთი რიგითი მოქალაქეა, რომელიც იძულებულია, ყოველდღიურად უყუროს პარიზის ისლამიზაციას და გადაწყვიტა, აჩვენოს მსოფლიოს, თუ რა ხდება მის მშობლიურ ქალაქში. **კამერამ დააფიქსირა, როგორ ლოცულობენ ქალაქის ქუჩებში მუსლიმანები და შესაბამისად აფერხებენ მოძრაობას. ამ ლოცვების დროს აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრებნი სახლებში ვერ შედიან. მუსლიმანები ამ ქუჩებს ფაქტიურად იპყრობენ ყოველგვარი ნებართვის გარეშე.**

**პარიზის ქუჩებში მუსლიმანებს ისეთი უფლებები აქვთ, რომ მსგავსი ქცევისათვის ქრისტიანები აუცილებლად გახდებოდნენ ხელისუფლების ან სეკულარიზმის შესახებ კანონის მსხვერპლნი.**

ზოგიერთი ადამიანის მტკიცებით, მუსლიმანებს მეჩეთში ადგილი არ ჰყოფნით და ამიტომ ქუჩებში ლოცვა ერთადერთი გამოსავალია, მაგრამ ამ მლოცველთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება. მათ ყოველდღიურად სულ უფრო მეტი ადამიანი უერთდება მეზობელი რაიონებიდან. **ისინი სპეციალურად იმისთვის იკრიბებიან, რომ ყველას დაანახონ, ბევრნი რომ არიან და რამდენად იოლი იქნება მათთვის საფრანგეთის ტერიტორიის ისლამური სახელმწიფოსათვის მიერთება.**

საფრანგეთი თვალს ვერ უსწორებს თავის ისლამურ მომავალს. რუსმა მწერალმა კი უკვე დაწერა რომანი „პარიზის ღვთისმშობლის მეჩეთი, 2048“, რომელიც რუსეთში ბესტსელერად იქცა, მაგრამ არა პარიზში. ფრანგული მედია წიგნს პოლიტიკურად არაკორექტულად მიიჩნევს და თითქოს ვერც ამჩნევს. საფრანგეთში ისლამს ღარიბი ხალხის რელიგიად მიიჩნევენ და, თუ ღარიბებს ეტყვი, რომ მართლები არ არიან, ეს უკვე რასიზმად ითვლება.

**მუსლიმანების აზრით, მათი რაოდენობა საფრანგეთში მოსახლეობის 10%-ს არ აღემატება. არადა, ამ ციფრების სიზუსტეზე თავს ვერავინ დადებს — საფრანგეთის კანონმდებლობით, რელიგიური თვალსაზრისით, მოსახლეობის გადათვლა აკრძალულია. შეუიარაღებელი თვალით კი ნათლად ჩანს, რომ მუსლიმანთა შორის შობადობა ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე პარიზის ძირძველ მოსახლეობაში.** მაგრამ მთავარი რაოდენობა არაა. როგორც ისლამის საკითხთა ექსპერტმა, ფრანგმა ფილოსოფოსმა რადუ სტოენესკუმ პირდაპირ ეთერში მუსლიმანთა ლიდერს უთხრა, **„საკითხი ღიად რჩება. ისლამი, უბრალოდ, რწმენაა თუ იდეოლოგია? არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად ბევრი მუსლიმანია დედამიწაზე. პრობლემა იმ ადამიანებშია, რომლებიც ისლამს ირჩევენ. ისინი წარმოადგენენ რაღაც პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც პოლიტიკურ დღის წესრიგში შარიათის დანერგვა და ისლამური სახელწიფოს მშენებლობა უწერია“.**






*perevodika.ru*

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «მოსადი» ამერიკაში

**ისრაელის ხელისუფლების მტკიცება, რომ ის არ უთვალთვალებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, მასმედიასა და ხალხზეა გათვლილი. მაგრამ რეალობა სრულიად საპირისპიროა — ისრაელის სპეცსამსახურები ძალიან აქტიურად უთვალთვალებენ აშშ-ს და განსაკუთრებულად ორმაგი დანიშნულების სამხედრო და სამოქალაქო ტექნოლოგიების ხელში ჩაგდებას ცდილობენ. ვაშინგტონის მიერ მეგობრულად მიჩნეულ ქვეყნებს შორის აშშ-ის კომპანიებისა და თავდაცვის სამინისტროსკენ მიმართული აქტიური ჯაშუშობის მხრივ ისრაელს პირველი ადგილი უჭირავს. ამავე დროს ის დომინირებს ორ კომერციულ სექტორში, რომელთა წყალობითაც საშუალება აქვს, ამერიკის შიდა ინფრასტრუქტურაზე გაავრცელოს საკუთარი მოღვაწეობა. ავიახაზები და შორეული კავშირების უსაფრთხოება ისრაელის დომინირების სფეროებია.**




ითვლება, რომ ისრაელს უპრობლემოდ შეუძლია აკონტროლოს აშშ-ის ყველა სატელეფონო საუბრების ჩანაწერები. მეორეს მხრივ კი, ისრაელის უამრავი კომპანია, რომლებიც პასუხს აგებენ ავიაგზავნილების უსაფრთხოებაზე, შტატებში „მოსადის" ადგილობრივი რეზიდენტურის ფუნქციებსაც უპრობლემოდ ითავსებს.

**კონტრდაზვერვის წყაროების ინფორმაციით, ირანთან ურთიერთობების გამწვავების კვალობაზე ისრაელის აგენტები გაცილებით აგრესიულები გახდნენ ამერიკაში მცხოვრები მუსლიმანების მიმართ.** ამავე დროს, ისინი კრიტიკოსთა წინააღმდეგ გაცილებით აგრესიულ ქმედებებზეც გადავიდნენ. **გამოძიების ფედერალურ ბიუროში შევიდა უამრავი საჩივარი, რომელთა მიხედვითაც „მოსადის" თანამშრომლები თავს „ამერიკული დაზვერვის" აგენტებად ასაღებდნენ და არაბულ-ამერიკული თემების ლიდერებთან ამყარებდნენ კონტაქტს.** ეს იმისთვის კეთდება, რომ ობიექტების მხრიდან თანამშრომლობის ალბათობა და ხარისხი გაიზარდოს, თორემ მუსლიმანთაგან არავინ მოინდომებდა ისრაელელისთვის რაიმე სახის დახმარების გაწევას. ამ ოპერაციას „ტყუილი დროშის ქვეშ" ჰქვია.

**„მოსადის" თანამშრომლები ცდილობდნენ, ამერიკელი არაბები გადაებირებინათ და მათი დახმარებით მიეღოთ ინფორმაცია მათივე კოლეგებისა და მეზობლების შესახებ.** როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ნიუ იორკსა და ნიუ ჯერსიში ამ მიზნისათვის გამოყენებული მეთოდები იმდენად ხისტი იყო, რომ ოპერაციის ობიექტთა შორის ეჭვი გამოიწვია. **ამერიკელმა არაბებმა თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს, ზოგიერთი კონტაქტის შესახებ კი დროთა განმავლობაში გამოძიების ფედერალურ ბიუროსაც აცნობეს.** ამ უკანასკნელმაც დაადგინა, რომ „მოსადის" სულ მცირე ორი თანამშრომელი, რაც არ უნდა უცნაური იყოს, ისრაელელი არაბია და გაეროში ისრაელის მუდმივი წარმომადგენლობიდან ნიუ იორკში კონსულის თანაშემწეობას ამოფარებული მოქმედებდნენ.

**იყო სხვა უცნაური შემთხვევებიც: აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების გემ „Liberty"-ზე თავდასხმის შემდეგ გადარჩენილ ფილ ტურნეის კალიფორნიაში უცხოელი მიუახლოვდა და ისრაელის ხელისუფლების წარმომადგენლად გაეცნო.** ის ყველანაირად შეეცადა ტურნეის პროვოცირებას, შემდეგ კი, როდესაც ჟურნალისტი მარკ გლენი სამხედრო გემ „Liberty"-სთან დაკავშირებულ შემთხვევაზე მუშაობდა, ეს „ისრაელის ხელისუფლების წარმომადგენელი" ტურნეისაც და ჟურნალისტსაც ინტენსიურად ემუქრებოდა. ისრაელელი ტურნეის სასტუმროს ვესტიბიულში მიუახლოვდა და აბსოლუტურად გაუგებარია, როგორ მოახერხა მისი ამოცნობა, მაგრამ მან ნამდვილად იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე, ვინ იყო ტურნეი. მიუახლოვდა და მის გასაგონად გამოაცხადა, რომ „Liberty"-ს ბორტზე დაღუპულმა ადამიანებმა დამსახურებისამებრ მიიღეს, რაც ეკუთვნოდათ. ინცინდენტს რამდენიმე მოწმე შეესწრო, მათ შორის ტურნეის მეუღლეც. **მოგვიანებით, ისრაელელის მხრიდან მუქარის თაობაზე გამოძიების ფედერალური ბიურო ჩააყენეს საქმის კურსში. გამოძიება მიმდინარეობს, მაგრამ დაზარალებულები მიიჩნევენ, რომ ბიურო ამ შემთხვევას მნიშვნელოვნად არ მიიჩნევს.**




**ითვლება, რომ ისრაელს უპრობლემოდ შეუძლია აკონტროლოს აშშ-ის ყველა სატელეფონო საუბრების ჩანაწერები. მეორეს მხრივ კი, ისრაელის უამრავი კომპანია, რომლებიც პასუხს აგებენ ავიაგზავნილების უსაფრთხოებაზე, შტატებში «მოსადის» ადგილობრივი რეზიდენტურის ფუნქციებსაც უპრობლემოდ ითავსებს.**

**გამოძიების ფედერალური ბიუროს ინფორმატორები მიანიშნებენ, რომ „მოსადის" აქტიურობა მნიშვნელოვანი პრობლემაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისრაელელები თავს ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენლებად ასაღებენ, მაგრამ იგივე ინფორმატორები აღნიშნავენ, რომ მათ, ფაქტიურად, არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ ამ ყველაფრის აღსაკვეთად. იუსტიციის სამინისტრო რაიმე სადამსჯელო ღონისძიებების გატარებაზე უარს აცხადებს, მით უმეტეს, ზედმეტია საუბარი „მოსადის" თანამშრომელთა სისხლის სამართლებრივ დევნაზე. ეს გადაწყვეტილება უცვლელი რჩება იმ „მოსადელებთან" მიმართებაშიც კი, რომლებიც უკანონო ქმედებებში არიან ჩართულნი.**

ისრაელური ჯაშუშობის კიდევ ერთ ხანგრძლივ საქმეში ვინმე სტიუარტ ჰოზეტია ბრალდებული, მაგრამ, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში მას გაათავისუფლებენ. მისი საქმე ძალიან ნელი ტემპით მოძრაობს კოლუმბიის ოლქის სასამართლოებში. **ჰოზეტი აეროკოსმოსური სფეროს მკვლევარი იყო და ზესაიდუმლო სამუშაოებსა და ინფორმაციებთან დაიშვებოდა. მან საიდუმლო მასალების მიყიდვა შესთავაზა ადამიანს, რომელიც თითქოსდა „მოსადის" თანამშრომელი იყო, მაგრამ საბოლოოდ გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტი აღმოჩნდა.** ჰოზეტი ციხეშია, ადვოკატები სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ წარდგენილ დოკუმენტებს ეცნობიან და ამ დოკუმენტების უმეტესობაც გასაიდუმლოებული ინფორმაციაა. თუ ჰოზეტი მოითხოვს, რომ დაცვამ საიდუმლო ინფორმაცია გამოიყენოს, მაშინ მისი სასამართლო დაახლოებით ისევე წარიმართება, როგორც „AIPAC"-ის (საზოგადოებრივი კავშირების ისრაელ-ამერიკის კომიტეტი — ისრაელის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ლობისტური კომპანია ამერიკაში) ორი ჯაშუშის — სტივ როზენისა და კიტ ვაისმანის საქმე განიხილებოდა. **ამ პროცესის ვადები ცხრაჯერ გაახანგრძლივეს, ბოლოს კი ბრალდებულები გაამართლეს, რადგან პროკურორებმა გადაწყვიტეს, რომ ვერ შეძლებდნენ ამ საქმის მოგებას ნაციონალური უსაფრთხოებისათვის სერიოზული ზიანის მიყენების გარეშე. მათი გათავისუფლებიდან ზუსტად ერთი თვის შემდეგ ბენ-ამი კადიში, რომელმაც აღიარა, რომ ნიუ ჯერსის არსენალში მუშაობისას ისრაელს გადასცემდა სამხედრო საიდუმლოებათა შემცველ ინფორმაციას, მანჰეტენის სასამართლოდან ფულადი ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. მას ერთი დღეც არ გაუტარებია ციხეში და თავდაცვის სამინისტროსგან სოლიდური პენსიაც შეუნარჩუნდა.**

მასმედიის წამყვანი საშუალებები პერიოდულად აშუქებდნენ როზენისა და ვაისმანის სასამართლო პროცესებს, მაგრამ თითქმის არ შეხებიან ბენ-ამი კადიშის ისტორიას, ჰოზეტი კი საერთოდ არავის უხსენებია. თუ ამ ყველაფერს რუს ჯაშუშებთან დაკავშირებით ბოლო დროს ატეხილ სკანდალს შევადარებთ და თანაც გავითვალისწინებთ, რომ არც ერთ მათგანს არანაირ საიდუმლო ინფორმაციასთან შეხებაც კი არ ჰქონია, ძნელი იქნება, გვერდი ავუაროთ დასკვნას, რომ ისრაელის სასარგებლოდ ჯაშუშობას მაინცადამაინც ცუდი შედეგი სულაც არ მოჰყვება.



**ფილიპ ჟირალდი,**
**ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი და ნაციონალური ინტერესის საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი.**

*„The American Conservative"*

## გადასახადი ჯადოქრობისთვის



**რუმინეთის სენატმა არ დაამტკიცა კანონპროექტი, რომლის თანახმადაც ჯადოქრებისა და წინასწარმეტყველების ყველა შემოსავალი უნდა დაბეგრილიყო.**

ამ გენიალური კანონპროექტის მომზადებაზე ქვეყნის დემოკრატიულ-ლიბერალური პარტიის ორი წარმომადგენელი მოცდა. მასში სხვა ყველა სისულელესთან ერთად ეწერა, რომ ჯადოქრებსა და წინასწარმეტყველებს თავიანთი მომსახურებისათვის უნდა გაეცათ სასაქონლო ჩეკები და იმ შემთხვევისთვის, თუ პროგნოზები არ გამართლდებოდა, მცდარი წინასწარმეტყველებისთვის პასუხი უნდა ეგოთ. იდეისა და დოკუმენტის ავტორებს სენატის გადაწყვეტილებაზე დიდად დასწყდათ გული, მაგრამ ამ შედეგს ახსნაც დაუყოვნებლივ მოუძებნეს — საკანონმდებლო ორგანოს ჯადოქრების წყევლის შეშინებიათ და ამიტომ არ დაუწესეს მათ გადასახადი.

## საუნივერსიტეტო კურსი ზომბების შესახებ



**ბალტიმორის უნივერსიტეტში ზომბების შესახებ ახალი სასწავლო კურსი გაჩნდა. კურსზე ჩაწერილ სტუდენტებს ზომბების შესახებ 16 ფილმის ნახვა მოუწევთ და მოარული მიცვალებულების შესახებ შექმნილი კომიქსების წაკითხვასაც ვერ გადაურჩებიან. საკურსო ნაშრომი ზომბების შესახებ, მათი აზრით, უნდა იყოს იდეალური ფილმის სცენარი.**

უნივერსიტეტის წარმომადგენლის, ჯონათან შორის თქმით, ახალი კურსი იმისთვის შეიქმნა, რომ საინტერესო და უჩვეულო საგნების მიმართ სტუდენტების ინტერესი დაკმაყოფილებულიყო. ახლა სტუდენტები ფიქრობენ, რომ ზომბების შესახებ რაღაც სიგიჟეებს მოისმენენ ლექტორებისგან, გარკვეულწილად ასეცაა, მაგრამ, ძირითადად, იმის გაცნობიერება უწევთ, თუ რა არის ლიტერატურა, მასმედია და როგორ ასახავენ ისინი დროის თავისებურებებს. ვიდრე ზომბების შესახებ საუნივერსიტეტო კურსი შეიქმნებოდა, მათ შესახებ კოლუმბიასა და ჩიკაგოში კოლეჯებში ასწავლიდნენ. აიოვას ერთ-ერთ სასწავლო დაწესებულებაში კი მათზე წიგნის დაწერას სახელწოდებით „დიდი ომი ზომბებთან" მთელი სემესტრი მიეძღვნა.

## პირველი ოპერა კლინგონსურ ენაზე




**ნიდერლანდებში კლინგონსურ ენაზე შექმნილი პირველი ოპერის პრემიერა გაიმართა. ეს ენა სპეციალურად კლინგონებისათვის, ფილმის „ვარსკვლავური გზის" გამოგონილი რასის ადამიანებისთვის შეიქმნა. ენას საკმაოდ მრავალსიტყვიანი ლექსიკონი და საკუთარი გრამატიკული ნორმების ნაკრები აქვს.**

კლინგონურ ენაზე დაწერილი ოპერის სახელწოდებაა „უ", რაც თარგმანში „სამყაროს" ნიშნავს. პრემიერა ჰააგის „Zeebelt"-ის თეატრის სცენაზე შედგა, მოგვიანებით მას გერმანულ აუდიტორიასაც წარუდგენენ. 2010 წლის აპრილში პროექტის ინიციატორებმა პრემიერაზე თავად კლინგონების ოჯახიც დაპატიჟეს. ამისათვის რადიოტელესკოპი ვარსკვლავ არქტურისაკენ მიმართეს. სავარაუდოდ, სწორედ ამ ვარსკვლავის ირგვლივ ბრუნავს კლინგონების რასით დასახლებული პლანეტა.

# საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო

საქინფორმი

www.saqinform.ge



# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი" | 602602 |
| შპს „ახტელი" | 700818 |
| შპს „მაგთიკომი" | 200320 |
| შპს „ჯეოსელი" | 700305 |
| შპს „ბილაინი" | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის" ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru





# უნივერსალური წყალი „ისიდა"



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა" აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო") მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა" გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21. 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**



# აქ ყველაზე დაბალი ფასებია!




## «ტექნო ბუმში» ნამდვილი ბუმი დაიწყო

ტექნიკის მაღაზიათა ქსელ **„ტექნო ბუმში"** ნამდვილი ბუმი დაიწყო და პირველად საქართველოში **„ტექნო ბუმის"** საბითუმო ცენტრი საზეიმოდ გაიხსნა, სადაც მსოფლიო ბრენდების უახლესი ტექნიკის შეძენას საბითუმო ფასად შეძლებთ.

მენეჯმენტის ინფორმაციით, **საბითუმო ცენტრი განსხვავებული სისტემით იმუშავებს და სრულიად განსხვავებული ფასწარმოქმნის პოლიტიკა ექნება.**

გარდა იმისა, რომ **„ტექნო ბუმში"** საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე: კონდიციონერებზე, ტელევიზორებზე, ფოტოაპარატებზე, კომპიუტერებზე, მობილურ ტელეფონებსა და ნებისმიერ ტექნიკაზე — **ყველაზე დაბალი ფასებია**, „ბუმის ცენტრში" ნებისმიერ მომხმარებელს ტექნიკის შეძენა საბითუმო ფასად შეეძლება.

ამისთვის მომხმარებელი **„ტექნო ბუმის" ცენტრში** უნდა მობრძანდეს, გააკეთოს შენაძენი თავად ან მეგობრებთან ერთად. ნივთების რაოდენობა დაჯამდება და, ორი ან მეტი ნივთის შეძენის შემთხვევაში, მომხმარებელს მათი შეძენა საბითუმო ფასად შეეძლება.

**თბილისი, ვაჟა-ფშაველას №21, წერეთლის №1, აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ (საბითუმო ცენტრი)**



# მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი — ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი



## გთავაზობთ სამედიცინო დახმარებას

- უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევასა და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
- ჰორმონულ, გენეტიკურ, იმუნოლოგიურ, ექოსკოპიურ, ენდოსკოპიურ გამოკვლევებს;
- სასქესო ინფექციების დადგენას, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
- სპერმის კომპიუტერულ ანალიზს;
- ხელოვნურ ინვიტრო განაყოფიერებას; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვას;
- ქალებსა და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენასა და მკურნალობას, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
- ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას;
- სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკას, ქირურგიულ კორექციას;
- კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობასა და პროფილაქტიკას;
- ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენას; შობადობის რეგულაციას — მედიკამენტურ კონტრაცეფციას;
- ულტრასონოგრაფიულ, ბიოქიმიურ, ჰორმონულ, ციტოგენეტიკურ გამოკვლევებს.

**მისამართი: კოსტავას ქ. 43. ტელ. 93-11-45; 99-61-97; 99-54-77**



საქართველო და მსოფლიო

# ესტუმრეთ ჩვენს საიტს

http://www.geworld.net



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net